



შოთა რუსთაველის ეროვნული  
სამეცნიერო ფონდი  
Shota Rustaveli National Science Foundation



გიორგი ახვლედიანის სახელობის  
ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება  
Giorgi Akhvlediani Society for the History of Linguistics

**TINATIN BOLKVDZE**

**LANGUAGE UNION:  
GEOLINGUISTIC PROBLEMS OF  
THE EURASIAN THEORY**



შოთა რუსთაველის ეროვნული  
სამეცნიერო ფონდი  
Shota Rustaveli National Science Foundation



გიორგი ახვლედიანის სახელობის  
ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება  
Giorgi Akhvediani Society for the History of Linguistics

**თინათინ ბოლქვაძე**

**ენობრივი კავშირი:  
ეპრაფიულობის თეორიის გეოლინგვისტური  
პრობლემები**

UDC(უაკ) 811.353.1'44+81-119

ბ – 836

სამეცნიერო პროექტი „ევრაზიული თეორია და საქართველო“ (გრანტი დ-13/13) განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში მომზადდა და დაიბეჭდა ორი სამეცნიერო მონოგრაფია:

**თინათინ ბოლქვაძე**, ენობრივი კავშირი: ევრაზიულობის თეორიის გეოლინგვისტური პრობლემები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2015

**გრიგოლ ჯოხაძე**, ევრაზიული საცდური: პოლიტიკურ-ისტორიული და ფილოსოფიური ასპექტები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2015

The project “Eurasian Theory and Georgia” has been made possible by financial support from the Shota Rustaveli Science Foundation (Grant d - 13/13). Within the project have been prepared and published two monographs:

**Tinatina Bolkvadze**, Language Union: Geolinguistic Problems of the Eurasian Theory, “Universal”, Tbilisi, 2015

**Grigol Jokhadze**, Eurasian Temptation: Political, Historical and Philosophical Aspects, “Universal”, Tbilisi, 2015

=====  
წინამდებარე წიგნში გამოთქმული მოსაზრებანი ეკუთვნის ავტორს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

All ideas expressed herewith are those of the author and may not represent the opinion of the Foundation itself.

[www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge); [www.gashol.ge](http://www.gashol.ge)

უფასო გამოცემა

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015

თბილისი, 0179, ი. შავსავაძის ბაზ. 19. ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)

ISBN 978-9941-22-684-7

# სარჩევი

წინასიტყვაობა .....	7
<b>I თავი ევრაზიულობის თეორია და პრალის</b>	
<b>ლინგვისტური წრე.....</b>	<b>9</b>
§1. პრალა – ევრაზიული მოძრაობის დედაქალაქი .....	9
§2 ნიკოლოზ ტრუბეცკოი და რომან იაკობსონი.....	14
<b>II თავი ენობრივი კავშირი.....</b>	<b>25</b>
§1. მონათესავე ენათა ოჯახი და ენობრივი კავშირი.....	25
§2. სოციალური ფაქტორის როლი ენობრივი კავშირის შექმნაში .....	30
<b>III თავი ფონეტიკა და პოლიტიკა.....</b>	<b>39</b>
§1. „ევრაზიული ენების“ ფონოლოგიური მახასიათებლები .....	39
§2. თანხმოვანთა კორელაციური კონები (გიორგი ახვლედიანის ხელნაწერების მიხედვით).....	51
<b>IV თავი ენობრივი კავშირის ცნება საბჭოთა</b>	
<b>ენათმეცნიერებაში .....</b>	<b>62</b>
§1. „ენობრივი კავშირის“ ნაკლოვანებები ბურჟუაზიული ენათმეცნიერების კრიტიკის ფონზე .....	62
§2. ენობრივი კავშირი და ალოგენეტური ნათესაობის იდეა საბჭოთა ენათმეცნიერებაში.....	72
§3. ინდოევროპეიზმების კვლევა ქართველურ ენებში.....	82
<b>V თავი საერთო ევრაზიული ნაციონალიზმი და საბჭოთა</b>	
<b>ხალხი .....</b>	<b>106</b>
§1. დაეჭვება ევრაზიულობის თეორიაში .....	106
§2. საბჭოთა კავშირი და ევრაზიელი ერი .....	108
<b>ქრესტომათია</b>	
ნიკოლოზ ტრუბეცკოი, ბაბილონის გოდოლი და ენათა აღრევა.....	119
ნიკოლოზ ტრუბეცკოი, საერთოევრაზიული ნაციონალიზმი .....	130
ნიკოლოზ ტრუბეცკოი, ფიქრები ინდოევროპულ პრობლემაზე .....	141
რომან იაკობსონი, ევრაზიული ენობრივი კავშირის დახასიათებისათვის .....	159
<b>Summary .....</b>	<b>213</b>
<b>დამოწმებული ლიტერატურის სია.....</b>	<b>218</b>

## CONTENT

<b>Foreword</b> .....	7
<b>I Chapter Eurasian Theory and Prague Linguistic Circle</b> .....	9
§1. Prague – Capital City of Eurasian Movement .....	9
§2 Nikolai Trubetzkoy and Roman Jacobson .....	14
<b>II Chapter Language Union</b> .....	25
§1. Language family and Language Union.....	25
§2. Role of Social Factors in the creation of Language Union .....	30
<b>III Chapter Phonetics and Politics</b> .....	39
§1. Phonological Features of “Eurasian Languages” .....	39
§2. §2. Correlation Bundles of Consonants (According of the Manuscripts of Giorgi Akhvlediani).....	51
<b>IV Chapter Notion of Language Union in Soviet Linguistics</b> .....	62
§1. Drawbacks of „Language Union“on the Background of Criticism of Bourgeois Linguistics.....	62
§2. Language Union and the Idea of Allogenetical Relations in Soviet Linguistics .....	72
§3. Research of Indo-Europeanisms in Kartvelian (South Caucasian Languages) .....	82
<b>V Chapter Pan-Eurasian Nationalism and Soviet People</b> .....	106
§1. Casting doubt on Eurasian theory.....	106
§2. Soviet Union and Eurasian Nation.....	108
<b>Chresomathy</b>	
Nikolai Trubetzkoy, The Tower on Babel and the Confusion on Languages.....	119
Nikolai Trubetzkoy, Pan-Eurasian Nationalism .....	130
Nikolai Trubetzkoy, Thoughts on Indo-European Problem.....	141
Roman Jacobson, Characterization of the Eurasian Language Union.....	159
<b>Summary</b> .....	213
<b>Bibliography</b> .....	218

## წინასიტყვაობა

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი 2012-2015 წლებში აფინანსებდა უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსში გამარჯვებულ გიორგი ახვლედიანის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების სამეცნიერო პროექტს „ევრაზიულობის თეორია და საქართველო“ (დ- 13/13).

პროექტში მონაწილეობდნენ: დოდონა კიზირია (ინდიანის უნივერსიტეტი, ბლუმინგტონი, აშშ) გრიგოლ ჯოხაძე (ილიას უნივერსიტეტი), თინათინ ბოლქვაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და ნათია ფუტყარაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). სამეცნიერო თემის არჩევანი განაპირობა ევრაზიულობის თეორიის ფარგლებში შექმნილი ლინგვისტური, ფილოსოფიური და პოლიტიკურ-ისტორიული ხედვის ჩამოყალიბების კვლევის სურვილმა, რომელსაც აძლიერებდა პოლიტიკური კონტექსტი.

პროექტის ფარგლებში პროფ. დოდონა კიზირიამ მოამზადა სპეციალური სალექციო კურსი, რომელიც მიჰყავს ინდიანის უნივერსიტეტში. პროექტის მონაწილეებმა თარგმნეს ევრაზიულობის თეორიის მესაძირკველთა ყველა მნიშვნელოვანი შრომა, რომელთა სრულად ნახვა დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გიორგი ახვლედიანის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების ვებ-გვერდზე: [www.gashol.ge](http://www.gashol.ge). მომზადდა მრავალი სამეცნიერო სტატია, საკონფერენციო მოხსენება და ორი მონოგრაფია. ორივე ნაშრომს ერთვის ქრესტომათია.

წინამდებარე მონოგრაფიაში - „ენობრივი კავშირი: ევრაზიულობის თეორიის გეოლინგვისტური პრობლემები“ - გამოყენებულია ევრაზიული თეორიის ფუძემდებელთა და მიმდევართა საარქივო მასალები, რომლებიც მოძიებულია პრალაში სლავური ლიტერატურის ბიბლიოთეკასა და სლავური ლიტერატურის არქივში, ასევე პარიზის ტურგენევის სახელობის რუსულ ბიბლიოთეკაში (Bibliothèque Russe Tourguenev), ნანტერის უნივერსიტეტის თანამედროვე საერთაშორისო დოკუმენტების ბიბლიოთეკასა და თანამედროვე ისტორიის მუზეუმში (BDIC// Bibliothèque de Documentation Internationale Contemporaine; Musée D'Histoire Contemporaine). ამას გარდა, შესწავლილია რომან იაკობსონის არქივი, რომელიც ინახება მასაჩუსეტსის (აშშ) ტექნოლოგიური ინსტიტუტის არქივებისა და სპეციალური კოლექციების ინსტიტუტში. ევრაზიულობის თეორიისა და პრალის ლინგვისტური წრის ინტერესთა კვლევაში დიდი როლი შეასრულა ლოზანის უნივერსიტეტის ცენტრალური და ალმოსავლეთ ევროპის ენათმეცნიერების ისტორიისა და ეპისტემო-

ლოგიის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიასთან თანამშრომლობამ. ცალკე უნდა აღინიშნოს ლოზანის უნივერსიტეტის, ნიუ-იორკისა და ლაიდენის უნივერსიტეტის მდიდარ ბიბლიოთეკებში მუშაობა, რამაც ძალიან შეუწყო ხელი ამ სტრიქონების ავტორს ნიგნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში.

ნაშრომის გარდა ნიგნში შედის ქრესტომათია, რომლისთვისაც შერჩეულმა სტატიებმა განსაზღვრეს არა მარტო ევრაზიულობის თეორიის, არამედ თანამედროვე ენათმეცნიერების ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა და კვლევის მეთოდი. მაგლობას ვუხედი რომან იაკობსონის ფონდის აღმასრულებელ დირექტორს, პროფ. ლინდა ვუს (Prof. Linda R. Waugh Executive Director of Roman Jakobson Trust), რომელმაც დამართო ნება, მეთარგმნა და გამომექვეყნებინა რომან იაკობსონის სტატია „ევრაზიული ენობრივი კავშირის დახასიათებისათვის“.

მკითხველი ნაშრომში გაეცნობა პრადის ლინგვისტური სკოლის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლის - ნიკოლოზ ტრუბეცკოისა და რომან იაკობსონის ლინგვისტურ და გეოლინგვისტურ თეორიებს, კერძოდ, ფონოლოგიისა და ენობრივი კავშირის თეორიულ საფუძვლებს. ნიგნში ნაჩვენებია გზა, რომელიც გაიარა ენობრივი კავშირის იდეამ საბჭოთა ენათმეცნიერებაში შესვლიდან მის დამკვიდრება-განვითარებამდე ანუ სტრუქტურალიზმის როგორც ბურჟუაზიული ლინგვისტური სწავლების კრიტიკიდან თანამედროვე ნოსტრატულ თეორიამდე.

სპეციალური კვლევის საგნად არის ქცეული საკითხი - სად მთავრდება მეცნიერული კეთილსინდისიერება, როცა წამყვანი იმპერიული მიზნები ხდება, როგორ იქცევა ენათმეცნიერება პოლიტიკის მხეველად, როცა მიზანი რუსეთის დიად ევრაზიად - ევროპასა და აზიას შორის მდებარე გამორჩეულ ტერიტორიად გარდაქმნა. ასეთ ვითარებაში იკვეთება პრობლემა - როგორ უნდა გაირჩეს ცალკეული ლინგვისტების ევრაზიელობა და მკაცრი მეთოდით მომუშავე სამეცნიერო დისციპლინის ურყევი დასკვნა; სად გადის ზღვარი ემიგრანტ მეცნიერთა პანევრაზიულ ნაციონალიზმსა და საბჭოთა ხალხის სოციალისტურ გაგებას შორის.

ნიგნი განკუთვნილია ენათმეცნიერების, ფილოლოგიების, ისტორიკოსების, სოციოლოგიებისა და ჰუმანიტარულ სამეცნიერო იდეათა ჩამოყალიბებისა და კვლევის პრობლემატიკით დაინტერესებული მკითხველების ფართო წრისათვის.

§1. პრალა – ეპრაზიული მოძრაობის დედაქალაქი

ჩეხოსლოვაკიის შექმნის დღიდან ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საკუთარი, „რუსული პოლიტიკის“ შემუშავება. ეს პოლიტიკა განპირობებული იყო ორი ფაქტორით: ჩეხოსლოვაკიის შეიარაღებული ძალების ყველაზე მრავალრიცხოვანი და ბრძოლისუნარიანი ნაწილი ბოლშევიკებს უტევდა ციმბირში; ქვეყნის ტერიტორიაზე მისი შექმნის დღიდან აღმოჩნდა ბევრი რუსი სამხედრო ტყვე, რომელთა შორის იყვნენ როგორც გულანთებული მონარქისტები, ისე კომუნისტი აგიტატორები. ჩეხოსლოვაკიის პირველ პრეზიდენტს ტ. გ. მასარიკსა და საგარეო საქმეთა მინისტრს ე. ბენეშს ესმოდათ, რომ საჭირო იყო მეზობლთა დროული დაბრუნება ქვეყანაში, თუმცა მხარს უჭერდნენ ანტიბოლშევიკურ ძალებს რუსეთში. მასარიკის კონცეფცია მისაღები აღმოჩნდა როგორც ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობის უმრავლესობისათვის, ისე პარიზის მშვიდობის კონფერენციისათვის. ჩეხოსლოვაკიის პირველ პრეზიდენტი ენინააღმდეგებოდა პრალაში რუსული ემიგრაციის პოლიტიკური ცენტრის შექმნას, რადგან არ უნდოდა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზა მთლიანად მოეჭრა. ამიტომ მან „რუსული აქციის“ ფარგლებში, რომელიც 1921 წლიდან ამოქმედდა, მხარდაჭერა გამოუცხადა რუსეთის „კულტურულ ძალებს“, რომ მათთვის სამეცნიერო, პედაგოგიური და პუბლიცისტური მუშაობის საშუალება მიეცა. „რუსული აქციის“ ფარგლებში გაიხსნა ბევრი რუსულენოვანი ფაკულტეტი და სასწავლო დაწესებულება. ეს აქცია მიზნად ისახავდა შეენახა რუსული კულტურული ძალები, რომ აღდგენილ რუსეთში დაბრუნების შემდეგ მათ გაეწიათ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პროპაგანდა კულტურული და ეკონომიკური თვალსაზრისით. ამ საქმისთვის დახარჯული ფული ჩეხოსლოვაკიისთვის ამაოდ არ ჩაივლიდა. აქედან დაბრუნებული ინტელიგენცია შეავინროვებდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშნულ არასლავურ ელემენტებს. ამას გარდა, ჩეხოსლოვაკიის მრენველობას მოუწევდა რუსეთის სახელმწიფო შეკვეთების შესრულება, რადგან მას უპირატესობა ექნებოდა სხვა ქვეყნების სამრეწველო ძალებთან შედარებით. როგორც ი. სავიცკი ირწმუნება, სწორედ ასე ჩამოყალიბდა საბოლოოდ „რუსული აქციის“ მიზნები ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ დოკუმენტში. ამ ინფორმაციას ვეცნობით ი. სავიცკის წერილში, რომელიც დასაჯერებელია, რადგან ამას წერს ეპრაზიულობის თეორიის ფუძემდებლის, პეტრე სავიცკის, შვილი, მიუხე-



დავად იმისა, რომ ი. სავიციკი არ იმონებს ამ ოფიციალური დოკუმენტის ნომერს ან მისი შემუშავებისა და გამოცემის წელს (ი. სავიციკი 1995:49).

ამ ფაქტორებმა გამოიწვია პრალაში „რუსული ოქსფორდის“ შექმნა (დანვრილებით იხ. ტომანი 1995; აგრეთვე ბაისვენგერი 2012:117-124). რუსეთიდან ემიგრირებულ მეცნიერთა დიდი ნაწილი ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ დარგებს იკვლევდა. 1921-24 წლებში შეიქმნა რუსული სასწავლო დაწესებულებების, სამეცნიერო საზოგადოებებისა და გაერთიანებების მთელი ქსელი (უფრო დანვრილებით ამ საკითხზე იხ. ვ. ბორისოვი და სხვები 1995:355-360). ტ. მასარიკის დამსახურებით მაშინდელმა ჩეხოსლოვაკიამ ბევრი სამშობლოდაკარგული რუსი მეცნიერის ცხოვრებაში შესარულა გადამწყვეტი როლი. მასარიკი, სხვა პოლიტიკოსთა მგავსად, დარწმუნებული იყო, საბჭოთა რეჟიმი მალე შეიცვლებოდა და საჭირო იყო როგორც ძველი კადრების შენარჩუნება, ისე ახალი კადრების აღზრდა პოსტბოლშევიკური რუსეთისათვის. მაგრამ ახალი ნყობილება იმაზე მეტად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე ეს „რუსული აქციის“ ორგანიზატორებს ეგონათ (ვ. ბორისოვი და სხვები 1995:360). პრალაში „რუსულ ოქსფორდი“ დიდხანს ვერ გასტანდა, რადგან 1924 წლიდან ცხადი გახდა, რომ საბჭოთა ნყობილება სერიოზული მოვლენა იყო და ხანგრძლივი არსებობა ელოდა. ასე რომ, რუსეთის შეცვლილი მომავალისთვის კადრების მომზადებას აზრი დაეკარგა. ამდენ რუს, ბელორუს და უკრაინელ ემიგრანტს ჩეხოსლოვაკია ვერ მოუვლიდა. ეს იგრძნეს ემიგრანტებმაც და სხვადასხვაგვარად ცდილობდნენ ახალ რეალობას შეგუებოდნენ. შემთხვევითი არ არის, რომ 1925 წელს პროფესორთა სახლს უკვე მწარე ხუმრობით „ძმათა სასაფლაოდ“ მოიხსენიებდნენ. საბოლოოდ მცირდება რუსული კულტურული ემიგრაციის ტალღა პრალაში (რუსული ემიგრაციის ეტაპების შესახებ პრალაში იხ. ი. სავიციკი 1995:47-53), თუმცა „რუსული ოქსფორდის“ დაშლის წინა პერიოდში, ანუ 1928 წლამდე, მეცნიერებაში ჩეხურ-რუსულმა თანამშრომლობამ მოგვცა ისეთი შედეგი, როგორიცაა პრალის ლინგვისტური წრე.

პრალის ლინგვისტური წრის ყველაზე გავრცელებული სახელებია Pražsky Linguistický Kroužek (PLK) და Circle linguistique de Prague (CLP). ეს წრე დააარსა ანგლისტმა ვილემ მათეზიუსმა 1926 წელს იაკობსონთან, ბოჰუსლავ ჰაერანეკთან (ზოგადი ენათმეცნიერებისა და სლავური ფილოლოგიის სპეციალისტი), ბოჰუმილ ტრნკასთან (ინგლისური ფილოლოგიის სპეციალისტი) და იან რიპკასთან (თურქული და ირანული ფილოლოგიის სპეციალისტი) ერთად. პრალის წრე ყოველთვის ინტერდისციპლინარული იყო თავისი არსით, მაგრამ ძირითად შემადგენლობას მაინც ენისა და ლიტე-

რატურის სპეციალისტები ქმნიდნენ. ამ წრეში შედიოდნენ ცნობილი ჩეხი ენათმეცნიერები იან მუკარჟოვსკი (ლიტერატურისა და ესთეტიკის სპეციალისტი), იაროსლავ პრუშეკი (სინოლოგი), პაველ ტროსტი (ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერების სპეციალისტი) და ემიგრანტი რუსი ენათმეცნიერები: ნიკოლოზ ტრუბეცკოი, სერგეი კარცევსკი, პეტრე ბოგატირევი, დიმიტრი ჩიჟევსკი. 1930-იან წლებში ამ წრეს შემოემატნენ ახალგაზრდა ენათმეცნიერები: იოსეფ ვახეკი, ვლადიმირ სკალიჩკა, რენე ველეკი, ფელიქს ვოდჩკა, ჟირჟი ველტრუსკი, კარელ პორალეკი და სლოვაკი მეცნიერები ლუდოვიტ ნოვაკი და იოზეფ რურჟიჩკა. 30-იან წლებში შემომატებულ ენათმეცნიერებს მოგვიანებით პრალის სკოლის მეორე თაობას უწოდებდნენ. ეს წრე გამოირჩეოდა ცნობილი ლექციებით, რომლებსაც კითხულობდნენ ედმუნდ ჰუსერლი, რუდოლფ კარნაპი, კარლ ბიულერი, ოტო ესპერსენი, იური ტინიანოვი, ნიკოლას ვან ვიკი, ემილ ბენვენისტი, ჯული პოლი, ჯაკომო დევიოტი და სხვები. თვით ომის დროსაც კი ამ წრეს ლექციები არ შეუწყვეტია და კერძო სახლებში აწყობდნენ შეხვედრებს. პრალის ლინგვისტურმა წრემ მრავალჯერ იცვალა სახე და სახელი მას შემდეგ, რაც ჩეხოსლოვაკია საბჭოთა გავლენის ქვეშ მოექცა. პრალის ლინგვისტური წრის მესამე თაობის წარმომადგენლებმა 1968 წლის პრალული გაზაფხულის სუსხიცი ინვნიეს საკუთარ თავზე (დანვრილებით ამ წრის შექმნის, შედგენილობისა და ისტორიის შესახებ იხ. დოლეჟელი 2015:41-62).

იოსეფ ვახეკი, რომელიც პრალის ლინგვისტური წრის მეორე თაობას ეკუთვნის, ამ წრის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის ზრდის პერიოდად თვლის 1928-1938 წლებს. საწყის წლად იღებს 1928-ს, რადგან სწორედ ამ დროს გამოვიდა წრის წევრთა კოლექტიური ნაშრომი – ჰააგაში ენათმეცნიერთა I საერთაშორისო კონგრესზე წარდგენილი თეზისები. 1938-1948 წლებში შენელდა ლინგვისტური წრის მუშაობა (ეს გამოიწვია მეორე მსოფლიო ომმა), თუმცა 1948 წლიდან ახალი ძალით განახლდა. ვახეკი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მესამე პერიოდში პრალის ლინგვისტური წრე მუშაობდა 1950 წელს სსრკ-ში ენობრივი დისკუსიის შედეგად ჩამოყალიბებული პრინციპების შესაბამისად (ვახეკი 1964:15-16. იხ. აგრეთვე: ვახეკი 1966; ვახეკი 1983). ოფიციალური საბჭოთა ენათმეცნიერების დამოკიდებულებაზე პრალის ლინგვისტური წრის მიმართ სპეციალურად ვიმსჯელებთ ნაშრომის IV თავში.

ვერაზიულობის თეორია ჩამოყალიბდა 1921 წელს სოფიაში, ბულგარეთის დედაქალაქში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ენათმეცნიერი ნ. ტრუბეცკოი, მუსიკოსი და ლიტერატურის კრიტიკოსი პ. სუეჩინსკი, ისტორიკოსი და ლეთისმეტყველი გ. ფლოროვსკი,

ეკონომისტი და გეოგრაფი პ. სავიციკი და იურისტი, ოფიცერი ა. ლივენი. სწორედ 1921 წელს გამოსცეს პირველი ევრაზიული კრებული „Исход к Востоку.“ სავიციკისა და ფლოროვსკის პრალაში გადასვლამ განაპირობა ამ ქალაქში ევრაზიული ჯგუფის შექმნა, რომლის დასაყრდენი აღმოჩნდა პრალის ლინგვისტური წრე. მართალია, „რუსული ოქსფორდის“ ბოლო პერიოდში შეიქმნა ლინგვისტური წრე, მაგრამ „რუსული აქცია“ არ ითვალისწინებდა ევრაზიული მოძრობის ფინანსურ ხელშეწყობას. მისი ძირითადი დანიშნულება მხოლოდ რუსული საგანმანათლებლო და სამეცნიერო ემაგრაციისთვის მხარდაჭერა იყო (უფრო დანვრილებით ამ საკითხზე იხ. ბაისვენგერი 2012: 117-124).

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პრალიდან ჩაიტანეს ევრაზიულ მოძრაობასთან დაკავშირებული დიდძალი საარქივო მასალა. ამას გარდა, ისტორიულ-დოკუმენტური კოლექციის შემნახველ ცენტრში არის თავმოყრილი პოლონეთის დაზვერვის გენერალური შტაბის, საფრანგეთის პოლიციის მასალები ევრაზიული მოძრაობის წარმომადგენლებზე. როგორც ამ მიმართულებით წარმოებული კვლევები ცხადყოფს, ევრაზიული პარტიის მუშაობას პრალაში თვალს ადევნებდნენ რუსეთიდან, ამიტომ ეს ორგანიზაცია ძალიან შენიღბულად მოქმედებდა: იცვლიდა სახელებს („Трест“, „Совет нефти“, „Нефтяник“, „Торговая организация“), იყენებდა დაშიფრულ მიმონერას, პირობით ენას, კორესპოდენტები ეფარებოდნენ ფსევდონიმებს და ასე შემდეგ.

როგორცა ჩანს, ევრაზიულობის თეორიული დამუშავებიდან პრაქტიკულ მუშაობაზეც გადასულან, რასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რადგან ევრაზიულობის თეორიას ქმნიდნენ ცნობილი ინტელექტუალები, რომელთა ნაწერების გაგება ჩვეულებრივი მკითხველისათვის ადვილი ნამდვილად არ იყო. ევრაზიული პარტიის თანამშრომელთა მიერ მომზადებულ მკითხველს კი, როგორც თვითონ ფიქრობდნენ, აღარ უჭირდა ევრაზიული სამეცნიერო ლიტერატურის კითხვა. მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ევრაზიული პარტიის პრაქტიკული საქმიანობა არასწორი მიმართულებით მიდიდოდა. კერძოდ, მათ გადაწყვიტეს საბჭოთა უშიშროებისა და კომუნისტური (ბოლშევიკთა) პარტიის უმალლესი პირების გადაბირება, რაც იყო ყველაზე უტოპიური ჩანაფიქრი. ამ იდეას დაუპირისპირდა საბჭოთა დეზინფორმაციული მანქანა და, როგორც გადმოგვცემენ, პ.ნ. სავიციკი ანეგდოტურ მდგომარეობაშიც კი აღმოჩნდა – იგი დაესწრო მოსკოვთან ახლოს საბჭოეთში ვითომ მოქმედ საიდუმლო იატაკქვეშა ევრაზიული ორგანიზაციის სხდომას, რომელიც მთლიანად საბჭოთა უშიშროების სამსახურის დადგმული იყო. როგორც ამ საკითხის მკვლევარი ნ. სტეპანოვი წერს, ჯე-

რაც არ არის ნაპოვნი ხსენებული საიდუმლო ყრილობის მონაცემები (დანვრილებით იხ. ნ. სტეპანოვი 1995:438-41). ზოგი წესი ბოლშევიკებისაგანაც კი გადაიღეს. ევრაზიელთა პრალული ჯგუფის სალაროს წესდების მიხედვით, ევრაზიელად ითვლებოდა პირი, რომელსაც რეკომენდაციას უწევდა სამი პასუხისმგებელი თანამშრომელი და ამტკიცებდა ჯგუფის ხელმძღვანელი" (დამოწმებულია სტეპანოვის ნაშრომის მიხედვით. სტეპანოვი 1995:446). სწორედ ამ წესით იღებდნენ სსრკ-ის კომუნისტური პარტიის რიგებში წევრებს.

მთელი პრაქტიკული მოქმედება ევრაზიული პარტიისა დაიყვანება იმაზე, რომ მის წევრებს თავი წარმოედგინათ ბოლშევიკური პარტიის მემკვიდრეებად და საქმე მომავალი კადრების შერჩევამდეც კი მიდიოდნენ. სწორედ ამას მოჰყვა ევრაზიული პარტიის გაყოფა „გენერალური ხაზისა“ და „მარქსისტული მიმართულების“ ნაწილებად. მარქსისტულ მიმართულებას წარმოადგენდა რუსული გაზეთის, „ევრაზიის“ გარშემო შემოკრებილი საზოგადოება, რომლის აგიტაციურ-პროპაგანდისტური ხაზი არ განსხვავდებოდა საბჭოურისაგან. ევრაზიული მოძრაობის ეს ნაწილი აღფრთოვანებული იყო სტალინის პოლიტიკით, რადგან ხვდებოდნენ, რომ მათი მოძრაობის ყველა მიზანს საბჭოთა ხალხთა ბელადი წარმატებით ასრულებდა. ამ ფონზე აქებდნენ ქართველებს, როგორც სტალინის მშობელ ერსა და თავისუფლების მოყვარულ ხალხს (სვიატოპოლკ-მირსკი 1929).

ევრაზიული მოძრაობის კრიზისის მიზეზი სწორედ მისი წევრთა ერთი ნაწილის საბჭოეთთან დაახლოების სურვილი იყო. ეს ჯგუფი გაფორმდა 1928 წელს პარიზის გარეუბანში, კლამარში. საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა გადმობირების ნაცვლად თვით ამ ჯგუფის წევრები გახდნენ საბჭოთა სპეცსამსახურების საკბილო. ეს განსაკუთრებით ითქმის დ. პ. სვიატოპოლკ-მირსკიზე, რომელიც 1931 წელს დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის წევრი გახდა (უფრო დანვრილებით ამის შესახებ იხ. ო. კაზინინა 1995: 89-96). სწორედ იგი იყო ერთ-ერთი მთავარი ავტორი გაზეთ „ევრაზიისა“. ამ გაზეთს აფინანსებდა ინგლისელი მენარმე ნორმან სპოლდინგი, რომელსაც ევრაზიული მოძრაობა უპირველესად მართლმადიდებლობის გამო იზიდავდა. საეციკიმ არ ისურვა ევრაზიის ჯგუფის „სალონურ კომუნიზმთან“ თანამშრომლობა. შიდა დაპირისპირების გარდა ევრაზიული მოძრაობის კრიზისი საბჭოთა კავშირის გაძლიერებამ გამოიწვია. ევრაზიული თეორიის მსაფუძვლეებს თანდათანობით მოსწონდათ სსრკ. ტრუბეცკოი ყველა ეტაპზე დადებით შეფასებას აძლევდა ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. სწორედ „ევრაზიაში“ დაბეჭდა მან წერილი, რომელშიც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო წყობილება შეფა-

სებული იყო როგორც იდეოკრატიული, რომელსაც იგი თვლიდა უახლოესი მომავლის სახელმწიფო წყობად (ამ საკითხზე იხ. V თავი).

საბოლოოდ მეოცე საუკუნის ოცი-ოცდაათიანი წლების ევრაზიულმა თეორიამ სახე იცვალა, მისი წევრების ბედი სხვადასხვაგვარად განვითარდა (ამის შესახებ კიდევ იქნება მსჯელობა), მაგრამ ერთი რამ ფაქტია, ევრაზიულობის თეორიასა და პრალის ლინგვისტურ წრეს ერთმანეთს ვერ დავაშორებთ. ისინი უერთმანეთოდ არ არსებობენ. სრულიად აშკარაა, რომ ევრაზიული თეორიის შემოქმედნი გამოირჩეოდნენ დიდი განსწავლულობით, რომლებთანაც აკადემიური თვალსაზრისით ვერ მოვლენ ევრაზიული მოძრაობის ახლანდელი მამები. ეს თეორია ამჟამად სრულიად დაცლილია მეცნიერული ინტერესებისაგან. იგი მხოლოდ უხემ იმპერიულ მიზნებს ქადაგებს და ცხოვრებაში ძალადობრივად ნერგავს.

რადგან ჩვენი შრომა მიზნად ისახავს ევრაზიულობის თეორიის წიაღში წარმოშობილი და განვითარებული საკუთრივ ლინგვისტური და გეოლინგვისტური თეორიების კვლევას, ევრაზიულობის თეორიის ყველა ასპექტზე ვერ ვიმსჯელებთ (ამ საკითხებზე ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად მკითხველს დიდად დაეხმარება დ. შლაპენტოხის რედაქციით შექმნილი კრებული, რომელიც ასახავს სამეცნიერო დისკუსიას ევრაზიულობის თეორიის შესახებ. შლაპენტოხი 2007).

## §2. ნიკოლოზ ტრუბეცკოი და რომან იაკობსონი

ევრაზიულობის თეორიისა და პრალის ლინგვისტური წრის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნიკოლოზ ტრუბეცკოისა და რომან იაკობსონის ურთიერთობას. მათი მეგობრობა დასაბამს იღებს მოსკოვის უნივერსიტეტიდან, სადაც ისინი შეხვდნენ მაშინ, როცა იაკობსონი ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, ხოლო ტრუბეცკოი უკვე ასწავლიდა ამ უნივერსიტეტში. ნიკოლოზ ტრუბეცკოი მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორის ვაჟი იყო. რუსეთის სამეფო კარი დიდ პატივისცემას ამლუჯვენებდა სერგეი იაკობსონისადმი. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მას განსაკუთრებული გაავეებით ესხმოდა თავს ლენინი.

ნიკოლოზ ტრუბეცკოიმ, სანამ პრალაში მოხვდებოდა, რთული ცხოვრებისეული გზა გაიარა, თუმცა მეცნიერული ინტერესები არასოდეს განელებია. იგი ძალიან მცირე ასაკში უკვე იყო ენათმეცნიერი. თხუთმეტი წლისა, 1905-1906 წლებში, სერიოზულად იკვლევდა და აქვეყნებდა სტატიებს უგრო-ფინური ენებისა და ფოლ-

კლორის შესახებ. ენათა ეს ოჯახი მას მთელი ცხოვრების მანძილზე აინტერესებდა. ნიკოლოზ ტრუბეცკოი თოთხმეტი წლის ასაკიდან ესწრებოდა და ერთი წლის შემდეგ კი უკვე მონაწილეობას იღებდა მოსკოვის ეთნოგრაფიული საზოგადოების სხდომებში. 1907 წლიდან დაიწყო ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენება ჩრდილოკავკასიური და აღმოსავლეთკავკასიური, ასევე ჩუკოტკურ-კამჩატკური და იუკაგირული ენების კვლევისას. ამ ენების პრობლემებზე გიმნაზიის წლებში ბევრ მეცნიერს სწერდა რუსეთსი და საზღვარგარეთ. ასე მაგალითად, პეტერბურგიდან მოსკოვში ჩავიდა ბოგორაზი მის კორესპოდენტთან შესახვედრად და გაოცდა, როცა შეიტყო, რომ ამდენი ხანი მოსწავლე უზიარებდა მეცნიერულ მოსაზრებებს. ტრუბეცკოი კავკასიური ენების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა და, როგორც თვითონ წერს, სტუდენტობის დროს ორჯერ იმოგზაურა კავკასიაში ენობრივი მასალების შესაგროვებლად, რაშიც მას ვ. მილერი დაეხმარა; აღწერა ჩერქეზული ენები, შეადგინა გრამატიკა და ლექსიკონი, დაწერა ლეზგიურ-ჩეჩნური ენების შედარებითი ფონეტიკა. მან ამ ნაშრომების დაბეჭდვა ვერ შეძლო, როგორც თვითონ წერს, იმიტომ, რომ რთული იყო ასანაყობად და ძვირი გამოსაცემად მრავალგვარი სპეციფიკური ნიშნების გამოყენების გამო.

1915 წელს რომან იაკობსონმა, როგორც მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა, რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად დააარსა მოსკოვის ლინგვისტური წრე, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1920 წლამდე. სწორედ ამ წრემ მოაწყო 1915-1916 წლებში სავსე სამუშაოები დიალექტოლოგიაში. იგი 1918-20 წლებში იყო მოსკოვის უნივერსიტეტის მკვლევარი, 1920 წელს მუშაობდა ორთოეპიის მასწავლებლად მოსკოვის დრამატულ სკოლაში.

იაკობსონზე ადრე ემიგრაციაში ნიკოლოზ ტრუბეცკოი წავიდა. 1920 წელს ბულგარეთში მყოფ ტრუბეცკოის ენატრეობდა მოსკოვის სამეცნიერო ცხოვრება. ეს ჩანს 12 დეკემბერს იაკობსონისათვის მიწერილ წერილში: „რა ხდება მოსკოვში? რა მდგომარობაშია ჩვენი საზოგადოებები – ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების მოსკოვის ეთნოგრაფიული განყოფილება, მოსკოვის უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოება, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის დიალექტოლოგიური კომისია, მსოფლიო ლიტერატურის საზოგადოება? არსებობენ ისევ? თუ არსებობენ, რა სახით? დაიბეჭდა თუ არა საინტერესო რეფერატები? აგრძელებთ თქვენს სამეცნიერო მოგზაურობებს? ჩვენს სფეროში გამოვიდა რამე საინტერესო წიგნი ან ყურნალი?“ (ტრუბეცკოი 1985:1).

შეიძლება ამ წერილზე პასუხი ვერც კი მოასწრო იაკობსონმა, რადგან იგი სწორედ 1920 წელს ჩავიდა პრალაში, როგორც წითელი

ჯერის მისიის თარჯიმანი(მისი ტრუბეცკოისადმი გაგზავნილი ყველა წერილი დაკარგულია). 1934-37 წლებში იყო ბრნოში მასარიკის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი, შემდეგ კი - ამავე უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიისა და ძველი ჩეხური ლიტერატურის ასოცირებული პროფესორი. აქტიურად მონაწილეობდა ენათმეცნიერების საერთაშორისო კონფერენციებში. იაკობსონი 1937 წელს გახდა ჩეხოსლოვაკიის მოქალაქე.

ნიკოლოზ ტრუბეცკოის უკვე სტუდენტობის წლებში ჩამოუყალიბდა თვალსაზრისი, რომ „ენათმეცნიერება ანთროპოლოგიურ დარგებს შორის არის ერთადერთი, რომელიც იყენებს ნამდვილად მეცნიერულ მეთოდს მაშინ, როცა ეთნოლოგია, რელიგიის ისტორია, კულტურის ისტორია და სხვა ამგვარი დარგები მეთოდის თვალსაზრისით „ალქიმიურ“ სტადიაზე არიან.“ ასევე არ ჰქონდა მაღალი აზრის მიღერი ლინგვისტურ შეხედულებებზე და მათ ახასიათებდა, როგორც „შეზღუდულსა და მოძველებულს“. 1912 წელს დაასრულა შედარებითი ენათმეცნიერების განყოფილება და დატოვეს კათედრაზე სამუშაოდ. 1913 წელს თბილისშიც კი წაიკითხა სამი ლექცია ბუნებისმცოდნეთა, გეოგრაფთა და ეთნოლოგთა ყრილობის მონაწილეებისათვის. ლექციები შინაარსობრივად ეხებოდა ენათმეცნიერებისა და ფოლკლორს: წარმართობის ნაშთები შავიზღვისპირეთის ჩერქეზებში, ცეცხლის მოპარვის ჩრდილოკავკასიურ ლეგენდები და აღმოსავლეთკავკასიური ენების ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა. ამავე წლის ბოლოდან სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ლაიფციგში, სადაც ნეოგრამატიკოსთა ლინგვისტურ თეორიას ეცნობოდა. მოგვიანებით სწორედ ამ თეორიას დაუპირისპირდა პრალის ლინგვისტურ წრესთან ერთად.

უკან დაბრუნებისას, 1915-16 წლებში, ასწავლიდა მოსკოვის უნივერსიტეტში, რევოლუციის შემდეგ მოსკოვს გაერიდა. პირველმა მსოფლიო ომმა როსტოვის უნივერსიტეტში მოუსწრო. ამ პერიოდს ახლობლებისათვის გაგზავნილ წერილებში იხსნებს როგორც ტორიჩელის სიცარიელეს<sup>1</sup>, რადგან როსტოვში უნივერსიტეტი კი იყო, მაგრამ მეცნიერების თვალსაზრისით არაფერი საინტერესო არ ხდებოდა, ვერავის ვერ უზიარებდა მოსაზრებებს, თუმცა სწორედ როსტოვის უნივერსიტეტში შეინახა მან თავისი ხელნაწერები, როცა ომის გამო ევაკუაცია გახდა საჭირო. 1920 წელს ბულგარეთში წავიდა ემიგრაციაში, სადაც ძალიან მცირე ხელფასით მიიღეს უნივერსიტეტში სამუშაოდ, რადგან ამ დროს ჯერ დაცული არ ჰქონდა დი-

<sup>1</sup> იტალიელი მათემატიკოსისა და ფიზიკოსის ტორიჩელის გვარის მიხედვით შექმნილი ტერმინი „ტორიჩელის სიცარიელე“. ამ ტერმინით აღინიშნება უპაერო სივრცე, რომელიც იქმნება სითხის თავისუფალი ზედაპირის თავზე ზევიდან დახშულ რეზერვუარში. ტრუბეცკო ამ ტერმინს იყენებს გადატანითი მნიშვნელობით როსტოვის „სამეცნიერო ცხოვრების“ აღსაწერად.

სერტაცია. ემიგრაციაში მყოფ ტრუბეცკოის ზეპირად უწევდა მისი როსტოვში დანერგილი შრომების აღდგენა. სწორედ ბულგარეთში შექმნა ნიგნი „ევროპა და კაცობრიობა“, რომელშიც უკვე ჩანს ევრაზიული იდეოლოგიის მონახაზი.

მოსკოვიდან ნასვლამდე რამდენიმე წლით ადრე ძალიან დაინუნა შახმატოვის ნიგნი, რომელიც რუსული ენის უძველეს პერიოდს ეხებოდა. ტრუბეცკოი თვლიდა, რომ ფორტუნატოვის სკოლა დიდად სცოდავდა რეკონსტრუქციის მეთოდის წინაშე. ან ნიგნის კრიტიკული განხილვით წარსდგა მოსკოვის დიალექტოლოგიური კომისიის სხდომაზე. როგორც თვითონ წერს, მოხსენებას ბომბის აფეთქების ეფექტი ჰქონდა. რასაკვირველია, ძველი თაობის ლინგვისტები ამ გამოსვლას არ გაუხარებია. „მე ვფიქრობ, რომ ჩემმა მოხსენებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა მოსკოვში ენათმეცნიერების შემდგომ განვითარებაზე“, - ცოტა არ იყოს, ძალიან თავდაჯერებულად წერს ტრუბეცკოი იაკობსონს (ტრუბეცკოის 2004:6). მეთოდოლოგიური საკითხები მისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო და დაიწყო ისტორიული ენათმეცნიერებისა და ლინგვისტური რეკონსტრუქციისათვის შესაფერისი მეთოდის ძიება, რაც, შეიძლება ითქვას, ენობრივი კავშირის ცნების შემოტანით დასრულდა. მოსკოვს ვარიდებულმა ტრუბეცკომ ჯერ კიდევ კისლავოლსკში დაიწყო ახალი ნიგნის წერა, რომელსაც საბოლოოდ უნდა დაემორებინა „მოსკოვის სკოლასთან“ იმიტომ, რომ მისი წარმომადგენლების მხრიდან თავდასხმებს გამოიწვევდა, მაგრამ ავტორს ნამდვილად მოუტანდა აღიარებას ტრუბეცკოის 2004:6).

ბედის ირონიით კომუნიზმის მოძულე და რუსეთის ბოლშევიკური რეჟიმის გამო სამშობლოდან ემიგრირებული, პროლეტარიატის დიქტატურის მონინალმდევე ნიკოლოზ ტრუბეცკოი ფაშიზმმა იმსხვერპლა. ევრაზიული მოძრაობის ერთ-ერთ სხდომაზე ნიკოლოზ ტრუბეცკოის დაევალა დაენერა სპეციალური სტატია რასების შესახებ, რომელიც ავტორმა ნაიკითხა მოხსენებად პრალის ლინგვისტური წრის ერთ-ერთ სხდომაზე. ამ სტატიის მიმართ გაჩნდა დიდი ინტერესი და ბევრმა გამომცემლობამ მოისურვა მისი სრული სახით გამოქვეყნება. ჯერ კიდევ ახალი ფაშისტური მოძრაობის რასისტულმა იდეებმა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებშიც შეაღწია და მალე დაიწყო „ინდოგერმანიზმის“ პროპაგანდა. სწორედ ამის გამო დაინტერესდა გესტაპო ნიკოლოზ ტრუბეცკოის პიროვნებით და რასისტი არქეოლოგის, მენგინის (რომელსაც თურმე ტრუბეცკოი ხშირად ირონიულად მოიხსენიებდა) ინფორმაციის საფუძველზე ავსტრიის ანშლუსის, ანუ ავსტრიის გერმანიასთან იძულებით მიერთების შემდეგ, 1938 წელს ვენაში გაჩხრიკეს ნიკოლოზ ტრუბეცკოის სახლი, ამოიღეს და გაანადგურეს მისი მრავალი შრომა. იგი არ დააპატიმრეს მხოლოდ იმიტომ, რომ იყო



თავადი (ეს ნოდება „თავადი“ (КНХЗБ) არ მოშორებია მის სახელს არასოდეს), არისტოკრატი, მაგრამ ჩხრეკას ვერ გაუძლო და ნიკოლოზ ტრუბეცკოი გულის შეტევით გარდაიცვალა.

როგორც იაკობსონთან მიწერილი ერთ-ერთი წერილიდან ჩანს, ტრუბეცკოი შეძლებისდაგვარად ცდილობდა ნაცისტი მეცნიერებისაგან თავისუფალ გარემოში ეცხოვრა. ასე მაგალითად, მას არ უნდოდა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ისტორიის კათედრაზე მოხვედრილიყო პროფესორი პირში, რადგან ცნობილი იყო ნაცისტური იდეოლოგიის სიყვარულით და ამ საქმეში დახმარებას იაკობსონს სთხოვდა 1934 წლის 14 ივნისის წერილში. იქნებ მას რამე მაკომპრომენტირებელი მასალა ჰქონდა პირში, რომელიც მის მეცნიერულ ან პირად ბიოგრაფიას ჩრდილს მიაყენებდა (ტრუბეცკოი 2004:306). გესტაპოს დაინტერესება ტრუბეცკოის პიროვნებით მხოლოდ რასების შესახებ დაწერილი სტატიით ვერ აიხსნება. საფიქრებელია, რომ იგი დასაჯეს იმ გამოხატული და ყოველთვის აგრესიული ანტიპათიის გამო, რომელსაც ტრუბეცკოი ყოველთვის ამჟღავნებდა (ამას მკითხველი ხშირად იგრძნობს ტრუბეცკოის ნაწერების დამოწმებული ნაწყვეტების კითხვისას) „რომანულ-გერმანული კულტურის“ მიმართ.

რომან იაკობსონისა და ნიკოლოზ ტრუბეცკოის მიმონერას ხშირად დავიმონმებთ, რადგან ამ წერილებში ჩანს არა მხოლოდ მათი ცხოვრებისეული ურთიერთობები, არამედ ლინგვისტური იდეების განვითარების, განსაკუთრებით ფონოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი საენათმეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბების ისტორია. პრალის ლინგვისურმა სკოლამ ბევრ სამეცნიერო მიმართულებას ან სათავე დააუდო ან დიდი როლი შეასრულა უკვე არსებული განვითარებაში (იხ. მაგალითად, პრალის ლინგვისტური წრის შრომები, ასევე ლუილსდორფი 1994), მაგრამ მათი დამსახურება ფონოლოგიაში განსაკუთრებულია. ფონოლოგიის ფუძემდებელი ტრუბეცკოი დაინტერესებულია იმით, რა შთაბეჭდილებას ახდენს იმ დროის ცნობილ ლინგვისტებზე ფონოლოგიის თეორია. მაგალითად, 1930 წლის 24 აპრილს იაკობსონისათვის მიწერილ წერილში სიამოვნებით აღნიშნავს, რომ „მიღებულია ე. სეპირის გრძელი წერილი პრალის ლინგვისტური წრის პირველი კრებულის შესახებ აღფრთოვანებული გამოხატულებით, რასაც ემატება სპეციალური შენიშვნები ჩემი თანხმობების თეორიის შესახებ“ (ტრუბეცკოი 2004:157). ხშირად სწერს ტრუბეცკოი იაკობსონს, როგორ ემჩნევთ სხვადასხვა ქვეყანაში ლინგვისტებს ფონოლოგიის თეორიით დაინტერესება, რაც ხელს უწყობს ამ დარგის გავრცელებას. თვით ფსიქოლოგი კარლ ბიულერიც დაინტერესებულა ტრუბეცკოის ნაშრომით და იენის ფონოლოგთა საზოგადოების წინაშე ლექციაც წაუკითხავს ამ საკითხზე. ბიულერს ტრუბეცკოისათვის

მიუცია რჩევა, შეეცვალა ფონემის გაგების ფსიქოლოგიური საფუძველი, რადგან ასოციაციური ფსიქოლოგია უკვე მოძველებულად ითვლებოდა. ასევე დიდ ინტერესს იჩენდა ტრუბეცკოის ფონოლოგიური თეორიის მიმართ ფილოსოფოსი კასირერი.

როგორც იაკობსონისათვის 1931 წლის 28 იანვარს მიწერილი წერილიდან ჩანს, ტრუბეცკოი ძალიან იყო მონადინებული, რომ ფონოლოგიის სახელმძღვანელო გამოსულიყო ერთდორულად ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე (ტრუბეცკოი 2004:189). ეს არ აღმოჩნდა ადვილი საქმე. ლონდონის კონგრესმა ვერ შეუწყო ხელი ფონოლოგიის პოპულარიზაციას იმიტომ, რომ მისი მონაწილეებისათვის ფონოლოგია ფონემის ცნება განმარტებამდე დაიყვანებოდა (ტრუბეცკოი 2004:344-345). როგორც ამ წერილიდან ირკვევა, კონგრესის ბანკეტისთვის მოუყოლებიან «დივერტისმენტები» (მუსიკალურ-გასართობი წარმოდგენა, -თ.ბ), რომლის მთავარი თემა «ფონემა» ყოფილა. საშუალო ინგლისურ ენაზე სახუმარო ლექსიც კი შეუთხზავთ:

Wat is phonemes, wat is sunds? „რა არის ფონემა, რა არის ბგერა?  
Twelf men haf twelf difinitions. თორმეტ კაცს თორმეტი განმარტება აქვს“.

შემდეგ ამ სიტყვებს ყველანი იმეორებდნენ და სიცილით იხოცებოდნენ. ტრუბეცკოი წერდა 1934 წლის მაისის წერილში, რომ „ინგლისში ლინგვისტები ამ ტერმინის მკაცრი გაგებით მას არ უნახავს და ალბათ არც არიან. არის მხოლოდ ენათმეცნიერებით გატაცებული ხალხი. ფონოლოგია მათ იზიდავს, როგორც კურიოზული ხურობა. ყველა ხალისობს იმაზე, რომ რომელიღაც ენაში ორი სრულიად განსხვავებული ბგერა აღიქმება როგორც ერთი ფონემა“ (ტრუბეცკოი 2004:299).

ასეთ ფონზე გასაკვირი არ არის, რომ ტრუბეცკოი ჩამოთვლიდა ფონოლოგიის მომხრეებს, როგორც თვითონ უწოდებდა იაკობსონთან მიმონერაში, „ჩვენთანებს“. „ჩვენთანებში“ ტრუბეცკოი მოიხსენიებს მარტინეს (მიუხედავად იმისა, რომ იელმსლევი ცდილობდა მის გადაბირებას და მასთან ერთად დანიური ენის ფონოლოგიის დაწერას). „სეპირი და მთელი მისი სკოლა, როგორცა ჩანს, მთლიანად ჩვენია. ოღონდ ბლუმფილდს აქვს ზოგიერთი გადახრა. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ახალგაზრდა დანიელი ულდალი (ტრუბეცკოი 2004:345-346). ამ წერილში ჩვენ ფაქტობრივად ვხედავთ, როგორ უყურებს ფონემის მახასიათებლებისა და ფონოლოგიის პრობლემატიკას სამი განსხვავებული სტრუქტურალისტური სკოლა: პრალის ლინგვისტური წრე, დანიური გლოსემატიკა და ამერიკული დესკრიფციული ლინგვისტიკა. ტრუბეცკოისა და იაკობსონის მიმონერაში ყოველთვის იგრძნობა, რომ ნამდვილ ფონოლოგიას ისინი ავითარებენ. მართალია, სტრუქტურალიზმის ის-

ტორიის ყველა სახელმძღვანელოში, ორიოდ გამოწაკლისის გარდა, ნათქვამია, რომ პრალის ლინგვისტური სკოლა დიდად არის დავალებული ფერდინანდ დე სოსიურის იდეებით, მაგრამ ამის თქმა ძნელია ნიკოლოზ ტრუბეცკოიზე. ყოველ შემთხვევაში იგი ამ აზრს არ აღიარებდა. მას არ მოსწონდა, რომ პრალის ლინგვისტურ წრეს, განსაკუთებით ტრუბეცკოისა და იაკობსონის იდეებს სოსიურთან აკავშირებდნენ. „ეს ჩვენ გვნებს, - ნერდა იაკობსონს 1934 წლის მაისში მიწერილ წერილში (ტრუბეცკოი 2004:299). 1931 წლის 17 მაისის წერილში ლიად ჩანს უარყოფითი დამოკიდებულება სოსიურის თეორიის მიმართ: „შთაგონებისათვის გადავიკითხე დე სოსიური, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მეორედ კითხვისას მან კიდევ უფრო ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. საერთოდ, ღირებული ამ წიგნში ძალიან ცოტაა, ძირითად მასას შეადგენს ძველი ნაგავი. (ტრუბეცკოი 2004:241).

გართულებული პოლიტიკური ვითარება და ბოჰემური ცხოვრებისაკენ სწრაფვა იაკობსონს ხშირად აგდებდა მეცნიერების კალაპოტიდან. იაკობსონს სულ სჭირდებოდა ტრუბეცკოისაგან შეძახილები და გამხნევება. 1935 წლის 25 იანვრის წერილში იგი კვლავ საყვედურით სწერს: „ისე როგორ ხართ დაკავებული, რომ ერთი წუთით ვერ მოიცალეთ ჩემთვის ღია ბარათის გამოსაგზავნად. თუ ფონოლოგია აღარ გაინტერესებთ, მაშინ საჭიროა Arbeitsgemeinschaft-ის (საზოგადოების, - თ. ბ.) ლიკვიდირება. ამისთვის სულ მცირე მიწერ-მოწერაა საჭირო. ჩემთვის ძალიან სამწუხარო იქნება, თუ თქვენი შთანთქმის საშუალებას მისცემთ „გარემოებას“, გაერიდებით საერთაშორისო ლინგვისტურ პრობლემატიკას, პროვინციალურ სექტანტობას შეუერთდებით და „ვაინჰარტის პარტიასთან“ პოლემიკასა და სხვა წერილმანებზე დახარჯავთ დროს“ (ტრუბეცკოი 2004:313). როგორც იაკობსონი განმარტავს ამ წერილისთვის დართულ სქოლიოში, მ. ვაინჰარტი ძალიან ეწინააღმდეგებოდა სტრუქტურლისტურ მიმართულებას ენათმეცნიერებასა და პოეტიკაში, 1934 წელს გავიდა პრალის ლინგვისტური წრიდან და მისი ხაზისა და ამ წრის წევრთა წინააღმდეგ დიდი კამპანია გააჩაღა. ეს ის პერიოდია, როცა იაკობსონი ჟურნალისტობდა და ტრუბეცკოი ძალიან შიშობდა, რომ ყოფითი ბოჰემა მის აზროვნებაზე ცუდად იმოქმედებდა: „თქვენ ყოველთვის მიისწრაფვოდით ასეთი ბოჰემისაკენ. ახალგაზრდობაში ეს უსაფრთხოა, მაგრამ ადრე თუ გვიან, მოდის ასაკი, როცა საჭიროა „სტეპისგან“ განთავისუფლება. თქვენ მწერთ, რომ აღარ გაქვთ ახალი სამეცნიერო აზრები, რომ ამოწურეთ შესაძლებლობები და რომ საჭიროა „თემის შეცვლა“. ამ მიზეზით თქვენ მიდიხართ ჟურნალისტიკაში, ურთი-

ერთობები გაქვთ ჩეხ ლიტერატორთა ბოჰემასთან, ებრძვით ჩეხურ დაჯგუფებებს და დროს კარგავთ ათას სისულელეში<sup>1</sup>. მე არ მგონია, რომ ეს ხელს გიშლით სამეცნიერო მუშაობაში და არც თქვენი მეცნიერული სიბერნის არ მჯერა. ვფიქრობ, რომ *mutatis mutandis* თქვენც ის გჭირთ, რაც მე: ძალიან გაჭიანურებული გონებრივი ახალგაზრდობიდან გონებრივ სიმწიფეში გადასვლა. სიმწიფე ჯერ სიბერე არ არის და სიბერეს არ ნიშნავს. მონიფული ადამიანები ქმნიან ყველაზე ღირებულს იმათ შორის, რასაც კი შთამომავლობისთვის ტოვებენ, ოღონდ ახალგაზრდობისაგან განსხვავებულად ქმნიან<...>გახსოვთ, როგორ ვქმნიდით? საბეჭდი მანქანა ვერ გვენეოდა. ყველა ჩვენი შრომა სტამბიდან უკვე დაძველებული გამოდიოდა, ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის. ახლა ალბათ ასე აღარ იქნება. სამაგიეროდ იქნება საფუძვლიანი და ხშირი ცვლილება არ დაგვჭირდება<...> თუ თქვენ შეწყვეტთ სამეცნიერო ცხოვრებას და ჩეხურ ჟურნალისტიკაში ნახვალთ, მაშინ ძალიან მალე მართლაც დაკარგავთ ნიჭს, დაეცემით და მორალურად განადგურდებით (ტრუბეცკოი 2004:313-314). 1935 წელს ტრუბეცკოიმ მუკარჟოვსკისაგან შეიტყო იაკობსონის დაქორწინება და იმედი გაუჩნდა, რომ ახლა მაინც დაანებებდა თავს მომთაბარე ცხოვრებას: „მთელი სულითა და გულით გისურვებთ ბედნიერებას. იმედი მაქვს, რომ ახლა თქვენ ცხოვრების უფრო მკვიდრობით წესზე გადახვალთ და ეს აისახება როგორც თქვენს განწყობილებაზე, ისე თქვენს სამეცნიერო ცხოვრებაზე“ (ტრუბეცკოი 2004:346).

არ იყო ადვილი გაჭირვებული ემიგრანტის პრობლემების მოგვარება და სამეცნიერო იდეების განვითარება ერთდროულად. ტრუბეცკოი ხშირად საყვედურობდა იაკობსონს საქმისადმი უყურადღებო და დამოკიდებულების გამო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მან არ იცოდა კოლეგის ფასი. როცა რომან იაკობსონს ძალიან გაუჭირდა მეცნიერული პოლიტიკური ვითარების გამო ფეხის მოკიდება უნივერსიტეტში, ტრუბეცკოი ყოველთვის ეძებდა მისთვის შესაფერის ადგილს და რჩევებსაც აძლევდა (ტრუბეცკოი 2004:292-295). იაკობსონს ტრუბეცკოის ჩარევით ცნობილი ენათმეცნიერი სომერფელტიც ეხმარებოდა. 1933 წლის 15 ნოემბრის წერილიდან ირკვევა, რომ იგი ძალიან ცდილობდა მის დახმარებას ეროვნებათა ლიგასთან შექმნილი კომისიის გამოყენებით, რომელიც ხელს უწყობდა უსამშობლოდ დარჩენილ ინტელექტუალურ მუშაკებს (ეროვნების მიუხედავად). სწორედ ამ კომისიის მეშვეობით სომერ-

---

<sup>1</sup> ამ დროს იაკობსონი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩეხ და სლოვაკ ავანგარდისტ ლიტერატორებთან და მხატვრებთან, მონაწილეობდა მწერლების, მხატვრებისა და არქიტექტორების პრალულ გაერთიანებაში, რომელიც Devětsil-ის სახელით იყო ცნობილი.

ფელტმა არა მარტო იაკობსონს გაუწია დახმარება, რომ ნორვეგიაში ეცხოვრა, არამედ ცდილობდა საბჭოეთისაგან გამოეხსნა პოლივანოვი და გადაეყვანა იგი ემიგრანტის სტატუსით ნორვეგიაში ან სკანდინავიის სხვა რომელიმე ქვეყანაში (ტრუბეცკოი 2004:292). თუმცა ეს არ მომხდარა. პოლივანოვი დარჩა რუსეთში და ბევრი სიმწარეც იწვნია. სომერფელტი ნამდვილად დაეხმარა იაკობსონს. ტრუბეცკოის დიდი ჩარევითა და მხარდაჭერით, მან მიიღო ნორვეგიის მოქალაქეობა და მცირე ხნით ცხოვრობდა ამ ქვეყანაში. ეს ჩანს იაკობსონისა და ტრუბეცკოის 1933 წლის მიმოხერით (მაგალითისათვის იხ. 1933 წლის 10 დეკემბრის ნერილიც, ტრუბეცკოი 2004:295). ამის შემდეგ მუშაობდა შვედეთში როგორც უფსალის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი. მოკლედ, იგი ამერიკაში გადასვლამდე სკანდინავიის ქვეყნებს აფარებდა თავს. 1941 წელს, როცა ტრუბეცკოი უკვე ორი წლის გარდაცვლილი იყო, იაკობსონი სატვირთო გემით („Remmaren“), რომელზეც მხოლოდ 18 მგზავრი ეტეოდა, გადავიდა ამერიკაში. გემზე მასთან ერთად იყო ერნესტ კასირერი და მისი მეუღლე.

აშშ-ში იაკობსონმა დაიწყო მუშაობა ზოგადი ენათმეცნიერების პროფესორად საფრანგეთისა და ბელგიის ექსორიაქმნილი მთავრობების მიერ 1942 წელს დაარსებულ ნიუ-იორკის სლავისტიკისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფრანგულენოვან ინსტიტუტში, რომელთანაც იაკობსონი 1946 წლამდე თანამშრომლობდა. ამავე პერიოდში მუშაობდა ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკაში, სადაც 1944 წელს ალექსანდრე ენისა და ფოლკლორული ნიმუშების სპეციალური გამოფენა მოაწყო (რომან იაკობსონის ბიოგრაფიული მონაცემებისათვის უფრო დანვრილებით იხ. რუდი 1999:83-103).

1943 წლიდან მუშაობდა კოლუმბიის უნივერსიტეტში მიწვეულ პროფესორად. როცა რექტორი გახდა გენერალი დუაიტ დევიდ ეიზენჰაუერი, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ გამომცემელმა საიდუმლო წერილით გააფრთხილა, რომ მის უნივერსიტეტში კომუნისტების მხარდამჭერები იყვნენ. ძირითადად ეჭვი ეპარებოდათ პოლონური და ჩეხოსლოვაკური ლიტერატურის პროფესორებში. მათ ბრალდებოდათ თანხის აღება (Communist Cash) კომუნისტური პროპაგანდის ხელშეწყობისათვის. კოლუმბიის უნივერსიტეტის რექტორი დუაიტ დევიდ ეიზენჰაუერი, რომელიც ცოტა ხანში ამერიკის პრეზიდენტი გახდა, საპასუხო წერილში „ნიუ-იორკ ტაიმსის“ გამომცემელს სწერდა, რომ ჩეხოსლოვაკური ლიტერატურის პროფესორის თანამდებობა ტომას მასარიკის სახელობის ჩეხოსლოვაკიის კვლევის კათედრაზე კოლუმბიის უნივერსიტეტში დააფუძნა ბენეშ-მასარიკის მთავრობამ იმ დროს, როცა ჩეხოსლოვაკია არ იყო კომუნისტური სახელმწიფო. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში

ეიზენშაუერი მოკავშირეთა ძალებს სარდლობდა. იგი მასარიკთან და ბენეშთან ერთად ებრძოდა კომუნიზმის გავრცელებას ევროპაში, ამიტომ მათი დადანაშაულება კომუნიზმის გავრცელებაში დაუფერებლად მიაჩნდა. კლემენტ გოტვალდის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კოლუმბიის უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი გრანტი კომუნისტურმა ჩეხოსლოვაკიამ ძალიან გაზარდა და სწორედ ამას ედავებოდნენ ეიზენშაუერს, რომელიც ერთ-ერთ წერილში სიფრთხილით წერდა: „მე, რა თქმა უნდა, არ ვიძლევი გრანტიას, რომ უნივერსიტეტში კომუნისტური განწყობა არ არის, მაგრამ იმის გრანტიას კი გაძლევთ, რომ უნივერსიტეტი ვერ იქნება გამოყენებული ჩვენი სახელმწიფო წყობილების მტრული ფილოსოფიით სტუდენტთა გონების მონამღვის ფორუმად“ (რუდი 1999ა:192-195).

მთელი ეს ამბავი მაშინ ხდებოდა, როცა სენატორმა ჯოზეფ მაკარტიმ წარმოადგინა კომუნისტების მიერ აშშ-ში შემოგზავნილი აგენტების გრძელი სია, რომლის წევრები წამყვან თანამდებობებზე მუშაობდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროში, არმიასა და ფლოტში, რასაც მოჰყვა სენატში ამ საკითხის განხილვა, თუმცა საბოლოოდ მაკარტი გაამტყუნეს სენატორისათვის შეუფერებელი საქციელის გამო და სასამართლოს გადასცეს. 1949 წელს იაკობსონმა პროტესტის ნიშნად დატოვა კოლუმბიის უნივერსიტეტი და სამუშაოდ გადავიდა ჰარვარდის უნივერსიტეტში ზოგადი ენათმეცნიერებისა და სლავისტიკის პროფესორად. მიუხედავად მაკარტის გამტყუნებისა, იაკობსონს კომუნისტების აგენტის ლაქა დიდხანს სდევდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი ბევრჯერ დაკითხეს დაზვერვის ფედერალური ბიუროს წარმომადგენლებმა. დაკითხვის დროს იაკობსონი ხშირად იმონებდა იმ ფაქტს, რომ ეიზენშაუერმა გაამართლა. ეს ინფორმაცია გავლენას ახდენდა დაზვერვის ფედერალური ბიუროს თანამშრომლებზე, რადგან ეიზენშაუერი ამ დროს უკვე ამერიკის პრეზიდენტი იყო. კითხვას ინვევდა ათასი რამ. მათ შორის ერთ-ერთი ხშირად დასმული კითხვა იყო, ხვდებოდა თუ არა რუს და ჩეხ კომუნისტებს 1950 წელს ევროპაში მოგზაურობისას (უფრო დანვრითებით რუდი 1999ა:196-199).

მაშინ, როცა ამერიკის დაზვერვის ფედერალურ ბიუროს ექვი ეპარებოდა რომან იაკობსონის სანდობაში, საბჭოთა კავშირშიც იგი მტრად მიაჩნდათ. მისი ნიგნები შეტანილი იყო სპეცსაცავში, რაც იმას ნიშნავდა, რომ აქ მოხვედრილი ნიგნი არ შედიოდა კატალოგში და მას ჩვეულებრივი მკითხველები ვერ გაეცნობოდნენ. მხოლოდ 1956 წლიდან, როდესაც პირველად ჩამოვიდა ემიგრირებული იაკობსონი მოსკოვში, თანდათანობით დაიწყო მისი ნაშრომების გამოტანა სპეცსაცავებიდან. ეს პროცესი მთლიანად დასრულდა გარდაქმნის პერიოდში (გინდინი 1999: 214).

ემიგრაციის შემდეგ იაკობსონის პირველი ჩამოსვლისთანავე ბევრმა ახალგაზრდა ენათმეცნიერმა მოინდომა მასთან ურთიერთობა. თავად რომან იაკობსონმა ვიჩქესლავ ივანოვი გამოარჩია, რამაც მას ბევრი დაბრკოლება შეუქმნა. ვ. ივანოვს დიდ ხანს ჰქონდა „ამერიკელი აგენტის“, იაკობსონის, თანამოაზრის სახელი. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ივანოვის სემიოტიკით დაინტერესება მთლიანად იაკობსონის დამსახურებაა. თვით 1979 წელს, როცა იაკობსონი თბილისში ჩამოვიდა საერთაშორისო სიმპოზიუმში მონაწილეობის მისაღებად, ჯერ კიდევ არ იყო დავინწყებული მისი „კავშირი ამერიკის დაზვერვასთან“, რაც აგრძნობინეს კიდევ კონფერენციის ორგანიზატორებს (დანვრილებით იხ. ივანოვი 1999:248). ამ ნაწილში იაკობსონის მიერ თბილისში გატარებული დღეებიდან ბევრი საინტერესო ფაქტია მოხმობილი).

მოკლედ რომ ვთქვათ, რომან იაკობსონს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა „ორმაგი აგენტის“ სახელი. აშშ-ში ეჭვობდნენ მის კომუნისტობას, საბჭოთა კავშირში კი შესაბამისი ორგანოები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იგი ამერიკის კონტრდაზვერვასთან თანამშრომლობდა. როცა რომან იაკობსონს სთხოვეს, შეეჯამებინა მოკლედ მისი ბიოგრაფია, მას უპასუხნია: „არ მიყვარს ჩემი წარსულისაკენ მიბრუნება. მე მომავლით ვცხოვრობ!“ თუ ატობიოგრაფიის დაწერას სთავაზობდნენ, ყოველთვის გალიზიანებით პასუხობდა: „ვერ ვიტან ამ იდეას: დავჯდე და ვწერო მოგონებები!“ რადგან ბიოგრაფიის წერა არ უნდოდა, მოიფიქრა განსხვავებული უანრი „დიალოგები“ (პომორსკა 1987:3. იხ. აგრეთვე იაკობსონის დიალოგები პომორსკასთან 1983). იაკობსონი იმონმებდა აინშტაინის სიტყვებს: სხვაობა წარსულს, ანმყოსა და მომავალს შორის ილუზიაა (პომორსკა 1987:10). თითქოს სწორედ ამ ილუზორულობის გამო არ უყვარდა იაკობსონს მოგონებების წერა. პომორსკა ავითარებდა აზრს, რომ იაკობსონი პოეტი იყო. თუ მაიაკოვსკის შეეძლო ეთქვა: მე პოეტი ვარ და ამით ვარ საინტერესო, ეს სიტყვები ასახავს იაკობსონის ცხოვრებასაც. წარსულის მიმართ ასეთი დამოკიდებულება, არ არის გამორიცხული, გამოწვეული ყოფილიყო „ორმაგი აგენტის“ მოუშორებელი იარლიყით, რომელიც ძნელი დასადგენია, ნამდვილ ფაქტებს ეყრდნობოდა თუ მხოლოდ ეჭვიანი დამოკიდებულების შედეგი იყო (რომან იაკობსონისა და ნიკოლოზ ტრუბეცკოის ურთიერთობების შესახებ იხ. აგრეთვე გასპაროვი 1987:48-78).

## II ტაპი ენობრივი კავშირი

### §1. მონათესავე ენათა ოჯახი და ენობრივი კავშირი

ტერმინ ენობრივ კავშირს დიდი ხნის ისტორია აქვს. ენათა თავდაპირველი ნათესაობისაგან განსხვავებული მდგომარეობის - ენათა დანათესავების იდეას პირველად შეეხო უილიამ ჯოუნზი, რომელმაც კალკუტაში 1786 წელს სააზიო საზოგადოების სხდომაზე წარმოთქვა ცნობილი სიტყვა, თუმცა ტერმინი დანათესავება დღევანდელი მნიშვნელობით არ გამოუყენებია. „სანსკრიტს, როგორც სიძველისა ცუნდა იყოს იგი, საოცარი სტრუქტურა აქვს: უფრო სრულყოფილია, ვიდრე ბერძნული; უფრო მდიდარი, ვიდრე ლათინური და უფრო დახვეწილი, ვიდრე ორივე ერთად. თან მათთან ავლენს ძალიან ძლიერ მსგავსებას (affinity) როგორც ზმნის ძირებში, ისე გრამატიკულ ფორმებში და ეს ალბათ შემთხვევითი არ არის. მსგავსება იმდენად ძლიერია, რომ ვერცერთი ფილოლოგი ვერ შეისწავლის ამ სამ ენას იმ რწმენის გარეშე, რომ ისინი ერთი წყაროდან მოდიან, რომელიც ახლა შეიძლება აღარ არსებობს. გვაქვს საფუძველი დავუშვათ, თუმცა შეიძლება ეს ვარაუდი არ იყოს ისეთი აშკარა, რომ გოთური (ანუ გერმანული ენები) და კელტური, ორივე, მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ ძლიერი შერევა სხვა იდიომებთან, სანსკრიტთან ერთად ერთი წყაროდან მოდიან. ამავე ოჯახს შეიძლება დავუმატოთ ძველი სპარსული“. სწორედ, ტერმინი affinity გულისხმობს შეძენილ მსგავს თვისებებს და უპირისპირდება ენათა თანდაყოლილი მსგავსების აღმნიშვნელ ტერმინს - kinship.

როგორც ვნახეთ, ტერმინი affinity გამოიყენა უილიამ ჯოუნზმა, რომელიც მეოცე საუკუნის პირველ ოცნლეულში საფუძველად დაედო ნიკოლოზ ტრუბეცკოის შემოტანილი ენობრივი კავშირის ცნებას, თუმცა იქამდე ტერმინი „ენობრივი კავშირი“ უკვე გამოიყენებოდა XIX საუკუნეში. თვით ტრუბეცკოის მასწავლებელს, ბოდუენ დე კურტენეს მიუძღვის დიდი წვლილი ენათა შეძენილი ნათესაობის კვლევაში, მაგრამ იგი მაინც ტრუბეცკოის სახელს უკავშირდება, რადგან სწორედ მან აქცია ზოგადი ნათმეცნიერების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ენათა ხანგრძლივი მეზობლობით გამოწვეული მსგავსებების შესწავლა.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთიდან ემიგრირებულმა ტრუბეცკოიმ რამდენიმე ნაშრომი უძღვნა ენობრივი კავშირის საკითხს. ესენია: 1921 წელს გამოცემული „რუსეთის ზედა და ქვედა ფენები (რუსული კულტურის ეთნიკური საფუძველი)“; 1923 წელს გამოქვეყნებული სტატია „ბაბილონის გოდოლი და ენათა შერევა“; 1928 წელს ტრუბეცკოი ამ საკითხს სპეციალურად შეეხო



ჰააგაში პირველ საერთაშორისო ლინგვისტურ კონგრესზე გამოსვლისას (Sprachbund და Sprachfamilie); 1933 წელს რომის მესამე კონგრესზე ტრუბეცკოი შეეხო დიდი ენობრივი დაჯგუფებების მიმართების საკითხს; 1929 წელს მან სპეციალური შენიშვნები დაწერა ლინგვისტური ატლასის შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1939 წელს დაბეჭდილი „ფიქრები ინდოევროპულ პრობლემაზე“, რომელიც მის ხანმოკლე სიცოცხლის ბოლოს დაწერილი ერთ-ერთი ნაშრომია. ამ სტატიაში დაყენებულია საკითხი ინდოევროპული ენების კონვერგენციის გზით წარმოქმნის შესახებ აქამდე და მას შემდეგაც ყველაზე გავრცელებული ფუძეენის დივერგენციული დაყოფის საპირისპიროდ.

ენობრივი კავშირი თავისი არსით განსხვავდება ენათა ოჯახისაგან. ენობრივი კავშირის ქმნიან არამონათესავე ენები, რაც მათი ხანგრძლივი მეზობლობით გამოწვეული ურთიერთგავლენების შედეგია. „ასეთი ენობრივი კავშირები მხოლოდ ცალკეულ ენებს შორის კი არ არსებობს, არამედ ენობრივ ოჯახებს შორისაც, ანუ ისეც ხდება, რომ რამდენიმე ენობრივი ოჯახი, რომლებსაც ერთმანეთთან არა აქვთ ნათესაური კავშირი, მაგრამ გავრცელებულია ერთ გეოგრაფიულ და კულტურულ-ისტორიულ ზონაში და მთელი რიგი ნიშნებით ერთიანდებიან ენობრივი ოჯახების კავშირში“ (იხ. ქრესტომათია: ტრუბეცკოი, ბაბილონის გოდოლი და ენათა აღრევა). „ენობრივი კავშირის“ გაგება პრალის ლინგვისტური წრეში - ტრუბეცკოისთან, იაკობსონთან და სკალიჩკასთან - ერთმანეთს ბოლომდე არ ემთხვევა (ამის შესახებ იხ. შალერი 1997: 199-204). რომან იაკობსონისათვის ეს მაინც ენათა ფონოლოგიური კავშირია (იხ. ქრესტომათია).

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ტრუბეცკოის წერილი, რომელშიც იგი ხსნის ბაბილონის გოდოლის არსს. ამ სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები თანდათანობით იქცა მისი სამეცნიერო შრომების ძირითად თემებად. უპირველეს ყოვლისა, ეს წერილი მნიშვნელოვანია რამდენიმე ახალი ტერმინის შემოტანის თვალსაზრისით. როგორც უკვე აღინიშნა, პირველი და მნიშვნელოვანი ტერმინია „ენობრივი კავშირი“. ასევე სიახლეა „ენათა დანაწევრების კანონი“, როგორც დედამიწაზე უფლისგან დადგენილი გარდაუვალი ენობრივი ვითარება. ენა მიიღება დიალექტთა უწყვეტი ჯაჭვით. თუ ერთი ენის შიგნით წარმოქმნილ კილოკავებზე მეტყველნი ერთმანეთს ველარ უგებენ, მაშინ ეს კილოკავები უკვე ენებად იწოდება, მათი ერთობლიობა შტოს ქნის, შტოთა ერთობლიობა კი ენათა ოჯახს. ზოგჯერ ერთი ენის რომელიმე დიალექტს ან ერთი ენობრივი ოჯახის რომელიმე ენას მარტო მეზობელი დიალექტის ან მონათესავე ენის თვისებები კი არ ახასიათებს, არამედ არამონათვეავე მეზობელი ენის ან ამ ენის დიალექტის გავლენასაც განიცდის. ენათა

დანანევრების კანონი ინვეს ენათა სიმრავლეს, რომელიც ქმნის „გონებით წარმოსახულ მთლიანობას“, ენები ერთმანეთში გადადიან რგოლებით და ქმნიან ცისარტყელისებურ ქსელს. ამ ქსელს ახასიათებს უწყვეტობა და ქმნის ჰარმონიულ სისტემას, რითაც გამოორიცხავს ანარქიულობას და ყველა ენას უტოვებს არსებობის უფლებას დედამიწაზე. „ამდენად, დანანევრების კანონს ენის სფეროში ანარქიისკენ კი არ მივყავართ, არამედ მონესრიგებული ჰარმონიული სისტემისაკენ, რომლის უმცირესი ნაწილიც კი თავის განსაკუთრებულ ინდივიდუალობას ინარჩუნებს. მთლიანობა მისი ნაწილების უპიროვნობით კი არ მიიღწევა, არამედ ცისარტყელისებური ენობრივი ქსელის უწყვეტობით“ (იხ. ქრესტომათია).

ენათა დანანევრების კანონმა ნიკოლოზ ტრუბეცკოი მიიყვანა ისეთ მეტაფორებამდე, რომლითაც დაუპირისპირდა ენათმეცნიერებაში უკვე გამოყენებულ მეტაფორებს, თუმცა ახალი მეტაფორებიც ზოგჯერ ნინაალმდეგობრივი ხასიათისაა. მაგალითად, ენათმეცნიერებაში ბიოლოგიიდან ნასესხები ოჯახის ცნება ემყარებოდა ხის მეტაფორას. ენობრივი ოჯახებისა და ენობრივი კავშირების ერთობლივად არსებობამ ტრუბეცკოი მიიყვანა უწყვეტი ქსელის მეტაფორამდე. ოღონდ ეს ქსელი ქმნის ჰარმონიულ სისტემას. თუ ჯეროვან ადგილს დავუთმობთ სოციალურ მომენტს ენების გამოყენებასა და გავრცელებაში, მაშინ ჰარმონიულობა საეჭვო გახდება (ამის შესახებ იხ. V თავი). სწორედ სოციალური ურთიერთობები განსაზღვრავს ენათა სიმრავლის ხასიათს, რაც გამოორიცხავს ჰარმონიას, რადგან ეფუძნება კონკურენციას (ამის შესახებ იხ. შემდეგ პარაგრაფში).

მონათესავე ენათა ოჯახის გაგებას და ენათა კლასიფიკაციის ხის მეტაფორით გამოსახვას სახელი გაუტეხეს ნეოგრამატიკოსებმა, რომლებიც თვითონ მოექცნენ ჩიხში საკუთარი ენობრივი კანონებით. შეიძლება ითქვას, რომ დრომ მოამზადა ენათა ნათესაობის გვერდით ენათა კონვერგენციის გზით მიღებული კავშირების შექმნის შესაძლებლობა. პრალის ლინგვისტური წრის ცნება აიტაცეს იტალიელმა ნეოგრამატიკოსებმა, რომელთა პოზიცია ყველაზე ამომწურავად ჯულიანო ბონფანტემ გადმოსცა. იგი სპეციალურად მსჯელობს იმ ძირითად მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვია ლინგვისტური კვლევის ახალი მეთოდების ძიება.

ნეოგრამატიკოსთა თეორიისაგან გათავისუფლება პრალის ლინგვისტურმა სკოლამ და იტალიელმა ნეოლინგვისტებმა ლამის ერთდროულად გამოაცხადეს: „აირლიყები იცვლება ახნით ისევე, როგორც ფაქტის კონსტატაციას ენაცვლება კვლევა“ (ბონფანტე 1947:23-ე თეზა). თანდათანობით ნეოლინგვისტებმა ჩამოაყალიბეს თვალსაზრისი: „როგორც ერთი ჯგუფის ენებს შორის არ არსებობს რეალური საზღვრები (მაგალითად, ფრანგულს, პროვანსულს,

იტალიურსა და ა. შ.), თვით სხვადასხვა ენობრივი ოჯახის წევრებს შორისაც არ არსებობს საზღვრები (მაგალითად, ფინურსა და რუსულს შორის). ჯულიანო ბონფანტე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ენობრივი კავშირის გაგების თვალსაზრისით, ფაქტობრივად არ არსებობს თეორიული განსხვავება ნეოლინგვისტებსა და პრალის სკოლას შორის, თუ არ ჩავთვლით მხოლოდ სხვადასხვა მომენტი-სათვის ყურადღების გამახვილების ხარისხსა და კვლევის მეთოდებს შორის მცირეოდენ სხვაობას. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს აზრი ჯ. ბონფანტეს არ გასჩენია რომან იაკობსონთან ერთად ნიუ-იორკის საენათმეცნიერო წრის ჟურნალის („Word“) რედაქციაში ერთობლივი მუშაობის დროს (1947 წელს, როცა ბონფანტემ გამოქვეყნა წერილი „ნეოლინგვისტური პოზიცია“ სწორედ მაშინ ჟურნალის („Word“) სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო იაკობსონთან ერთად) და ასახავს მეოცე საუკუნის ოციან წლებში ენობრივი კავშირის ცნების ენათმეცნიერებაში საბოლოო დაფუძნების ვითარებას. ზოგიერთ ენათმეცნიერს ეჭვი ეპარება იმაში, რომ იტალიელმა ნეოგრამატიკოსებმა ენობრივი კავშირის ცნება პრალის ლინგვისტური წრიდან აიტაცეს (იხ. ედელმანი 1978).

ნეოგრამატიკოსებთან დაპირისპირების ყველაზე მთავარი მიზეზი იყო მათ მიერ დადგენილი ფონეტიკური კანონები, რომლებიც ვერ გუობდნენ გამონაკლისებს. ასევე მიუღებელია აღმოჩნდა მოსაზრება, რომ „ფონეტიკური ცვლილება, როგორც ფიზიოლოგიური მოვლენა ბრმა აუცილებლობაა. ენის შემოქმედი ადამიანია და ყოველ კონკრეტულ მომენტში შეესაბამება მის ნებასა და ნარმოსახვის ძალას. ნეოგრამატიკოსთა ფონეტიკურმა კანონებმა ისე მოაბეზრა ყველას თავი, რომ თვით ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციაშიც კი შეიტანეს ეჭვი: შლაიხერის მონათესავე ხის (Stammbauthoerie) თეორია ინგრევა. რადგან ეს თეორია დაკავშირებულია ფონეტიკური კანონების კონცეფციასთან და ორივე ერთად კედება (ბონფანტე 1947:მე-13 თეზა). ენათა ნათესაობის საკითხი, რომელიც ნეოგრამატიკოსებს ასე ბავშვურად მარტივ საქმედ მიაჩნდათ, ახლა იქცა „ნამდვილ წამებად“, როგორც ბარტოლი წერს. ნეოგრამატიკოსებისათვის ინგლისური – გერმანიკული ენაა, იტალიური – რომანულ ენებს მიეკუთვნება, ბულგარული – სლავურს. <...> ეს ყველაფერი მშვენიერია, ნათელი და მარტივი, ოღონდ ფაქტებს არ შეესაბამება. ინგლისური გერმანიკული ენაა, მაგრამ სავსეა ფრანგული, ლათინური და იტალიური ელემენტებით; რუმინული თუმცა კი რომანული ენაა, მაგრამ სლავურ ენათა კოლოსალურ გავლენას განიცდის. ნეოლინგვისტების აზრით, რუმინულის კლასიფიცირება რომანულ ენად, ინგლისურის მიკუთვნება გერმანიკული ენებისათვის, ხოლო ბულგარულის მითვლა სლავური სამყაროსათვის ნიშნავს საკითხის უხეშად და არამეცნიერულად გამარ-

ტივებას. ეს კი არ არის გამართლებული არც ბუნებრივი მდგომარეობით და არც ამ ენათა განვითარების პროცესებით (ბონფანტი, მე-14 თეზა). კრიტიკის გამო ნეოგრამატიკოსებმა უკან დაიხიეს და ისეთი ენები, როგორცაა ინგლისური, რუმინული, ალბანური და სომხური, რომელთა გაანალიზება მონათესავე ენათა ხის მიხედვით შეუძლებელი იყო, გამოაცხადეს ნარევე ენებად. ასეთი ენები უნდა იქნეს განხილული ცალკე, მეტნაკლებად შეურეველი ენებისაგან განცალკევებით. ეს დაშვება ნეოლინგვისტებს მიაჩნდა ნეოგრამატიკოსთა კაპიტულაციად (ბონფანტი 1947:15-ე თეზა). რადგან ენობრივი გავლენები ასეთ შედეგებს იწვევს, სწორი არ ჩანს სიტყვათა დაყოფა „ძველ“, „ნამემკვიდრე“ და „ნასესხებ“ სიტყვებად. ჩვენ დაბადებიდან ვსწავლობთ სიტყვებს, ვსესხულობთ მათ სხვათაგან და თაობიდან თაობას გადავცემთ. ამგვარი გაგებით ყველა სიტყვა ნასესხებია (ბონფანტი 1947:მე-20 თეზა).

რომან იაკობსონი ავითარებს ენათა დივერგენციული განვითარებისა და ერთიანი მიზანდასახულების მქონე ენების ცნებას: „სრულიად განსხვავებული საწყისი ნერტილების მიუხედავად, შესაძლებელია განვითარების გზათა მნიშვნელოვანი საერთოობა: არამსგავსი, განსხვავებული მასალისაგან სხვადასხვა საშუალებებით იქმნება ერთგვაროვანი აგებულება. საერთო წარმომავლობის ტრადიციული გაგების გვერდით შემოდის ერთიანი მიზანდასახულების მქონე ენები“ (იხ. ქრესტომათია: იაკობსონი, ევრაზიის ენობრივი კავშირის დახასიათებისათვის).

როგორც უკვე ვახსენეთ, ენობრივი კავშირის ცნება იყო რეაქცია ნეოგრამატიკოსთა ფონეტიკურ კანონებზე. ეს ხშირად გამოუხატავთ მეოცე საუკუნის ოციანი წლების ენათმეცნიერებს, მაგრამ იაკობსონი გამოირჩევა მათი განსაკუთრებული აგდებით. შემთხვევითი არ არის, რომ სტრუქტურალიზმის ინტელექტუალური საფუძვლების კვლევისას პატრიკ სერიო მსჯელობს ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე – ხდება თუ არა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში რევოლუციები? მოსალოდნელია თუ არა პარადიგმათა ცვლილებადობა ენათმეცნიერებაში, რომელიც ყველაზე უფრო სისტემურია ჰუმანიტარულ დარგებს შორის. „მეცნიერება ანადგურებს თავის წარსულს.“ ეს შეფასება მიესადაგება აინშტაინს, რომელმაც ძალა დაუკარგა ნიუტონისა და გალილეის თეორიებს, მაგრამ ენათმეცნიერების ისტორია ვერ ეტევა ამ ფორმულაში: არ არსებობს ლინგვისტური თეორია, რომელმაც ნაშალა წინამორბედთა შრომა, მას მხოლოდ პრობლემების გადაჭრაში წინსვლა მოაქვს.“ პრადელმა ენათმეცნიერებმა განავითარეს წინამორბედების დანახული და ნაკვლევითი პრობლემები, იმ წინამორბედებისა, რომლებსაც ზემოდან დაჰყურებდნენ, ზოგჯერ დასცინოდნენ კიდევ, მაგრამ ეს ჩიტები ამ ბუდიდან გადმოცვივდნენ და ციდან წამდვილად

არ ჩამოცვენილან. როგორც პატრიკ სერიო წერს: „სტრუქტურალიზმი ციდან მეხივით არ დაგვეცდომია თავს. მას აქვს წინა ისტორია, მიუხედავად ამ მოძრაობის იდეური ბელადების დეკლარაციებისა, რომ სტრუქტურალიზმი მთლიანად ემიჯნება წარსულს“ (სერიო 12015).

## §2. სოციალური ფაქტორის როლი ენობრივი კავშირის შექმნაში

მონათესავე ენათა ოჯახის წარმოქმნა გულისხმობს უკვე ფუძეების დონეზე დიალექტურ სხაობას, რომელიც სხვადასხვა ფაქტორების მოქმედებით ისე მძაფრდება, რომ დამოუკიდებელი ენების შექმნით სრულდება. ენათა ოჯახის წარმოქმნის ტრადიციული სქემა მოიცავს გეოგრაფიულ, ისტორიულ, პოლიტიკურ და წმინდა ლინგვისტურ ფაქტორებს, მაგრამ ენობრივი კავშირის თეორია უფრო რთულ სოციალურ ურთიერთობებს გულისხმობს, რომელთა შორის პრესტიჟსა და კონკურენციას გადამწყვეტი როლი აქვს. პრესტიჟული შეიძლება იყოს ენობრივი ერთობის შიგნით გამორჩეული სოციალური ჯგუფის ქმედება ან მის მიერ შექმნილი კულტურა, თუმცა შეიძლება სწორედ გამორჩეული სოციალური ჯგუფი ამკვიდრებდეს უცხო კულტურულ ფასეულობებს.

ბოდუენ დე კურტენე ერთ-ერთი პირველია იმ ენათმეცნიერებს შორის, რომელიც პრალის ლინგვისტური წრის უშუალო წინამორბედად უნდა ჩაითვალოს ენობრივი კავშირის ცნების შემუშავებაში. მან წამოაყენა თვალსაზრისი, რომ ყველა ენა წარევია და ამის მიზეზი სწორედ სოციალური ფაქტორებია. ბოდუენ დე კურტენე ადრეული შერევის შემდეგ საფეხურებს განიხილავს: 1) უცხო ენიდან ნასესხები ელემენტები ემსგავსება მიმღებ ენას; 2) ნასესხები ლექსიკის ბოლომდე ასიმილირება არ ხდება და ინარჩუნებს უცხოური წარმოშობის ბეჭედს; 3) ორი ენის ელემენტები ერთმანეთს აწონსანორებენ, ქმნიან წარმოდგენათა ერთგვაროვან სისტემას; 4) წარევი ენა ორივე ენის მონაცემებს შეიცავს, მაგრამ ერთ სისტემას ქმნის (ბოდუენ დე კურტენე 1963:92). იმისთვის, რომ ნასესხები ელემენტები მიმღები ენისათვის ბუნებრივ ენობრივ ერთეულებად იქცნენ, საჭიროა, ერთი მხრივ, ენობრივი კოლექტივის შიდა სოციალური დიფერენციაცია და, მეორე მხრივ, ამ ფენათა მისაბაძი ჯგუფები გავლენის მომხდენ უცხოენოვან საზოგადოებაში.

ენობრივი კავშირის ცნების შემოტანამდე ნიკოლოზ ტრუბეცკოი ყოველ ხალხში ერთმანეთისაგან მკვეთრად მიჯნავდა ზედა და ქვედა ფენებს, რომლებსაც კულტურული ღირებულებები განსახვავებს. „ქვედა ფენაში მოვიზარებთ კულტურულ ღირებულებათა

იმ მარაგს, - წერდა ნიკოლოზ ტრუბეცკოი, - რომლითაც მეტნაკლებად იკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნილებებს ნაციონალური მთელის ფართო ფენები, ე.წ. ხალხის მასები. ეს ღირებულებები იქმნება ხალხის მასების გარემოში, ამიტომ ისინი შედარებით ელემენტარული არიან და არ ემჩნევათ ინდივიდუალური შემოქმედების მკვეთრი ანაბეჭდი" (ტრუბეცკოი 1921:86). ამ ელემენტარული ღირებულებებისაგან განსხვავდება ზედა ფენების ღირებულებები, რომლებიც იქმნება „თვით ნაციონალური მთლიანობის გაბატონებულ ნაწილთა მიერ, ან მათთვის და ყოველთვის უფრო დახვეწილ მოთხოვნილებებს, უფრო მომთხოვნ გემოვნებას შეეფერება. ამის შედეგად, ზედა ფენის ღირებულებები ყოველთვის შედარებით რთულია და ნაკლებელემენტარული, ვიდრე - ქვედაფენისა. საზოგადოების ზედა ფენა „გაბატონებულია“ მხოლოდ მანამ, სანამ „პრესტიჟით“ სარგებლობს, ანუ ვინმეს მისი მიბაძვის სურვილს აღუძრავს როგორც პირდაპირი, ისე „სიმპათიური მიბაძვის“ - თავყვანისცემისა და მორჩილების - თვალსაზრისით. მაგრამ დროთა განმავლობაში „პრესტიჟი“ შეიძლება გაქრეს და რომელიღაც ისეთი სოციალური ჯგუფის საკუთრებად იქცეს, რომელიც ქვედა ფენას მიეკუთვნებოდა, და მაშინ ეს ახალი არისტოკრატია კულტურული შენობის ზედა ფენას შემატებს ქვედა ფენის მარაგის ბევრ ღირებულებას“ (ტრუბეცკოი 1921:86).

პრესტიჟი, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფენის სოციალური წონისა და ძალის შესამოწმებლად, ზოგჯერ ეყრდნობა უცხო ქვეყნის კულტურული ფასეულობების სესხებას. ნიკოლოზ ტრუბეცკოი ფიქრობს, რომ უცხოურით შეიძლება საზრდოობდეს ქვედა ფენების ღირებულებებიც, მაგრამ „შეიძლება, რომ ის უცხოური წყარო, რომლითაც საზრდოობენ მოცემული ზედა ფენის კულტურული ღირებულებები, არ თანხედებოდეს იმ უცხოურს, რომელიც შესაბამის ქვედა ფენებს ასაზრდოებს. თუ ნასესხები ღირებულებები არ ეწინააღმდეგება მოცემული ნაციონალური ერთობის საერთო ფსიქოლოგიურ სახეს და შეთვისებისას ორგანულად გადამუშავდება, მაშინ, ბუნებრივი შინაგანი ურთიერთქმედების წყალობით, კულტურულ ზედაფენებსა და ქვედაფენებს შორის შეიძლება კვლავ გარკვეული ტოლმოქმედი ძალა ამოქმედდეს“ (ტრუბეცკოი 1921:87). კულტურული პრესტიჟის მნიშვნელობას ტრუბეცკოი აჩვენებს სლავურის

---

<sup>1</sup> ნიკოლოზ ტრუბეცკოს სტატია „რუსული კულტურის ზედა და ქვედა ფენები (რუსული კულტურის ეთნიკური საფუძველი), პირველად დაიბეჭდა კრებულში „История и Востоку“, და გამოქვეყნდა 1921 წელს სოფიაში. ჩვენ ვიმოწმებთ ნათია ფუტკარაძის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს, რომელიც სრულად მოცემულია გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების ვებგვერდზე [www.gashol.ge](http://www.gashol.ge).

მაგალითზე. სწორედ კულტურული ღირებულებების პრესტიჟი განაპირობებს, ნიკოლოზ ტრუბეცკოის აზრით, განვითარების მიმართულების არჩევანს თვით ერთი ენობრივი ოჯახის ფარგლებში. აქ გამოყოფილია რამდენიმე შემთხვევა:

1) რომანულ-გერმანულის სლავურთან ნათესაობის მიუხედავად, იგი ძნელად მისაღები აღმოჩნდა. რუსულმა კულტურამ ვერასოდეს ვერ გადაამუშავა და ვერ გაითავისა რომანულ-გერმანული ღირებულებები, როგორც უცხო და მისთვის არაბუნებრივი. თვით რომანულ-გერმანულმა კულტურამაც ვერ იგუა რუსული, როგორც ბუნებრივი. მისთვის რუსული ყოველთვის აღიქმება როგორც ეგზოტიკური. თუმცა დასავლელმა სლავებმა რომანულ-გერმანული სამყარო ირჩიეს, მაგრამ ეს სამყარო მათ თავისი ოჯახის სრულყოფილებიან წევრებად არ აღიქვამდა (ტრუბეცკოი 1921:93).

2) „სამხრეთის სლავები ბიზანტიის გავლენას დაემორჩილნენ და ბალკანეთის ნახევარკუნძულის სხვა ტომებთან ერთად მონანილეობდნენ განსაკუთრებული ბალკანური კულტურის შექმნაში, რომელიც ელინისტური იყო ზედა ფენებში, ქვედა ფენების დეტალური ეთნოლოგიური განსაზღვრა ვერ ხერხდება, რადგან მისი შემქმნელი ცალკეული ეთნიკური ელემენტების როლი აქამდე ჯერ კიდევ არასაკმარისადაა შესწავლილი;

3) აღმოსავლელ სლავებს ნაკლებ მკაფიო კულტურული ორიენტაციები ჰქონდათ. ისინი უშუალოდ არ შეხებიან ინდოევროპული კულტურის არც ერთ ოჯახს, ამიტომ შეეძლოთ თავისუფლად აერჩიათ რომანულ-გერმანულ „დასავლეთსა“ და ბიზანტიას შორის <...> ზოგადად, რუსეთში ყოველივე ბიზანტიურს, უსათუოდ, იოლად და ორგანულად ითვისებდნენ, ვიდრე - დასავლურს. ფუჭი იქნებოდა ყოველივე ამის მხოლოდ ცრუმორწმუნე მიზონიზმით<sup>1</sup> ახსნა (ტრუბეცკოი 1921).

თუ შევაჯამებთ ნიკოლოზ ტრუბეცკოის ამ სტატიის ძირითად სათქმელს, ვნახავთ, რომ აქ სერიოზულად მზადდება ნიადაგი ენობრივი კავშირის ცნების შემოტანისათვის. ხალხები ირჩევენ მიმართულებას, ენათა ნათესაობა არ ნიშნავს მონათესავე ენებზე მოლაპარაკე ხალხთა ღირებულებების ერთობას. შესაძლებელია ინდოევროპული ენათა ოჯახის წევრი უფრო მეტ ერთობას გრძნობდეს თურქულ და მონღოლურ ენებზე მოლაპარაკებთან და სწორედ ეს ქმნიდეს მის განსაკუთრებულობას.

ენობრივი კავშირის იტალიელ თეორეტიკოსებთანაც სოციალურ ფაქტორებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად, ვიტორე პიზანი უშვებდა ორი ან მეტი ენის ურთიერთშელეწიერების შესაძლებლობას ამ ენების მცოდნე ინდივიდებში, რომელთაც

<sup>1</sup> მიზონიზმი - სიახლის სიძულელი (თ.ბ.)

ამა თუ იმ მიზეზით უნევთ ურთიერთობა (ამდენად, ამ შემთხვევაში სუბსტრატი და სუპერსტრატი გააზრებულია როგორც ადსტრატის გამოვლინება); ხოლო ენა განისაზღვრება როგორც ლოგიკური აბსტრაქცია, რომელიც ეყრდნობა გარკვეული სივრცისა და დროის ჩარჩოებში განხორციელებულ ცალკეულ *a posteriori* ჩამოყალიბებულ სამეტყველო აქტებში განმეორებად მსგავს მოვლენებს. ბუნებრივია, რომ ყოველი სამეტყველო აქტის შექმნისას მთავარ როლს ასრულებენ ის ენობრივი ელემენტები, რომლებიც მოიპოვება მეტყველის გარემოში. სწორედ ეს განაპირობებს ყოველი საზოგადოების ენობრივი ტრადიციის უწყვეტობას. მეტყველის ენობრივი შემოქმედებითი უნარის გარდა უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამეტყველო აქტში შეიძლება მოხვდეს სხვა ენობრივი ტრადიციიდან შემოსული ელემენტები, მით უმეტეს, თუ მეტყველი უშუალოდ ან გაშუალებულად (გაშუალებულს უწოდებს პიზანი ისეთ შემთხვევებს, როცა სიტყვები, ბგერები ან მოდელები ინდივიდის ენაში ხვდებიან მისი ორენოვანი მოსაუბრის საშუალებით), კარგად თუ ცუდად ფლობს კიდევ ერთ ან რამდენიმე ენას.

ენები არა მხოლოდ გამუდმებით იცვლებიან, არამედ ხდება მათი ურთიერთშერევა. ენათა ურთიერთშერევას განაპირობებს ცალკეული სამეტყველო აქტები, რომელთა ელემენტები შესაძლებელია სათავეს იღებდნენ სხვადასხვა ენობრივი ტრადიციიდან. სწორედ განსხვავებული ტრადიციის მქონე ენობრივი ელემენტების – სიტყვის, ფონემის, მორფემის, სინტაგმის, სტრუქტურის – შეღწევა სხვადასხვა ენებში იწვევს მათ შერევას. ზოგჯერ კონტაქტში მყოფი ენები ძლიერი ურთიერთგავლენის მიუხედავად მაინც განსხვავებულ ენებად რჩებიან, როგორც ეს მოხდა ბალკანურ ენობრივ კავშირში ან დასავლეთევროპულ ენებში – იტალიურში, ფრანგულში, ინგლისურში, გერმანულში, ესპანურში და ასე შემდეგ, რომლებმაც ერთმანეთზე გავლენა მოახდინეს ლათინურის საშუალებით სულ მცირე კარლოს დიდის ეპოქიდან. ზოგჯერ კი კონტაქტში მყოფი ენები ქმნიან ერთ ენას. ამის მაგალითია ინგლისური, რომელიც ენობრივი კავშირიდან აღმოცენდა: ადგილობრივი ანგლოსაქსურის, ნორმანების მოტანილი ფრანგულის ანუ ლათინურის შერევით, რომ არაფერი ვთქვათ კელტურისა და დანიურის გავლენაზე (პიზანი 1966:3, 13).

ენობრივი კავშირის თეორიას ვ. პიზანი იყენებდა ინდოევროპული ერთობის ისტორიის ასახსნელად. მისი აზრით, ინდოევროპული ენობრივი კავშირი უნდა წარმოქმნილიყო დამპყრობელთა „პროტოსანსკრიტული“ დიალექტების ადგილობრივ ენებზე დაფუძნებით. ადგილობრივი ენები, ერთი მხრივ, უკავშირდებოდნენ „ხმელთაშუაზღვის“ ჯგუფს და მეორე მხრივ, „უგრო-ფინური“ ჯგუფის მსგავსს, რომელიც გავრცელებული იყო ცენტრალურ და



აღმოსავლეთ ევროპაში, ასევე ანატოლიაში და ასე შემდეგ. პროტოსანსრიტი უნდა წარმოქმნილიყო ცენტრალური აზიიდან მოსულ მომთაბარეთა სამხედრო არისტოკრატის ხმელთაშუაზღვისპირეთისა და მესოპოტამიური ცივილიზაციის შემნახველი ქურუმების კლასთან შერწყმის შედეგად. ამას გარდა, ვიტორე პიზანი დიდი მნიშვნელობას ანიჭებს ინდოევროპული ენებისათვის ზეპირ სალიტერატურო ენას, რომელიც, რომელიც, მისი აზრით, განსაკუთრებით გამოკვეთილად აისახა ინდოევროპულ პოეტურ ენაში, ვედურ პოეზიაში და ბრაჰმანთა სანსკრიტში. პიზანის აზრით, ენობრივი კავშირი არის ერთმანეთში გადაჯაჭვული დიალექტები და ნარევი ენები, რასაც განაპირობებს სამხედრო-პოლიტიკური ან ეკონომიკური, რელიგიური და სხვა ფაქტორების ერთობლივი გავლენა (პიზანი 1966:18, 20).

შეიძლება ითქვას, რომ ენობრივი კავშირები ეყრდნობა კულტურულ გაერთიანებებს და შეიძლება დასრულდეს ახალი ენების წარმოქმნით, რომელთა შიგნით კვლავ აგრძელებენ არსებობას იმ ძველი დაჯგუფებების სხვადასხვა მოვლენები (სიტყვები, ფონემები, ფონოლოგიური სქემები, მორფემები, სინტაგმები, სტრუქტურები, რომლებმაც შეინარჩუნეს არსებობა ენათა და დიალექტთა ამ გამუდმებულ დამსგავსება-განმსგავსებებში. პიზანი პირდაპირ აყენებს საკითხს, რომ ტერმინი ფუძენა უნდა შეიცვალოს ტერმინით ენობრივი კავშირი.

ვიტორე პიზანიმ განავითარა ნიკოლოზ ტრუბეცკოის მოსაზრება. ტრუბეცკოიმ ფუძენათა ენობრივი კავშირისგან მიღების იდეა განსაკუთრებით წამოსწია წინ მოულოდნელ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე დაწერილ სტატიაში „ფიქრები ინდოევროპულ პრობლემაზე“. ამ ნაშრომში ავტორი ხაზგასმით წერს: „არ არსებობს მიზეზი, რომელიც გვაიძულებს დავუშვათ ერთიანი ინდოევროპული ფუძენა, რომლისგანაც თითქოს ყველა სხვა ინდოევროპული ენა წარმოიშვა. ამავე საფუძვლით შეგვიძლია დავუშვათ განვითარების სანინაალმდეგო გზა, ანუ ვივარაუდოთ, რომ ინდოევროპული ენათა შტოები თავდაპირველად ერთმანეთს სულაც არ ჰკავდნენ და მხოლოდ დროთა განმავლობაში გამუდმებული კონტაქტების, ურთიერთგავლენისა და სესხების გამო მნიშვნელოვნად დაუახლოვდნენ ერთმანეთს, მაგრამ არა ისე, რომ ერთმანეთს დამთხვეოდნენ. ენათა ისტორიაში ცნობილია დივერგენციული და კონვერგენციული განვითარება. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ძნელია ზღვარის გავლება განვითარების ამ ორ გზას შორის“ (იხ. ქრესტომათია: ტრუბეცკოი, ფიქრები ინდოევროპულ პრობლემაზე).

ტრუბეცკოიმდე გაცილებით ადრე ამ იდეას ავითარებდა ნიკო მარი. მან 1923 წლის 21 ნოემბერს ნაიკითხა მოხსენება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიე-

რებათა განყოფილების სხდომაზე და გამოთქვა აზრი, რომ ხმელ-  
თაშუაზღვისპირეთის ინდოევროპული ენები არასოდეს არ მომდი-  
ნარეობდნენ რომელიმე კონკრეტული რასის ენათა ოჯახიდან და  
არც რომელიმე რასის განსაკუთრებული ფუძეენიდან არ მოდიან.  
თავიდან იყო არა ერთი, არამედ ბევრი ტომური ენა. ერთი ფუძეენა  
სამეცნიერო ფიქციაა, რომელმაც თავისი თავი უკვე ამოწურა. ინ-  
დოევროპული ენები ქმნიან განსაკუთრებულ ოჯახს, რომელიც არ  
არის რომელიმე სხვა რასის კუთვნილება, არამედ ისინი მიღებუ-  
ლია შეჯვარების შედეგად, რაც გამოიწვია ნარმოების ახალი ფორ-  
მების გაჩენამ. ეს კი ალბათ დაკავშირებული იყო ლითონის აღმო-  
ჩენასა და მეურნეობაში მის ფართოდ გამოყენებასთან. არ არის  
გამორიცხული, რომ ამას თან სდევდა ფიზიკური ძალების გადახა-  
ლისება. ენათა ინდოევროპული ოჯახი ტიპოლოგიურად ახალი სა-  
მეურნეო-საზოგადოებრივი ვითარების წარმონაქმნია. ფაქტობრი-  
ვად, ეს არის იაფეტური ენების მომდევნო მდგომარეობა. ასეთი  
თვალსაჩინო ჰიბრიდები, როგორცაა, მაგალითად, სომხეთის ენე-  
ბი და ნანილობრივ ალბანური, ინდოევროპული ენების იაფეტურ-  
თან მოგვიანო შეჯვარების შედეგი კი არ არის, არამედ გარდამავა-  
ლი საფეხურია იაფეტური ენებიდან სრულყოფილ ინდოევროპულ  
ენამდე. ეს არის ენები, რომლებიც ისტორულად გამოეყო იაფე-  
ტურ ოჯახს, მაგრამ სრულ ინდოევროპეიზმს ვერ მიაღწია. თვით  
ყველაზე სრულყოფილ ინდოევროპულ ენებში არის ხელშეუხებე-  
ლი, ასე ვთქვათ, რელიქტური იაფეტური შრე, რომელსაც ვერ შეე-  
ხო იაფეტური ენების ინდოევროპულად გარდაქმნის პროცესი" (მა-  
რი 1933:185-186).

მიუხედავად ნიკო მარისა და ნიკოლოზ ტრუბეცკოის მოსაზ-  
რებათა ასეთი სიახლოვისა, ნიკო მარი მისთვის ყოველთვის მიუ-  
ღებელი მეცნიერი იყო იაფეტური თეორიის გამო (ამის შესახებ იხ.  
IV თავში). ყოველთვის ხაზგასმით აღნიშავენ, რომ ტრუბეცკოის  
წერილი „ფიქრები ინდოევროპულ პრობლემაზე“ შექმნილია ნა-  
ციხტური იდეების ენათმეცნიერებაში შემოჭრის გამო. ავტორი  
ენინალმდეგებოდა ინდოევროპული ერთობის რომელიმე ევროპუ-  
ლი ქვეყნის არქეოლოგიაზე მიბმის იდეას. რა თქმა უნდა, ამ პერი-  
ოდში ნაციზმის იდეების ლინგვისტიკაში გავრცელების წინააღ-  
მდეგ საბჭოთა კავშირშიც იმაღლებდნენ ხმას. საილუსტრაციოდ  
დავიმონებთ ნანყვეტს გიორგი ახვლედიანის მოხსენებიდან „შე-  
დარებითი ინდოევროპული ენათმეცნიერება და გერმანელთა „ნი-  
ნარესამშობლოს“-ს საკითხი (ლინგვისტური პალეონტოლოგიის  
ისტორიიდან)“, რომელიც მან 1941 წელს ნაიკითხა საქართველოს  
სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა  
განყოფილების სამეცნიერო სესიაზე: „შედარებითს ინდოევრო-  
პულ ენათმეცნიერებაში იმთავითვე იჩინა თავი - ენობრივ და ეთ-

ნიურ ურთიერთობათა გაიგივებასთან ერთად – ევროპისა და მეტადრე გერმანელ ენათმეცნიერთა შორის დამპყრობელურმა ტენდენციურობამ, რამაც შემდეგში ავხო თვით შედარებითი ენათმეცნიერების რეპუტაციას. ინდოევროპული ენები და „ინდოევროპული ხალხები“ არაა ურთიერთშესატყვისი ცნებები: პირველი არ გულისხმობს მეორეს: „არის ინდოევროპული ენები, მაგრამ არაა ინდოევროპული ხალხები“. „ინდოევროპელთა“ წინარესამშობლოს ადგილმდებარეობის შესახებ თეორიებში ყველაზე დასაბუთებულია ოტო შრადერის (Otto Schrader, 1855-1919) თეორია, რამდენადაც იგი არ გულისხმობს მონოლითურ „ინდოევროპელთა“ ეთნოსს. „ინდოგერმანელთა“ (ინდოევროპელთა) და გერმანელთა იდენტობის თეორია წარმოადგენს პანგერმანისტებისა და ფაშისტების მიერ მეცნიერების გაყალბებას. ამდენადვე ცრუ-მეცნიერულია „თეორია“ გერმანელთა ნორდული „წინარესამშობლოს“ შესახებ“ (ახვლედიანი 1941:5-6). გიორგი ახვლედიანი გაცილებით პირდაპირ ამბობს სათქმელს, ვიდრე ნ. ტრუბეტკოი. ადვილი წარმოსადგენია, რა სიძნელეები ექნებოდა გადასალახავი ნიკოლოზ ტრუბეტკოის ენაში, როცა მან ენათმეცნიერებაში ნაცისტური იდეების წინააღმდეგ ხმა აღიმალა. საინტერესოა, რომ ამ წერილში იგი ერთნაირად ებრძვის ინდოევროპული ენობრივი ერთიანობის ევროპის რომელიმე ქვეყნის არქეოლოგიურ არტეფაქტებთან დაკავშირებას და ნიკო მარის იაფეტურ თეორიას. როგორცა ჩანს, მართან შინაგანი კონფლიქტი მას მუდამ ჰქონდა და ყოველთვის სურდა ამაზე ხმამალა მსჯელობა. 1930 წლის 3 ოქტომბერს რომან იაკობსონისადმი მიწერილი წერილის სქოლიოში არის ფრაზა: „აუცილებელია მართან მდუმარე უთანხმოების მდგომარეობიდან გამოსვლა“ (ტრუბეტკოი 2004: 174-175).

სოციალურ ფაქტორებს ნიკო მარის, პრადის ლინგვისტური წრისა და ნეოლინგვისტებისა გარდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ნოსრატული თეორიაში, რომლის ამოსავალი ტერმინი, შეიძლება ითქვას, ენობრივი კავშირია. სწორედ ენობრივი კავშირი ხდება ენათა წარმოქმნის წინაპირობა და ენათა დიდი ჯგუფები, თავის მხრივ, კავშირებში ერთიანდებიან. ს. სტაროსტინი, ს. ბურლაკთან თანავტორობით, ცხრილის სახით წარმოგვიდგენს ენობრივი კავშირის შემქმნელ სოციალურ ფაქტორებს. ცხრილის შინაარსი ასე გადმოიცეს:

- (1) ამ დროს ყველა სფროში მოქმედებს ერთადერთი ენა, რომელიც არის მოცემული კოლექტივისთვის მშობლიური;
- (2) გავლენის საწყის ეტაპზე ზოგიერთ სფეროებში გამოიყენება „დამპყრობელთა“ ენა, მაგრამ ძირითადი ენა კვლავ მშობლიურია;

	მშობლიური ენა	ძირითადი ენა	დამატებითი ენა
(1)	I	I	----
(2)	I	I	II
(3)	I	II	I
(4)	I & II	II & I	----
(6)	(I&) II	II	---- [უკვე აღარ არსებობს ის თაობა, რომელსაც უჭირდა II ენა, მაგრამ ცოცხალია ის თაობა, რომელმაც ბავშვობაში ისწავლა I ენა]
(7)	II	II	----

- (3) ამ ეტაპზე ძირითადი ხდება II ენა;
- (4) ბილინგვიზმის ეტაპი: წარმოიქმნება შერეული დასახლებები. I და II ენის მცოდნენი ქმნიან შერეულ ოჯახებს. ამის შედეგად მოდის თაობა, რომელიც ფლობს I ენას;
- (5) ამ ეტაპზე I ენა აღარ გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ კიდევ არსებობს ის თაობა, რომელსაც ახსოვს ბავშვობაში შესწავლილი პირველი ენა;
- (6) ბოლო ეტაპზე I ენა კვდება; ყველა მისი მცოდნე გადადის II ენაზე.

ეს სქემა პირდაპირ ამ სახით, რა თქმა უნდა, არ მოხდება ყველგან და ყოველთვის, მაგრამ იგი ასახავს იმ საზოგადოების გზას, რომლის ცხოვრებაშიც იჭრება „დამპყრობელთა“ ენა. მეორე ეტაპი არის სწორედ გავლენის დასაწყისი, როცა „დამპყრობელთა“ ენიდან შემოდის ისეთი სიტყვები, რომლებიც ამ კოლექტივს ადრე არ ჰქონია (ტანსაცმლის, ყოველდღიური ცხოვრებისთვის საჭირო ნივთების, სოციალური ურთიერთობების აღმნიშვნელი სიტყვები; ამას გარდა, I ენის ზოგიერთ სიტყვას ენაცვლება II ენის სიტყვები. ეს ძირითადად შეეხება იმ სიტყვებს, რომლებშიც პირველად გამოიყენებოდა II ენა (შესაძლებელია საზოგადოებას კიდევ დაავიწყდეს I ენის ის სიტყვები, რომლებსაც აღარ იყენებს). ასეთი ვითარებაში II ენა I ენაზე ახდენს სუპერსტრატულ გავლენას. სწორედ სუპერსტრატულ დონეზე ხდება კულტურული ლექსიკის სესხება (თუმცა I ენაში გარკვეული სახით უკვე არსებობდა II ენის ზოგიერთი სიტყვა). ხანგრძლივი გავლენის შემთხვევაში ძნელია იმის განსაზღვრა, რომელია მშობლიური და რომელი – ძირითადი.

მესამე-მეოთხე ეტაპზე, რადგან ყველა კარგად მეტყველებს როგორც მშობლიურ, ისე ძირითად ენაზე, ძირითადი ენა გავლენას ახდენს მშობლიური ენის ფონეტიკაზე, რომელიც მეტყველის პო-

ზიციიდან ფასდება, როგორც „მეტყველების მანერა“, რომელიც ადვილად იცვლება მოდისა და პრესტიჟის გავლენით. ადვილად იცვლება სინტაქსი, განსაკუთრებით ისეთ ენებში, სადაც სიტყვათა თანამიმდევრობა თავისუფალია. ამას გარდა, იცვლება როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული სემანტიკა, არასაბაზისო ლექსიკა, თუმცა შეიძლება ცვლილება საბაზისო ლექსიკასაც შეეხოს, ოღონდ მის ყველაზე არამდგრად ნაწილს. ამ ეტაპზე ხდება მშობლიური და ძირითადი ენების ფონოლოგიის დაახლოება. ხანგრძლივმა გავლენამ შეიძლება შეცვალოს წარმოთქმის წესი და აქცენტუაცია. ამასთან ერთად იწყება მშობლიური ენის გრამატიკის „რეინტერპრეტაცია“ (ბურლაკი, სტაროსტინი 2001:66-68). აქ წარმოდგენილი თანამიმდევრობა შეიძლება ბოლომდე ამ სახით არ განხორციელდეს, მაგრამ ფაქტია, რომ ძირითად ხაზებში „დამპყრობელთა“ ენის გავლენა მშობლიურ ენაზე სწორედ ასე მიმდინარეობს.

როგორც პრალის ლინგვისტური წრის, იტალიელი ნეოლინგვისტების, ნიკო მარისა და ნოსტრატული თეორიის წარმომადგენელთა მოსაზრებები აჩვენებს, პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული გავლენა არის ძირითადი ფაქტორი ენობრივი კავშირის შესაქმნელად. ასეთმა ენობრივმა კავშირებმა შეიძლება დასაბამი დაუდოს ახალ ენებს, რომლებიც, თავის მხრივ, დივერგენციული პროცესების გამო დაიშლება დიალექტებად და დამოუკიდებელ ენებად, რამაც წარსულში, საფიქრებელია, უკვე შექმნა ენათა დიდი მონათესავე ოჯახები და ენათა კავშირები, რომლებიც მოიცავენ როგორც მონათესავე, ისე დანათესავებულ ენებს. ასეთი ენობრივი ურთიერთობები შესაძლებელია მომავალშიც.

### III თავი ფონეტიკა და აკოლიტიკა

#### §1. „ევრაზიული ენების“ ფონოლოგიური მახასიათებლები

რომან იაკობსონმა სპეციალური მოხსენება წაიკითხა პრალის ლინგვისტური წრის სხდომაზე ევრაზიის ფონოლოგიური კავშირის შესახებ (იკობსონი 1931ბ), რასაც მოჰყვა პეტრე სავიციკის აღფრთოვანებული წერილი „უწყება აღმოჩენის თაობაზე“ (სავიციკი 1931). გახარებული გეოგრაფი მკითხველებს აუწყებდა, რომ ბოლოს და ბოლოს მეცნიერულად დამტკიცდა ის, რასაც ამდენი ხანი ელოდა, რომ არსებობს კორელაცია გეოგრაფიულ და ენობრივ მოვლენებს შორის. ისეთი ობიექტური მეცნიერება, როგორც ლინგვისტიკაა, ამტკიცებდა ევრაზიის ენობრივ ერთობას, რაც გეოგრაფის თქმით „ზრდიდა ევრაზიული მეცნიერების ეჭვიმოუტანელი არსებობის მათემატიკურ ხარისხს.“ ვნახოთ, რას ეყრდნობოდა რომან იაკობსონი, როცა ევრაზიული ენობრივი კავშირის ფონოლოგიურ საფუძვლებს ეძებდა. მან გამოყო ორი ნიშანი, რომლებიც, მისი აზრით, ახასიათებდა ევრაზიის ენებს: თანხმოვანთა სირბილის კორელაცია და მონოტონურობა, ანუ გაუდიფერენცირებელი ტონი ერთი ენის ფარგლებში.

მსჯელობისას ამოსავალი იყო რუსული ენა, რომელსაც ორივე ეს თვისება აქვს, როგორც „ტიპიურ ევრაზიულ ენას“ შეეფერება. ფონოლოგიური ღირებულების სირბილის კორელაციას ქმნიან კონსონანტები:

р-ръ	д-дь	з-зь
л-ль	т-ть	с-сь
н-нь	б-бь	в-вь
м-мь	п-пь	ф-фь

„სხვაობა რბილ და მაგარ თანხმოვნებს შორის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა რუსულში სიტყვათა მნიშვნელობების დიფერენცირებისათვის. საკმარისია რამდენიმე ილუსტრაცია: быт-быть – бит-бить, мат-мят, мать-мять, мыл-мыль – мил-миль, ров-рёв, вес-весь, пилу-пилю, волна-вольна, горка-горько, стенка-стенъка. არსებობს ლექსები, რომლებიც რბილი და მაგარი თანხმოვნების დაპირისპირებას ეფუძნება.“ ეს კარგად ჩანს ხლებნიკოვის ლექსში, რომელსაც ილუსტრაციისათვის იმონებდა იაკობსონი:

„Я видел  
Выдел

Весен

В осень." (Хлебников)

რუსულს ახასიათებს ერთი ტიპის ტონი ანუ ამ ენაში ტონურობის თვალსაზრისით დიფერენცირებულობა არ ჩანს. საერთოდ, „ევრაზიის ენებისთვის სრულიად უცხოა პოლიტონურობის ყველა გამოვლინება. ევრაზიას ორმხრივად ესაზღვრება პოლიტონური ენობრივი კავშირები“. რაც შეეხება თანხმოვანთა სირბილე-სიმაგრეს, რომან იაკობსონის მიერ განხილული ენები თანხმოვანთა სირბილე-სიმაგრის მიხედვით შეიძლება ასე დაიყოს: + ამ ნიშნით აღვნიშნავთ ენებს, რომლებსაც ახასიათებთ თანხმოვანთა სირბილე, ხოლო ამ ნიშნით (-) სქემაში აღინიშნება ენები, რომლებისთვისაც უცხოა თანხმოვანთა სირბილე:

+	-
აღმოსავლური სლავური ენები	
პოლონური (მისი ჩრდილოეთი დიალექტების გარდა)	
აღმოსავლეთი ბულგარული თქმები	დასავლეთბულგარული დიალექტები, ჩეხური, სლოვაკური, კამუბური, სლოვენური, სერბულ-ხორვატული
მოლდოვური	სხვა რომანული ენები
მორდვული და სამოედური ენები	სხვა უგრო-ფინური ენები
რუს და პოლონელ ბოშათა ენები	ევრაზიის სხვა ბოშათა ენები
უხტიურ-კარელიური დიალექტი	კარელიური ენის სხვა დიალექტები
ესტონური ენის აღმოსავლური დიალექტები	ესტონური ენის სხვა დიალექტები

როგორც სქემიდან ჩანს, არა მხოლოდ ერთი მონათესავე ოჯახის შიგნით სხვაობენ ენები თანხმოვანთა სირბილე-სიმაგრის თვალსაზრისით, არამედ ერთი და იმავე ენის დიალექტებიც კი განსხვავებულ ბუნებას ავლენენ. მთავარი კითხვა სწორედ ეს არის: როგორ ხდება ერთი ან რამოდენიმე ფონოლოგიური თვისება არამონათესავე ენების ან დიალექტების მახასიათებელი? ან როგორ შეიძლება ენობრივი სისტემიდან ამოგლეჯით ერთი რომელიმე „დიფერენციალური ნიშანი აბსტრაგირდეს ენობრივი აზროვნებით“ და გავიდეს ერთი ენის საზღვრებიდან ისე, რომ ერთ არეალში (ოღონდ რომან იაკობსონი თანმედროვე ლინგვისტური არეალოგიის პრობლემებს სულაც არ გულისხმობდა) გავრცელებული ენე-

ბის კავშირში გამაერთიანებელ მახასიათებლად იქცეს? ის, რაც ჩვენ გვაკვირვებს, ძალიან ბუნებრივ დასკვნად მიაჩნდა გეოგრაფ პეტრე სავიციის, რომელსაც ასეთი მახასიათებლები ენათა ნათესაობის პრინციპის დამჯავბნელ თვისებებად მიაჩნდა.

პეტრე სავიციი ისე იყო აღფრთოვანებული რომან იაკობსონის ლინგვისტური დაკვირვებებით ევრაზიული ენობრივი კავშირის თაობაზე, რომ არ დაელოდა რომან იაკობსონის ამ თემაზე დანერგილი ნაშრომის გამოსვლას და საკუთარი წინასიტყვაობით გამოაქვეყნა იაკობსონის მიერ წაკითხული მოხსენების, როგორც თვითონ წერდა, „თავისუფალი ინტერპრეტაცია“. იაკობსონი, თავის მხრივ, აღფრთოვანებული იყო გეოგრაფი პეტრე სავიციის იდეით, რომ „მცენარეული საფარის, ფესვთა სისტემისა და კლიმატური პირობების მიხედვით ევრაზია წარმოგვიდგება განსაკუთრებულ, თავისებურ და მთლიან გეოგრაფიულ სამყაროდ“ (სავიციი 1927ა; 1927ბ). რომან იაკობსონი იმონებდა პეტრე სავიციის შრომებს და მის ნაწერებში „სინთეზური სიცხადით“ გადმოცემულ დასკვნებს (იაკობსონი 1931ა) ლინგვისტურ ახსნას უძებნიდა.

პ. სავიციის აჩქარების მთავარ მიზეზად უნდა ჩავთვალოთ ის, რომ იაკობსონი იმავე ტერიტორიაზე, რომელსაც სავიციი ერთადერთ, განუმეორებელ და მთლიანობრივ სისტემად ახასიათებდა, საერთო ენობრივ ნიშნებს პოულობდა და უკავშირდებოდა სავიციის მოძებნილ გეოგრაფიულ ნიშნებს. პეტრე სავიციიმ იაკობსონის შრომაზე დანერგილ რეცენზიას ისეთი სათაური მისცა, რომ აშკარად ჩანდა, მასზე დიდ იმედებს ამყარებდა: „უწყება აღმოჩენის თაობაზე“. იგი დაუფარავი სიხარულით ამცნობდა მკითხველს ახალი ერის დასაწყისს ევრაზიულ მეცნიერებაში: „ვაქვეყნებთ რ. ო. იაკობსონის 1930 წლის 20 დეკემბერს პრალაში ფონოლოგიურ კონფერენციაზე ფონოლოგიურ ენობრივ კავშირებზე წაკითხული მოხსენების შინაარსს. ჩვენ ამ მოხსენებას ვაფასებთ, როგორც უწყებას დიდი აღმოჩენის შესახებ, რომელიც ეხება რუსეთ-ევრაზიის, როგორც განსაკუთრებული სამყაროს ახალ მახასიათებლებს. რ. ო. იაკობსონი ადგენს იმ თვისებებს, რომლებიც ახასიათებს ევრაზიულ ენობრივ კავშირს. წინა გამოცემებში ევრაზილები იკვლევდნენ რუსეთ-ევრაზიას, როგორც განსაკუთრებულ გეოგრაფიულ და ისტორიულ სამყაროს. რ. ო. იაკობსონი იმის მტკიცების საშუალებასაც იძლევა, რომ რუსეთ-ევრაზია არის განსაკუთრებული სამყარო ლინგვისტური თვალსაზრისით. რ. ო. იაკობსონის გამოკვლევა მალე დაიბეჭდება ევრაზიულ კრებულში „ოცდაათიანი წლები“, მაგრამ ჩვენ ახლავე გვინდა რუს მკითხველს გავაცნოთ ამ ნაშრომის ძირითადი დასკვნები, თან რაც შეიძლება მოკლედ და მარტივად, რომ ყველას ვისაც აინტერესებს სამშობლოს შემეცნება, ჰქონდეს ამ დასკვნების გაცნობის შესაძლებლობა. რა თქმა უნდა,



ისეთი მოხსენების კითხვა, რომელიც ფონოლოგიის საკითხებს ეხება, მოუშზადებელი მკითხველისასაგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, მაგრამ ეს დაძაბულობა უხვად დასაჩუქრდება იმ ფაქტის შემეცნებით, რომელიც მრავალმხრივ მნიშვნელოვანია ევრაზიული სამყაროს ხასიათისა და ბედის გაგებისათვის <...> უნდა გავიაზროთ ის შედეგები, რაც მოსდევს ამ ფაქტს. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოთქმის თვალსაზრისით რუსი ადვილად ისწავლის ნებისმიერ ევრაზიულ ენას, მათ შორის არასლავური წარმოშობის ენებსაც, რასაც ვერ ვიტყვით ევროპელებსა და აზიელებზე: რადგან ამ ენაში რუსს ხვდება იგივე ფონოლოგიური მოვლენა, რომელიც მისთვის ცნობილია მშობლიური ენიდან და პირიქით, ევრაზიული ხალხების წარმომადგენელი ამავე მიზეზების გამო ადვილად შეითვისებს რუსულს, ვიდრე ევროპელი ან აზიელი. ზედმეტად მიგვაჩნია დანვრილებითი მსჯელობა ამ ვითარების საერთოკულტურულ მნიშვნელობაზე. ეს თავისთავად აშკარაა.

პ. სავიციკი აღფრთოვანებულია რომან იაკობსონის დაკვირვებით, რომ ენებს ახასიათებთ ერთიანი ფონოლოგიური „მიზანსწრაფულობა“. ერთი საერთო მიმართულებით მოძრაობა არის სწორედ ის, რაც აერთებს, ადუღებს ერთმანეთთან ევრაზიის ენებს. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მოქნილი განსაზღვრება, რომლის წარმოდგენაც კი შეიძლება. უეჭველია, რომ მას აქვს ფილოსოფიური მხარეც. ევრაზიის ხალხების მიზანსწრაფულობა მხოლოდ ლინგვისტური ხასიათის როდია. ამას ემატება სხვადასხვა სახის მოვლენათა შორის კავშირის დამყარების მეთოდი, „დაკავშირების (სიტყვასიტყვით, გადაჯაჭვის) მეთოდი“, როგორც მას იაკობსონი უწოდებს. იაკობსონის შეგროვებული მასალა ბრწყინვალედ ამტკიცებს თეზისს, რომ ფონოლოგიაში „მოქმედების ადგილის პრინციპი სჯაბნის ნათესაობის პრინციპს“. ზოგიერთი ენა, გარკვეული კანონზომიერებების გამო ავლენს მონათესავე ენებისაგან გამოყოფისა და არამონათესავე ენებთან დაახლოების მიდრეკილებას. იაკობსონი ამ საკითხს სულ რამდენიმე სტრიქონს უთმობს, მაგრამ ძალიან ბევრ მაგალითს იძლევა. იმ სლავ ხალხთა (სერბო-ხორვატები, სლოვენები, სლოვაკები, ჩეხები, ლუჟიკელი სორბები) ენები, რომლებმაც ევროპის მხარეები აირჩიეს საცხოვრებლად, აღმოჩნდნენ „ეროპეიზაციის“ ძალაუფლების ქვეშ. ამ ენებში გაქრა „თანხმოვანთა ტემბრული დიფერენციაცია“, უნგრული ენაც „ევროპეიზაციის“ ნიშნით ვითარდებოდა. სწორედ ამან მიიყვანა უნგრული ენა ფონოლოგიური თვალსაზრისით უარი ეთქვა ევრაზიულ ნათესაობაზე. განსახილველი თვისების მიხედვით „ევროპეიზაცია“ არ განსხვავდება „აზიატიზაციისაგან“ – ორივე დაიყვანება ევრაზიული მახასიათებლის – თანხმოვანთა სირბილე-სიმაგრის მიხედვით განსხვავების დაკარგვამდე. ძველი მსოფლიოს მატერიკზე ევრაზიუ-

ლი სამყარო შუა სამყაროა. ევროპულსა და აზიურს უკავია პერიეფერიები (ევროპას დასავლეთი პერიფერია, აზიას კი – სამხრეთი და აღმოსავლეთი). ორივე პროცესი (ესე იგი „ევროპეიზაცია“ და „აზიატიზაცია“) შეიძლება დავიყვანოთ ერთ მოვლენამდე: ენის გადაქცევა „პერიფერიული“ ტიპის ენად. ასეთ „პერიფერიულ“ ენად იქცა ოსმალელ თურქთა ენა: ეს ენა განმტკიცდა ხმელთაშუა ზღვის მხარეში და მან მოახდინა (! – თ.ბ.) „რბილი და მაგარი თანხმოვნების“ დაპირისპირების ლიკვიდაცია.

ძველი მსოფლიოს მატერიკის მთლიანობრივი მეთოდით განხილვა რ. ო. იაკობსონთან შემთხვევითი არ ჩანს. რუსი მეცნიერები – შუა სამყაროს წარმომადგენლები – ძველ მსოფლიოს უმთავრესად მთლიანობრივად განიხილავენ. მათ შეუძლიათ და უნდა იცოდნენ რუსეთი-ევრაზია და ასევე თავლსაჩინოდ უნდა ხედავდნენ აღმოსავლეთსა და დასავლეთს. რ. ო. იაკობსონის შრომა იმათ რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც აუცილებელ პერსპექტივას ამკვიდრებენ. რომელ დარგშიც უნდა მუშაობდეს რუსი მკვლევარი, ევრაზიული მასალა მან უნდა წარმოადგინოს დამოუკიდებელ, მაგრამ არა დახშულ სისტემად ანუ ისეთ სისტემად, რომელიც აჩვენებს ევრაზიული სამყაროს თვითმყოფადობას და მის დამოკიდებულებას (ურთიერთობას) მეზობლებთან. ძველი მსოფლიოს მთლიანობრივი მოძღვრება – აი ნიშა, როლისკენაც უნდა ესწრაფოდეს რუსული მეცნიერება, როგორც შუა სამყაროს იდეისა და შესაძლებლობების წარმომადგენელი. რ. ო. იაკობსონის შრომა იმითაც არის მაგალითის მომცემი, რომ დასმული საკითხის ფარგლებში იგი ორივე ფუნქციას ასრულებს: განსაზღვრავს ევრაზიული ენობრივი სამყაროს სახეს და თან ხატავს მას მთელ გარშემოწყობებთან ერთად.

„ენათმეცნიერება ევრაზიელობს“, - ასეთი იყო ჩვენი განცდა, როცა რ. ო. იაკობსონის შეგროვილ მონაცემებს გავეცანით: არა ენათმეცნიერები, არამედ სწორედ ენათმეცნიერება ევრაზიელობს, რადგან ფაქტები აჩვენებს ამას. ძალიან უსუსურად გამოიყურება იმ კრიტიკოსთა მტკიცებები, რომლებიც ვარაუდობდნენ, რომ ენობრივი მონაცემები „ევრაზიული დოქტრინისათვის დამლუპველია.“ სწორედ პირიქით: რ. ო. იაკობსონის შრომებში დამონმებული ენობრივი ფაქტები ყველაზე ნათლად აჩვენებს ევრაზიული სამყაროს შინაგან ერთიანობას. <...> მის მიერ აღმოჩენილი ევრაზიული სამყაროს ფონოლოგიური ერთობისა და იმავდროულად მისი განსაკუთრებულობის მაჩვენებელი ნიშნები მიგვითითებს, რომ შემთხვევითი არ უნდა იყოს ამის მამტკიცებელი გეოგრაფიული, ისტორიული და სხვა ფაქტები. რ. ო. იაკობსონის აღმოჩენა ევრაზიული სამეცნიერო სისტემის შინაგან კავშირებს, ზრდის მისი ტექმარიტების მათემატიკურ ხარისხს და ამ თვალსაზრისით იგი

არის დარტყმა ევრაზიულობის მეცნიერი და არამეცნიერი ოპონენტებისათვის" (სავიციკი 1931ბ: 368-369).

იაკობსონის მოხსენების თავისუფალი ინტერპრეტაციისათვის ნამძლვარებული რეცენზიიდან, რომლის მოზრდილი ნაწილი დავიმონმეთ ზემოთ, აშკარად ჩანს, რომ გეოგრაფი პ. სავიციკი უშვებს ენის მიერ საკუთარი გზის განსაზღვრის შესაძლებლობას. მისი რწმენით, ენა თვითონ ირჩევს „ევროპეიზაციას“ ან „აზიატიზაციას“. მოქმედების ადგილის შეცვლა იწვევს მისი თვისებების ცვლილებას (იხ. სერიო 2015). „თუ ხალხი თვითონ ირჩევს გეოგრაფიულ გარემოს მასთან სიმბიოზად შერწყმისთვის, და არ არის გეოგრაფიული მდგომარეობის მექანიკური პროდუქტი, ამას ვერ ვიტყვით ენაზე. ენები განიცდიან მოქმედების ადგილის გავლენას: ისინი კარგავენ არსებით თვისებებს და ამ ენებზე მოლაპარაკე ადამიანების გადასახლების გამო, ხვდებიან სხვა მოქმედების გარემოში. სავიციკის მტკიცებით, ენამ შეიძლება დაკარგოს ესა თუ ის თვისება მოქმედების ადგილის შეცვლისას. ეს იდეა ხელშესახებად არის განვითარებული სავიციკის ფსევდონიმით ხელმონერილ ტექსტში: „თვით სახელწოდება „სსრკ-ის ხალხები“ არ გვაძლევს მათი ისტორიული წარსულის ერთიანობის სამტკიცებლად მეცნიერულ პრინციპს: ევრაზიულობაში კი ეს პრინციპი ჩანს: ეს არის მოქმედების ადგილის ცნება. სწორედ ამ მოქმედების ადგილზე ცხოვრობენ და მოძრაობენ ეს ხალხები, რომელთაგან იღებენ იმპულსებს და რომელზეც გავლენას ახდენენ, რომელსაც ერწყმიან განსაკუთრებულ ისტორიულ და ბუნებრივ-ისტორიულ მთლიანობაში <...> ყველა შტოს რუსები შედუღებულია ევრაზიის სხვა ხალხებთან <...> მათ ამ ხალხებთან ისტორიული ბედიც აერთებს. ყოველი რაიონი ცალკე აღებული და ყველა ერთად სავსეა ენერგეტიკით, რომელიც მოდის წარსულის სიღრმიდან (ლოგოვიკოვი 1931: 54-55).

რომან იაკობსონის ჯერ კიდევ შესამონმებელი ლინგვისტური დასკვნები პეტრე სავიციკისათვის პოლიტიკური გეოგრაფიის საფუძვლად იქცევა. „ზოგიერთი ენა ადგება „ევროპეიზაციის“ გზას იმიტომ, რომ უარს ამბობს ევრაზიული ნათესაობაზე“. დიახ, ენები ირჩევენ ადგილს ევრაზიაში ან გადაიან ამ ერთობიდან საკუთარი გადაწყვეტილებით ან სხვათა გავლენით. ევრაზიული ენები არის იმ განსაკუთრებული ადგილის, ევროპასა და აზიას შორის მდებარე ტერიტორიის, ევრაზიის ლინგვისტური მახასიათებელი, რომელსაც ყველაფერი განსაკუთრებული აქვს მცენარეების ფესვთა სისტემიდან დაწყებული გეოგრაფიული თვისებებით დამთავრებული. ასე ერწყმიან ფიზიკური გეოგრაფიის მახასიათებლები და ენათა ცალკეული ფონოლოგიური დიფერენციალური ნიშნები ევრაზიულობის თეორიაში. მერე რა, თუ ნეიტრალური ან ობიექტური დამკვირვებელი ამას ვერ ხედავს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ეს კავში-

რი არ არსებობს. პეტრე სავიციის სასიხარულო ახალი ამბავი, რომ „ლინგვისტიკა ევრაზიელობდა და არა ლინგვისტიები“, როგორც მოსალოდნელი იყო სწორი არ აღმოჩნდა. ეს იყო ცალკეული ლინგვისტიების ევრაზიელობა და არა მკაცრი მეთოდით მომუშავე სამეცნიერო დისციპლინის ურყევი დასკვნა. თანხმოვანთა ფონოლოგიური სირბილის კორელაცია და გაუდიფერენცირებელი ტონი ის ნიშნებია, რომელსაც უნდა მოეხაზა ევრაზიის კავშირის საზღვრები როგორც ლინგვისტური, ისე ფიზიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით. ამ ნიშნების დარღვევა, თუ ის არ იძლეოდა სასურველ პოლიტიკურ გეოგრაფიას, იხსნებოდა სხვადასხვაგვარად. აი მაგალითად, რა ინტერპრეტაციას უკეთებს რომან იაკობსონი იმ ფაქტს, რომ ქართველურ ენებს არ ახასიათებთ თანხმოვანთა სირბილის კორელაცია: ამიერკავკასიის ენებს – სომხურსა და ქართველურ (ქართულ) ჯგუფს არ ახასიათებს თანხმოვანთა ტემბრული სხვაობა. ეს მიუთითებს ამ მხარის გარდამავალ ხასიათზე როგორც გეოგრაფიული, ისე ეთნოგრაფიული თვალსაზრისით – ევრაზიიდან მეზობელი მიმართულებით“. დიახ, სომხური და ქართველური არ ამჟღავნებს იმ ნიშნებს, რომლებიც აუცილებელია რომან იაკობსონის წარმოსახვით შექმნილი ევრაზიული ფონეტიკური კავშირისათვის, მაგრამ ეს იხსნება „ამ მხარის გარდამავალი ხასიათით“. იქვე მითითებულია გარდამავლობის მიმართულება – ევრაზიიდან მეზობელი მიმართულებით და არა პირიქით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ევრაზიული არ არის, მაგრამ ევრაზიულობიდან მიემართება მეზობლებისაკენ. ეს აზრი სხვაგანაც მეორდება: „ევრაზიული კავშირის ენების ფონოლოგიურ კორელაციებს ახასიათებს ორი თვისების ერთიანობა . . . ევრაზიის კავკასიური პერიფერიის გარდა.“ სრულიად ცხადია, რომ ევრაზიული ბუნებისა არ არის ქართული, მაგრამ იგი მაინც ხვდება ევრაზიის პერიფერიაში, რადგან უამისოდ დაირღვევა ევრაზიულობის თეორია.

ჩვეულებრივ, პრალის ლინგვისტური წრის წარმომადგენელთა მიერ განვითარებული ევრაზიული თეორია და ამავე წრის სტურქტურალიზმი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განიხილებოდა. პეტრე სავიციის შვილმა, ნიკოლოზ სავიციმ რამდენიმე სტატია უძღვნა ამ საკითხს. მან მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ პატრიკ სერიომდე ეს მიმართება არავის შეუმჩნევია. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ორი ცნების განსაზღვრისას. ეს არის ლინგვისტური გეოგრაფიის გაგება და ენობრივი კავშირის ცნება. ნ. სავიციის აზრით, მნიშვნელოვანია ერთი მონაკვეთი პრალის ლინგვისტური წრის თეზისებში, რომელიც 1929 წელს გამოქვეყნდა (თეზისები 1967). თეზისების ეს ნაწილი მთლიანად ევრაზიული თეორიის ძირითადი პრინციპების დაცვით არის ჩამოყალიბებული:

ენობრივ მოვლენათა ტერიტორიული განაწილება შეიძლება შევეუპირისპიროთ სხვა გეოგრაფიულ იზოხაზებს <...>ამასთან, საჭირო არ არის ამა თუ იმ გეოგრაფიული ერთეულის ინდივიდუალური მახასიათებლების უგულებელყოფა. ასე მაგალითად, ლინგვისტური მორფოლოგიის შეპირისპირება გეომორფოლოგიასთან საოცრად ნაყოფიერია ევროპის შემთხვევაში, ხოლო აღმოსავლეთ სლავეთის ტერიტორიაზე შედარებით მცირე მნიშვნელობა აქვს კლიმატურ იზოხაზებთან შედარებას. <...> სხვადასხვა სისტემების შედარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება მნიშვნელობა, თუ შესაძარებლად აღებული სისტემები განიხილება როგორც ეკვივალენტური". ამ მონაკვეთში მოკლედ არის გადმოცემული ის, რაზეც პეტრე სავიცი სპეციალურად მსჯელობდა პრალის ლინგვისტური წრის წინაშე ნაკითხულ მოხენებაში 1929 წლის 31 მაისს (სავიცი 1929). ამ სტატიაში რუსული ენის დიალექტური იზოგლოსები შედარებულია რუსული კლიმატის იზოთერმებთან და გამოტანილია დასკვნა, რომ ველიკორუსულისა და უკრაინულის დიალექტებს შორის საზღვრები ემთხვევა თხებისა და ღორების მოშენების საზღვრებს. პეტრე სავიცი ხაზს უსვამს პარალელიზმს, რომელიც არსებობს იანვრის იზოთერმების გავრცელების რუკასა და რუსულის დიალექტების გავრცელების სტრუქტურულ მახასიათებლებს შორის (სავიცი პ., 1929:150). ნიკოლოზ სავიცი, პეტრე სავიციის შვილი, პატრიკ სერიოსთან ერთად, ევრაზიულობის თეორიისათვის დამახასიათებელ ინტერდისციპლინურობას აქცევს ყურადღებას ამ მსჯელობაში. სწორედ ამ თვისებას ხედავენ პეტრე სავიციის სხვა ნაშრომშიც: იმისთვის, რომ ადამიანის შესაძლებლობების ვიწრო საზღვრებით მიუზახლოვდეთ სამყაროს მთლიანობრივ სურათს, აუცილებელია, სხვადასხვა დარგების მონაცემთა დაახლოება. თუ შევეუპირისპირებთ „ევროპულ გეოგრაფიას“ „ევრაზიულ გეოგრაფიას“, ჩანს, რომ რუსეთ-ევრაზიას ახასიათებს ზედაპირის ფორმათა ბუნდოვანება, გეომორფოლოგიური სანყისების სირბილე და ბოტანიკური და ფესვთა სისტემის მკაცრი განაწილება ჰორიზონტალურ-ზონალური პრინციპით<...>, ევროპაში კი პირიქით, გვხვდება: ზედაპირის ლაპიდარული ფორმები, მკვეთრად გამოხატული გეომორფოლოგიური სანყისები და ჰორიზონტალურ-ზონალური განაწილების სიმკრთალე" (პ. სავიცი 1927:38).

ევრაზიული თეორიის გავლენას ნიკოლოზ სავიცი ხედავს პრალის ლინგვისტური წრის თეზისების კიდევ ერთ მონაკვეთში, სადაც განმარტებულია ტერიტორიული ჯგუფები: „სხვადასხვა ეპოქაში სლავური ენების განვითარების ტენდენციების განსაზღვრა და ამ ტენდენციების შედარება სხვა, ისტორიულად დაფიქსირებულ მეზობელ სლავურ და არასლავურ ენებთან (მაგალითად, უგრო-ფინურთან, გერმანიკულთან, ნებისმიერი წარმოშობის ბალ-

კანურთან) იძლევა მასალას მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც უკავშირდება სლავური ენების სხვადასხვა მასშტაბის „რეგიონალურ გაერთიანებებთან“ ურთიერთობას მთელი მათი ისტორიის მანძილზე“ (თეზისები 1967). სწორედ ამ პრინციპებს ეფუძნება ენობრივი კავშირის ცნება, რომელიც 1923 წელს შემოიტანა ნიკოლოზ ტრუბეცკოიმ. ამ საკითხზე ედავება ნიკოლოზ სავიცი იოსეფ ვახეკს, რომელმაც 1999 წელს გამოაქვეყნა პრალის ლინგვისტური წრის ისტორია. იგი ენობრივი კავშირის გაგების დაფუძნებასთან დაკავშირებით ახსენებს მხოლოდ ბ. ჰავრანეკს მაშინ, როცა ტრუბეცკოიმ 1923 წელს უკვე განსაზღვრა ეს ტერმინი და მაგალითად ბალკანური ენათა კავშირი დაასახელა. ასევე საკამათოდ მიაჩნია ნ. სავიციის აზრი, რომ რომან იაკობსონი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განუდგა ევრაზიულ თეორიას, რადგან მას არ დაუბეჭდავს სტატიები ევრაზიულ გამოცემებში (ჰოლენშტაინი 1984: 120-121). ნიკოლოზ სავიცი არ ეთანხმება ამ აზრს და არგუმენტად მოაქვს ის ფაქტი, რომ იაკობსონის ბროშურა „ევრაზიული ენობრივი კავშირის დახასიათებისათვის“ სწორედ ევრაზიულ გამოცემაში დაიბეჭდა (სავიცი პ., 2011: 171).

ჰოლენშტაინის აზრი საკამათო ნამდვილად არ არის. რომან იაკობსონს შეიძლება უარი არ უთქვამს ევრაზიულ თეორიაზე, მაგრამ ნამდვილად თავშეკავებულად იქცეოდა მისი გართულებული ცხოვრების გამო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი ჯერ სკანდინავიის ქვეყნებში ეძებდა თავშესაფარს. ბოლოს კი ძალიან სარისკო პირობებში გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში (ამაზე დანვრილებით იხ. ზემოთ). ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მას ამ ვითარებაში თავი არ გამოედო ევრაზიული თეორიის დაცვაზე, რომელსაც ერთნაირად ებრძოდა კომუნისტური საბჭოთა კავშირიც და იქამდე გერმანული ნაციზმიც. სწორედ ნაციზმმა შეინირა იაკობსონის მეგობარი ნიკოლოზ ტრუბეცკოი. აშკარაა, რომ საშიში ვითარება იყო და თავდაცვა დასაზრახის თვისებად ნამდვილად ვერ ჩაითვლება. იაკობსონი ამ თეორიის მიმართ დიდ ინტერესს აღარ იჩენს, რაც, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ თავდაცვით უნდა იყოს ნაკარნახევი.

რომან იაკობსონის მიერ წარმოდგენილი ევრაზიული ენობრივი კავშირის ერთ-ერთი პირველი და მნიშვნელოვანი გამკრიტიკებელი ნიკოლოზ ტრუბეცკოი იყო. იგი სპეციალურად წერს იაკობსონს წერილებს ამ საკითხზე თავის კოლეგასა და თანამოაზრეს. როგორც უკვე ვაჩვენეთ, ტრუბეცკოი იაკობსონს სულ აძლევდა დარიგებებს როგორც წმინდა მეცნიერულ, ისე ცხოვრებისეულ საკითხებზე. ამ შემთხვევაშიც იაკობსონის აჩქარებად მიაჩნია ნაშრომის სათაურში ევრაზიული ენობრივი კავშირის ფაქტად გამოცხადება და მოუწოდებდა, რომ უფრო მორიდებით გამოთქვას აზრი და გამო-

იყენოს სიტყვა „შესახებ ან თაობაზე“ (ანუ ევრაზიული ენობრივი კავშირის თაობაზე/შესახებ. ტრუბეცკოი 2004:169). იაკობსონის თეორიაში ენათა სხვაობას ტონური სიმრავლის ან მის არარსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამასთან დაკავშირებით ავტორი მრავალი ენის მაგალითს იმონმებს, რომელთაგან ზოგიერთი შესამონმებელი აღმოჩნდა: „ბალტური და ნყნაროკეანური პოლიტონია ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც რეალიზაციით, ისე მორფოლოგიური ძალითაც“. ტრუბეცკოი დანვრილებით განიხილავს ამ ენების ტონს შორის სხვაობას. ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ ბალტურ პოლიტონურ სისტემებში ექსპირატორული მხარე უფრო მნიშვნელოვანია, ხოლო ნყნაროკეანურში მუსიკალური სხვაობაა მთავარი.“ ტრუბეცკოი დაურიდებლად სწერს მეგობარს: „ჩვეულებრივი მკითხველისათვის ეს იქნებ სულერთია, მაგრამ თქვენს ნაშრომს ლინგვისტი მკითხველებიც ეყოლება და მეტი სიზუსტეა საჭირო.“ ყურადღებას აღარ შევაჩერებთ იმ სტილისტურ და ტერმინოლოგიურ შენიშვნებზე, რომლებსაც ტრუბეცკოი უხვად აძლევს იაკობსონს, მხოლოდ ერთს დავიმონმებთ: „თქვენი სქემისათვის უფრო სასარგებლოა ლუჟიკური შეიტანოთ პოლიტონიის მქონე ენებში, როგორც ეს გააკეთეთ პოლანდურისა და იუგოსლავიური პოლიტონიის შემთხვევაში: ლუჟიკური ხომ ტიპური რელიქტური (ორობითი რიცხვი, აორისტი და იმპერფექტი) და გასაქრობად განწირული ენაა“ (ტრუბეცკოი 2004:179). გასაოცარია, რომ ტრუბეცკოი ენას უწოდებს რელიქტურს მხოლოდ მორფოლოგიური მახასიათებლების გამო. ამავე მორფოლოგიური მახასიათებლების და არა პოლიტიკური პირობების გამო მეცნიერი წინასწარმეტყველებს ლუჟიკური ენის გაქრობას.

მართალია, ტრუბეცკოის მოსწონს ტემბრული სხვაობების იდეა, რომელიც შემოაქვს იაკობსონს ენათა ევრაზიული კავშირის განხილვის დროს, მაგრამ ეჭვი ეპარება, რომ ტერმინებმა „რბილი“ და „მაგარი“ რუსულის (და სხვა სლავური ენების) გარდა კიდევ რომელიმე ენისთვის ივარგოს (ტრუბეცკოი 2004:166). ეს წერილი სავსეა შენიშვნებით იაკობსონის სტატიაზე. მაგალითად, ტემბრული კორელაცია არ უნდა ჰქონდეს ლოპარულ ენას. თვით „სიმაგრე“ და „სირბილეც“ კი ძნელად გასარჩევია პალატალურ თანხმოვნებში. ეს თვისება მხოლოდ კბილისმიერ თანხმოვნებში შეიძლება გაირჩეს. რბილი კბილისმიერნი რეალიზდებიან როგორც პალატალური თანხმოვნები. ასეა უკრაინულ სალიტერატურო ენაში, პოლონურის ზოგიერთ დიალექტში და სხვაგანაც. ძნელია მისი გარჩევა ჩეხურის, სლოვაკურის ან სერბოხორვატულის ტიპისაგან. გამოდის, რომ ეს დაიყვანება ენაში რბილი და მაგარი სპირანტების არსებობაზე. პალატალურობა არ ჩანს აბსტრაგირებული თვისება, იგი უფრო „ლოკალურია“ (ტრუბეცკოი 2004:166).

იაკობსონი ხედავდა კავშირს რბილ და მაგარ თანხმოვნებსა და მახვილიან და უმახვილო ხმოვნებს შორის. ტრუბეტკოვი ამასთან დაკავშირებით საინტერესო შენიშვნას აძლევს თავის მეგობარს: „თანხმოვნებისა და ხმოვანი ფონემების ანალიზს შორის ანალოგია მეც ყოველთვის მიზიდავდა, მაგრამ შემდეგ დავრწმუნდი, რომ ეს მხოლოდ მოჩვევებითია და ამაზე სისტემატიკის აგება არ შეიძლება. ჩემი აზრით, თანხმოვანი ფონემების ოთხი ჯგუფი შეიძლება დაუპირისპირდეს ერთმანეთს: I) ლოკალიზაციის ანუ არტიკულაციის ადგილის მიხედვით (საარტიკულაციო ორგანოების მდგომარეობით), II) არტიკულაციის რაგვარობით, III) ინტენსივობით (დინამიკური ან კვანტიტატიური), IV) ტემპრით.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ერთი და იგივე დაპირისპირება სხვადასხვა ენაში შეიძლება სხვადასხვა ჯგუფში მოხდეს. მაგალითად, რუსულისთვის უცხოა დაპირისპირება ყელ-ხშული-ფშინვიერი, ამიტომ  $c : s/z$  მოხვდება პირველ ჯგუფში (ანუ ეს იქნება დაპირისპირება წარმოთქმის ადგილის მიხედვით, -თ.ბ.), ხოლო ახალბერძნულში იგივე დაპირისპირება  $\tau \sigma : \delta/\zeta$  ქვემოთ მოცემული ორი დაპირისპირების ფონზე მეორე ჯგუფის ნაწილია (ანუ ეს არის დაპირისპირება რაგვარობის მიხედვით, -თ.ბ.):

$\tau : \sigma/\delta$

$\kappa : \chi/\gamma$

$\pi : \phi/\beta$


უკრაინულ სალიტერატურო ენაში (გალიციურში)  $h : h\bar{h}$  (ამ შემთხვევაში  $h\bar{h} =$  პალატალური  $\bar{h}$  მიეკუთვნება მეოთხე ჯგუფს (ანუ სხვაობა მხოლოდ ტემპრულია, -თ.ბ.), ხოლო ჩეხურში იგივე დაპირისპირება  $h : \bar{h}$  პირველ ჯგუფში შედის და ასე შემდეგ. როცა ერთსა და იმავე არქიფონემაში ერთდროულად მონაწილეობს სხვადასხვა ჯგუფის კორელაცია, ისინი დამოუკიდებლად არსებობენ და ერთმანეთს არ ერწყმიან. ასე მაგალითად, რუსულში ხმის მონაწილეობა (II ჯგუფი) და ტემპრული კორელაცია (IV ჯგუფი) სრულიად ავტონომიურია და ერთმანეთისაგან გამიჯნული. მაგრამ იმ ენებში, სადაც ერთ არქიფონემაში თანაარსებობს ერთი და იმავე ჯგუფის განსხვავებული კორელაციები, ისინი ერთმანეთს ერწყმიან და ქმნიან რთულ კომბინაციას, რომელიც შეიძლება შედგებოდეს სამი, ოთხი და ხუთი წევრისგანაც კი. ასეა იმ ენებში, რომელთაც ახასიათებთ სამტემპრიანი არქიფონემა (მაგალითად, აფხაზურში, ალბათ უბიხურშიც, ირლანდიურში, ბანტუს ზოგიერთ ენაში და ალბათ სანსკრიტში)" (ტრუბეტკოვი 2004: 167-168).

ეს წერილი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ტრუბეტკოვი მსჯელობს ყველა საკითხზე, რომელიც კორელაციურ კონებთან დაკავშირებით სპეციალურად განავითარა „ზოგადი ფონოლოგიის




საფუძვლებში“, რომლის გამოქვეყნებას ნაადრევი სიკვდილის გამო თვითონ ტრუბეცკოი ვერ მოესწრო. სწორედ რომან იაკობსონის ინიციატივითა და ორგანიზებით გამოქვეყნდა პირველად ეს გერმანულ ენაზე დაწერილი ნაშრომი პარიზში.


სამწევროვანი კორელაციის ნიმუშად ტრუბეცკოი ასახელებს სამეულს:



„ასეთი სამწევროვანი კორელაცია ძველბერძნულში წარმოიშვა „მჟღერობა-სიყრუის“ კორელაციისა და „ფშვინვიერობა-არაფშვინვიერობის“ კორელაციის შეერთებით. ოთხწევროვან ტემბრული კორელაციის მაგალითად მარი ასახელებს იაპონურს, მაგრამ იგი ცდება. რბილი ლაბიალიზებული შიშინა ალბათ აღიქმება როგორც ლაბიალიზებული სისინა. ოთხწევროვანი კორელაციის მეორე ჯგუფის მაგალითად გამოდგება ძველი ინდური (და საშუალო ინდური) მსკდომი თანხმოვნები: k/kh/g/gh და ასე შემდეგ. და ბოლოს, ხუთწევროვან კომბინირებულ კორელაციად მეორე ჯგუფი არის სომხურსა და სამხრეთკავკასიურში, სადაც საერთო კავკასიური სამწევროვანი კორელაცია (მჟღერი: ყრუ კომბინირებულია „ყელსზემოთ: „ყელსქვემოთ“ (იგულისხმება „ყელსზემო (გლოტალური) – არაყელსზემო (არაგლოტალური)“ გართულებულია დაპირისპირებით „ხშული : ნაპარალოვანი“. მაგალითად, აღმოსავლურსომხურში არის სამი არქიფონემა, რომელიც ასეა აგებული:



და ამას გარდა ოთხი დეფექტური არქიფონემა, რომელთაგან თითოეული არის იმავე კორელაციის ნაწილი:



„ზოგადი ფონოლოგიის კურსში“ ზოგიერთი მაგალითი შეცვლილია. ამ საკითხს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით შემდეგ პარაგრაფში ნ. ტრუბეცკოის კორელაციურ კონებს სპეციალურად ვუდარებთ გიორგი ახვლედიანის თანხმოვანთა სამეულებრივ სისტემას და კავკასიურ ოთხეულებს.

იაკობსონის მიერ წარმოდგენილი ევრაზიული ენობრივი კავშირის მიმოხილვისას ტრუბეტცკოი თითქოს მხოლოდ ფონეტიკურ მახასიათებლებზე ამახვილებს ყურადღებას, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ პოლიტიკური გეოგრაფიის პირველადობა სხვა მეცნიერულ თეორიებთან შედარებით მისთვის უცხოა. ეს კარგად გამოჩნდა მაშინაც, როცა „ზოგადი ფონოლოგიის საფუძვლების“ შემქმნელი ნიკოლოზ ტრუბეტცკოი ეძებდა ისეთ ფაქტორებს, რომლებიც საბჭოთა კავშირს სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს გარდაქმნიდა სოციალური მიზნებით გაერთიანებული ქვეყნიდან საერთო ნაციონალური სუბსტრატის მქონე სახელმწიფოდ (ამის შესახებ იხ. V თავი).

## **§2. თანხმოვანთა კორელაციური კონები (გიორგი ახვლედიანის ხელნაწერების მიხედვით)**

გიორგი ახვლედიანის არქივი, რომელიც ამაჟამად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინახება, ენათმეცნიერების ისტორიისთვის მრავალმხრივ მნიშვნელოვანია. ქ დაცული გიორგი ახვლედიანის კოლეგებთან თუ სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოსთან პირადი და ოფიციალური მიმონერის ერთი ნაწილი კარგად აჩვენებს ენათმეცნიერთა მდგომარეობას საბჭოთა კავშირში. ერთი მხრივ, მათ უხდებოდათ საენათმეცნიერო აზრის განვითარება არაჯანსაღ, სიცოცხლისთვის საშიშ პოლიტიკურ გარემოში, მეორე მხრივ, ისინი ძირითადად იზოლირებულნი იყვნენ სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ევროპელი ლინგვისტებისაგან, რომელთა ნაშრომები ფასდებოდა როგორც ბურჟუაზიული იდეოლოგიის პროპაგანდა (დანვრილებით იხ. შემდეგ თავში). საბჭოეთის დროს იდეოლოგიური წნეხის გამო ენათმეცნიერები დაგვიანებით ან საერთოდ ვერ ეცნობოდნენ მათი თანამედროვე უცხოელი ენათმეცნიერების ნაშრომებს, რაც განაპირობებდა საბჭოთა ენათმეცნიერების ჩაკეტილობას, ხელს უშლიდა ლინგვისტური იდეებისა და თეორიული სიახლეების ურთიერთგაზიარებას განსაკუთრებით საბჭოთა და ევროპელ ენათმეცნიერებს შორის.

მაგალითად, ძნელია იმის თქმა, იცნობდა თუ არა გიორგი ახვლედიანი პრალის ლინგვისტური წრის მიღწევებს ფონოლოგიაში. სმენოდა თუ არა მას იმის შესახებ, რომ 1928 წელს ჰააგაში ლინგვისტთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე სამი რუსი ენათმეცნიერი პრალის ლინგვისტური წრის სახელით – რომან იაკობსონი, სერგეი კარცევსკი და ნიკოლოზ ტრუბეტცკოი წარდგნენ ფონოლოგიის სპეციალური პროგრამით, რასაც 1929 წელს პრალის ლინ-

გვისტური წრის შრომების ორი ტომი მოჰყვა (Travaux du Cercle Linguistique de Prague). დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პრალელი ფონოლოგები არ იცნობდნენ გიორგი ახვლედიანის ძალიან მაღალი სამეცნიერო მნიშვნელობის ნაშრომებს ზოგად და ექსპერიმენტულ ფონეტიკაში ისევე, როგორც მის სტატიებს ინდოევროპულ და ინდოირანულ ენათმეცნიერებაში. რომ არა რუსეთის 1917 წლის რევოლუცია და მისი შედეგები, სრულიად შესაძლებელი იყო გიორგი ახვლედიანი, ნიკოლოზ ტრუბეცკოი, სერგეი კარცევსკი და რომან იაკობსონი სხვა კოლეგებთან ერთად შეხვედროდნენ ერთმანეთს რომელიმე სამეცნიერო ფორუმზე.

ნიკოლოზ ტრუბეცკოი, რომელმაც ფონოლოგიისა და ფონეტიკის გამიჯვნა ენისა და მეტყველების სოსიურისეულ დიქტომიას დაამყარა (სხვათა შორის, ეს არის ერთადერთი შემთხვევა, რომ ნიკოლოზ ტრუბეცკოი სოსიურს იმონებეს), ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს იდეა უფრო ადრე, რუსულ ენათმეცნიერებაში შეიქმნა: ბოდუენ დე კურტენე იყო პირველი ენათმეცნიერი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ბგერა შეიძლება შევისწავლოთ როგორც ფიზიკური მოვლენა ან როგორც საზოგადოებაში კომუნიკაციისათვის გამოყენებული სიგნალი<...> მაგრამ ბოდუენ დე კურტენეს იდეები არ იყო ცნობილი ენათმეცნიერთა ფართო წრეებისათვის (მას ჰყავდა ძირითადად რუსი და პოლონელი სტუდენტები) და ამის გამო არ ექცეოდა ამ მიგნებას ჯეროვანი ყურადღება (ტრუბეცკოი 1960:11). სწორედ პოლიტიკური მიზეზების გამო მოხდა ის ფაქტი, რომ ფონოლოგიის ფუძემდებელი ლინგვისტები ბოდუენ დე კურტენეს მონაფეები არ იყვნენ. ტრუბეცკოი დანაწიებით წერდა: ლინგვისტა პირველ საერთაშორისო კონგრესზე ჰააგაში სამმა რუსმა ენათმეცნიერმა, რომელთაგან „წმინდა შემთხვევითობის გამო,“ არცერთი არ იყო ბოდუენ დე კურტენეს საენათმეცნიერო სკოლიდან, ჩამოაყალიბა მოკლე პროგრამა, რომელშიც მკვეთრად იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული სამეტყველო და ენობრივი ბგერების შემსწავლელი საენათმეცნიერო დარგები – ფონეტიკა და ფონოლოგია (ტრუბეცკოი 1960:11).

გიორგი ახვლედიანის ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკის საფუძველი, შეიძლება ითქვას, რომ სათავეს სწორედ ბოდუენ დე კურტენეს სკოლიდან იღებს, რადგან მას ასწავლიდა კურტენეს მონაფე ლეე შჩერბა, რომელსაც პოლივანოვთან ერთად დიდ შეფასებას აძლევდა ნ. ტრუბეცკოი ბოდუენ დე კურტენეს იდეათა გაღრმავებისა და გავრცელებისათვის. სწორედ ლ. შჩერბამ დიდად განსაზღვრა გიორგი ახვლედიანის სამეცნიერო ინტერესები. შჩერბას მონაფეობამდე გ. ახვლედიანს დამთავრებული ჰქონდა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. უნივერსიტეტში სწავლისას მან დანერგა ნაშრომი „ლიკვიდე-

ბისა და ნაზალი კონსონანტების ისტორია სანსკრიტში, ბერძნულში, ლათინურსა და სლავურ ენებში". ამ კვლევას ძალიან მაღალი შეფასება მისცა ხარკოვის უნივერსიტეტის პროფ. ი. ენძელინმა (ენძელინი 1914:7-10), რომელიც იმ დროს ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების აღიარებული ავტორიტეტი იყო. სწორედ მისი ხელმძღვანელობით ემზადებოდა საპროფესოროდ ხარკოვის უნივერსიტეტში 1914-1915 წლებში გიორგი ახვლედიანი. ცოტა ხანში იგი გაგზავნეს პეტროგრადის უნივერსიტეტში, სადაც ისმენდა ქართულ ფილოლოგიაში ნიკო მარის, ირანულ ფილოლოგიაში – კ. ზალემანისა, ინდურ ფილოლოგიაში – თ. შერბაცკისა და ზოგად და ექსპერიმენტულ ფონეტიკაში – ლ. შჩერბას ლექციებს (ახვლედიანი 1978).

სხვათა შორის, მოგვიანებით, როცა გიორგი ახვლედიანი მსჯელობდა ფონეტიკისა და ფონოლოგიის მიმართებაზე, სპეციალურად ამახვილებდა ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ პრალის ლინგვისტური სკოლის წარმომადგენლები რომან იაკობსონი და ნიკოლოზ ტრუბეცკოი ბოდუენ დე კურტენესა და შჩერბას მონაფეები იყვნენ. ბგერის დისტინქტური ფუნქცია უკვე შემჩნეული ჰქონდათ XIX საუკუნის 60-იან წლებში, მაგრამ ფონემის თეორია ბოდუენ დე კურტენემ შექმნა მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში და იგი განავითარეს მისმა მონაფეებმა – კრუშევსკიმ და შჩერბამ.

სწორედ ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ახვლედიანსა და პრადლელ ფონოლოგებს საერთო ძირები აქვთ, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ არის თეორიათა ერთიანობისათვის. გიორგი ახვლედიანის ფონეტიკის არც ერთ სახელმძღვანელოში და არც ერთ სტატიაში არ გაუმიჯნავს ფონეტიკა და ფონოლოგია, თუმცა აღიარებდა ფონოლოგიის დიდ მნიშვნელობას ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისა და ექსპერიმენტული ფონეტიკის განვითარებისთვის, მაგრამ ფონოლოგია ყოველთვის ფონეტიკის დარგად მიაჩნდა. მის ნიგუნებში არსად არ ჩანს ტერმინი – ვარიანტი, რომელსაც ტრუბეცკოი ყენებს. მიუხედავად იმისა, რომ „ვარიანტი“ (და „ალოფონი“) გიორგი ახვლედიანთან გამოყენებული არ არის, იგი ერთმანეთისაგან ყოველთვის მიჯნავს ბგერას და ფონემას.

ნიკოლოზ ტრუბეცკოისთვის ფონემა არის მოცემული ენის უმცირესი დისტინქტური ერთეული. „ფონოლოგიის საფუძვლებში“ იგი თავად აკვირდება ტერმინ ფონემის გამოყენებისა და მისი განსაზღვრების ისტორიას. ყურადღებას ამახვილებს ლ. შჩერბასა (1912:14) და იაკოვლევისეულ (1928) განმარტებებზე. ნ. ტრუბეცკოი ფონემის განსაზღვრაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იაკობსონისეულ ფორმულირებას, რომელიც მან 1929 წელს რუსული ფონოლოგიის ევოლუციის შესახებ ფრანგულად დაწერილ ნაშ-

რომში მოგვცა: „ფონოლოგიური ოპოზიციის ყველა წევრი, რომელიც არ დაიშლება მეორე რიგის უფრო მცირე ფონოლოგიურ ოპოზიციებად, არის ფონემა“ (იაკობსონი 1929:5). მცირეოდენი სახეცვლილებით ფონემის ეს განმარტება შევიდა „სტანდარტიზებული ფონოლოგიური ტერმინოლოგიის პროექტში“ (იაკობსონი 1930: 31)

გიორგი ახვლედიანის არც ერთი პერიოდის ნაწერში არ ჩანს ბოლომდე ფონემის ასეთი გაგება, თუმცა ფონემას ბგერებისგან იმით გამოარჩევს, რომ მას სიტყვათგანმასხვავებლური ანუ დისტინქტური ფუნქცია აქვს. ყველა ფონემა ბგერაა, მაგრამ ყველა ბგერა ფონემა არ არის. სწორედ ამ ცნებებს აფუძნებს ახვლედიანი ენათა ფონოლოგიური სისტემის კვლევას. როგორც აღვნიშნეთ, იგი არ იყენებს ტერმინებს – ალოფონი და ვარიანტი, თუმცა სპეციალურად განიხილავს ბგერათა მონაცვლეობის ისეთ სახეებს, რომლებსაც სიტყვის მნიშვნელობის ცვლილება არ მოსდევს. მათ აღსანიშნავად იყენებს ტერმინებს: ტოლფუნქციანი და უტოლფუნქციო (ახვლედიანი 1999:279).

როგორცა ჩანს, გიორგი ახვლედიანი მხოლოდ მას შემდეგ გაეცნო ნიკოლოზ ტრუბეცკოის ნაშრომს, რაც იგი ითარგმნა გერმანულიდან რუსულად და გამოიცა საბჭოთა კავშირში. იქამდე გიორგი ახვლედიანი დამოუკიდებლად ავითარებდა თავის მოსაზრებებს ქართული ენის თანხმოვანთა სამეულებრივ სისტემაზე. მის მიერ გამოთქმული შეხედულებანი ქართული ენის თანხმოვანთა კლასიფიკაციის შესახებ ჩამოყალიბებულია 1922-1926 წლებში გამოქვეყნებული სტატიებში (რომლებიც შემდეგ შევიდა სახელმძღვანელოში „ენათმეცნიერების პროპედევტიკა და ზოგადი ფონეტიკა„ (1932), და ქართული ენის თანხმოვანთა სისტემის ნაწილი უცვლელად იბეჭდებოდა მისივე „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლებში“ (ბოლო გამოცემა – 1999). ამათგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა 1923 წელს „თბილისის უნივერსიტეტის მოამბეში„ დაბეჭდილი სტატია ქართულში მკვეთრი ხშულების შესახებ (ახვლედიანი 1922-23:113-128).

გ. ახვლედიანმა თავიდანვე მიაქცია ყურადღება ქართული ენის თანხმოვანთა სისტემის ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს. ეს არის ყრუ აბრუპტივი<sup>1</sup> თანხმოვნების არსებობა. თუ ერთმანეთს შევადარებთ ქართულ, რომანულ, გერმანიკულ და სლავურ ენებს, აშკარა გახდება, რომ ინდოევროპულ ენებში გვაქვს ორი სახის წყვილეულები – ხშული თანხმოვნებით და ნაპრალოვანი თანხმოვნ-

<sup>1</sup> გიორგი ახვლედიანის სამეულთა სისტემის დახასიათებისას რომან იაკობსონი აღნიშნავს, რომ „აბრუპტივი„ არის გ. ახვლედიანის პერსონალური ტერმინი, რომლის ინგლისური ცალია: ejective (alias "glottalized") (იაკობსონი 1968:221), თუმცა ეს ადგილი რედაქტირებულია 1971 წლის გამოცემაში (იხ. იაკობსონი 1971:721).

ნებით მიღებული წყვილულები, ხოლო ქართულში ნაპრალოვნები ქმნიან წყვილულებს, ხშულები და აფრიკატები კი – სამეულებს.

ქართული	ინდოევროპული ხშულები
b – p – p'	b – p
d – t – t'	d – t
g – k – k'	g – k
z – c – c'	z – c
ჰ – ჭ – ჭ'	ჰ – ჭ

ჯერ კიდევ 1923 წელს წერდა გიორგი ახვლედიანი: „ქართული ენის ერთ-ერთი სპეციფიკური მახასიათებელი არის აბრუპტივების, ანუ აბრუპტივი თანხმოვნების არსებობა. ამ ბგერების წარმოქმნის დროს სახმო სიმები დახშულია, ხოლო ბგერის წარმოება ხდება პირის ღრუში არსებული ჰაერით. ქართულში ექვსი აბრუპტივია. ისინი ჰომორგანულ თანხმოვნებთან ერთად ქმნიან ქართულ თანხმოვანთა სამეულებრივ სისტემას“. 1959 წელს ახვლედიანი ერთმანეთს ადარებს ქართულ და ინდოევროპული ენების ხშულებს: მაგალითად, სლავეურ, რომანულ და გერმანიკულ ხშულ წყვილულებს (მყლერი – ყრუ) – b-p, d-t, g-k ქართულში შეესატყვისება თანხმოვანთა ჰომორგანული ტრიადები (მყლერი – ფშვინვიერი – აბრუპტივი): ბ-ფ-პ; დ-თ-ტ; გ-ქ-კ. სამეულებრივ სისტემასთან ერთად არსებობს თანხმოვანთა ოთხეულბრივი სისტემა, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულ რიგში შეიძლება იყოს ოთხი კომპონენტი: მყლერი – ყრუ ფშვინვიერი – აბრუპტივი – პრერუპტივი. პრერუპტივი არსობრივად არის ყრუ ფშვინვიერი, ოღონდ ფშვინვა ამ შემთხვევაში მინიმალურია. პრერუპტივი უცხო არ არის არაკავკასიური ენებისთვის (ახვლედიანი 1959:41-47). ენათმეცნიერები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩრდილო და სამხრეთკავკასიურ ენებს საერთო წარმოშობა აქვთ, უშვებენ იმის შესაძლებლობას, რომ სამეულთა სისტემა ოთხეულთა სისტემის დასუსტების გამო წარმოიქმნა (როგავა 1943).

ნიკოლოზ ტრუბეცკოის ფონოლოგიური თეორიიდან ამჟამად ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, თუ რა მნიშვნელობით იყენებს იგი ტერმინ კორელაციას და როგორი ფონოლოგიური ოპოზიციები ქმნის კორელაციურ კონებს. ნ. ტრუბეცკო წერს: „საჭიროა პრივატული, პროპორციული, მრავალგანზომილებიანი ოპოზიციები გავმიჯნოთ სხვა ოპოზიციებისაგან სპეციალური ტერმინით. ამ მიზნით ვიყენებთ ტერმინ *კორელაციას*. კორელაციურ წყვილში ვგულისხმობთ ორ ისეთ ფონემას, რომლებიც არიან ლოგიკური პრივატული პროპორციული მრავალგანზომილებიანი


ოპოზიციის ნევრები. კორელაციური თვისება (ნიშანი) ფონოლოგიურია, რომელის არსებობა-არარსებობა ახასიათებს კორელაციურ კონებს" (ტრუბეცკოი 1960:95).

ცალკე საკითხია, რამდენი ფონემა შეიძლება იყოს ჩართული კორელაციურ ურთიერთობებში. ამასთან დაკავშირებით ნ. ტრუბეცკოი წერდა (ტრუბეცკოი 1960:96-7): თუ ფონემა მონაწილეობს ერთი და იმავე მონათესავე კლასის კორელაციებში, მაშინ იმავე კორელაციურ წყვილებში მონაწილე ფონემები ქმნიან მრავალწევროვან კორელაციურ კონას. ასეთი კორელაციური კონის სტრუქტურა მრავალფეროვანია. იგი დამოკიდებულია არა მხოლოდ კორელაციათა რაოდენობაზე, არამედ ნევრებს შორის მიმართებაზეც. ყველაზე ხშირად გვხვდება ისეთი კორელაციური კონები, რომლებშიც გაერთიანებულია ორი მონათესავე კორელაცია. თუ თითოეული კორელაციის ორივე ნევრი მონაწილეობს სხვა კორელაციაშიც, მაშინ იქმნება ოთხწევროვანი კორელაციური კონა. ასეთი კორელაციური კონები ჰქონდა სანსკრიტს:

p-ph	t-th	k-kh
b-bh	d-dh	g-gh

ოთხწევროვანი კორელაციური კონა სანსკრიტში გამოწვეულია იმით, რომ წყვილის თითოეული ნევრი მონაწილეობს მჟღერობა-სიყრუისა და ფშვინვიერობის კორელაციაში. b-p და bh-ph ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც მჟღერი და ყრუ, ხოლო p-ph და b-bh კი ერთმანეთისაგან ფშვინვიერობა-არაფშვინვიერობით უპირისპირდებიან. ოთხწევრიანი კორელაციური კონები ახასიათებს ჩეჩნურს, რაც გამოწვეულია იმით, რომ ჩრდილო კავკასიურ ენებში არსებობს ოთხი სერია: მჟღერი, ყრუ ფშვინვიერი, ყრუ პრერუპტივი, ყრუ აბრუპტივი (იხ. ზემოთ).

თუ ორ კორელაციურ წყვილს აქვს ერთი საერთო ნევრი, მაშინ იქმნება სამწევროვანი კორელაციური კონა, როგორც ეს ჰქონდა ძველ ბერძნულს.



საწევროვანი კორელაციური კონა ძველ ბერძნულში მიიღება იმის გამო, რომ ეს ხშული თანხმოვნები ერთმანეთს უპირისპირდებიან მჟღერობა-სიყრუისა და ორი განსხვავებული სიყრუის – ფშვინვიერობისა და პრერუპტივი თუ აბრუპტივი თანხმოვნების არსებობის გამო.

თუ კონაში ერთიანდება სამი მონათესავე კორელაცია, მაშინ თეორიულად დასაშვებია ასეთ კონაში 4-დან 8-მდე ნევრის არსე-

ბობა. ამის საილუსტრაციოდ ნ. ტრუბეცკოი იმონებს მაგალითებს ქართული ენიდანაც, რომელშიც, მისი აზრით, არსებობს ხუთნევროვანი კორელაციური კონა (ტრუბეცკოი 1960:97):

ც	ჭ
z c	ʒ ɕ
z s	ʒ ʃ

ქართულის მაგალითი ნიკოლოზ ტრუბეცკოის სწორად არა აქვს დასახელებული. ქართულში ბერძნულის მსგავსად სამწევროვანი კორელაციური კონები გვაქვს. აქ დასახელებულ მაგალითში აფრიკატების (ხმულ-ნაპრალოვნების) მიერ შექმნილ სამეულთა სისტემას ემატება ნაპრალოვანი წყვილეულები, რითაც ირღვევა კორელაციური კონის შექმნის თავად ტრუბეცკოის მიერ დადგენილი წესები (შდრ. წინა პარაგრაფში დამოწმებული მაგალითები ტრუბეცკოის წერილიდან).

გიორგი ახვლედიანის მსჯელობა ქართული ენის სამეულთა სისტემაზე ამჟღავნებს საოცარ მსგავსებას ნ. ტრუბეცკოის „ფონოლოგიის საფუძვლებში“. სპეციალურად განხილულ კორელაციისა და ფონემათა კორელაციური კონების შესახებ მსჯელობასთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას შემდეგ, რაც გაეცნო ტრუბეცკოის წარმოდგენებს ფონემათა კორელაციური კონების შესახებ, ახვლედიანი დაინტერესდა თანხმოვანთა სამეულებრივი სისტემების ძიებით სხვადასხვა ენებში (ამას ადასტურებს მრავალი ენის მონაცემები, რომლებიც სპეციალურად უგროვებია გიორგი ახვლედიანს). მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართული და ძველი ბერძნული ენების თანხმოვანთა სისტემების მსგავსებას და დასვა საკითხი ამ ენათა მიმართების ახლებურად განხილვის თაობაზე, კერძოდ კი, ინდოევროპულ და ქართველურ ენათა ისტორიული ურთიერთობის შესახებ როგორც ტიპოლოგიური, ისე ენობრივი კავშირის ფარგლებში ენათა მიმართების თვალსაზრისით. გიორგი ახვლედიანს მოუშადადებია წინასწარი მოხსენება „ხმულ თანხმოვანთა სამეულებრივი სისტემის შესახებ ქართულსა და ძველ ბერძნულში“, რომელიც დაბეჭდილია მხოლოდ კონფერენციის თეზისების კრებულში.


გ. ახვლედიანმა საკითხი დასვა ასე – არის თუ არა ძველი ბერძნული ენის ტრიადის წევრებს შორის ისეთივე მიმართება, როგორიც გვაქვს ქართული ენის სამეულთა სისტემაში. ძველ ბერძნულს არა აქვს აფრიკატების მიერ შექმნილი სამეულები. ძველი ბერძნული სამეულის პირველი წევრები მჟღერი თანხმოვნებია, მეორე წევრები – ფ(ფ), მ(თ), ჯ(ქ) ყრუ ფშვინვიერი უნდა იყოს, თუ ვიმსჯელებთ იმ ძველბერძნული სიტყვების ლათინური დანერილობით, რომლებიც ქართულს ძველი ბერძნულიდან უსესხია. მაგალითად, ფაეტონი φαετων (ლათინური დანერილობით phaethon). ფ გადმოი-



ცემა ლათინურში როგორც ph, ხოლო მ - როგორც lh, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ორივე ფშვინვიერია.

ბერძნულ თანხმოვანთა სამეულებრივი სისტემის მესამე ნეკრის დახასიათებისას გიორგი ახვლედიანი იჩენს სიფრთხილეს. შეიძლება ჩაითვლოს თუ არა, რომ ეს ნეკრი აბრუპტივია. ქართულის მსგავსი თანხმოვანთა აბრუპტივიანი სამეულებრივი სისტემები აქვთ სომხურსა და ოსურს. გიორგი ახვლედიანი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ სხვა არც ერთ ინდოირანულ ენას, რომელიც არ არის გავრცელებული კავკასიის რეგიონში, აბრუპტივები არა აქვს. ერთადერთი ინდოირანული ენა, რომელსაც მოეპოვება სამეულთა სისტემა არის ქურთული, მაგრამ მას აბრუპტივები არ ახასიათებს. გამონაკლისია მხოლოდ აზერბაიჯანში გავრცელებული ორი მცირე ირანული ჯგუფის ენა - ტალიშური და თათური, რომლებსაც არ შეუთვისებიათ სამეულთა სისტემა. აქედან გ. ახვლედიანი აკეთებს დასკვნას, რომ აბრუპტივები უნდა დავაკავშიროთ კავკასიის რეგიონთან, რადგან სწორედ აქ გავრცელებულ ენებს ახასიათებთ ისეთი სამეულებრივი და ოთხეულებრივი სისტემები, რომლებიც აბრუპტივს შეიცავენ. ახვლედიანის ხელნაწერებიდან ჩანს, როგორ არკვევდა ბერძნული სამეულების შედგენილობას და როგორ ქმნიდა ისეთი ენების ჩამონათვალს, რომლებსაც აბრუპტივი აქვთ, მაგრამ მან კავკასიის რეგიონში გავრცელებული ენების გარდა სხვაგან თანხმოვანთა ასეთი სისტემა ვერ ნახა (იხ. ქვემოთ მოცემული ორი გვერდი გიორგი ახვლედიანის ხელნაწერებიდან).

Handwritten notes and stamps in Georgian script. The top row contains three distinct stamps or signatures. The middle row has two circular stamps. The bottom right features a large, prominent circular stamp with the number '56' and other illegible text. Below these are several lines of handwritten text, some appearing to be a list or index.



სხვათა შორის, რამდენიმე ჩრდილო-კავკასიურ ენაში არ არის აბრუპტივი პ (p'), მაგალითად, ანდიურში, ხუნძურში, ბოთლიხურ და სხვა რამდენიმე ენაში. შაკვრიველია, რომ გიორგი წერეთელი არ იმონებებს გ. ახვლედიანის აზრს, როცა მსჯელობს კავკასიური და წინააზიური ლინგვისტური არეალის თანხმოვანთა სისტემებზე; კერძოდ, ინდურ-ირანული ენის, ქურთულის, ხშულთა და აფრიკატთა სა-

მეული რიგით ქართულ-სომხურ-ოსურთან სიახლოვეზე (წერეთელი 1968:025).

ამავე პერიოდში, ანუ სამოციანი წლების დასაწყისში, გიორგი ახვლედიანი ეცნობა რომან იაკობსონის ნაშრომს ტიპოლოგიური და ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მიმართების შესახებ (იაკობსონი 1963) და სვამს საკითხს, რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ქართულის მსგავს სამეულებრივ კორელაციურ კონებს – რად უნდა ჩაითვალოს ეს: ამ ენათა გენეტიკური ერთიანობის ნიშნად, მათი ურთიერთგავლენის შედეგად თუ უბრალოდ ტიპოლოგიურ მახასიათებლად.

რომან იაკობსონი, როგორცა ჩანს, ახვლედიანის ნაშრომს ქართული და კავკასიური აბრუპტივების შესახებ გაეცნო 1951 წელს ლ. შჩერბასადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებულიდან, რომელიც ლენინგრადში დაიბეჭდა (ახვლედიანი 1951), მაგრამ გიორგი ახვლედიანს ქართული ენის ბგერითი სისტემის, განსაკუთრებით კი, აბრუპტივი თანხმოვნების შესახებ გამოქვეყნებული აქვს შრომები 1922–1926 წლებში (იხ. ზემოთ). მოგვიანებით რომან იაკობსონმა დანერა სპეციალური ნაშრომი აბრუპტივების შესახებ, რომელიც დაიბეჭდა 1968 წელს მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ელექტრონული კვლევის ლბორატორიის კვარტალურ ანგარიშში (იგი ინახება მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის არქივებისა და სპეციალურ კოლექციათა ინსტიტუტში)<sup>1</sup>. ამ კვლევის ერთ მოზრდილ ნაწილში იაკობსონი მაღალ შეფასებას აძლევს გიორგი ახვლედიანის წელიწად ქართული და კავკასიური აბრუპტივების კვლევის საქმეში. იაკობსონის ეს წერილი იმავე წელს შევიდა გიორგი ახვლედიანის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კრებულში, ხოლო მოგვიანებით იაკობსონმა იგივე წერილი შეიტანა თავისი შრომების პირველი ტომის მეორე გამოცემაში 1971 წელს. თუ ერთმანეთს შევადარებთ ამ წერილებისთვის დართულ სამეცნიერო ბიბლიოგრაფიას, ვნახავთ, რომ მხოლოდ საქრთველოში გამოცემულ წერილშია დამონებული გ. ახვლედიანის ქართული შრომები, რომელთაგან სიახლით განსაკუთრებული ღირებულებისაა 1923 თბილისის წელს თბილისის უნივერსიტეტის მოამბეში გამოქვეყნებული წერილი „მკვეთრნი ხშულნი ქართულში“. მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ელექტრონული კვლევის ლაბორატორიის კვარტალურ ანგარიშში კი მხოლოდ ზოგადი

---

<sup>1</sup> ნაშრომის სქოლიოში აღნიშნულია კვლევის დამფინანსებელი მხარეები: „This work was supported by the National Institutes of Health (Grant MH-13390-02) and the Joint Services Electronics Programs (U. S. Army, U. S. Navy, and U. S. Air Force) under Contract DA 28-043-AMC-02536(E)„ R. Jakobson, MC 72. Institute Archives and Special collection, MIT Libraries, Cambridge, Massachusetts, Box 18, Folder 18 (იაკობსონი 1968:221)

მითითებაა ქართულად დაწერილი ნაშრომების შესახებ („Several studies in Georgian“, იაკობსონი 1968:226).

პოლ ფელონი, რომელსაც ეკუთვნის მნიშვნელოვანი ნაშრომი „აბრუპტივების სინქრონული და დიაქრონული ფონოლოგია“, არ მოიხსენიებს გიორგი ახვლედიანს, როგორც აბრუპტივთა მკვლევარს. იგი იცნობს მის ნაშრომს მხოლოდ იაკობსონის წერილიდან აბრუპტივების შესახებ და აღნიშნავს, რომ აბრუპტივების კვლევა ძალიან ფრამგმენტულად ხდებოდა ევროპაში. აბრუპტივების აღწერა და წარმოება ენათმეცნიერებისათვის ასეულობით წლის მანძილზე დიდი პრობლემა იყო. ფელონის დაკვირვებით, 1661 წელს აბრუპტივები სწორადაა აქვს აღწერილი ლუდოლფს (*Grammatica Athiopica, a grammar of Amharic*) და სპეციალური ნიშნით – აპოსტროფითაც – გადმოსცემს მათ. აბრუპტივთა პირველ მკვლევრად ფელონი ასახელებს დოკს, რომელმაც 1923 წელს გამოაქვეყნა „ზულუს ენის ფონეტიკა“. გასაკვირია, რომ ტრუბეცკოის იდეურმა თანამებრძოლმა და მეცნიერებაში თანამოაზრემ არ იცოდა, რომ კავკასიურ ენებში აბრუპტივების არსებობა უკვე შემჩნეული ჰქონდათ XIX საუკუნის 60-იან წლებში ა. შეგრენს, პ. უსლარსა და ე. ზივერსს. ამ ავტორებს ხშირად ასახელებდა გ. ახვლედიანი „კავკასიურ მკვეთრებზე“ მსჯელობისას, თუმცა იქვე მიუთითებდა, რომ საკითხის მეცნიერული დამუშავება ქართველ ლინგვისტთა დამსახურება იყო (ახვლედიანი 1959). თავის მხრივ, არც გ. ახვლედიანისთვის იყო ცნობილი რომან იაკობსონისა და ნიკოლოზ ტრუბეცკოის შრომები სხვადასხვა ენის ბგერითი სისტემებისა და ზოგადი ფონოლოგიის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური მიზეზების გამო იაკობსონი და ახვლედიანი ერთმანეთის ნაწერებს დაახლოებით ორმოცი წლის დაგვიანებით გაეცნენ.

მოგვიანებით აბრუპტივებმა შესაბამისი ადგილი დაიკავეს წინარე-იდოევროპული ენის ხშულთა სისტემაში. ეს თეორია ცნობილია გლოტალური თეორიის სახელით, რომელზეც სპეციალურად ვიმსჯელებთ შემდეგ თავში.

### §1. „ენობრივი კავშირის“ ნაკლოვანებები ბურჟუაზიული ენათმეცნიერების კრიტიკის ფონზე

1917 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთიდან ემიგრირებულმა ნიკოლოზ ტრუბეცკოიმ ორი მიშვნელოვანი სტატია დაწერა ენობრივი კავშირების შესახებ: „რუსეთის ზედა და ქვედა ფენები (რუსული კულტურის ეთნიკური საფუძველი)“ (ტრუბეცკოი 1921:86-103) და „ბაბილონის გოდოლი და ენათა აღრევა“ (ტრუბეცკოი 1923:107-124). ეს სტატიები ისეთ დროს დაწერა, როცა საბჭოთა კავშირს რკინის ფარდა ჰყოფდა მთელი მსოფლიოსაგან და საბჭოთა მეცნიერთა აკადემიური ურთიერთობები უცხოელ კოლეგებთან მკაცრად იყო რეგალმენტირებული.

რა თქმა უნდა, მეცნიერთა დაუბრკოლებელი ურთიერთობისათვის სასურველი იყო საბჭოთა ენათმეცნიერებს შესაძლებლობა ჰქონოდათ შუამავლის გარეშე ეკითხათ, აზრი გამოეთქვათ და საჭიროების შემთხვევაში განეხილათ ემიგრირებული ლინგვისტების მოსაზრებები. ახლა იქნებ ძალიან გასაოცრადაც გამოიყურება ის ფაქტი, რომ საბჭოეთში მომუშავე ენათმეცნიერები ვერ ეცნობოდნენ უცხოურ სპეციალურ ლიტერატურას ან ისეთი დროს აღწევდა მათთან, როცა აქტუალობა უკვე დასუსტებული ან დაკარგული ჰქონდა. იგივე ითქმის პრალის ლინგვისტურ სკოლაში ჩამოყალიბებული ენობრივი კავშირის ცნებაზეც. მაგალითად, როცა არნოლდ ჩიქობავა სპეციალურად მსჯელობს ენათა ნათესაობის დადგენის კრიტერიუმებზე, იგი ხაზგასმით უთითებს, რომ ნ. ტრუბეცკოის ნერილის არსებობა იცის, მაგრამ არ ნაუკითხავს, რადგან ხელი არ მიუწვდებოდა ამ ნაშრომზე: „საერთო ნიშან-თვისებები ენათა დაახლოების შედეგადაც შეიძლება მივიღოთ. ინტეგრაციის პროცესის შედეგი ემსგავსება იმ მდგომარეობას, რომელიც დიფერენცირებულ მონათესავე ენათა ურთიერთობას ახასიათებს. ინტეგრაციის ამ პროდუქტის აღსანიშნავად უკანასკნელ ხანებში გაჩნდა ტერმინი „ენათა კონა“ (Sprachbund). ესაა ენათა ჯგუფი, რომელსაც საერთო წარმოშობა არ აკავშირებს, მაგრამ საერთო ნიშან-თვისებები აქვს ლექსიკაში, ბგერათა სისტემაში (ფონოლოგიურ სისტემაში) და მორფოლოგიურ სტრუქტურაში. ტერმინი შემოღებულია ნ. ტრუბეცკოის მიერ, რომელმაც სცადა ეს ცნება მოემარჯვებინა ენათა ურთიერთობის დასახასიათებლად“ (ჩიქობავა 1945:228). როგორც სქოლიოდან ირკვევა, ჩიქობავა გულისხმობს ტრუბეცკოის ნერილს „ფიქრები ინდოევროპულ პრობლემაზე“, რადგან ასახელებს ტრუბეცკოის გარდაცვალების შემდეგ

ჟურნალ „აქტა ლინგვისტიკის“ („Acta Linguistica“) მესამე ნაწილში გამოქვეყნებულ სტატიას. სამწუხაროდ, – წერს არნ. ჩიქობავა, – ეს შრომა ხელთ არა გვაქვს და ამიტომ არსებითად ახალი ცნების („ენათა კონის“) შესახებ აქ ვერ ვიმსჯელებთ. ადრე ეს ცნება ტრუბეცკოის უნდა ჰქონდეს წამოყენებული მოხსენებაში ენათმეცნიერთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე 1930 წელს. არნოლდ ჩიქობავა ამ ინფორმაციას იმონებს დეეტერსის წერილის მიხედვით (ჩიქობავა 1945:228).

ასეთივე ვითარებაა მოგვიანო პერიოდშიც. სამოციან წლებშიც კი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის პერიოდულ გამოცემაში „ენათმეცნიერების საკითხების“ („Вопросы Языкознания“) რამდენიმე ნომერში არის სტატიები ენობრივი კავშირის შესახებ, რომელთა ავტორები ამ საკითხზე დანეროდ ნ. ტრუბეცკოისა და რ. იაკობსონის ყველა შრომას არ იცნობენ.

ენობრივი კავშირის ცნება საბჭოთა ენათმეცნიერებაში განიხილებოდა ბურჟუაზიული ენათმეცნიერების, კერძოდ, სტრუქტურალიზმის უარყოფითი დახასიათების კონტექსტში. ერთ-ერთი პირველი წერილი, რომელშიც ეს ცნება ნახსენებია, არის ოლდრიუ ლეშკას „სტრუქტურალიზმის საკითხისათვის (გრამატიკის ორი კონცეფცია პრალის ლინგვისტურ წრეში)“, რომელიც დაიბეჭდა შედარებით ახლადდაარსებულ სამეცნიერო ჟურნალ „ენათმეცნიერების საკითხებში“ („Вопросы Языкознания“) 1953 წელს. როგორც სათაურიდან ჩანს, მისი მიზანი გრამატიკული კონცეფციების განხილვაა, მაგრამ ავტორი ჩვენთვის საინტერესო საკითხსაც ეხება. თავიდანვე დაწუნებულია ყველა კონცეფცია, რომელიც კი პრალის ლინგვისტურ წრეში შექმნილა ამ სამეცნიერო საზოგადოების სტრუქტურალისტური ანუ ბურჟუაზიული მიმართულების გამო. ეს არის იმ დროისათვის საბჭოთა ენათმეცნიერებაში გავრცელებული დამოკიდებულება სტრუქტურალიზმის მიმართ. საილუსტრაციოდ დავიმონებ ერთ-ერთი წერილის მხოლოდ სათაურს: „ლუი იელმსლევის გლოსემატიკა – როგორც თანამედროვე ბურჟუაზიული ენათმეცნიერების დაცემის გამოვლინება“ (იხ. ახმანოვა 1953:25-47). დიახ, საბჭოური შეფასებით, დანიური სტრუქტურალიზმის მდგომარეობა ბურჟუაზიული ენათმეცნიერების დაცემაზე მეტყველებს. იგივე ითქმის შვეიცარიულ (ჟენევის სკოლისა) და ამერიკულ სტრუქტურალიზმზე. ამ მიმართულებებს ასახელებს ო. ლეშკა და იქვე ამბობს, რომ უახლოეს პერიოდამდე ასეთი ცენტრი იყო პრალის ლინგვისტური წრეც (წერილი გამოქვეყნებულია 1953 წელს). იგი ხოტბას ასხამს სტალინის შრომებს ენათმეცნიერებაში, რომლებმაც მხოლოდ ნიკო მარის ანტიმარქსისტული თეორია კი არ ამხილა, არამედ საბოლოო დარტყმა მიაყენა ყველა

იდეალისტურ და ვულგარულ ანტიმარქსისტულ თეორიას. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (ალბათ იგულისხმება ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნები) ღრმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა გარდაქმნებმა გამოიწვია საენათმეცნიერო საქმის იდეოლოგიური და ორგანიზაციული გადაწყობა. ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო ნაშრომების გამოსვლის შემდეგ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ენათმეცნიერთა წინაშე მთელი სიმძაფრით დადგა ენათმეცნიერებაში მარქსიზმის დამკვიდრებისა და არამარქსისტული ლინგვისტური კონცეფციების ნარჩენებთან ბრძოლის საკითხი. „ენის ახალი თეორია“ (იგულისხმება ნიკო მარის იაფეტური თეორია) მარტო მარქსისტული ენათმეცნიერების შემუშავებას კი არ უშლიდა ხელს, არამედ აჩერებდა რეაქციული ბურჟუაზიული მიმართულებების კრიტიკას ლინგვისტიკაში. მარის მოძღვრების ზოგიერთი ნაწილი არსებითად ემთხვეოდა საზღვარგარეთული ბურჟუაზიული ენათმეცნიერების დასკვნებს, ზოგჯერ კი პირდაპირ ნასესხები იყო დასავლეთიდან. საზღვარგარეთულ ლინგვისტიკაში ბოლო ათწლეულების ყველაზე გავრცელებული მიამართულებაა სტრუქტურალიზმი, რომლის მხილება აუცილებელია, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ენათმეცნიერებებში გვხვდება მისი გავლენის მხოლოდ ერთეული შემთხვევები (ლემკა 1953:88-89).

მართალია, ლემკა ამ გამოკვლევას სტრუქტურალიზმის „ნაკლოვანებათა“ კრიტიკის მიზნით წერს, მაგრამ სწორად აჩვენებს სტრუქტურალიზმის ჩამოყალიბების გზას. „თანამედროვე ბურჟუაზიული ენათმეცნიერების სტრუქტურალისტური მიმართულება არის რეაქცია მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან გაბატონებულ ნეოგრამატიკულ თეორიაზე. განსაკუთრებით გამოვლინდა უკმაყოფილება ნეოგრამატიკოსთა ნააზრევის მიმართ ენათმეცნიერთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე 1928 წელს, როცა გაირკვა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა მსგავსი იდეები - ნეოგრამატიკოსთა ატომიზმის ნაცვლად ენის მიმართ მთლიანობრივი (ახლანდელ ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, პოლისტური) მიდგომა. ამავე კონგრესზე ასევე გამოიკვეთა ენათა ნათესაობის საკითხებისა და ისტორიზმის მიმართ ყურადღების მოდუნება (ლემკა 1953:89). ამით შეწუხებული მეცნიერი ოლდრიჟ ლემკა, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „რეაქციული ბურჟუაზია ცდილობს სამეცნიერო გამოკვლევები ჩამოაცილოს სინამდვილეს და საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამ გზას თუ გავყვებით, მეცნიერება კლასობრივი მიზნების მოსამსახურედ იქცევა. პრალის ლინგვისტური წრის ჩამოყალიბება სწორედ იმ პერიოდს ემთხვევა, როცა ბურჟუაზიამ გაიმარჯვა მუშათა მოძრაობაზე ჩეხოსლოვაკიაში. მაშინ პროლეტარიატი ძალებს იკრებდა ბურჟუაზიაზე თავდასხმისათვის <...> სტრუქტურალიზმს

ბევრი ისეთი პატიოსანი ადამიანი შეუერთდა, ვერასდროს რომ ვერ წამოიდგენდა ამას", - წერს ო. ლეშკა (ლეშკა 1953:89).

ყველაზე დიდ ცოდვად სტრუქტურალისტებს მოეკითხებათ ნიშანთა სისტემებისათვის სპეციალური დარგის - სემიოლოგიის შექმნა. მცდარ მიდგომად იყო გამოცხადებული სისტემურობა და ფუნქციონალიზმი, რომელიც ამ წრის ლინგვისტებმა მთავარ მოთხოვნად წაუყენეს ენის კვლევას როგორ სინქრონიული, ისე დიაქრონიული თვალსაზრისით. ლეშკას აზრით, წინააღმდეგობა გამოიხატება იმაში, რომ პრალის წრის წევრები უშვებენ გენეტიკურად არამონათესავე ენათა დაახლოების შესაძლებლობას და ამით ავლენენ სკეპტიციზმს ფუძეენის თეორიის მიმართ. სწორედ ფუძეენის თეორიისა და ენობრივი კავშირების ასეთი ურთიერთობის შედეგია ნ. ტრუბეცკოის წერილისა „Gedanken über das Indogermanen Problem“ (ტრუბეცკოი 1937), რომელშიც, მართალია, ავტორი არ გამორიცხავს ინდოევროპული ენების ნათესაობის შესაძლებლობას, მაგრამ მისი სტატია ინდოევროპულ ენათა ერთიანობას ენობრივი კავშირების თეორიაზე დაყრდნობით ხსნის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტრუბეცკოისთვის ამოსავალია ენათა ურთიერთგავლენა და შეჯვარება (смешение). აშშ-ის იმპერიალისტურ მიზნებს ემსახურება „ატლანტიკური ენობრივი კავშირის“ თეორია, რომელიც ძალიან გავრცელებულია დასავლეთში ბოლო დროს და უნდათ, რომ შექმნან მითი განსაკუთრებულ „დასავლურ“ მხარეზე თავისი კულტურითა და ენით. „ატლანტიკური ენობრივი კავშირის“ თეორია დასავლეთ ევროპის ენების სხვა ევროპულ ენებთან დაპირისპირების პირველი მცდელობა არ არის. ყველაზე მეტად ენობრივი კავშირის საკითხებზე მუშაობდა რ. იაკობსონი. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი შრომა „Über die phonologischen Sprachbünde“ (ლეშკა 1953:92).

თუ ოლდრიჟ ლეშკას დავეყრდნობით, ეს არაჯანსაღი სამეცნიერო საზოგადოება სწორ გზაზე დააუყენებია მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებას და საბჭოთა გავლენის მნიშვნელოვან გაძლიერებას აღმოსავლეთ ევროპაში. „1945 წლის მაისის შემდეგ მომხდარი ცვლილებები ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, აისახა პრალის ლინგვისტურ წრის შემადგენლობაზე. უმრავლესობას ესმოდა, რომ ძველ პოზიციებზე დარჩენა შეუძლებელი იყო, თუმცა ახალი გზა ჯერ არ ჩანდა. „ახალი მოძღვრების“ (ესე იგი მარის თეორიის, - თ.ბ.) პოპულარიზაციამ პრალის ლინგვისტური წრის განვითარება შეაფერხა და მისი წევრების დეზორიენტაცია გამოიწვია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვით სტრუქტურალიზმის თეორიას აქვს ისეთი მახასიათებლები, რომელმაც გააადვილა მასზე „ენის ახალი თეორიის“ გავლენა. სტრუქტურალიზმის ასეთ მახასიათებელად თვლის ო.



ლექსა, მაგალითად, „ენობრივი კავშირების“ აღიარებას (ლექსა 1953:102-103). სტრუქტურალიზმის ასეთი აღმაფრენა შეაჩერა ი. ბ. სტალინის შრომებმა ენათმეცნიერებაში, რომელთა ათვისება კვლავაც დააყენებს სწორ გზაზე ლინგვისტიკას ჩეხოსლოვაკიაში. ავტორი გამოთქვამს იმედს, რომ ამ მისიას წარმატებით შეასრულებს ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემია, რომელიც გააერთიანებს ჩეხოსლოვაკიის ყველა ლინგვისტს მარქსისტული ენათმეცნიერების შესაქმნელად (ლექსა 1953:103). აქ ჩანს, რა მიზნებს უსახავდა საბჭოთა იდეოლოგია მეცნიერებათა აკადემიებს (უფრო დანერვილებით საბჭოთა აკადემიებზე იხ. ვუცინიჩი 1984). ადვილი წარმოსადგენია, რა მძიმე ცხოვრება გაიარეს პრალის ლინგვისტური წრის ყოფილმა წევრებმა მეორე მსოფლიო ომის დროს და იმის შემდეგ ან რატომ გაიქცა რ. იაკობსონი ამერიკაში.

მაშინ, როცა ლექსა ნიკო მარის იაფეტური თეორიას ბრალად სდებდა პრალის ლინგვისტური წრის წევრებზე დეზინფორმაციულ გავლენას, ნიკოლოზ ტრუბეცკოის უკვე დიდი ხნის წინ ჰყავდა გაკრიტიკებული ნიკო მარი და, როგორც თვითონ ამბობდა, სირცხვილის ოფლს იწმენდა მარის თეორიის გამო უცხოეთში ემიგრირებული მეცნიერი. ძნელი სათქმელია, მარის თეორიამ მოახდინა თუ არა გავლენა პრალის ლინგვისტური წრის იდეებზე, თუმცა უდავოდ არის ბევრი რამ საერთო მათ თვალსაზრისებში ენობრივი ოჯახის წარმოქმნის საკითხში. ნ. მარი ნამდვილად ავითარებდა აზრს, რომ ერთი ფუძეების დაშლის შედეგად კი არ წამოიქმნა მონათესავე ენები, არამედ არამონათესავე ენათა შერევაა ამის მიზეზი (იხ. წინა თავი). ამ ნაწილში დიდი თანხვედრაა მარისა და ტრუბეცკოის თეორიებს შორის, მაგრამ არასოდეს ტრუბეცკოის დადებითად არ მოუხსენებია ნიკო მარი. მის დამოკიდებულებაზე თვალნათლივ მეტყველებს ნაწყვეტი იმ წერილიდან, რომელიც ტრუბეცკომ გაუგზავნა იაკობსონს.

„ძვირფასო რომან ოსიპის ძე,

დიდი მადლობა „ახალი აღმოსავლეთისთვის“ („Новый Восток“)<sup>1</sup>, რომელსაც ამ დღეებში გამოგიგზავნით ტრავნიჩკის ბროშურასთან ერთად (მან თვითონ გამოგიგზავნა ერთი ეგზემპლარი). მარის სტატია<sup>2</sup> აჭარბებს ყველაფერს, რაც კი აქამდე დაუ-

<sup>1</sup> „Новый Восток“ („ახალი აღმოსავლეთი“, სსრკ აღმოსავლეთმცოდნეობის კავშირის სამეცნიერო ჟურნალი, მ. პავლოვიჩის (ველმანის) რედაქციით, 5, მოსკოვი, 1924.

<sup>2</sup> ნ. მარი, იაფეტური თეორიისათვის, ჟურნალი „ახალი აღმოსავლეთი“, 5, 1924, გვ. 303-339.

წერია, მაგრამ მისი „დაჭედება“ რეცენზიაში<sup>1</sup> შეუძლებელია. ჯერ ერთი, სად უნდა გამოვაქვეყნო და, მეორეც, ჩემი ღრმა რწმენით, მისი რეცენზირება იმდენად ენათმეცნიერის საქმე არ არის, რამდენადაც ფსიქიატრის. მართალია, მეცნიერების საუბედუროდ, მარი ჯერ კიდევ ისე არ გაგიჟებულა, რომ მისი გამოკეტვა ყვითელ სახლში შეიძლებოდეს, მაგრამ ის რომ შეშლილია, ჩემი აზრით, ნათელია. მისი ნაწერი მარტინოვშჩინაა, უბრალოდ უკეთესი ფორმითაა გადმოცემული. თვით სტატიის აგებულებაც კი აჩვენებს, რომ იგი გონებრივად დაავადებული ადამიანის დაწერილია. საშინელებაა, რომ ამას უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ ამჩნევს. თუ შეიძლება მომწერეთ, იაკოვლევის ახალი მისამართი. მინდა, ის ნიგნი ვთხოვო, რომელზეც რეცენზია ნავიკითხე „ახალ აღმოსავლეთში“. თან კიდევ ერთხელ ვეცდები, ჩამოვაშორო მარს. მომიკითხეთ თქვენი მეუღლე და ნიკ. ნიკი.

თქვენი

თავადი ნ. ს. ტრუბეცკოი“

ეს წერილი გამოაქვეყნა რომან იაკობსონმა ტრუბეცკოის წერილებისა და შენიშვნების ცნობილ ნიგნში, რომელიც გამოვიდა ორჯერ: 1975 წელს – ინგლისურად და 2004 წელს – რუსულად. ჩვენ ვიყენებთ რუსულ გამოცემას, რადგან იაკობსონთან მიმონერის დიდი ნაწილი სწორედ რუსულ ენაზეა დაწერილი (ტრუბეცკოი: 1975/ 2004). ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იაკობსონის მიერ წერილისთვის დართული განმარტებების ის ნაწილი, რომელშიც მოთხრობილია, რა სახით დაიბეჭდა ტრუბეცკოის „ფიქრები ინდოევროპულ პრობლემაზე“ ჟურნალ „ენათმეცნიერების საკითხებში“: „ტრუბეცკოის მოსაზრება ნიკო მარის თეორიაზე უფრო დეტალურად გადმოცემული იყო მის სტატიაში „ფიქრები ინდოევროპულ პრობლემაზე“ (ეს არის რუსული ვერსია სტატიისა "Gedanken über das Indogermanen Problem" (1939:81-89), რომელიც უნდა დაბეჭდილიყო „ევრაზიულ ქრონიკაში“, 1939 წლის XIII ნომერში, მაგრამ ვერ გამოქვეყნდა, რადგან აიკრძალა ნაცისტების მიერ. წერილი ნაკლულად დაიბეჭდა „ენათმეცნიერების საკითხებში“ 1958 წელს. სტატიას წინ უძღოდა სარედაქციო განმარტება (იხ. ქრესტომათიაში ტრუბეცკოის ამ სტატიის შესაბამისი სქოლიო). ბოლო ნაწილში კი ნ. ტრუბეცკოი ასეთ აზრს ავითარებდა: „თუ ენათმეცნიერები აქამდე აგლუტანაციური ტიპის ენებს უფრო

<sup>1</sup> „ნიკოლოზ ტრუბეცკოიმ, რომელიც 1916 წლიდან გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა მარის ექსტრავაგანტური თეორიის გავრცელებას, სთხოვა რომან იაკობსონს, საამქარაოზე გამოეტანა მისი თალღითური პროექტები“, – დამონებულია რ. იაკობსონის დასახელებული ნიგნიდან.

პრიმიტიულ ენებად მიიჩნევენ, ვიდრე ფლექსიურ ენებს, ეს მხოლოდ ეგოცენტრული წინასწარი აკვიატება იყო". სწორედ ამ წინადადებას უძლოდა სტატიის ორიგინალში ნიკო მარის კრიტიკა, რომელიც რუსულ თარგმანში ამოღებულია. ამ გადაწყვეტილებას სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორი იმით ხსნის, რომ სტატიის გამოტოვებული ნაწილის შინაარსი არ არის უშუალოდ დაკავშირებული სტატიის თემასთან" (იხ. ქრესტომათია: ტრუბეცკოი, ფიქრები ინდოევროპულ პრობლემაზე). ძალიან საინტერესოა, რომ რედაქტორმა ეს ნაწილი ნ. ტრუბეცკოის სტატიიდან ამოიღო მაშინ, როცა ნიკო მარის იაფეტური თეორია უკვე მხილებული იყო და მისთვის თითო ქისტის წაკერა ყველა საბჭოთა ენათმეცნიერის მოვალეობად ითვლებოდა.

როგორცა ჩანს, ნიკოლოზ ტრუბეცკოი მართლა ძალიან ცდილობდა, რომ იაკოვლევს არ გადასულიყო მარის თეორიის მომხრეთა რიგებში და ხშირად სწერდა მას წერილებს ამ საკითხზე. 1922 წლის 20 დეკემბერს იაკობსონისადმი მიწერილი წერილის დანართში აღნიშნავს: „P.S. მე მივწერე უგრძესი წერილი იაკოვლევს, მისი პასუხი კი არ ჩანს. თუ მისწერთ, ჰკითხეთ, რაშია საქმე: ვაითუ, ეწყინა, რადგან მე ძალიან ვუგინე მარი და არ მოვუნონე მარით გატაცება. ნ. ტ.“ (ტრუბეცკოი 2004:40). ამ წერილთან დაკავშირებით რომან იაკობსონი მკითხველისთვის სქოლიოში ასეთ მინაწერს აკეთებს: „1915 წლიდან ნს (ამ ინიციალებით მოიხსენიებს ნიკოლოზ ტრუბეცკოის, ანუ – ნიკოლოზ სერგეის ძე, – თ. ბ.) გამუდმებით აფრთხილებდა იაკოვლევს, რა საფრთხე შეიძლებოდა მოჰყოლოდა მარის ლინგვისტური მოძღვრებისა და მისი ავანტურისტული შედარებითი კვლევების განვითარებასა და გავრცელებას. ნ. იაკოვლევს კავკასიური ენების სპეციალისტი იყო. იგი დიდად აფასებდა ნიკოლოზ სერგეის ძეს. მუდმივად (მათ შორის, მაგალითად, ჰააგაში ლინგვისტთა საერთაშორისო კონგრესზე) სთხოვა ნს-ს გამოსულიყო მარის ობსკურანტიზმის ფართო მეცნიერული კრიტიკით, მაგრამ იმავდროულად თავად ექცეოდა მარის გავლენს ქვეშ (ტრუბეცკოი 2004:40).

ტრუბეცკოი ირონიით უყურებდა მეცნიერების დაყოფას „ბურჟუაზიულად“ და „პროლეტარულად“: რა თქმა უნდა, სისულელეა, რომ თითქოს არსებობს „ბურჟუაზიული“ მეცნიერება, რომელიც უნდა შეიცვალოს პროლეტარულით. ეს სისულელეა არა მხოლოდ იმის გამო, არ არსებობს მცირეოდენი ნიშანწყალიც კი „პროლეტარული“ მეცნიერების წამორმოშობისა, არამედ ის, რაც ამ სახელით არის ცნობილი, ძველი მეცნიერების ცუდად და გულუბრყვილოდ ათვისებული ელემენტებია (ტრუბეცკოი 1929). ამის მიუხედავად, მარის თეორიას მაინც ევროპული ენათმეცნიერების გავლენად თვლიდა. ნ. ტრუბეცკოის 1987 წელს გამოცემულ „რჩეულ ფილოლოგიურ შრომებში“ შესულ ამ სტატიას კომენტარები დაურ-

თო ვიარჩესლავ ივანოვმა, რომელმაც ფაქტობრივად გაიმეორა 1958 წელს სტატიისთვის „ენათმეცნიერების საკითხების“ რედაქტორის ნამძღვარებული მოსაზრებები, რომ ეს არის პოლემიკური ხასიათის წერილი და რომ ამით ტრუბეცკოი ილაშქრებდა ინდოევროპული ფუძეების რეკონსტრუქციის ევროპის კონკრეტული ქვეყნის ისტორიასთან დაკავშირების წინააღმდეგ. ვ. ივანოვი ნ. ტრუბეცკოის ნააზრევში ხედავდა გლოტალობისა და ნოსტრატული თეორიების სანყისებს (ივანოვი 1987:415-416).

ტრუბეცკოი არ ცნობდა ჩრდილო- და სამხრეთ-კავკასიურ ენათა ნათესაობას. ნოსტრატული თეორიის ფარგლებშიც ეს ვითარება უცვლელი რჩება. სამხრეთ-კავკასიური ენები ამ თეორიის ფარგლებში ჰიპოთეტურად ჩართულია დასავლეთ-ნოსტრატულ ენებში, ყოველ შემთხვევაში მიჩნეულია, რომ ბევრი საერთო აქვს ინდოევროპულთან, რაც ნაწილობრივ იხსნება ძველი კონტაქტებით) და ჩრდილოეთ-კავკასიურ (რომლებსაც უდარებენ ენისეის და ჩინურ-ტიბეტურ ენებს) ენებს შორის მიმართება იხსნება „ალოგენეტური“ ანუ შეძენილი ნათესაობით.

ვიარჩესლავ ივანოვის შეფასება ასახავს საბჭოთა ენათმეცნიერების დამოკიდებულებას ტრუბეცკოის ენათა კავშირების თეორიის მიმართ მეოცე საუკუნის სამოციან წლებში. როგორც ვნახეთ, იძებნება ტრუბეცკოის დაკვირვებებსა და გლოტალურ თეორიას შორის საერთო შეხების წერტილები, რომ არაფერი ვთქვათ, ნოსტრატული თეორიასთან კავშირზე, რომელიც ტრუბეცკოის რჩეული ფილოლოგიური ნაშრომების გამოსვლის დროს მხოლოდ თავისი ისტორიის სანყის პერიოდში იყო. იგი შემდეგ კიდევ უფრო განვითარდა და თუ რა სახე მიიღო, ამაზე ქვემოთ მოგვიწევს მსჯელობა. თუმცა ახლავე უნდა ითქვას, რომ ტრუბეცკოი ეჭვის თვალთ უყურებდა დიდ მონათესავე ენათა შორის ნათესაობის დადგენას. ამის მიღწევა შეუძლებლად მიაჩნდა: „როცა საქმე ეხება ორი ენის ნათესაობის დადგენას, აუცილებელია მნიშვნელოვანი რაოდენობის მქონე ლექსიკური წყვილები, რომელთა შორის დგინდება რეგულარული ბგერითი შესატყვისობა. მაგრამ როცა საქმე ეხება დიდ მონათესავე ოჯახებს შორის ნათესაობის დადგენას, ამის მიღწევა შეუძლებლად მიმაჩნია. ძალიან მეეჭვება, რომ ოდესმე შესაძლებელი იქნება დამაჯერებლად და უეჭველად (მეცნიერული თვალსაზრისით) დამტკიცდეს „ინდოევროპული ენების ნათესაობა სემიტურთან, ურალურთან ან ჩრდილოეთ კავკასიურ ენებთან. ამ შემთხვევაში მე „ნათესაობა“ მესმის როგორც გენეალოგიური ენათმეცნიერების ტერმინი. სულ სხვა რამეა ტიპოლოგიური ნათესაობა, რომელიც უეჭველად არსებობს არამონათესავე ენებს შორის. ენათა ტიპოლოგიურ შედარებას მე კვლავ ენათმეცნიერების ძალიან მნიშვნელოვან სფეროდ მივიჩნევ. ამ სფეროში ბევრი რამის მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ აუცილებ-

ბელია კვლევის განსაკუთრებული, აქამდე ნაკლებად შემუშავებული მეთოდების გამოყენება", - ამ აზრს ავითარებდა ტრუბეცკოი 1935 წელს ლინგვისტთა მესამე საერთაშორისო კონგრესზე. მის მოხსენებას გამოუხმაურა პედერსენი, რომელმაც ტრუბეცკოის მოსაზრება ძალიან პესიმისტურ დამოკიდებულებად შეაფასა. იგი დაეთანხმა ტრუბეცკოის მხოლოდ იმ ნაწილში, როცა მან ერთ-ერთ ასეთ სირთულედ ჩრდილოკავკასიურ ენათა ნათესაობა დაასახელა. პედერსენის აზრით, „მიუხედავად ჩრდილოკავკასიურ ენათა შორის აპრიორული მსგავსებისა, რეალურ მტკიცებულებების იმედი ძალიან მცირეა. თუმცა ყველა წინასწარმეტყველება ამ საკითხზე ნამდვილად უადგილოა. როცა შეიქმნება ჩრდილოკავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკა და შეუპირისპირდება სამხრეთკავკასიურ ენებს, მხოლოდ მაშინ გაირკვევა ეს საკითხი. სემიტურთან დაკავშირებით კი ამ პესიმიზმს ვერ გავიზიარებ“, - თქვა პედერსენმა ტრუბეცკოის მოხსენების განხილვისას (ტრუბეცკოი 1935:326-327; ტრუბეცკოი 1987:60-62. იხ. ივანოვის კომენტარი: 1987ა).

სამოციან წლებამდე, როგორც უკვე აღინიშნა, ტრუბეცკოის ნაშრომები საბჭოთა კავშირში განიხილებოდა სტრუქტურალიზმის კრიტიკის ფარგლებში. მის საილუსტრაციოდ შეიძლება დავიმონწმოთ თინათინ შარაძენიძის შეფასება. იგი უარყოფითად აფასებს რომან იაკობსონის ნაშრომს „ევრაზიული ენობრივი კავშირის დახასიათებისათვის“. მეცნიერი სრულიად სამართლინად მიუთითებს რ. იაკობსონის ნაშრომის ნაკლზე. აქ მხოლოდ ორი ფონოლოგიური ნიშანია გამოყოფილი ენათა ევრაზიული კავშირის საერთო დახასიათებლად. ესენია: რბილი და მაგარი კონსონანტიების ოპოზიცია და მონოტონია ანუ ტონური დიფერენციაციის არარსებობა. თან ეს ნიშნები ევრაზიის ენებში ყოველთვის ერთმანეთთან არ არის დაკავშირებული. მაგალითად, ორივე ეს თვისება ახასიათებს ირლანდიურს, მაგრამ იგი არ მიეკუთვნება ევრაზიულ ენათა კავშირს. სწორედ ამის გამო აღნიშნავდა ანტუან მეიე, იაკობსონის შრომის შესახებ დაწერილ სპეციალურ რეცენზიაში: „ეს ფაქტი არ უარყოფს თვით გამოკვლევას, მაგრამ ამცირებს მის მნიშვნელობას“ (მეიე 1931). ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე გავრცელებული ენები მხოლოდ მითითებული ორი ნიშნის გამო ენობრივ კავშირად ვერ ჩაითვლება. ძნელია იმის თქმა, რა ინფორმაცია ჰქონდა თინათინ შარაძენიძეს პრალის ლინგვისტური წრის რუსი წევრების პოლიტიკურ მიზნებზე, თუმცა გაოცება ნამდვილად იგრძნობა მის სიტყვებში: „ამგავრად, საბჭოთა კავშირის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ევრაზიის ენათა კავშირში შედის“ (შარაძენიძე 1958:462).

თინათინ შარაძენიძეს ისევე, როგორც მისი პერიოდის საბჭოთა ენათმეცნიერთა უდიდეს ნაწილს ხელი არ მიუწვდებოდა 1931 წელს იაკობსონის რუსულად გამოცემულ ნაშრომზე „ევრაზიის

ენობრივი კავშირის დახასიათებისათვის“ („К характеристике евразийского языкового союза“). იგი აზრს გამოთქვამს იაკობსონის იმ წერილის მიხედვით, რომელშიც მოკლედ არის გადმოცემული მისი მოსაზრებები ევრაზიული ენობრივი კავშირის შესახებ. თ. შარაძენიძე ეჭვის თვალით უყურებს ამ თეორიას, რადგან რომან იაკობსონი თვით ტრუბეცკოის შემოტანილ მთავარ მახასიათებლებს არღვევს: ენობრივი კავშირის წევრებს უნდა ჰქონდეთ მსგავსი მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურა და დიდი რაოდენობით საერთო სიტყვები. სწორედ ეს აკლია იაკობსონის მიერ გამოყოფილ ენობრივ კავშირს (შდრ. ზემოთ დამონშებული ჰ. შალერის აზრი 1997:203). თუმცა პრალის ლინგვისტურ სკოლაში ეს საკითხი გადაჭრილად მიაჩნდათ. მაგალითად, ვ. სკალიჩკა (სკალიჩკა 1934) ევრაზიული ენობრივი კავშირის მახასიათებლად გამოყოფდა გრძელი და მოკლე ხმოვნების დაპირისპირებას და ამ ფაქტს აკავშირებდა თანხმოვანთა სირბილის კორელაციასთან იმ მიზეზით, რომ თითქოს მათი გავრცელების იზოგლოსები ერთმანეთს ემთხვეოდა. ეს კონკრეტული ენების მაგალითებით არ მტკიცდება, რაც კიდევ უფრო ასუსტებს ევრაზიული ენობრივი კავშირის თეორიას.

თინათინ შარაძენიძე ობიექტურად აფასებს პრალის ლინგვისტურ წრეში ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს: „კიდევ უფრო ამცირებს ევრაზიის ენათა კავშირის მნიშვნელობას სკალიჩკას მსჯელობა იმის შესახებ, რომ ის ურალურ-ალათაური ენები, რომლებიც ამჟამად ევრაზიის კავშირის გარეთ დგანან, ავლენენ ევრაზიზმებს, რაც იმით აიხსნება, რომ ალბათ ეს ენები ოდესღაც ევრაზიის კავშირში შედიოდნენო“ (შარაძენიძე 1958:464). ასევე ძნელია სკალიჩკას მტკიცების დაჯერება, რომ ენის მიდრეკილება სახელური ნინადადებებისაკენ და haben ზმნის უქონლობა ერთმანეთთან დაკავშირებული მოვლენებია. გვხვდება უფრო უტოპიური დაკვირვებებიც (სკალიჩკა 1935:64-65)

ენობრივი კავშირის მორფოლოგიური მახასიათებლებიდან თვითონ ტრუბეცკოი ყურადღებას ამახვილებს ბრუნების გრამატიკულ კატეგორიაზე (ტრუბეცკოი 1937:40-44), მაგრამ არც ამ მახასიათებლით გაერთიანებული ენები არ ემთხვევა იაკობსონის მოხაზულ ევრაზიულ ენათა კავშირს, რადგან მდიდარი ბრუნება აქვს ბევრ ისეთ ენას, რომლებიც ამ კავშირში არ შედიან (ასეთია ბალტური და ფინური ენები, უნგრული და პალეოაზიური ენები: ჩუქჩური, კორიაკული, კამჩადალური. მდიდარი ბრუნება აქვს აგრეთვე იაპონურს). მეორე მხრივ, ტრუბეცკოი საბჭოთა კავშირის ენებს მდიდარი ბრუნების სისტემის მქონე ენებად მიიჩნევს, მაგრამ თვითონვე მიუთითებს, რომ, მაგალითად, დასავლეთ-კავკასიურ ენებს ბრუნება არ მოეპოვებათ. აშკარაა, ბრუნების გავრცელების იზოგ-

ლოსა არ ემთხვევა იაკობსონის ევრაზიული ფონოლოგიური ენათა კავშირის გავრცელების არეს (შარაძენიძე 1958:465-466).

უნდა დავეთანხმოთ თ. შარაძენიძის დასკვნას, რომ „ევრაზიული ენათა კავშირი მითია. ამ კავშირს არ აღმოაჩნდა არც ერთი საყურადღებო მორფოლოგიური ან სინტაქსური ნიშანი. ავტორებმა ვერ მიუთითეს ვერც საერთო კულტურის სიტყვებზე“ (შარაძენიძე 1958:466). განსაკუთრებით უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს თინათინ შარაძენიძე იმ ფაქტის მიმართ, რომ ნიკოლოზ ტრუბეცკოი კავკასიურ ენებს კავკასიის ენათა კავშირად მოიხსენიებს. „ტრუბეცკოი ჩრდილოეთ და სამხრეთ სამხრეთ კავკასიის ენებს ერთმანეთის მონათესავედ არ თვლიდა. მისი აზრით, ამ ენებს შორის მსგავსება შეინიშნება, მაგრამ ეს ამ ენათა საერთო წარმოშობით კი არ აიხსნება, არამედ იმის შედეგია, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ენები ხანგრძლივი გეოგრაფიული მეზობლობის შედეგად დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ტრუბეცკოს ამ შეხედულებას ემყარებოდა და ამჟამადაც ემყარება ზოგი ენათმეცნიერი საზღვარგარეთ (გრეი 1951:32) მაშინ, როდესაც საბჭოთა კავკასიოლოგების მიერ ჩატარებულმა ისტორიულ-შედარებითმა კვლევა-ძიებამ ამკარა გახადა, რომ მთის (ჩრდ. კავკასიის) და ქართველურ (სამხ. კავკასიის) ენებს საერთო წარმოშობა აქვთ. ისინი მონათესავე ენათა ერთ ოჯახში – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში – შედიან“ (შარაძენიძე 1958). მიუხედავად იმისა, რომ „ენობრივი კავშირის“ გაგება, განსაკუთრებით კი ინდოევროპული ენობრივი სამყაროს შექმნის ნიკოლოზ ტრუბეცკოისეული ახსნა დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს ნიკო მარის ენათა შეჯვარების თეორიასთან. ამ იდეოლოგიურად განპირობებულ დამოკიდებულების გვერდით არის სრულიად მისაღები, წმინდა ლინგვისტური კრიტიკა, რომელიც დამაჯერებლად აქვს გადმოცემული, მაგალითად, თინათინ შარაძენიძეს. ყველა ძირითადი ნაკლი, რომელსაც კი პრალის ლინგვისტური სკოლის წარმომადგენლები ენათა ევრაზიული კავშირის დახასიათებისას ავლენენ ობიექტურად არის შეფასებული.

## §2. ენობრივი კავშირი და ალოგენეტური ნათესაობის იდეა საბჭოთა ენათმეცნიერებაში

საბჭოთა ენათმეცნიერებაში დამოკიდებულება „ენობრივი კავშირების“ მიმართ იცვლება 60-იანი წლებიდან, როცა იწყება კავკასიური ენების შედარება ინდოევროპულ და სემიტურ ენებთან უძველესი ნასესხობების გამოვლენის თვალსაზრისით. ამავე პერიოდში იწყება ამ ენათა სტრუქტურული მსგავსებების ძიება. უნდა

აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ყველაზე დიდი დამსახურება „ენობრივი კავშირის“ თეორიისა და მისი გამოყენების თვალსაზრისით მიუძღვის გიორგი წერეთელს (წერეთელი 1968:3-18). იმ არცთუ მცირერიცხოვანი სტატიებიდან, რომლებიც რომან იაკობსონმა ენობრივი კავშირის თემაზე დაწერა, გ. წერეთელი ახსენებს მხოლოდ რომან იაკობსონის 1962 წელს გამოცემულ „რჩეულ შრომებში“ შესულ სტატიას (წერეთელი 1968:15). და არა იაკობსონის პირველ წერილს ამ საკითხზე (იაკობსონი 1931). გიორგი წერეთელი არ ეთანხმება იაკობსონის აზრს, რომ ენობრივი კავშირი შეიძლება შექმნან იმ ხალხთა ენებმა, რომლებიც განსახლებულნი არიან უზარმაზარ ტერიტორიაზე - აღმოსავლეთი ევროპიდან, თეთრი ზღვიდან და დასავლეთი ციმბირიდან კავკასიის მთებამდე. ამხელა სივრცეზე განსახლებული ხალხების ენებში ძნელი წარმოსადგენია შეძენილი ნათესაობის ნიშნების პოვნა. მაგრამ თავად იდეა, თავდაპირველი და შეძენილი ნათესაობის შესახებ, გიორგი წერეთლისათვის მისაღები იყო და მას ავითარებდა კიდევ.

სპეციალურად ენობრივი კავშირისა და შეძენილი ნათესაობის პრობლემებისადმი მიძღვნილ სტატიამდე, გიორგი წერეთლის წინასიტყვაობითა და რედაქტორობით 1965 წელს გამოვიდა თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის ერთობლივი ნაშრომი „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში: საერთო სტრუქტურული ტიპოლოგია.“ წიგნის რედაქტორს ნაშრომის უმთავრეს დამსახურებად მიაჩნდა ის, რომ „თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა აბლაუტური ხმოვანმონაცვლეობა პირველად წარმოადგინეს როგორც საერთო-ქართველური (პროტო-ქართველური) მოვლენა. აბლაუტი ქართველურ ენათა დიფერენციაციის შემდეგ განვითარებულ მოვლენად კი არ არის მიჩნეული, არამედ განხილულია როგორც პროტო-ქართველურ აპოფონიურ ხმოვანთმონაცვლეობათა ცალკეულ ქართველურ ენებში ასახული მექანიზმი. იგი პოსტულირებულია საერთო-ქართველური ენობრივი დონისათვის (პროტო-ქართველურისათვის).“ თუმცა კვლევის მაშინდელი მდგომარეობის მიხედვით ძნელი დასადგენი იყო, რა კვალიფიკაცია უნდა მისცემოდა ამ მსგავსებას (წერეთელი 1965:019,022).

60-იანი წლებიდან იწყება ფართომასშტაბიანი მუშაობა ქართველური და ინდოევროპული ენების ურთიერთმიმართებაზე. მსგავსებები ამ ენებს შორის ადრევე იყო შენიშნული (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ, §3). მეოცე საუკუნის სამოციან წლებში, ჯერ კიდევ არ იყოს ზუსტი პასუხი კითხვაზე, როგორ უნდა ახსნილიყო ეს მსგავსება ქართველურ და ინდოევროპულ ენებს შორის: 1) როგორც უძველესი, შორეული ნათესაობა საერთო-ქართველურსა და ინდოევროპულს შორის; 2) როგორც დანათესავება არეალური ერთიანობის ფარგლებში ინდოევროპული და ქართვე-



ლური ენების მრავალსაუკუნოვანი კონტაქტების შედეგად; 3) როგორც უბრალო ტიპოლოგიური იზომორფიზმი, დამოუკიდებლად სივრცისა და დროისა, ყოველგვარი ნათესაობისა და დანათესავების გარეშე (ნერეთელი 1965:024).

სწორედ ამ პერიოდში მზია ანდრონიკაშვილი ინტენსიურად იკვლევს ირანულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობებს. უძველესი ირანულ-კავკასიურ ურთიერთობებს ყოველთვის აქცევდნენ სომხურ-ირანული ურთიერთობების კონტექსტში და როგორც მ. ანდრონიკაშვილი წერს (ანდრონიკაშვილი 1966:161), ზოგჯერ სომხურის გვერდით ქართულიც მოიხსენიებოდა, მაგრამ იმის საჩვენებლად, რომ ირანული სიტყვები ქართულში მხოლოდ სომხური გზით იყო შემოსული. ეს ტრადიცია მოდის ჰიუბშმანისა და ა. მეიესაგან, მას აგრძელებს ე. ბენვენისტიც და სხვა ევროპელი ირანისტიცი (გამონაკლისია ჰ. ბეილის ზოგიერთი შრომა). დაახლოებით ასე ფიქრობდა ნიკო მარიც. უფრო შორს მიდის თავის მსჯელობებში პრ. აჭარია. პირველი, ვინც ყურადღება მიაქცია ქართულში დაცულ ფალაურ სიტყვებს სომხურთან შეპირისპირებით და ხაზგასმით აღნიშნა ქართულში სომხურისაგან დამოუკიდებელი, ფალაურიდან შეთვისებული ლექსიკის არსებობის შესაძლებლობა, იყო ილია აბულაძე (აბულაძე 1944:084-085). ანდრონიკაშვილის კვლევებმა დაადასტურა ილია აბულაძის მოსაზრების სისწორე. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა, მაგალითად, ქართული ხმოვნების გადმოცემაში:

ქართ. ე = საშ. ირან. გრძელი ე ᄎ: სპეტაკი, ვეშაპი, ბევრი, ვერაგი

ქართ. ი = საშ. ირან. ი: პიტიახში, ნიშანი

ქართ. უ = საშ. ირ. ᄎ: ბუნაკი, მუშაკი, ბუნიკი, ბუნება

ქართ. ო = საშ. ირ. გრძელი ᄎ: ამბოხი, მოგუი, ზორვა, პოხვა

რაც შეეხება საშუალო ირანულის, ამ შემთხვევაში ქართული, ყრუ ხშული თანხმოვნების p, t, k-ს გადმოცემას ქართულსა და სომხურში, როგორც მოსალოდნელი იყო, უმეტესად გადმოდის აბრუპტივებით პ, ტ, კ პოზიციის მიუხედავად:

პატივი - pativ

პატიჟი - patist

ტალავარი - talvar

ტანჯვა - tanj

კერპი - karp

კაპოეტი - kapot

კირთი - kirt

დესპანი - despan

ვეშაპი - vesap

ამპარტავანი - hampartavan (ანდრონიკაშვილი 1966:170)

ძალიან საინტერესოა ენათა კავშირების კვლევის სანწყისი პერიოდისათვის საბჭოთა ენათმეცნიერებაში ფონეტიკური შესატყვისობების ძიება ნასესხებ ლექსიკაში, რადგან ასეთ შესატყვისობებზე აქამდე მხოლოდ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების სპეციალისტები მსჯელობდნენ (ანდრონიკაშვილი 1966:191 და შემდეგი). ეს, უპირველეს ყოვლისა, ყრუ ხშული თანხმოვნების აბრუპტივებით გადმოტანაში აისახება. მაგალითად:

**საშუალო სპასული ყრუ ხშული p თავკიდურ პოზიციაში გადმოცემულია ქართული აბრუპტივით პ:**

საშ. სპარს. passax = ქართ. პასუხი

საშ. სპარს. pairōk = ქართ. პატრუქი

საშ. სპარს. pērahān(ak) = ქართ. პერანგი

**საშუალო სპასული ყრუ ხშული p s-სა და r-ს შემდეგ ქართულში გადმოცემულია პ თანხმოვნით:**

საშ. სპარს. spēt, spētak „თეთრი“ = ქართ. სპეტაკი „თეთრი, წმიდა“.

საშ. სპარს. spāh „ჯარი, ლაშქარი“ = ქართ. სპა „ლაშქარი“

საშ. სპარს. spāhpat „მხედართმთავარი“ = ქართ. სპასპეტი, სპაიპეტი, იმავე მნიშვნელობით

საშ. სპარს. aspanj „სასტუმრო, თავშესაფარი“ = ქართ. მ-ას-პინძ-ელ-ი „სახლისა და ღვინის უფალი“ (საბა)

საშ. სპარს. aspras, asprēs „ცხენთა სარბიელი, მოედანი“ = ქართ. ასპარეზი „მოედანი, სარბიელი“

არის შემთხვევები, როცა საშუალო სპარსულს შეესაბამება ქართ. ფ ანუ აბრუპტივი კი არა, ყრუ ფშენიერი შეესაბამება თავკიდურ პოზიციაში:

საშ. სპარს. puzak „ფეხი, ღერო“ (ხის) = ქართ. ფუძ-ე „ძირი, საფუძველი“

საშ. სპარს. pārdak „ფარდა, რიდე“ (ხის) = ქართ. ფარდაგი „ფარდა, ხალიჩა“

ქართ. pāhr საშ. სპარს. pās „ფარი“ = ქართ. ფარი, იმავე მნიშვნელობით.

საშ. სპარს. patiīrak „შემთხვევა, შეხვედრა“ (ხის) = ქართ. ფათერაკი „შემთხვევა, ხიფათი, უბედურება“ (ანდრონიკაშვილი 1966: 191-192)

გამოდის, რომ ფონეტიკური შესატყვისობებზე შეიძლება მსჯელობა როგორც მონათესავე ენათა საერთო წარმოშობის დადგენისათვის, ასევე ნასესხობათა ფონეტიკური მიმართებების ჩვენებისათვის. შედარებისთვის დავაკვირდეთ, რა შესატყვისობებს იძლევა პ ქართველურ ენებში. მაგალითად:

გივი მაჭავარიანი ქართ. პ მეგრ.-ჭან. პ და სვან. პ-ს მაგალითად ასახელებს:

ქართ. პირ-ი, მეგრ.-ჭან. პიჯ-ი, სვან. პილ „ტუჩი“

ძვ. ქართ. უპე, ჭან. უმპა, ომპა - „ჭიპი“

ქართ. ნი-კაპ-ი, სვან. კაპ-რაი

ბოლო მაგალითს მაჭავარიანი განიხილავს ბაგისმიერი ბგერის დაკარგვის შემთხვევად ერთ-ერთ ქართველურ ენაში:

ქართ. ნი-კაპ-ი, სვან. კაპ-რაი, მეგრ. ნი-კუ//ნუ-კუ, ჭან. ნუ-კუ (მაჭავარიანი 1965:28).

ვნახოთ კიდევ ერთი მაგალითი. პართული შიშინა აფრიკატები ჯ ო (ǰ) გადმოცემულია ქართულში სისინა სპირანტიტ ზ და აფრიკატებით ძ, ც. იგივე ხდება საშუალ სპარსულში:

საშ. სპარს. tazar „სასახლე“ = ქართ. ტაძარი.

ამაზე დაყრდნობით მზია ანდრონიკაშვილი დაასკვნის, რომ ქართული და სომხური ფორმები, როგორცა ჩანს, სხვადასხვა ფალაური დიალექტებიდან მომდინარეობენ: ქართ. ტაძარი ამოსავლად გულისხმობს სამხრეთ-დასავლურ tazar-ს, ხოლო სომხური \*tajar, რომელიც განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება სომხურში. იგივე სიტყვა ძვ. სპარსულში გვხვდება ფორმით tačara. თან ამ სიტყვაში დაცულია t-ს აბრუპტივით გადმოცემის პრინციპი t:ტ. მაშასადამე, შესატყვისობად მოსალოდნელი იყო ან ზ : ზ ან ძ : ძ (ანდრონიკაშვილი 1966:73,183,194,201,379).

აქ ისეთი შემთხვევასთან უნდა გვექონდეს საქმე, როგორც ქართველურ ენებში, სადაც ბუნებრივია შესატყვისობა: ზ : უ

ქართ. მზე, მეგრ. ბჟა, ჭან. მჟორა, სვან. მიუ

ქართ. ზე, მეგრ.-ჭან. ჟი, სვან. ჟი

ძვ. ქართ. ზახ-ილი-ი, მეგრ. ჟოხ-ო-(ნ) „ჰქვია“, ჭან. ჟოხ-ონ-ს. ჯოხ-ო „სახელი“ (<ზან. \*ჟოხ), სვან. ხ-ა-ჟხ-ა (ლენტი. ხ-ა-ჟახ-ა) „ჰქვია“ (მაჭავარიანი 1965:28). გივი მაჭავარიანი იმონებებს მზია ანდრონიკაშვილის ვარაუდს, რომ ეს ქართველური ფუძე ირანული წარმოშობისაა (ანდრონიკაშვილი 1966:325).


მ. ანდრონიკაშვილი ზღაპრისათვის მიიჩნევს საშ. ირანულ სავარაუდებელ ფორმას \*zaxbar „თქმულებას“. Zax-//sax იგივე ფუძეა, რაც სახ-ელსა და ზახილში გვაქვს. მნიშვნელობით „თქმა, დახება“+ სუფიქსი -bar, ძვ. ირ. bara. შეადარეთ ckaз-ka. zaxbar> ზახ-ბარ>ზღაპარ-ი (მაჭავარიანი 1965:28).

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მზია ანდრონიკაშვილი ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობების კვლევისას ნახესხებ სიტყვებში ადგენს ისეთივე ბგერათშესატყვისობებს, როგორც მონათესავე ენებს შორის შეიმჩნევა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის გიორგი წერეთლის მოლოდინი 60-იან

ნლებში, რადგან „კავკასია არის ენათა მაკროკოსმოსი და ერთმანეთის მონათესავე ენათა გარდა აქ მრვალი სხვადასხვა სისტემის (ინდოევროპული, თურქული, სემიტური) ენა იყრის თავს, ამიტომ მათი სტრუქტურული მოდულების დადგენა, პირვანდელი არქეტიპების რეკონსტრუქცია და ურთიერთმიმართებების გარკვევა მნიშვნელოვანია არა მარტო თითოეული მათგანის შესწავლისათვის, არამედ ენათა განვითარებისა და ურთიერთობის ზოგადი საკითხებისა და უნივერსალიების პრობლემების კვლევისათვის. შემთხვევითი არ არის, რომ ცნება „ენობრივი კავშირი“ პირველად კავკასიური ენების შესწავლისას ჩამოყალიბდა“ (ნერეთელი 1965:027).

თანდათანობით უფრო ნათელი გახდა მიმართება მონათესავე ენათა ოჯახსა და ენობრივ კავშირს შორის. 1968 წელს გიორგი ნერეთელი წერდა: „გენეტიკური ჰიპოთეზა და ენათა კონვერგენციული განვითარების თეორია არ უნდა წარმოვიდგინოთ ურთიერთგამომრიცხავ თვალსაზრისებად, პირიქით, ისინი ავსებენ ერთმანეთს და საშუალება გვძლევს უფრო სრულად და ყოვლისმომცველად შევისწავლოთ ენათა განვითარების რთული პროცესები, რადგან ნათესაობის დადგენა კონვერგენციული განვითარებით (ერთ შემთხვევაში) არ იძლევა საფუძველს, რომ უარეყოთ სხვა შემთხვევებში მონათესავე ენათა წარმოქმნა ერთი ფუძენიდან, რომლის დაშლა იძლევა დამოუკიდებელ მონოლითურ ერთეულებს. შეიძლება წარმოვიდგინოთ ორი X და Y ენების არსებობა, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ, გარდა ზოგიერთი იზომორფული მოვლენისა (უნივერსალიის ფარგლებში). ეს ენები შეიძლება დაიყოს დივერგენციის პროცესში სხვადასხვა ჯგუფად, მაგალითად  $X > A, B$  და  $Y > C, D$ . ეს ენები თვის მხრივ იყოფიან E, F; G, H, შემდეგ კი  $E_1$  და  $E_2$ ;  $F_1$  და  $F_2$ ;  $H_1$  და  $H_2$  და ასე შემდეგ. მეორე, მხრივ, Y ენის ჯგუფი იყოფა K, L, M; და შემდეგ შესაბამისად –  $K_1$  და  $K_2$ ;  $L_1$  და  $L_2$ ;  $M_1$  და  $M_2$ ;  $N_1$  და  $N_2$ . განვითარების პროცესში, ერთ-ერთ სტადიაზე,  $K_1$  ენის განშტოება R შეიძლება განიცდიდეს ძლიერ გავლენას  $H_2$  ენისაგან. ამდენად, R ენა არის შედეგი  $Y > C > K > K_1$  სწორხაზოვანი განვითარებისა და იმავდროულად განიცდის  $H_2$  ენის ინვენტარის დაფენებას.  $H_2$  კი, თავის მხრივ,  $H_2, H$  და B ენების გავლით მიდის X ენამდე. შედეგად, R ენას ნაწილობრივ ან მთლიანად ექნება რეგულარული შესატყვისობები, ერთი მხრივ, Y ჯგუფის ენებთან, ხოლო მეორე მხრივ, ექნება გარკვეული კანონზომიერი კავშირები X ჯგუფის ენებთან. მაგრამ განვითარების ამ ეტაპზე, მიუხედავად ორმხრივი კავშირებისა, ჯერ არ შეიძლება საუბარი R ენის ორმხრივ ნათესაობაზე. შემდეგი დაფენებები, რომლებიც ნასესხები იქნება  $H_2$  ენიდან, ადვილად შეიძლება გამოცალკევდეს იმ პირველადი ინვენტარისაგან, რომელიც მიდის Y ენამდე და

ავლენს რეგულარულ შესატყვისობებს ამ ჯგუფის ენებთან. მაგრამ R ენისაგან გამოყოფილ ენებს მეორე (S) და განსაკუთრებით მესამე (T) ისევე, როგორც ყველა სხვა მომდევნო თაობებში ყოველთვის იქნება გარკვეული რეგულარული შესატყვისობები X ჯგუფის ენებთან, თუ, რა თქმა უნდა, R ენისაგან ნასესხები მასალა დარჩა ამ ენებში და არ გაქრა განვითარების პროცესში. ენებს, რომლებიც პირდაპირი ხაზით მიდიან ენათა გარკვეულ ჯგუფთან, კონვერგენციული განვითარების შედეგად უყალიბდებათ ისეთივე ან თითქმის ისეთივე კანონზომიერი მიმართებები ენათა სხვა ჯგუფთან ან ჯგუფებთან როგორც - მშობლიურ ჯგუფთან. ამ გზით ეს ენები ერთმანეთის მიმართ არიან მრავალმხრივ გენეტიკურ კავშირში, რომლებსაც ჩვენ ალოგენეტურს ვუნოდებთ (ფრანგ. *allogénétique*, ინგლ *allogenic*). ქვემოთ მითითებულია გიორგი წერეთლის სქემა, რომელიც გამოყენებული გვაქვს წიგნის ყდაზეც. ოლონდ იგი კიდევ უფრო ინტენსიურ ენობრივ ურთიერთობებს აღწერს და აჩვენებს მონათესავე ენათა ოჯახებისა და ენობრივი კავშირების თანარსებობას).



ბუნებრივია, რომ ისეთი ენების ინვენტარი, რომლებიც ალოგენეტურ კავშირს ამჟღავნებენ ორ განსხვავებულ ენობრივ ჯგუფთან, ერთ ნაწილში ერთ წყაროსთან კავშირს აჩვენებენ, მეორე ნაწილში კი - მეორე წყაროსთან. მოცემული ენის თითოეული შემადგენლის შესწავლის შემდეგ ხშირად რჩება მასალა, რომელიც არ მომდინარეობს არცერთი ნავარაუდები წყაროდან. ასეთი მასალა შეიძლება აიხსნას როგორც დამოუკიდებელი განვითარების შედეგი ან რალაც მესამე შემადგენელი, რომელიც უცნობი წყაროდან იღებს სათავეს (უფრო დანვრილებით იხ. წერეთელი 1968:12-15).

წერეთელს შემოაქვს შექმნილი ანუ „ალოგენეტური ნათესაობის“ ცნება, რომელსაც ვ. ივანოვი სამართლიანად თვლის წერეთლის ტერმინად (ივანოვი 1987: 415).

ენობრივი კავშირების ფარგლებში შექმნილი ნარევი ენების ნათესაობის დადგენა რომელიმე ენასთან ან ენათა ჯგუფთან არ არის მარტივი. ამ საკითხზე სპეციალურად მსჯელობს არნოლდ ჩიქობავა. რა თქმა უნდა, იგი აღიარებს საკითხის პრობლემატურობას, რადგან „შეუძლებელია წამოვაცენოთ ისეთი შესატყვისობანი, რომელთაც ძალა ექნებოდა მთელი ენობრივი მასივისათვის. მთლიანი ენობრივი მასივი ასეთ შემთხვევაში არც გამოიყოფა. ნარევი ენაში სიმძიმის ცენტრი ცალკეულ ფენათა გამოვლენაზე გადადის. ეს ერთადერთი გზაა, თუ გვინდა ვიპოვოთ შედარებისათვის საჭირო წინაპირობა, გავითვალისწინოთ შესადარებელ ოდენობათა ისტორია“ (ჩიქობავა 1979:226). ამის საჩვენებლად ჩიქობავა განიხილავს სვანურის შედგენილობას, რომელშიც იგი გამოყოფს რამდენიმე „ფენს“, როგორც თვითონ უწოდებს. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახლანდელ სვანურში საკუთრივ სვანური ფენის გამოვლენის საკითხი ყველაზე ნაკლებადაა დამუშავებული. „შეუძლებელი არაა, ეს ფენი აღმოჩნდეს რომელიმე სხვა ფენის ტრანსფორმაციის შედეგი. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, სვანურს ქართველურ ენათა ისტორიის თვალსაზრისით ცალკე ქართულად ვერ მივიჩნევდით: ის აღმოჩნდებოდა სხვადასხვა უკვე ცნობილ ფენათა ნაერთი: 1. ზანური ფენი, 2. ძველი ქართულის ერთს ინგრიდიენტს დამთხვეული ფენი, 3. ადილეური ფენი და 4. რალაც სხვა ფენი, რომელიც თითქოს კანონზომიერ შესატყვისობაშია ქართულთან და ზანურთან: ამ ფენის არსებობაა საფუძველი იმისათვის, რომ ქართველურ ენათა წრეში სვანური, როგორც ცალკე ნევრი, გამოეყოთ. ყველა სხვა ფენი სათანადო ერთეულებთან – ზანურთან, სვანურთან, ადილეურთან – დაკავშირებით უნდა იქნეს განხილული“ (ჩიქობავა 1979:226). როგორც ვხედავთ, არნ. ჩიქობავა სულაც არ ცდილობს საკითხის სირთულის, უფრო მეტიც, საკითხის ბუნდოვანების მიჩქმალვას, ღიად საუბრობს იმ პრობლემაზე, რაც სვანური ენის ქართველურ ენათა მონათესავე ოჯახისათვის მიკუთვნებას ახლავს. სწორედ ნარევი, უფრო ზუსტად ნაჯვარ ენად განიხილავდა სვანურს ნიკო მარი და ამის აღსანიშნავად იყენებდა ტერმინს „ენა –აგრეგატი“ (მარი 1916).

ენათა ნარევიანობის საკითხს არნ. ჩიქობავა აკავშირებს ენათა განვითარების ინტეგრაციისა და დიფერენციაციის გზებთან და ორივეს თვლის „ენის განვითარების მაგისტრალურ ხაზად“. ნარევი ენებში უნდა განვასხვავოთ ის შემთხვევები, როცა სხვადასხვა ოჯახის ენა ერევა ერთმანეთში იმ შემთხვევათაგან, როცა შერევას ადგილი აქვს თვით მონათესავე ენებს შორის. ამ ტიპის ნარევი

ენის ანალიზს განსაკუთრებული სიძნელე ახლავს. წინანდელი ისტორიული ვითარების გათვალისწინება ჭირს. როგორც უნდა იყოს ვითარება, ერთი რამ ცხადია: ნარევი ენის შესწავლა ისტორიულ-შედარებითი გზით უნდა წარმოებდეს. ეს ძნელია, მაგრამ სიძნელე აუცილებლობას კი არ აქარწყლებს, არამედ მეტი სიმწვავეით სვამს საკითხს და მიზნის შესაფერ ხერხთა დამუშავებას მოითხოვს“ (ჩიქობავა 1979:227).

ერთი მხრივ, პრობლემატურია ნარევი ენების ნათესაობის დადგენა, მაგრამ, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ ნარევეობა ზოგჯერ არც ენობრივ კავშირს ქმნის და არც ალოგენეტურ ურთიერთობებს ანუ არც შექმნილ ნათესაობას არ ავითარებს. ამიტომ საჭიროა ენობრივი კავშირისა და შექმნილი ნათესაობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. როგორც გიორგი წერეთელი წერს, „გარკვეულ ეტაპზე X ჯგუფის T<sub>1</sub> და T<sub>2</sub> ენებს შორის ენობრივი შემადგენლის ერთ ნაწილში ლინგვისტური იერარქიის სხვადასხვა დონეზე უნდა დამყარდეს რეგულარული შესატყვისობები და იმავდროულად ენობრივი შემადგენლის სხვა ნაწილში უნდა იყოს რეგულარი შესატყვისობები Y ჯგუფის ენებთან. თუ ეს პირობა არ სრულდება, თუნდაც იყოს კონტაქტებით მიღებული გარკვეული მსგავსება, მხოლოდ ენობრივი კავშირისთვის დამახასიათებელ ურთიერთობებზე შეიძლება საუბარი, რომელიც წარმოიქმნა სიახლოვის სხვადასხვა ხარისხის გამო და არა ალოგენეტურ ნათესაობაზე. ენობრივი კავშირები შეიძლება დასრულდეს ალოგენეტური მიმართებებით, მაგრამ შეიძლება იარსებონ ან დაიშალონ ალოგენეტური მიმართებების ჩამოუყალიბებლადაც“ (წერეთელი 1968).

ნ. ტრუბეცკოი ერთ-ერთი პირველია იმ მეცნიერებს შორის, რომლებიც ჩრდილო- და სამხრეთკავკასიური ენების ნათესაობას არ ემხრობა. როგორც უკვე აღინიშნა, ქართველი ენათმეცნიერებიც ხშირად დავობდნენ კავკასიური ენების მიმართების საკითხზე. ამ პრობლემას შეეხო გიორგი წერეთელი, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ აფხაზურ-ადიღურის და ნახურ-დაღესტნური ენათა ოჯახების სტრუქტურული მოდელები დადგენამდე, ქართველურ ენებთან შედარებით-ტიპოლოგიური თვალსაზრისით მსგავსება-განსხვავებების გამოვლენამდე და ამ ოჯახებს შორის შორის კანონზომიერი და რეგულარული მიმართებების გარკვევამდე, საკითხი ქართველურ ენათა გენეტიკური ურთიერთობისა მთის კავკასიის ენებთან იქნება უფრო მეტად საგანი რწმენისა, ვიდრე ცოდნისა (წერეთელი 1965:027).

სამხრეთკავკასიური (ქართველური) და ჩრდილოეთკავკასიური ენების ურთიერთობის შესახებ დღესაც არსებობს ორი, უკიდურესად განსხვავებული დამოკიდებულება: მეცნიერთა ერთ ნაწილს

სადავოდ მიაჩნია ეს ნათესაობა, რადგან იგი ეყრდნობა მხოლოდ ამ ენათა ნათესაობის რწმენას და არა ისტორიულ-შედარებით გრამატიკას, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. არ არის გასაკვირი, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთკავკასიურ ენათა ნათესაობის მტკიცებას დიდ ნაკლად უთვლიან შედარებით-ისტორიული გრამატიკის არარსებობას. თუმცა ამის საპასუხოდ, არნ. ჩიქობავას ასეთი არგუმენტი მოჰყავდა: „თუკი სპეციალისტი საკვლევი ენის მასალას ფლობს (ამ შემთხვევაში იბერიულ-კავკასიური ენების მასალას), მას გარკვეული რწმენა შეიძლება გაუჩნდეს (და უნდა გაუჩნდეს!) ამ ენათა კვლევის პროცესში – ჯერ კიდევ შედარებით-ისტორიული გრამატიკის შექმნამდე. ენათა გენეტიკური კავშირების (ენათა ნათესაობის) შესწავლა შედარებითი გრამატიკების შედგენით კი არ იწყება, არამედ თვით გრამატიკა წარმოადგენს შემაჯამებელ შედეგს ამგვარი კვლევისათვის და ენათა ნათესაობა ამით ამ ენათა არმცოდნე სპეციალისტებისათვის აშკარა ხდება“ (ჩიქობავა 1979:263). ამის საილუსტრაციოდ ჩიქობავა იმონიმებს ინდო-ევროპულ ენათა ნათესაობის კვლევის საკითხს. ამ ენათა ნათესაობა დამტკიცებულად ითვლება 1816 წლიდან, ბოპის ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ, თუმცა ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკა ჯერ არ არსებობდა და მხოლოდ 1833-1852 წლებში გამოიცა. „ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ინდო-ევროპულ ენათა ნათესაობის საკითხი გადაწყდა 1852 წელს“. არნ. ჩიქობავას აზრით, ეს ამას არ ნიშნავს. „ენათა ნათესაობა მეცნიერულად სარწმუნო ფაქტად შეიძლება იქცეს კვლევის პროცესში, შედარებითი გრამატიკის შექმნამდე. და, პირიქით, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ შედარებითი გრამატიკა შეადგინონ, მაგრამ ნათესაობა მეცნიერულ ფაქტად არ იქცეს (შდრ. მაგალითად, მელერის ცდა, დაემტკიცებინა ინდო-ევროპული და სემიტური ენების ნათესაობა. ნ. მარსაც სემიტურ-იაფეთურის (ქართულის) შედარებითი გრამატიკა ჰქონდა შემუშავებული, ათასამდე საერთო ძირიც გამოვლენილი, მაგრამ ამ ენათა ნათესაობა არ დადასტურდა. ეჭვს გამოთქვამენ ხოლმე ჩრდილო-კავკასიური ენების სამხრეთ-კავკასიურ ენებთან ნათესაობის შესახებ. ხშირად იმეორებენ ამა თუ იმ სახით ნ. ტრუბეცკოის მიერ ჯერ კიდევ 1924 წელს გამოთქმულ მოსაზრებას. ნ. ტრუბეცკოი წერდა, რომ კავკასიური ენები „ორ დიდ ოჯახს ქმნიან: ჩრდილო-კავკასიურ ენებს და სამხრეთ-კავკასიურ ენებს. ხშირად ვარაუდობენ ამ ენათა ნათესაობას, მაგრამ რამდენადაც ეს ნათესაობა სრულებითაც არაა ცხადი და არც ვისმე დაუმტკიცებია ჯერჯერობით ჭეშმარიტად მეცნიერული წესით, ამიტომ უკეთესი იქნებოდა ტერმინი „კვკასიური ენები“ გვეხმარა მხოლოდ როგორც გეოგრაფიული ცნება და არ გაგვეერთიანებინა ის ოჯახი ერთ გენეალოგიურ ჯგუფში“ (ტრუბეცკოი 1924).



არნ. ჩიქობავა ინუნებს იმ ლინგვისტურ მახასიათებლებს, რომლებსაც ნიკოლოზ ტრუბეცკოი მოიხმობს ჩრდილოკავკასიური ენების ნათესაობის დასამტკიცებლად. ტრუბეცკოი ჩრდილოკავკასიური ენების სიახლოვეს აფუძნებს შემდეგ თვისებებზე: თანხმოვანთა სიმრავლე, აქტიური და პასიური ბრუნვების არარსებობა, ზმნური ძირის ერთთანხმოვნიანობა, ლექსიკაში საერთო ელემენტების სიმრავლე (ტრუბეცკოი 1924:328, 339).

არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, ამ თვისებებით თუ შეიძლება ენათა ნათესაობის მტკიცება, მაშინ ჩრდილო- და სამხრეთ კავკასიური ენების ნათესაობა საეჭვო აღარ უნდა იყოს. ტრუბეცკოის აზრს იმეორებდა ჟ. დუმეზილიც, მიუხედავად იმისა, რომ მათ ყოველთვის არ ჰქონდათ მშვიდი ურთიერთობა: „თუ ყველა ჩრდილოკავკასიური ენის ნათესაობა სავსებით აშკარაა, ამ ენების ნათესაობა სამხრეთ-კავკასიურ ენებთან მხოლოდ სავარაუდოაო“ (დუმეზილი 1952:228. უფრო დანვრილებით იხ. ჩიქობავა 1979: 164-267).

სამხრეთ- და ჩრდილოეთ კავკასიურ ენათა ურთიერთობის ასახსნელად შეიძლება მნიშვნელოვანი საშუალება აღმოჩნდეს ინდოევროპეიზმების გამოვლენა ენათა ორივე ჯგუფში, რადგან სწორედ ინდოევროპეიზმა არსებობა-არარსებობა გამოიყენება ერთ-ერთ კრიტერიუმად სამხრეთ- და ჩრდილოეთ კავკასიურ ენათა მიმართების დასადგენად. სწორედ ინდოევროპეიზმების კვლევამ წარმოშვა თანამედროვე ნოსტრატული თეორია, რომელიც აღადგენს ენათა მაკროოჯახებს, ხოლო ამ მაკროოჯახებს შორის ყოველთვის ნათელი არ არის (და ვერც იქნება ძალიან ძველი ვითარების გამო), რა სახის ურთიერთობა არსებობს – მხოლოდ არეალური, თუ ნამდვილად შეგვიძლია ვიმსჯელოთ ენობრივი კავშირის არსებობაზე, რომლის შიგნით წმინდა არეალური კონტაქტებიც არის და, მეორე მხრივ, ენობრივი კავშირისათვის დამახასიათებელმა ურთიერთობებმა წარმოშვა ნათესაობაც, რომელიც თავიდან იყო შექმნილი ანუ ალოგენეტური ნათესაობა, მაგრამ ხანგრძლივმა დრომ იგი თავდაპირველ ნათესაობას დაამსგავსა.

### §3. ინდოევროპეიზმების კვლევა ქართველურ ენებში

ინდოევროპეიზმების ძიებას ქართველურ ენებში ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ ამ კვლევას სისტემური ხასიათი მიეცა მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან და ყველა ის შეცდომა, რომელიც იქამდე სხვადასხვა მიზეზით იყო გამოწვეული, ამ პერიოდიდან მკაცრად აკადემიური მეთოდებით სწორდება. არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ახალი მასალების აღმოჩენამ შესაძლოა სურათი შეცვა-

ლოს, თუმცა ეს ალბათ არ იქნება ძირეული ცვლილება, რადგან უკვე დაგროვილი მასალა ეჭვმიუტანლად აჩვენებს, რომ ქართველურ-ინდოევროპული ურთიერთობები ძალიან ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. რა თქმა უნდა, საინტერესოა, რა სახისაა ეს ურთიერთობა – მხოლოდ ნასესხობებით შემოიფარგლება თუ შეიძლება უფრო ღრმა კავშირებზე საუბარი.

გიორგი კლიმოვი იმ მეცნიერებს შორის, რომლებიც ქართველურ ენებში უძველეს ინდოევროპეიზმებს ეძებდნენ მარი ბროსესა და ფრანც ბოპის შემდეგ ასახელებს ა. გლეის. მან 1902 წელს გამოქვეყნა ნაშრომი ქართველი ხალხისა და მისი ენის წარმოშობა 1902 წელს ამ სტატიამი ა. გლეი აფიქსურ მორფემებთან ერთად ასახელებს ოცდასამ ლექსიკურ ერთეულს, რომლებიც შეიძლება იყოს უძველესი ინდოევროპეიზმები ქართველურ ენებში. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან დაკვირვებასთან ერთად სტატიამი გვხვდება შემთხვევითი თანხვედრების მაგალითებიც, რომლებიც ზოგჯერ ბგერწერის უნივერსალური კანონზომიერებითაა გამონვეული და შეიმჩნევა მსოფლიოს ენათა სხვადასხვა ოჯახში.

ა. გლეიმ გააკეთა ძალიან სერიოზული დასკვნა, რომ უშორეს ისტორიულ წარსულში ქართველურ ენებს ჰქონდათ ურთიერთობა რომელიღაც ინდოევროპულ ენასთან, რომელიც ძალიან ახლოს დგას ბალტურ-სლავურთან და იტალიურ-კელტურთან. მკვლევარი ქართულ ენაში ხედავდა სლავური და ლიტვური ენებისათვის დამახასიათებელ სიტყვებს, რაც ვერ აიხსნება ამ ენათა ისტორიული კავშირით, რადგან მათ ისტორიულად ურთიერთობა არ ჰქონიათ. აქედან გამომდინარე, ა. გლეი ასკვნის, რომ ქართულ ენასთან შავი ზღვის სანაპიროზე ან თვით მცირე აზიაში მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონოდა რომელიმე ისეთ ენასთან, რომელიც, თავის მხრივ, ახლოს არის სლავურთან და ლიტვურთან.

ა. გლეის შრომასთან ერთად ქართველურ ენებში უძველესი ევროპეიზმების კვლევის თვალსაზრისით გიორგი კლიმოვს საყურადღებო ნაშრომად მიაჩნია მოსე ჯანაშვილის სტატია „ქართული ენა და სლავური რუსული: ამ ენებს შორის შეხვედრის წერტილები“ (1902). ამ წერილში საილუსტრაციო მაგალითებად დასახელებულია უფრო გვიანდელი ევროპეიზმები, თუმცა საყურადღებოა ძველი ინდოევროპეიზმებიც (კლიმოვი 1994).

როგორც ჩვენმა სპეციალურმა კვლევამ აჩვენა, ქართველური და ინდოევროპული ენების ურთიერთმიმართების საკითხით უფრო ადრე დაინტერესდნენ ქართველი მოაზროვნეები. შეიძლება ითქვას, რომ მეცხრამეტე საუკუნეში უკვე არსებობდა ქართველური ენების ინდოევროპულთან ნათესაობის თეორია. რა თქმა უნდა, ტერმინი „თეორია“ არ შეესაბამება იმ აზრს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში ჩამოუყალიბდა ქართველ ინტელექტუალთა ერთ ნა-

წილს ამ ენათა უძველესი ურთიერთობების შესახებ, მაგრამ ჩანასახობრივად ეს იდეა უკვე არსებობდა და სპეციალური სტატიები იბეჭდებოდა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პრესაში. თვით ილია ჭავჭავაძემ მხარს უჭერდა ქართული ენის, თანამედროვე ტერმინები რომ გამოვიყენოთ, ინდო-ირანულ და ინდო-გერმანიკულ ენებთან ნათესაობის იდეას. მან დაინუნა ალექსანდრე ცაგარლის თეორია, რომელიც უპირისპირდებოდა ფრანც ბოპის მოსაზრებას ქართული ენის ინდო-ევროპული წარმოშობის შესახებ და ქართველურ ენათა ჯგუფი გამოაცხადა დამოუკიდებელ ენათა ოჯახად. ამ იდეაში ილია ჭავჭავაძე ხედავდა, ერთი მხრივ, კუთხური სეპარატიზმის საფრთხეს საქართველოს შიგნით (ამის შესახებ დანვრილებით იხ. ბოლქვაძე 2010:220-317) და, მეორე მხრივ, ინუნებდა ქართულის ჩამოცილებას ინდო-გერმანიკულ და ინდო-ირანულ ენებთან. სწორედ ამ ორი მიზეზით უნდა იყოს განპირობებული ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში“ დაბეჭდა ნიკო მარის სტატია „ბუნება და თვისება ქართულისა ენისა (მცირე შენიშვნა)“, რომელშიც ავტორი აკინებდა ცაგარლის შრომას ქართველურ ენათა შესახებ, რომ მას ახალი არაფერი არ უთქვამს. თვითონ ნ. მარი კი იმ დროს ავითარებდა ქართულის სემიტურ ენებთან ნათესაობის იდეას (მარი 1888). მან შემდეგ შეიცვალა აზრი ქართველურ ენათა სხვა ენობრივ ოჯახებთან ურთიერთობისა და ნათესაობის შესახებ. ილია ჭავჭავაძე „ივერიაში“ დიდ ადგილს უთმობდა სტატიებს ქართველურ ენათა ინდო-ირანულ და ინდო-გერმანიკულ ენებთან ურთიერთობის თაობაზე. ამ მხრივ საინტერესოა იაკობ გოგებაშვილის წერილი (გოგებაშვილი 1901:2), ასევე თვით ილია ჭავჭავაძის სპეციალური წერილი, რომელშიც ფაქტობრივად ილია პროსპექტული და რეტროსპექტული ენათმეცნიერების შესახებ მსჯელობს (რა თქმა უნდა, ამ ტერმინების გამოყენებლად) და ქართული ენის აღმოსავლეთის ძველ ენებთან ურთიერთობის საჩვენებლად იმონებს ისეთ ძირებსაც, რომლებიც თანამედროვე ნოსტრატულ თეორიაში ქართულ-ინდოევროპულ უძველეს ურთიერთობათა დამადასტურებელ ძირებად ითვლება. (ჭავჭავაძე 1889).

ქართველურ ენათა ურთიერთობისა და მათი სხვა ენებთან ნათესაობის თვალსაზრისით საინტერესოა პ. მირიანაშვილის სტატია, რომელიც განიხილავს ქართველურ ენათა სხვა ენებთან გენეტიკური ნათესაობის სამი თეორიას: ინდოევროპული წარმომავლობის, თურანულ ენებთან ნათესაობისა და ივერიულ ენათა ჯგუფის დამოუკიდებლობისა. თავად პეტრე მირიანაშვილი იცავდა ქართველურ ენათა ინდოევროპულიდან მომდინარეობის თეორიას. ამიტომ ძირითადად ამ საკითხს ეძღვნება მთელი ნაშრომი. იგი მსჯელობს სიტყვათა ენიდან ენაში მოხვედრის გზებსა და ენათა ლექსიკური მსგავსების შესაძლო მიზეზებზე.

ამჯერად ადგილის სიმცირის გამო ვერ გავაგრძელებთ დან-ვრილებით მსჯელობას ქართველური ენების ინდო-ევროპულ ენებთან ისტორიული კავშირ-ურთიერთობის შესახებ რა თვალსაზრისებს ავითარებდნენ ქართველი ინტელექტუალები მეცხრამეტე საუკუნეში. ამ საკითხს სპეციალურად ვეხებით ჩვენს ნაშრომში (ბოლქვაძე 2010:220-239). თუმცა ერთს აუცილებლად აღვნიშნავთ, რომ ძალიან საინტერესოა პ. მირიანაშვილის გამოვლენილი ლექსიკური ერთეულები (რა თქმა უნდა, ეს ყველა მის მიერ დამონმებულ მაგალითზე არ ითქმის) თანამედროვე ნოსტრატული თეორიის თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ პეტრე მირიანაშვილს სწორად ესმოდა, ენათა ნათესაობის დადგენა რა საფუძვლებს უნდა დაყრდნობოდა.

ცალკე მსჯელობის ღირსია ნიკო მარის დაკვირვებები, რომლის მოსაზრება ფუძეენის წარმოქმნის შესაძლო გზებთან დაკავშირებით უკვე განვიხილეთ ნიკოლოზ ტრუბეცკოის ენობრივი კავშირის თეორიასთან სიახლოვის გამო. მისი დაკვირვებები ასახულია გიორგი კლიმოვის ქართველურ ენებში დადასტურებული ინდოევროპეიზმების შემაჯამებელ ცხრილებში (იხ. ქვემოთ). აშკარაა, რომ ის შეცდომა, რომელიც უშვებდა ფრანც ბოპი, ქართული ენის ინდოევროპული წარმოშობის თაობაზე დიდწილად განპირობებულია თავად ენობრივი მასალით, რომლის სწორად დიფერენცირება იმდროინდელი მეთოდოლოგიით შეუძლებელი იყო. საერთო ინდოევროპული ლექსიკა, რომელიც ქართულ და ქართველურ ენებში მოიპოვება სხვადასხვა პერიოდისაა და სხვადასხვა გზით არის ქართულში შემოსული, რომელთა დიფერენცირების საკითხში დიდი წვლილი მიუძღვის გიორგი კლიმოვს (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). სწორედ ქართველურ ენებში გამოვლენილი ინდოევროპული მასალის ანალიზმა მიიყვანა იმ დასკვნამდე გიორგი მელიქიშვილი, რომ ეს მონაცემები სცდება ქართული ენის ურთიერთობებს ისეთ ინდოევროპულ ენებთან, როგორიცაა ბერძნული, სომხური, სპარსული და სხვადასხვა ირანული დიალექტები, რადგან ამ ენებთან ქართულს ჰქონდა ურთიერთობა ბოლო 2000-2500 წლის მანძილზე. გამოკვლევული ლექსიკური მასალა უფრო ძველ ურთიერთობებზე მიუთითებს. გ. მელიქიშვილი ვარაუდობდა, რომ ინდოევროპული ჯგუფის რომელიღაც ენამ ითამაშა სუბსტრატის როლი ქართველურისათვის (მელიქიშვილი 1965:242,245).

ინდოევროპულ-ქართველური ურთიერთობების კვლევებს ნამდვილად დიდი ბიძგი მისცა თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის ერთობლივმა კვლევამ ინდოევროპულ და ქართულ მორფოლოგიურ სისტემების გაკვეთილი სტრუქტურული იზომორფიზმის შესახებ, რამაც დააყენა საკითხი ამ ორ ენობრივ ოჯახს შორის ენობრივი კავშირებისათვის დამახასიათებელი ურთიერთობების

შესწავლისა (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965). ეს კვლევა არ დასრულებულა მხოლოდ ქართველური და ინდოევროპული მასალის შედარებით, არამედ ლოგიკურად მივიდა უძველესი ინდოევროპელების საცხოვრისის ძიებამდე წინა აზიის სამხრეთით, ქართველური ენების გავრცელების არეალში (გამყრელიძე, ივანოვი 1984: 859-957. ამ საკითხზე სპეციალურად ვიმსჯელებთ ქვემოთ), რაც, თავის მხრივ, დაემთხვა არქეოლოგიურ აღმოჩენებს, რომლის მიხედვით ცენტრალური და აღმოსავლეთი ანატოლია იყო ის ძირითადი ადგილი, სადაც ინდოევროპული ენის ყველაზე ადრეულ სახეობას იყენებდნენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 6500 წლის წინანდელ ეპოქაში (რენფრუ 1986:205). ქართველური და ინდოევროპული არეალები ნამდვილად კვეთენ ერთმანეთს მითითებულ პერიოდში.

გ. კლიმოვი გამოყოფს სამი სახის ინდოევროპეიზმებს ქართველურ ენებში (ქვემოთ მოცემული სქემები ეყრდნობა კლიმოვის გამოვლენილ საერთო ქართველურ-ინდოევროპულ ლექსიკურ ერთეულებს. კლიმოვი 1994):

**| საკუთრივ ფუძექართველური პერიოდის  
ინდოევროპეიზმები:**

ფუძექართველური	ინდო-ევროპული
*berg ბარვა	*bherǵ
*guga ნაყოფის გული, თვალის გუგა	*gugā
*diyom- /diywam შავი მინა	*dheǵhom
*eks'w ექვსი	*uɛks
*lag- :ღ დალაგება, დარგვა მცენარის), მიმაგრება	*lɛǵh
*mk'erd-: mk'rd მკერდი	*k'erd-: k'rd-
*otxo ოთხი	*okʰo
*usx (a) ხარი (შესანირავე)	*uks
*yweb ლობვა, ქსოვა	*(H)uɛbh
*m'y უღელი	*iuy
*ywed ღვედი, ქამარი	*(H)uɛdh
*yel-: ყა დაგრეხვა	*(H)uɛl
*ywi ღვია	*uɛi- (*H)uɛi)
*ywino ღვინო	*uɛi
*cxwi ისარი	*sk(h)uɛi (i)-

## II ქართულ-ზანური ფონდის ინდოევროპეზმები:

ქართულ-ზანური	ინდო-ევროპული
*band- ბანდვა, ქსოვა	*band-
*bandy- ბანდვა, ქსოვა	*bandh-
*gwal- გვალვა, დგომა (სიცხის, გვალვის)	*gwal-
*guda- ნსϣდϣϣ, გუდა	*guda-
*diqa თიხა, ფესვი	*dciǵha
*dola- ურქო ხარი	*dōlo-
*dycweb - გადღვება	*dhcubh-: dhubh
*wcl- ველი	*ycl-
*wenaq- ვაზი	*ycin-ǵg- (*ycin-ǵk- )
*wer <sup>3</sup> - ვერძი, ცხვარი	*yers-
*z'awebu- ბაყაყი, ყვებუ	*gweḅ(h)u-
*tel- გოჭი	*tel- (*thel-)
*txaz- : ɫxz- თხზვა, ქსოვა	*tcks
*kaxab- კაკაბი	*kaxab-
**kaxer- კვერი, მრგვალი (არტე-ფაქტი)	*kaxr-
*kreb-: křb - მოკრეფა, შეგროვება (ნაყოფის)	*(s)kreb(h)- / (s)kreb(h)
*li-	*lei-
*lip'- ლიპი, გალიპვა, გალიპული	*leip-
*mōl- მელია	**(s)mōl-
*mɔwer- მტვერი	*ɫaxr-
*o(m)pa- ჭიპი	*ombh-
*opop- ოფოფი	*opop- / epop
*plen ჯ'- სპილენძი	**(s)plend
*rabo- თხრილი, არხი	*ghrābhō
*sxal-: sxl- სხელა, მონყვეტა	*skal
*s'as- შუშვა, შრობა	*sas-
*ɫep- : ɫp თობობა, გათობობა	*ɫep-
*pōlo- ჩლიქი	*pōlo-
*prut-: pɾɫw- ფრუტუნი (ცხენის)	*preu-(h)-: pru-(h)-
*paxo- ლპობა, დამპალი	*pā-tro-
*kursl- ქუსლი (ცხოველის)	*kurs-ni-
*yerɥ ღერღვა, ფქვა (მსხვილად)	*ghergh
*yor- ღორი	*ghor
*yoɥo კამეჩის ნაშიერი	*ghoghū-. *ghaguh-

*ყმა- ღრმა, სიღრმე, არხი, თხრი- ლი	*r(u)ghma
*ყრ(ი)ლ- ღრუტუნი	*grund
*ყა(ა)მ- ტარი (ნაჯახის)	*kouā
*ცქend-: ცქიd- გამოჩენა, გამოყო- ფა	*skendh-
*c`umb-/c`ump'-გაუღენთვა (წყლით)	*suiomb(h)o
*c'ero- წერო	*ger(ბა)- (*k'cr-)

### III გვიანდელი ფონდის ლექსიკური ერთეულები

ქართული//ქართველური	ინდო-ევროპული
* ankara- ანკარა	*angyor-, *angyur-
* ankes- ანკესი	*ankes-
*ačua- ჭაკი ცხენი	*ačya-
*bere- ბიჭი, ვაჟიშვილი	*bcr-
*bol- ბოლი (ლია)	*bholo
*breg- ბეჩი, მკირედ ამალღებული ნაწილი	*bhergh
*gemo(r)-, gemir- გემო, გემრ(იელი)	*gēm[u]r
*gogra- გოგრა, კვახი	*ga(r)gra-
*gora- პატარა მთა, გორა	*gyor-
*dag- დაგვა, ნვა	*dagh
*dro- დრო	*rtu
*dube- დაბალი ადგილი	*duobc-, dōubc̄
*zutx- ზუთხი	*ghdū-
*kera-, kira- კერა	*ker(ə)-
*kvet- კვეთი	*kua(h)-
*krazana- კრაზანა	*krs-en-
*krko- რკო, მუხა	*kuerkuu
*krox-, křux- კრუხი	*krok-
* kəla- გასაღები, ჩაკეტვა (მეგრ.) kəla-, (ლაზ.) kəla-	*klā(u)-
*kūnd- (megr.-laz.) ექსკრემენტი	*kudh
*leṭa (მეგრ.-ლაზ.) ტალახი	*lat-
*lex- (მეგრ.) ავადმყოფი	*lcik-, leig-
*madl- მადლ	*mald-
*nigoz ნიგოზი	*ni-gauza
*p'irvel- პირველი	*pry(o)-
*reka-	*rēka-

*saraჲ (a) ფუტკრის ფიჭა	* sāragha-
*sila- ქართ., მეგრ. ქვიშა	*silā-
*srut'c- ქართ., არხი	*sru-to-
*sqwen- ქართ., სხვენი, ჭერი	*skēin, skāin-
*l'op- ქართ., მეგრ.	*top-
*l'rp- ქართ. სიამოვნება, დაკმაყოფილება	*l'rp-
*pard-, prd -გაყიდვა, ვაჭრობა (რომელი იგი ტრედსა ფრდიდეს (ფარდ-ულ- (სავაჭრო ადგილი); მე-ფარდ-ულ-ე)	*para-dā-
*parto- ქართ., მეგრ. ფართო	*prthu
*prta- ქართ. ფრთა, ბუმბული	*patra-
*kabula- მეგრ. ხბო (ერთი ნლის)	*kalba-
*rka-, ქართ. რქა, მეგრ.ქა-, ლაზ. kra- რქა	*krā-
*ȳwāse- სვან. ბადექონი	*ȳasā-
*ȳwer- სვან. იცი//დაფიცება	*ȳer-
*(š)lam- ქართ.	*lāmā
*Zalua ქართ. ბიცოლა	*žlōy-
*c`urbel- ქართ. მეგრ.: c`urvel- ნურბელი	*surb-el-
*xendru- ქართ. მარწყვი	*kūendh-ro

თამაზ გამყრელიძისა და ვიარქესლავ ივანოვის ერთობლივ ნაშრომში აღდგენილია „ფუძეინდოევროპული ლექსიკის სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფები. კერძოდ, ფლორის, ფაუნის, მეურნეობისა და მატერიალური კულტურის აღმნიშვნელი ძირების რეკონსტრუქცია საშუალებას გვაძლევს, -წერენ ავტორები, - რომ მიახლოებით წარმოვიდგინოთ ის გეოგრაფიული გარემო, სადაც იყო ფუძეინდოევროპული სამშობლო და საიდანაც დაიწყო ინდოევროპული ტომების მიგრაცია და მათი განსახლება ევრაზიის უფართოეს ტერიტორიაზე. სულიერი კულტურის ელემენტები, რომელთა აღდგენა შესაძლებელია ენობრივი მონაცემებით, ასევე ლექსიკური ნასესხობები და ინდოევროპულის გავლენა სხვა ენებზე, გავძლევს საშუალებას მოვხაზოთ ინდოევროპელთა შესაძლო „წინარესამშობლოს“ გავრცელების არეალი. ასეთ არეალად უნდა ვივარაუდოთ ის ადგილი, სადაც ფუძეინდოევროპული ეკონტაქტებოდა სემიტურ და ქართველურ ენებს, რადგან ამ ენებში არის ნასესხობათა მთელი პლასტი და შეიმჩნევა საერთო სტრუქტურული ნიშნები, რომლებიც უნდა ჩამოყალიბებულყო ამ ენათა ხანგრძლივი ურთიერთგავლენის დროს. ინდოევროპულის ქართველურსა და სემიტურზე გავლენის ფაქტორი გვავარაუდებინებს, რომ ინდოევროპულის წინარესამშობლო უნდა იყოს ახლო აღმოსავლეთის კონკრეტული არეალი, სადაც შესაძლებელი იყო ასეთი



კონტაქტები. ამით გამოირიცხება ბალკანეთის მიჩნევა იმ ტერიტორიად, სადაც თითქოს პირველად გავრცელდა ინდოევროპული ფუძეენა (გამყრელიძე, ივანოვი 1984: 870-871).

რომან იაკობსონი გამყრელიძე-ივანოვის ერთობლივი ფუნდამენტური ნაშრომისთვის წამძვარებულ წინასიტყვაობაში აღნიშნავდა, რომ „შედარებითი ენთმეცნიერების ამოცანად აღარ ითვლება მხოლოდ ნათესაობრივი შედარება, მის ინტერესთა სფეროში შედის რეკონსტრუირებული ენების აღწერითი დახასიათება. უკვე გააზრებულად ფართოვდება ლინგვისტური შედარების საზღვრები და სპეციალური კვლევის საგანი ხდება ენათა შორის ენობრივი კავშირისთვის დამახასიათებელი მიმართებებისა და თვით ისეთი ენების სისტემების კვლევა, რომლებიც არც მონათესავენი არიან და არც გეოგრაფიული სიახლოვე აქვთ. ასეთმა კვლევამ საჭირო გახადა ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს რეკონსტრუირებული ფუძეენის რეალურობის ხარისხის შესამოწმებლად. <>ამ მეთოდების სწორად გამოყენებამ აქცია წარსულში შექმნილი ფუძეინდოევროპული ენის სტატიკური და ერთფეროვანი სურათი დინამიკურ სურათად, რომელშიც ჩანს როგორც ფუძეინდოევროპული ენის დიალექტების ურთიერთმიმართება, ისე ფუძეინდოევროპულის ურთიერთობა გეოგრაფიულად მეზობელ ფუძეენებთან (იაკობსონი 1984:XIII-XIV).

მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან ძალიან სწრაფი ტემპით დაიწყო როგორც მონათესავე ენათა ჯგუფის, ისე ენობრივი კავშირისა და ენათა საერთო ტიპოლოგიური მახასიათებლების გამოვლენა და კვლევა, რამაც ოთხმოციანი წლებში შედეგად მოიტანა ის, რომ ენათმეცნიერების ძველ კითხვებზე გაჩნდა, როგორც რომან იაკობსონი ამბობს, საოცარი პასუხები, დადგა სრულიად ახალი პრობლემები და ძალიან გაფართოვდა თემატური ჰორიზონტი.

როგორ გახდა ფუძეინდოევროპული ენის სტატიკური და ერთფეროვანი სურათი დინამიკური? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ

1) აღდგენილი ფუძეინდოევროპული ენა ტიპოლოგიურად სანდო სურათს იძლევა და შეიძლება ასეთი ენის არსებობის დაშვება როგორც ფონოლოგიურად ისე გრამატიკულად და ლექსიკურად: „ფუძეინდოევროპულში სავარაუდებელია ხშულთა სამეულბერივი სერია, რომელსაც ქმნის „გლოტალიზეული“ (resp. ფარინგალიზებული) მჟღერი და ყრუ თანხმოვნები. უნდა აღინიშნოს, ასეთი ფონოლოგიური თვისებები სხვა ენათა ჯგუფებსაც ახასიათებთ, რომლებიც ერთ ენობრივ კავშირში შედიან. გლოტალიზებული ხშულების სერიის მიხედვით ინდოევროპულ, ქართველურ და სემიტურ ფუძეენების ტიპოლოგიური მსგავსება შეიძლება ვნახოთ აგრეთვე ამერიინდიელთა ენებში, რომლებსაც ასევე ახასიათებთ გლოტალიზებული სერია. ქართველურსა და ინდოევროპულს ახასიათებს: სო-

ნანტა მარცვლოვანი და უმარცვლო ვარიანტები სიტყვაში მათი პოზიციის მიხედვით; ძირისა და აფიქსების მიმართების ერთნაირი სქემა; ძირისა და აფიქსების შეერთების ერთნაირი წესები მრავალმორფემიან თანამიმდევრობაში ძირეული ხმოვნის ცვალებადობის მექანიზმით (აბლაუტი). ასეთი მსგავსება ენობრივ სტრუქტურათა გაფორმებაში შეიძლებოდა ყოფილიყო ხანგძლივი ენობრივი ურთიერთობის შედეგი ერთი არეალური მთლიანობის – ენობრივი კავშირის შიგნით და მათ შორის ალოგენეტური მიმართებების დამყარებით (ნერეთელი 1968).

2) აღდგენილი ინდოევროპული ფუძეენა მარტო არ არის იმ გეოგრაფიულ არეალში, რომელიც ითვლება ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის პირველსაცხოვრისად. მას აქვს ურთიერთობები სხვა ფუძეენებთან: „ამაზე მეტყველებს უამრავი ლექსიკური ნასესხობა, რომლებიც ახასიათებს ქართველურ, ინდოევროპულ და სემიტურ ენათა ისტორიულად საერთო არეალური კავშირს („исторический общий ареальный союз языков“). ავტორები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ქართველურ-ინდოევროპული ენობრივი ურთიერთობების შედეგად ვლინდება ნასესხებ სიტყვათა ფართო სემანტიკური სპექტრი, რომლებიც მოიცავენ არა მხოლოდ კულტურულ ტერმინებს, არამედ ძირეული ლექსიკური ფონდის სიტყვებსაც, რაც უნდა მიუთითებდეს ერთი ენობრივი კავშირის ფარგლებში ენათა ურთიერთგავლენაზე. ამით უნდა აიხსნას ქართველურსა და ინდოევროპულს შორის არსებული სტრუქტურული იზომორფიზმი. დიფერენციციამდე საერთოქართველური ტერიტორიულად გავრცელებული უნდა ყოფილიყო მცირე კავკასიონის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილების მთიანეთში. საერთოქართველურის ერთ-ერთ დასავლურ დიალექტზე მეტყველთა პირველი მიგრაციის ტალღა კოლხეთის დაბლობისაკენ უნდა დავეშვათ ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში. სწორედ მაშინ დაედო სათავე სვანურ ენას, რომელიც დაეფინა აქ გავრცელებულ ადგილობრივ ენებს, სავარაუდოა, რომ ეს იყო ჩრდილო-დასავლურკავკასიური ტიპის ენები, რომლებიც, თავის მხრივ, სვანურისათვის სუბსტრატის როლს ასრულებდა (მდრ. არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი სვანური ენის ნარეგობის შესახებ. იხ. ზემოთ).

სვანური ენა თანდათანობით ჩრდილოეთისაკენ გადასწია საერთოქართველური მიგრაციის მეორე ტალღამ, რომელმაც მიაღწია შავ ზღვამდე. ეს უნდა ყოფილიყო საერთოქართველურის დასავლური დიალექტი, რომელმაც სათავე დაუდო კოლხურ, იგივე ზანურ ანუ მეგრულ-ლაზურ ენას, რომელიც იყო ძველი კოლხეთის ერთ-ერთი ენა. საერთოქართველურის ის დიალექტები, რომლებიც დარჩნენ დასავლეთ მცირე კავკასიონის არეალში, სადაც იყო ფუძე ქართველურის გავრცელების ძირითადი კერა, საფუძვლად დაედო

ქართულ ენას. ამ ენაზე მეტყველნი უკვე ისტორიულ პერიოდში დაიძრნენ დასავლეთისაკენ და ქართული ენა დაეფინა კოლხურ ენას, რამაც გამოიწვია მისი გაყოფა მეგრულ და ლაზურ (ჭანურ) ნაწილებად. ქართულ ენაზე მეტყველნი განსახლდნენ ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულელებითაც და შეავინროვეს აქ აღმოსავლურკავკასიური ტიპის ენების გავრცელება. სწორედ ამ მიგრაციებმა გამოიწვია საერთოქართველური ენის დაშლა და მისი დიალექტების ექსპანსია პირველსაცხოვრისის საზღვრებს გარეთ (გამყრელიძე, ივანოვი 1984).

გამყრელიძე-ივანოვის „გლოტალობის თეორიის“ შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა კვლევა როგორც ენობრივი კავშირების ისე მაკროენობრივი ოჯახების გამოვლენის თვალსაზრისით. ნოსტრატულ თეორია, ილიჩ-სვიტიჩის შემდეგ - სტაროსტინისა და ალან ბომჰარდის სახელებს უკავშირდება. ნოსტრატული თეორიის შედეგებისა და კლიმოვის დასკვნების შეუთავსებლობაზე (ამას თვით გ. კლიმოვიც აღიარებს) მსჯელობს ვიაჩესლავ ვ. ივანოვი 2007 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში დაბეჭდილ წერილში. იგი აღნიშნავს, რომ თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ერთობლივ ნაშრომში შესულია კლიმოვის გამოვლენილი ძველი ინდოევროპეიზმები ქართველურში, მაგრამ თუ პროტონდოევროპულსა და პროტოქართულს საერთო ნოსტრატული წარმოშობა აქვთ, მაშინ ინდოევროპეიზმებად შერაცხული ძირები უნდა მივაკუთვნოთ ადრეულ პროტონოსტრატულ პერიოდს. სტაროსტინი შეეცადა შეეკრიბა ის ინდოევროპული ელემენტები ქართველურში, რომლებიც, მისი აზრით, ნოსტრატული წარმოშობის უნდა იყოს. იგი თავის თანაავტორთან ერთად 2001 წელს ნოსტრატულ ენებში მოიაზრებს ექვს ჯგუფს (უფრო დანვრილებით იხ. ბურლაკი და სტაროსტინი 2001:178-181), რომელთა შორის არის ქართველური ინდო-ევროპულთან, ალათაურთან, დრავიდულთან, ურალურთან და ესკალეუტურ ენათა ოჯახებთან ერთად. სტაროსტინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინდოევროპულსა და ქართველურს შორის (იმის მიუხედავად, მათ მონათესავე ნოსტრატულ ენებად ჩავთვლით თუ ერთი ფუძეენდიან მეორე ფუძეენაში ნასესხობად) ამკარაა შესატყვისობები: ქართველური გლოტალიზებული : ინდოევროპული ყრუ, ინდოევროპული „გლოტალიზებული“ : ქართველური ყრუ თანხმოვანი. მაგალითებად სტაროსტინი ასახელებს შემდეგ ძირებს: p': \*p'ir- „მხარე“ - ინდო-ევრ. \*per- „წინა მხარე“ (შდრ. მაგალითად რუსული: перед); t': \*It'w- „დასველება“ - ინდო-ევრ. \*lat- „ტენიანი, სითხე“ (შდრ. მაგალითად, ლათ. latex „ტენი, სითხე“); \*mat'- „მატლი“ - ინდო-ევრ. \*mat- „მატლი“ (შდრ. მაგალითად რუსული: матыль); k': \*k'wer- „მრგვალი“ - ინდო-ევრ. \*kwel „ბრუნვა“ (ქარ-

თველირო რ შეიძლება შეესაბამებოდეს ინდოევროპულ ლ-ს); \*mk'erd- „მკერდი“ - ინდო.-ევრ. \*k'erd (არსებობს მონაცემები, რომლებიც მიუთითებს, რომ უფრო ადრეული ფუძეინდოევროპული ფორმა იყო: \*k'erdh) „გული“ (შდრ. მაგალითად, რუსული серце ბერძნ. Kardia); q': \*q'ur- ყური- - ინდო.-ევრ. \*k'leu „მოსმენა“ (შდრ. მაგალითად, რუსული слышать, слышать); t': \*tx- „დასხმა, დათხევა“ - ინდო.-ევრ. \*dē- „სითხე, დინება, წვეთობით დინება“ (შდრ. მაგალითად, ინდოირანული წარმოშობის მდინარეთა სახელები - დონ, დნ-ეპრ და ასე შემდეგ); k: \*kwal-/kwel- „ცივი“ - ინდო.-ევრ. \*g'el- „ცივი“ (შდრ. მაგალითად. ლათ. gelidus, გერმანული: kalt).

ს. სტაროსტინისა და მისი თანაავტორის მოსაზრებით, შესაძლებელია ფუძეინდოევროპული სისტემა ჰგავდა უდიურს (ლეზგიური ენების ერთ-ერთი წევრი) და შედგებოდა ყრუ, მჟღერი და „ძლიერი“ თანხმოვნებისაგან (უფრო დანვრილებით იხ: ბურლაკი და სტაროსტინი 2001:118-121):

p	(p):	b
t	t:	d
k	k:	g

სტაროსტინი მხარს უჭერს ტრუბეცკოის მოსაზრებას ჩრდილოეთ კავკასიური ერთობის შესახებ (ტრუბეცკოი 1930). ამ თავლსაზრისს სტაროსტინი ამყარებს ოცდათხუთმეტი (35) ბაზისური სიტყვის (სიტყვების სია შემუშავებულია ს. იახონტევის მიერ) ბგერათშესატყვისობების დაძებნით აღმოსავლურ-კავკასიურ (ნახურ-დაღესტნურ), დასავლურ-კავკასიურ (აბხაზურ-ადიღეურ) და სამხრეთ-კავკასიურ (ქართველურ) ენებში. შესადარებლად აღებული სიტყვების ჩამონათვალი ასეთია (დაყოფა ჩვენია, - თ.ბ): ზოგიერთი ბაზისური არსებითი სახელი: სახელი, ქვა, ცეცხლი, თევზი, ძაღლი, წელი (წელიწადი), მატლი, ტილი, კვერცხი; სხეულის ორგანოთა სახელები: თვალი, ყური, კბილი, ცხვირი, ხელი, კუდი, ენა, ძვალი, რქა, სისხლი; ციური სხეულთა აღმნიშვნელი სახელები: მზე, მთვარე; ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი სახელები: ქარი, წყალი; ზედსართავი სახელები: სრული, ახალი; რიცხვითი სახელები: ერთი, ორი; ნაცვალსახელები: ვინ, რა, ეს, მე, შენ; ძირეული ზმნები: მიცემა, ცოდნა, კვდომა (სიკვდილი). სიტყვათა ეს ჩამონათვალი გამოცდილია ბევრ ენაზე, მაგალითად, ინდოევროპულ, ალათაურ, ურალურ, დრავიდულ, ჩინურ-ტიბეტურ, ავსტრონეზიურ და სხვა ენებზე. ამ ჩამონათვალიდან მონათესავე ენებში, ჩვეულებრივ, ემთხვევა ოცი (20) ერთეული. ამ სიტყვებში დადასტურებული ბგერათშესატყვისობები შეესაბამება დივერგენციის 5-7 ათას წელს (სტაროსტინი 2007ა:529).

ზემოთ ჩამოთვლილი ოცდათხუთმეტი (35) სიტყვის შედარებაში სტაროსტინს ასეთი შედეგი მისცა: ფუძეაღმოსავლურ-კავკასიურსა და ფუძედასავლურ-კავკასიურს შორის არის ოცდაოთხი (24) დამთხვევა, ხოლო ფუძეაღმოსავლურ-კავკასიურს, ფუძედასავლურ-კავკასიურსა და ფუძექართველურს შორის არის მხოლოდ ორი (2) დამთხვევა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ს. სტაროსტინი ასკვნის: აღმოსავლურ-კავკასიური (ნახურ-დაღესტნური) და დასავლურ-კავკასიური (აფხაზურ-ადიღური) ენები ახლო მონათესავე ენები არიან. ფუძეაღმოსავლურ-კავკასიურსა და ფუძედასავლურ-კავკასიურს საერთო ლექსემების ძალიან დაბალი პროცენტი აქვთ ფუძექართველურთან (მხოლოდ ორი ლექსიკური ერთეული), რასაც სტაროსტინი იმით ხსნის, რომ ქართველური და კავკასიური ენები არ ქმნიან საერთო ოჯახს. ეს მცირე დამთხვევა შეიძლება აიხსნას ან სესხებით ან ნოსტრატულზე ძველ პერიოდში ნათესაობით. საყურადღებოა, რომ ქართველურის ნოსტრატულ ენებთან (იდოევროპულთან, ურალურთან, ალათაურთან) საერთო ლექსიკის სტაბილურად მაღალი პროცენტი ახასიათებს, ხოლო ჩრდილოკავკასიური ენები ასეთ სიახლოვეს ამჟღავნებენ ჩინურ-ტიბეტურთან და ენისეურთან, რაც, სტაროსტინის აზრით, ამტკიცებს იმას, რომ კავკასიური ენების ორი ოჯახი სამხრეთ კავკასიური და ჩრდილოეთ კავკასიური ევრაზიის სხვადასხვა მაკროოჯახებს მიეკუთვნებიან (სტაროსტინი 2007ა: 546). ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, ძალიან ფასეულ შედეგს მოგვცემს არნილდ ჩიქობავასა და ს. სტაროსტინის მოსაზრებების შედარება. მთავარი სხვაობა ის არის, რომ არნილდ ჩიქობავა იმთავითვე გამორიცხავდა ისტორიულ წარსულში ქართველურ და ინდოევროპულ ენებს შორის ნათესაობრივ ან ღრმა ენობრივ კონტაქტებს. იგი ხაზგასმით და დაბეჯითებით აღნიშნავდა იბერიულ-კავკასიური ენების გენეტიკური კავშირს შესახებ წინა აზიის ძველ მკვდარ ენებთან. „ჩვენის აზრით, - წერდა ჩიქობავა, - ობიექტურ ვითარებას ასახავს ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც იბერიულ-კავკასიური ენები ისტორიულად უკავშირდებიან იმ ძველ ენებს, რომლებიც, თავის მხრივ, არც ინდო-ევროპულნი არიან, არც სემიტურნი და არც ურალურ-ალათაური წრისა. ეს ენებია: პროტოხეთური (ანუ საკუთრივ ხეთური), ურარტული, ხურიტული, ელამური. ბუნებრივი ჩანს თანამედროვე კავკასიის ცოცხალი, არაინდოევროპული, არასემიტური ენები და წინა აზიის ძველი ინდოევროპული, არასემიტური ენები მონათესავე ენათა ერთ წრეში იყოს მოქცეული. ამ წრეს სხვადასხვაგვარი სახელი შეიძლება ეწოდოს (მაგალითად, ალაროდიული, აზიანურ-კავკასიური ენები); ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნდა გვეხმარა ტერმინი „ხეთურ-იბერიული ენები“ (უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა: „პროტოხეთურ-ურარტულ-იბერიულ-კავკასიური ენები“, ამგვარი რთული ტერმი-

ნის ხმარება რომ შესაძლებელი იყოს). ამასთან, არნ. ჩიქობავას ეს-მის ის სიძნელეები, რომლებიც თან ახლავს ცოცხალი ენების (კავ-კასიის ენების) მკვდარ ენებთან (წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვის ენებთან) ისტორიული ურთიერთობის კვლევას (ჩიქობავა 278-279).

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ძალიან ძველ, უკვე აღდგენილ ფუძეენებამდელ ურთიერთობებზე ერთ პერიოდში ფიქრობენ სხვადასხვა ქვეყნის ენათმეცნიერები. მაგალითად, ტრუბეცკოის აზრი, რომ ინდოევროპული ენები ყოველთვის არსებობდნენ და ისინი ერთმანეთს დაემსგავსნენ ურთიერთობის გამო, ნოსტრატული თეორია, რომელიც ფუძეინდოევროპულზე შორის იყურება და მის ადგილს სხვა ენათა ოჯახებთან ერთად ეძებს უფრო დიდი მაკროოჯახში, რომელსაც ნოსტრატულს უწოდებს.

ნიშანდობლივია, რომ მერაბ ჩუხუამ სწორედ არნოდ ჩიქობავასთვის მისაღები ტერმინი – ალაროდული ენა – გამოიყენა იბერიულ-კავკასიური ენობრივი ერთობის აღსანიშნავად, რომელიც თავიდან დაიყო ხუთ დიდ ჯგუფად: 1) ბასკური, კორსიკული, კელტიბერიული; 2) ხათურ-აფხაზურ-ადილური ერთობა; 3) პურიტულ-ურარტულ-ნახური ერთობა; 4) ლელეგურ-ალბანურ-დაღესტნური ერთობა; 5) შუმერულ-იბერიულ-ეტრუსკულ-პელაზგური ერთობა. ამ ენობრივი ერთობების დაყოფის შედეგები ავტორს ასახული აქვს სპეციალურ სქემაზე (ჩუხუა 2000-2003:7), რომლის მიხედვით, შუმერულ-იბერიულ-ეტრუსკულ-პელაზგური ერთობის დამლის შედეგად არის მიღებული: შუმერული, წინარექართველური (იბერიული ენა) და ეტრუსკულ-პელაზგური ენა. ასეთი დაყოფის გარდა, ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ის დასკვნაც, რომელსაც მ. ჩუხუა აკეთებს სვანური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის განხილვის შედეგად. მას ეჭვი შეაქვს გიორგი კლიმოვის რამდენიმე მოსაზრებაში სვანურთან დაკავშირებით: „თითქოს სვანურში არ მოიპოვებოდეს ბინადარ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული კულტურული ტერმინები, რომლებიც საერთო იყოს სხვა ქართველურ მონაცემებთან“ და რომ „თითქოს სვანურს არ ჰქონდეს სხვა ქართველურ ენებთან საერთო ძირები არა მხოლოდ სპილენძის, ბრინჯაოს, არამედ ... რკინის, ცხენისა და სხვა მსგავსი მნიშვნელობების აღსანიშნავად.“ მ. ჩუხუა დიდძალი ენობრივი მასალის ანალიზის შემდეგ აკეთებს დასკვნას, რომ „სვანური ლექსიკის ძირითადი ფონდი, ისევე როგორც ქართული და მეგრულ-ჭანური, გამოირჩევა საკმაო ერთფეროვნებითა და მონოლითურობით. მართალია, აქ გამოიყოფა სიტყვათა მთელი წყება, რომელიც ნასესხებია აფხაზურ-ადილური, მეგრულ-ჭანური (ზოგჯერ სომხური) ენებიდან, მაგრამ ამის საფუძველზე ვერანაირად ვერ კეთდება დასკვნა სვანური ენის ნარეკობის, მით უფრო, ნაჯვარობის შესახებ (ნ. მარი). სვანურის ძირითადი ლექსიკური ფონდი საერ-

თოქართველური წარმოშობისაა და რეგულარულად იძლევა კანონზომიერ ფონეტიკურ-სტრუქტურულ-სემანტიკურ შესატყვისობებს სხვა ქართველური ენა-კილოების სათანადო მონაცემთა მიმართ" (ჩუხუა 2000-2003:428).

მიუხედავად კვლევის მეთოდების სხვადასხვაობისა, სვანურის ნარეკობაზე ერთნაირად მიუთითებდნენ ნიკო მარი და არნოლდ ჩიქობავა (ამის შესახებ იხ. ზემოთ), რომლის თეორიის გაგრძელება ჩანს მერაბ ჩუხუას სქემა წინარეიბერიულ-კავკასიური (ალაროდიული) ენის აღდგენით დაწყებული ამ ენის დივერგენციის შედეგად მიღებული ენობრივი ერთობებით დამთავრებული. არნ. ჩიქობავა უშვებდა წინა აზიის ძველი (არაინდოევროპული, არასემიტური) ენების კავკასიის ამგვარსავე (არაინდოევროპულ, არასემიტურ) ენებთან გენეტიკურ კავშირს. ეს თვალსაზრისი მას წარმოდგენილი აქვს როგორც ჰიპოთეზა, რომელსაც დასაბუთება სჭირდება და ამავე დროს აღნიშნავდა, ამ ჰიპოთეზის დასაბუთების სიძნელის მიზეზებსაც, თუმცა არნ. ჩიქობავა კავკასიური ენების გენეტიკური ერთობის საკითხს განიხილავდა მხოლოდ არაინდოევროპული ენების მიმართ. იგი ასევე დაინტერესებული იყო კავკასიური ენების არაინდოევროპულ მკვდარ ენებთან მიმართების პრობლემითაც. მაგალითად, ალბანურ ენასთან, უფრო სწორად, ალბანურ ენებთან, რომლებიც ძველად თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იყო გავრცელებული. ეს ეხება აგრეთვე იმ არაინდოევროპულ ენას, რომლის ინდოევროპულ ენასთან შერწყმის შედეგად მივიღეთ ძველი სომხური ენა, ინდოევროპული ენა (ჩიქობავა 1979:280, 294-295). საყურადღებოა, რომ არნ. ჩიქობავას სომხური არაინდოევროპული წარმოშობის ენად მიაჩნია, რომელიც მერე გახდა ინდოევროპული. ბოლოდროინდელი კვლევები სანინალმდეგო მიმართულებას ანუ ინდოევროპული ენისათვის კავკასიური მახასიათებლების შექმნის შესაძლებლობას უჭერს მხარს.

არნ. ჩიქობავა სადავოდ თვლის სახელწოდების „ხეთური ენის“ გამოყენებას ინდო-ევროპული ენის აღსანიშნავად. „ექვს გარეშეა, რომ „ხათური“ წარმოადგენს არაინდოევროპული ენის სახელწოდებას მაშინ, როდესაც „ხეთური“ ამავე სახელის გვიანდელი (ებრაული ფორმაა). მაგრამ ტერმინი „ხეთური“ უკვე გაბატონდა როგორც ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიის ინდოევროპული ენის სახელწოდება, ენისა, რომლის ზუსტი სახელი, სამწუხაროდ, ცნობილი არ არის. არნ. ჩიქობავას აზრით, ხეთური სწორედ არაინდოევროპული ენაა. ასევე წინა აზიის არაინდოევროპული, არასემიტურ ენებია: ურარტული, ხურიტული, პროტოხეთური და ელამური. იგი საჭიროდ მიიჩნევდა ამ ენების ნათესაური კავშირის კვლევას ცოცხალ იბერიულ-კავკასიურ ენებთან. რაც შეეხება ბასკური ენის იბერი-

ულ-კავკასიურ ენებთან ურთიერთობას, არნ. ჩიქობავას აზრით, იგი უთუოდ დადებითად წყდება. თვით ტერმინში „იბერიულ-კავკასიური ენები“, ჩიქობავას გაგებით, „იბერიული“ წარმოადგენს „ქართველურის“ სინონიმს (პირინეის ძველ „იბერებს“ იგი არ გულისხმობას. სხვაგავარად რომ ვთქვათ, ჩიქობავა არ ეთანხმება ამ საკითხში ნიკო მარის მოსაზრებას. იგულისხმება ნ. მარის წერილი „პირინეის გურიიდან“ (მარი 1937:3-52) - თ. ბ.). ტერმინში „იბერიულ-კავკასიური ენები“ ხაზი ესმის იმას, რომ დადებითად წყდება ე. წ. „ჩრდილო-კავკასიური ენების“ სამხრეთ-კავკასიურ ენებთან ნათესაობის საკითხი (ამას კი ხშირად სადავოდ ხდიან)“ (ჩიქობავა 1979:301-305. იხ. აგრეთვე ჩიქობავა 1952). ნათელია, რომ არნოლდ ჩიქობავას მოსაზრებებთან სრულ თანხმობას ავლენს მერაბ ჩუხუას „წინარეიბერიულ-კავკასიური (ალაროდული) ენის“ დაშლის სქემა.

ამ საკითხზე სპეციალურად მსჯელობს ტარიელ ფუტყარაძე, რომელიც აკეთებს დასკვნას, რომ „ჯერ კიდევ XIX საუკუნის მკვლევართა მიერ ნავარაუდევ წინარეიბერიულ-წინააზიურ-ქართველურ-ჩრდილოკავკასიურ ენობრივ-ეთნიკურ ნათესაობას, რომელიც სამეცნიერო პრობლემად აქციეს ნ. მარმა, ივ. ჯავახიშვილმა, ს. ჯანაშიამ, არნ. ჩიქობავამ და სხვებმა, უფრო და უფრო მეტი არგუმენტი უჩნდება. კავკასიურ-წინააზიური (ახლოაღმოსავლური) ენობრივ-ეთნიკური ერთობის დივერგენციის სავარაუდო ქრონოლოგია, ტარიელ ფუტყარაძის აზრით, ასე გამოიყურება: ძვ.წ. VII-IV ათასწლეულები - ახლოაღმოსავლური ენობრივი სამყარო; ძვ.წ. IV-II ათასწლეულები - იბერიულ-კავკასიური, ხურიტული, ხათური...ენობრივ-კულტურული ველების წარმოქმნა-არსებობა; ძვ.წ. I ათასწლეული - ქართველური ენობრივ-ეთნიკური სამყაროს ჩამოქმედება“. ამას გარდა, იგი აღნიშნავს, რომ შიდაენობრივი დივერგენციის პარალელურად, ყველა დროში მიმდინარებოდა „ენათა მრავალნახნაგოვანი კონვერგენციული პროცესები, რომლებიც პირდაპირპროპორციულია ეთნოსთა შერევის ხარისხისა. ძველ თუ თანამედროვე კავკასიურ და წინააზიურ ენებში (ინდოევროპული და სემიტური ენების ჩათვლით) შთამბეჭდავია სუპერსტრატული, სუბსტრატული და ადსტრატული ფენები“ (ფუტყარაძე 2005:257-258). იბერიულ-კავკასიური და წინააზიური ძველი ენების მიმართების საჩვენებლად ტ. ფუტყარაძე ადგენს სქემას, რომლის მიხედვით, „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური ენობრივი კონტინუუმის“ დიფერენცირების შედეგად მიღებულია „შუმერული ენობრივი ველი, ხურიტულ-ურარტული ენობრივი ველი, იბერიულ-კავკასიური ენობრივი ველი (რომელიც საფუძველს უდებს „საერთოქართველურ კოინეს“) და ხათურ-პელაზგური ენობრივი ველი“. იმ ძალიან დიდი ენობრივი სივრცის შესახებ მსჯელობა, რომელიც „ენობრივ კონტინუუმად“ იწოდება, ხოლო მისი დაშლა „ენობრივ



ველებს“ იძლევა, შეუძლებელია ენობრივი კავშირის ცნების გამოყენების გარეშე.


კავკასიურ ენათა ბოლო პერიოდის ქართველ ლინგვისტთა თეორიებში არ არის მითითება ან არ არის გაზიარებული ენობრივი კავშირის ცნება, თუმცა მათ მიერ შექმნილი სქემები სწორედაც რომ ამის საშუალებას იძლევა. მიხეილ ქურდიანი ნაშრომში „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები“ სრულ უნდობლობას უცხადებს ნოსტრატულ თეორიას. ფაქტობრივად ნოსტრატული თეორია ხვდება „არათუ დილექტანტურ, არამედ, საერთოდ, მეცნიერებისაგან განსმდგომი ჰიპოთეზების“ რიგში, რომლებიც მიხეილ ქურდიანის შეხედულებით, შემოაღწიეს სამეცნიერო მიმოქცევაში, მეტიც, ისინი ზოგჯერ სპეციალური სახელმძღვანელოების გვერდებზეც ხვდებიან“ (ქურდიანი 2007:96).

რა თქმა უნდა, ენათა ოჯახებს შორის ნათესაობის დადგენა ადვილი არ არის, მაგრამ ნოსტრატული თეორიის „ლინგვისტიკისათვის საბედისწერო საფრთხედ“ და „კატასტროფად“ გამოცხადებისაგან (იხ. ქურდიანი 2007:100,102) თავის შეკავება ძალიან სასურველია. სულაც არ არის გულისმომკვლელი ის ფაქტი, რომ „გამოკვლევების რიცხვი განუხრელად იზრდება, ისევე როგორც მათი გავლენა თანამედროვე ენათმეცნიერებაზე“. ნამდვილად გადაჭარბებულია აზრი, რომ ეს სერიოზულ საფრთხეს ქმნის ზუსტი და მკაცრი მეცნიერული მეთოდების დისკრედიტაციისა და თვით ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერების დარგის, პროფანაციისა (ქურდიანი 2007:102). ჩრდილო- და სამხრეთკავკასიურ ენათა ნათესაობის მტკიცებასაც არანაკლები დაბრკოლებები ხვდება.საქმეს არ აადვილებს ბასკურის შემოყვანა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში, მაგრამ ეს თეორია პატივისცემას იმსახურებს, როგორც ყველა მეცნიერული აზრი.


ასევე უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს მიხეილ ქურდიანი ალოგენეტური ანუ შეძენილი ნათესაობის თეორიის მიმართ და ამგავრი დივერგენციის დაშვებას გადაჭრით ენიანალმედგება: „ამ დედუქციურ და აპრიორულ მიდგომას ენათა „დანათესავეების“ შესაძლებლობისადმი მხარს არ უჭერს და არც შეიძლება უჭერდეს ემპირიული მონაცემები (ქურდიანი 2007:198). მართალია, მიხეილ ქურდიანი აღიარებს, რომ ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონის ნასესხობები ორგანულად ჯდებიან მსესხებელი ფუძე-ენის დიფერენციაციის შემდგომ წარმოქმნილ ბგერათშესატყვისობათა მწყობრ სისტემაში“, მაგრამ რადგან სიტყვათა სესხება არასისტემური და არალეგალური ხასიათისაა, ეს მწყობრი სისტემა არც ერთ ცნობილ შემთხვევაში არ ავლენს, და არც არის მოსალოდნელი, რომ ავლენდეს კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა სისტემას გამსესხე-

ბელი ფუძე-ენის დიფერენციაციის შემდგომ წარმოშობილ ენათა მწყობრ სისტემასთან" (ჭურდიანი 2007:219).

სწორედ მაშინ, როცა ქართველი მკვლევრების ერთი ნაწილი იწუნებს სამხრეთ- და ჩრდილოეთკავკასიურ ენებში ინდოევროპეიზმების ძიების გზას, რომელიც საბოლოოდ ნოსტრატული თეორიის ერთ-ერთი საყრდენი ხდება, ალან ბომპარდისეული ნოსტრატული მაკროოჯახი ასეთი სქემის სახეს იღებს (ბომპარდი 2008:28. შდრ. ნოსტრატულ ენათა სტაროსტინისეულ ჩამონათვალს (სტაროსტინი: 178-181).



პროტო-ქართველური ენის დაშლა ემთხვევა ქართველურ ენათმეცნიერებაში მიღებულ სქემას (ბომპარდი იყენებს არნ. ჩიქობავას ტერმინი ზანური. ბომპარდი 2008). საინტერესოა ერთმანეთთან თეორიულად დაპირისპირებული სამეცნიერო თეორიების გადაკვეთის წერტილების კვლევა.



ნოსტრატული თეორია ითვალისწინებს გლოტალობის თეორიას. ალან ბომჰარდი გამყრელიძე-ივანოვის გლოტალურ თეორიას „ხელახალ აღმოჩენას“ უწოდებს. მისი მტკიცებით „გლოტალურ თეორიას“ ორი წყარო აქვს: ერთი მხრივ, ეს არის ბრიტანული წარმოშობის ამერიკელი გერმანისტი პოლ ი. ჰოპერი, რომელმაც პროტონდოვეროპულში გლოტალური ხშულების („გლოტალიზებული ხშულების“ - glottalized stops) არსებობა ივარაუდა ჯერ კიდევ ტეხასის უნივერსიტეტში სტუდენტობის დროს, როცა ა. კუპერთან ყაბარდოულის კურსს ისმენდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის სხვა საქმეს გაჰყა და ხუთი წელი დასჭირდა, სანამ თავის იდეებს წერილობით სახეს მისცემდა. მეორე მხრივ, ქართველმა ინდოვეროპეისტმა თამაზ ვ. გამყრელიძემ, რომლისთვისაც მშობლიურია გლოტალური თანხმოვნების მქონე (ქართული) ენა, იკვლია ტიპოლოგიური მსგავსება პროტოქართველურსა და პროტონდოვეროპულს შორის (გამყრელიძე 1966, 1967). ცოტა ხანში მისთვის ნათელი გახდა, რომ პროტონდოვეროპულს შესაძლოა გლოტალური ხშულებიც ჰქონდეს. მან რუს ინდოვეროპეისტ ვიაჩესლავ ვ. ივანოვთან ერთად გამოაქვეყნა სტატია 1972 წელს. ჰოპერი მათ ნაშრომის გამოქვეყნებას დაასწრებდა, ჟურნალ „ენას“ („Language“) უარი რომ არ ეთქვა მისთვის. მან დაიწყო სხვა გამომცემლობის ძებნა, რომ გამოექვეყნებინა თავისი ნაშრომი, რომელიც ბოლოს დაიბეჭდა 1973 წელს. სწორედ ამ წელს გამოაქვეყნეს გამყრელიძემ და ივანოვმა 1972 წლის სტატიის გერმანული თარგმანი (მომჰარდი 2008:54)

არ ჩანს დამაჯერებელი ალან ბომჰარდის მტკიცება, რომ მხოლოდ ჟურნალის რედაქციის უარმა შეუშალა ხელი ჰოპერს ყოფილიყო პირველი გლოტალობის თეორიის განვითარების საქმეში. თამაზ გამყრელიძე და ვიაჩესლავ ივანოვი ნამდვილად არ მისულან შემთხვევით ამ იდეამდე. მათ ერთობლივ ორტომეულს წინ უძღოდა ხანგრძლივი და მიზანმიმართული შრომა. ზოგიერთი მისი ნაშრომი ჩვენ უკვე განვიხილეთ ქართველური, ინდოვეროპული და სემიტური ენების მიმართების საჩვენებლად ერთსა და იმავე გეოგრაფიულ არეალში (იხ. დანვრილებით ზემოთ). ამას გარდა, საკითხს ნათელს ჰფენს თავად პოლ ჰოპერის შენიშვნა, რომელიც მან დაურთო ამ საკითხზე 1973 წელს გამოქვეყნებულ წერილს, სადაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს იდეა დამოუკიდებლად განავითარეს გამყრელიძე-ივანოვმა და მან. პოლ ჰოპერმა წერილი დაბეჭდვამდე გაუგზავნა თამაზ გაყრელიძეს და მისგან პასუხად მიიღო ერთი წლით ადრე დაბეჭდილი სტატია, რომელშიც ჩემი მოსაზრების მსგავსი იდეებია განვითარებული. ჩემთვის სასიამოვნოა, რომ ორივე დამოუკიდებლად მივედით ერთნაირ დასკვნებამდე და ვიმედოვნებ, რომ ჩემი შრომა ხელს შეუწყობს საბჭოთა (რუს და

ქართველ) ენათმეცნიერებს პოზიციის ჩამოყალიბებაში და მათი ნაშრომის ინგლისურენოვანი სამყაროსთვის გაცნობაში (უფრო სრულად იხ. პოლ ჰოპერი 1973).

ბომპარდი ამტკიცებს, რომ სამივე მეცნიერმა ცალკ-ცალკე მოახდინა ლემანის მიერ აღდგენილი პროტონდოევროპული თანხმევანთა სისტემის რეინტეგრეტაცია. კერძოდ, ლემანის სქემა (ლემანი 1952; ბომპარდი 2008:55) ასე გამოიყურება გამყრელიძე-ივანოვთან:

ლემანი			გამყრელიძე-ივანოვი			
b	b <sup>h</sup>	p	=	p'	bh/b	ph/p
d	d <sup>h</sup>	t	=	t'	dh/b	th/t
g	g <sup>h</sup>	k	=	k'	gh/b	kh/k
g <sup>w</sup>	g <sup>wh</sup>	k <sup>w</sup>	=	k <sup>w</sup>	g <sup>w</sup> h/g <sup>w</sup>	k <sup>w</sup> h/k <sup>w</sup>

ჰოპერმა (ჰოპერი 1973, 1977) კი ლემანის (ლემანი 1966; ბომპარდი 2008:57) აღდგენილი კონსონანტური სისტემა ამგვარად გარდაქმნა:

ლემანი			ჰოპერი				
t	k	k <sup>w</sup>	=	p	t	k	k <sup>w</sup>
d	g	g <sup>w</sup>	=	p'	t'	k'	k <sup>w</sup>
d <sup>h</sup>	g <sup>h</sup>	g <sup>wh</sup>	=	<u>b</u>	<u>d</u>	<u>g</u>	<u>g<sup>w</sup></u>

ამ საკითხს ხსნის თავად ვინფრიდ ლემანის 2002 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი, რომლითაც მან აღიარა გლოტალური თეორია (ლემანი 2002).

1977 წელს ჯონ კეტფორდმა გამოაქვეყნა სპეციალური ნაშრომი კავკასიური ენების შესახებ. მან მოძებნა 15 სხვადასხვა ლინგვისტური ნიშანი, რომელიც შეიძლება გამოდგეს კავკასიაში გავრცელებული ენების ერთმანეთთან და სხვა ენათა ჯგუფებთან შედარებისათვის. კავკასიურ ენებს იგი ყოფს ოთხ ჯგუფად (კეტფორდი 1977:284). ეს ენები ერთმანეთს უდარდება რამდენიმე მნიშვნელოვანი ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური მახასიათებლების მიხედვით, ხოლო შემდეგ ყველა ერთად უდარდება ინდოევროპულს (IE)<sup>1</sup>. ამ თხუთმეტი თვისებიდან ყველა კავ-

<sup>1</sup> კეტფორდის მიერ კავკასიურ და ინდოევროპულ ენებში გამკლენილი თხუთმეტი თვისება (1977:308).

კასიური ენისათვის დამახასიათებელ ნიშნად დასახელებულია მხოლოდ სამი: უველარული თანხმოვნები, გლოტალური თანხმოვნები და ერგატიულობა (იხ. ცხრილი სქოლიოში). ამ სამი თვისებიდან, კევინ ტუიტის აზრით, კავკასიურ ენებს, როგორც ლინგვისტურ არეალს, მხოლოდ გლოტალური თანხმოვნების არსებობა აერთიანებს. არც უველარული კონსონანტები და არც ერგატიულობა კავკასიური ენობრივი კავშირის არსებობის დასამტკიცებლად არ გამოდგება. კევინ ტუიტი ფიქრობს, რომ კავკასიურ ენებში გავრცელებული ერგატიულობა ყველა ენაში ან დამოუკიდებლად არის აღმოცენებული ან ლინგვისტური ტიპოლოგიის ფარგლებს არ სცილდება. კავკასიური ენების კავშირზე კ. ტუიტს არა-დამაჯერებლად მიაჩნია მსჯელობა. იგი წერს: კავკასია არ არის და, როგორცა ჩანს, არასოდეს არ ყოფილა ენობრივი კავშირი ნიკოლოზ ტრუბეცკოის გაგებით (ტუიტი 1999:25). თუმცა იგი მხარს უჭერს კავკასიაში ენათა მინიკავშირების გამოვლენას. ასეთ ენობრივი მინიკავშირის მაგალითად დამონმებულია: 1) აბხაზურისა (როგორც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიურ ენათა ჯგუფის წევრისა) და ზანურის (როგორც სამხრეთ-კავკასიური ჯგუფის წევრის) ურთიერთობა. ორივე ენას ბევრი ლექსემა აქვს ერთმანეთისაგან ნასესხები. ამას გარდა, კონვერგენციის ნიშნები ჩანს მორფოლოგიაში. 2) ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიური ანუ ნახურ ენათა ოჯახის (ჩეჩნური, ინგუშური და ბაცბური) კავშირი აღმოსავლეთ საქარ-

	Kart	NWC	Nakh	Dag	IE
1. Glottalic consonants	+	+	+	+	very rare
2. Uvulars	+	+	+	+	rare
3. Pharyngals	-	+	-	+	-
4. Labialized consonants	-	+	-	(+)	very rare
5. Non-approximant laterals	-	+	(+)	+	very rare
6. "Harmonic complexes" of CC	+	+	+	-	-
7. Minimal vowel system	-	+	-	-	-
8. Noun classes	-	(+)	+	+	(+)
9. More than 2 or 3 "grammatical cases"	+	-	+	+	+
10. Numerous local cases	-	-	(+)	+	-
11. Directional preverbs	(+)	+	-	(+)	(+)
12. "Orientator" and "direction" separately expressed	-	+	-	+	-
13. Unusual semantic distinctions of <i>on</i> and <i>in</i>	-	+	-	+	-
14. Ergative construction					
a. functional	-	+	+	+	-
b. formal	+	-	-	-	(+)
15. Conjoining, Relativization etc by verb	-	+	+	+	(+)

თველოს მთის დიალექტებთან – ხევსურულთან და თუშურთან, რომლებსაც საერთო ნასესხები ლექსიკური ერთეულების გარდა ახასიათებთ მსგავსება აქცენტუაციაში (ბოლო სეგმენტის დაკარგვა). ამ ენობრივი მინიკავშირის მახასიათებლად თვლის ასევე პირის ნიშნის გაჩენას ჩეჩნურის მთიან დალექტებსა და ბაცბურში, ალბათ ქართულის გავლენით. 3) ხინალულური ენა, რომელიც გაღებზგიურებული ჩანს ხანგრძლივი კონტაქტების წყალობით, თუმცა ნათესაური მახასიათებლებით ჭირს მისი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიური ენებისათვის მიკუთვნება (ტუიტი 1999:25).

კეეინ ტუიტისაგან განსხვავებით, ვ. ჩირიკბას, რომელმაც სპეციალურად იკვლია კავკასიურ ენათა საერთო მახასიათებლები, მიაჩნია, რომ ათასწლეულების განმავლობაში ჩრდილოკავკასიურ და სამხრეთკავკასიურ (ქართველურ) ენათა კონტაქტებმა კავკასიაში ჩამოაყალიბა „ენობრივ ოჯახთა კავშირი“ ნიკოლოზ ტრუბეცკოს გაგებით. ქართველური ენების ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ მახასიათებლებს შორის ერგატიულობასაც ამის დასტურად თვლის. ეს ის ნიშანია, რომელიც ტუიტის აზრით, კავკასიური ენობრივი კავშირის (Caucasian Sprachbund) არსებობის მის ანგრევს (ტუიტი 1999). მართალია, ვ. ჩირიკბა აღნიშნავს, რომ ერგატიულობა ნამდვილი სახით წარმოდგენილია ჩრდილოკავკასიურ ენებში, ქართველურს კი ზოგჯერ ერგატივის მსგავსი კონსტრუქციები ახასიათებს, მაგრამ ეს არ აყენებს ეჭვქვეშ კავკასიური ენობრივი კავშირის არსებობას. საერთოდ, ქართველური ენები ჩირიკბას აზრით, განიცდიან, ერთი მხრივ, კავკასიურების და, მეორე მხრივ, ინდოევროპეიზაციის პროცესს, რაც განპირობებული უნდა იყოს ქართველურ ენათა ტერიტორიული მდებარეობით. ამ ორი პროცესის ერთდროულობის მიუხედავად, ქართველური ენები საბოლოოდ ყალიბდებიან ენათა კავკასიური „კლუბის“ ნამდვილ წევრებად (ჩირიკბა 2008:80-81). საერთო-კავკასიური ენობრივი კავშირის გვერდით არსებობს ქვერეგიონალური ენობრივი კავშირები, რომლებშიც უფრო მცირე რაოდენობის ენები ახდენენ სხვადასხვა სახის გავლენას ერთმანეთზე. ასეთია, მაგალითად, ჩრდილო-ცენტრალურკავკასიურ - დაღესტნური კონტაქტებისა (ჩირიკბა 2008:70) და ჩრდილოდასავლურ კავკასიური კონტაქტების არეალები (იქვე:69), რომელშიც ძალიან სადავოა, ყოველ შემთხვევაში წერილობითი მონაცემებით ეს ვერ მტკიცდება, რომ VII-XII საუკუნეებში მეგრული იყო მარგინალური ენა აფხაზურის მიმართ და რომ მხოლოდ ახლა შეიცვალა მდგომარეობა აფხაზურზე მეგრულის გავლენის სასარგებლოდ (ჩირიკბა 2008:74). აფხაზურ-მეგრულ ურთიერთობები ჩამოყალიბების დროიდან (საწყისი პერიოდი სადავოა) ურთიერთგავლენა თანაბარ, რადგან სწორედ ამ თვალსაზრისს უჭერს მხარს ენობრივი მონაცემები. ასეც არის ეს

ენობრივი ურთიერთობა წარმოდგენილი ვ. ჩირიკბას მიერ გამოყოფილი კავასიურ ენათა გავლენის ზონების სქემაში, რომელშიც აფხაზური და მეგრული დონორი ენებია ერთმანეთის მიმართ (ჩირიკბა 2008:71; შრდ. იქვე:69).

**ქართველური კონტაქტების არეალი (ჩირიკბა 2008:70)**

კონტაქტში მყოფი ენების რაოდენობა	ძირითადი ენები	პერიფერიული ენები	მარგინალური ენები	დომინანტური ენა ან ლინგვა ფრანკა	სუპერსტრატული ენები
15+	ქართული, სვანური, მეგრული, ლაზური, ბაცბური, ქისტური (ჩეჩნური) სამხრეთ ოსური	სომხური, უდური, მეზობელი და-ლესტნური ენები/დიალექტები აფხაზური, თურქულის ზოგიერთი ფორმა	ბალყარული, აბაზური, აზერბაიჯანული, ქურთული, ახალი არამეული	ქართული, თურქული (სამხრეთ საქართველოს არეალში)	არაბული, თურქული, სპარსული

ცალკ-ცალკეა განხილული კავასიურ და არაკვასიურ ენათა გავლენის ზონები, რომლებშიც გამოყოფილია დონორი და მიმღები ენები (ჩირიკბა 2008: 73-74). ამ საკითხზე სპეციალურად არ შეეჩერდებით, თუმცა უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ ვ. ჩირიკბას მიერ გამოვლენილი „ისტორიული ენობრივი ალიანსები“ კავასიაში (ჩირიკბა 2008:75).

**რამდენიმე ისტორიული ალიანსი კავასიაში (ჩირიკბა 2008:75)**

ისტორიული ალიანსი	დომინანტი ომ(ებ)ი	იდი-	პერიოდი
ლაზურ-პონტოური ბერძნული	პონტოური ბერძნული		? –ადრეული XX საუკუნე
ლაზურ-ქართული	ქართული		ძვ.წ. V საუკუნე – XVII საუკუნე
ძვ.ოსურ-ყარაჩაულ-ბალყარული	ძვ. ოსური		ძვ.წ. VI საუკუნე – XIII საუკუნე

კავკასიის ალბანურ-ქართულ-სომხური	ქართული, სომხური	ძვ.წ. IV საუკუნე - XI საუკუნე
----------------------------------	------------------	-------------------------------

ამ ალიანსების ცხრილში სადავოა ლაზურ-ქართული ურთიერთობის მხოლოდ ენობრივ ალიანსად წარმოდგენა, რადგან ეს ურთიერთობა ნამდვილად სცილდება, მაგალითად, ქართულ-სომხურ ენობრივ ურთიერთობებს ან თუნდაც ლაზურისა და პონტოური ბერძნულის ურთიერთობებს. ლაზურისა და ქართულის ურთიერთობა ისტორიულად განხილული უნდა იქნეს მხოლოდ ქართველური მონათესავე ოჯახის ფარგლებში და მისი გატოლება ზემოთ მოცემული ცხრილის რომელიმე ენობრივ ურთიერთობასთან შეცდომია. ქართველურ ენები და დიალექტები ვ. ჩირიკბას აზრით, ქმნიან ენობრივი კავშირის მსგავს ურთიერთობას (Sprachbund-type relationship). ასეთი შეფასება ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ ჩირიკბა ლაზურს ქართველურ სამყაროსთან მხოლოდ ისტორიულად დაკავშირებულ ენად მიიჩნევს (ჩირიკბა 2008:68). ქართველურ ენათა ენობრივი კავშირის მსგავს ურთიერთობად შეფასებას ჩირიკბას მხრიდან ისიც უწყობს ხელს, რომ იგი მეგრულ-ქართულ, სვანურ-ქართულ, მეგრულ-სვანურ ენობრივ ურთიერთობებს აღწერს ბილინგვიზმის ტერმინით და არსობრივად უთანაბრებს სომხურ-ქართულ ან ოსურ-ქართულ ბილინგვიზმს (ჩირიკბა 2008:31). მეგრულ-ქართული და სვანურ-ქართული ენობრივი ურთიერთობებისათვის ვიყენებთ ტერმინს ქართველური დიგლოსია (იხ. ბოლქვაძე 1910:294-317).

ასევე სადავოა ალბანურ-ქართული და სომხურ-ქართული ენობრივი ურთიერთობების ერთ დონეზე დაყენება ან ქართულ-სომხური ენობრივი ურთიერთობების შემოსაზღვრა ძვ.წ. IV საუკუნედან ახალი წელთაღრიცხვის XI საუკუნით. ქართულ-სომხური ენობრივი ურთიერთობები შეწყდა არა XI საუკუნეში, არამედ მხოლოდ საბჭოთა პერიოდში (მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვ. ჩირიკბა აღნიშნავს, რუსული მთელ კავკასიაში ვრცელდება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, ამ პერიოდში ქართულ-სომხური ენობრივი ურთიერთობები კვლავ ინტენსიურია), ანუ მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან, როცა სსრკ-ის მთელ ტერიტორიაზე ლინგვა ფრანკა ხდება რუსული და ყალიბდება ძირითადად ვერტიკალური ენობრივი ურთიერთობები: რუსულ-ქართული და რუსულ-სომხური; ყველა სხვა ენობრივი ურთიერთობა ტერიტორიულად ვიწროვდება და ინტენსივობის თვალსაზრისით კი სუსტდება ან საერთოდ ქრება.



## §1. დაეჭვება ევრაზიულობის თეორიაში

ნ. ტრუბეცკოი ცნობილ წერილში „ევრაზიულობა და თეთრი მოძრაობა“, რომელიც მცირე ტირაჟით გამოქვეყნდა პარიზში 1925 წლის სექტემბერში, გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ თეთრების წაგების ძირითადი მიზეზი არის მთელი რევოლუციამდელი რუსული ინტელიგენცია. აუცილებელია რუსული ინტელიგენციის იდეური საფუძვლების ძირეული რეფორმირება და სრულიად ახალი ნაციონალური იდეოლოგიის შექმნა. ასეთ იდეოლოგიად, რა თქმა უნდა, მას მიაჩნდა, ევრაზიულობის თეორია (ტრუბეცკოი 1925). მართალია, ამ დროს საბჭოთა კავშირში კომუნისმის იდეალებს ქადაგებდნენ, მაგრამ რუსეთში მაინც ჭეშმარიტი ნაციონალიზმის განვითარების იმედი ჰქონდა.

სანამ რუსი ემიგრანტები სირთულეებს ებრძოდნენ და ფეხის მოკიდება სცდილობდნენ ინტელექტუალურ სამყაროში, საბჭოთა კავშირში საშინელი ამბები ხდებოდა. მხოლოდ იმიტომ, რომ პრალის ლინგვისტურ სკოლასთან თანამშრომლობდა, ცნობილი ენათმეცნიერი დურნოვო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდეს. მოგვიანებით ტრუბეცკოიმ იაკობსონისაგან გაიგო, რომ ძმა და ძმისშვილი, რომელიც დურნოვოს რძალი იყო, თურქმენეთში გადაუსახლებიათ (ტრუბეცკოი 2004:305). ასეთი ამბები ტრუბეცკოის სიმტკიცესა და რწმენას ძალას აცლიდა. 1929 წელს ტრუბეცკოიმ გამოაქვეყნა წერილი გაზეთ „ევრაზიაში“ და გამოაცხადა, რომ შორდებოდა გაზეთსაც და თვით ევრაზიულ მოძრაობასაც (ტრუბეცკოი 1929). 30-იან წლებში ეს გრძნობა უფრო გაურღმავდა, რადგან საბჭოთა კავშირიდან ცუდი ამბები ისმოდა. თუ აქამდე კომუნისტების წარმოსახული მომავალი მხოლოდ მკითხაობად მიაჩნდა და მისი რეალური თეორიით ჩანაცვლება ძნელ საქმედ სულაც არ ეჩვენებოდა, ტრუბეცკოის 1930 წლის 3 ოქტომბერს იაკობსონისადმი მიწერილ წერილში მის ფიქრები ძირეულად შეცვლილია: იავოდიჩი დაბრუნდა მოსკოვიდან სრულიად დათრგუნული. საშინელ ამბებს ჰყვება. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ინტელიგენციის ამოძირკვა ხალხის ფართო მასებში გამოცხადებულია „საერთო საქმედ“ და ყველა ენთუზიაზმით არის ამ საქმეში ჩართული. ინტელიგენციასთან ერთად ნადგურდება სულიერი კულტურა და იწყება სრული გაველურება ყველა სფეროში, თან ეს არის არის სტიქიური, ასე ვთქვათ, ორგანული და არა ხელოვნური გაველურება. ეს უკვე აღარ არის რეალობას მონყვეტილი მეოცნებების ხელოვნური ექსპერიმენტები. ეს არის ნამდვილი პროლეტარიატი, რომელიც მაღალ კულტურაზე არც აცხადებას პრეტენზიას.

მისი კულტურა ნამდვილად პროლეტარულია ანუ სრულიად ელემენტარულია და ველური. მაგრამ ეს კულტურა გაიმარჯვებს, იგი გაბატონდება მთელ მსოფლიოში, რადგან ასეთია ისტორიის ლოგიკა. იქ ყველამ იცის, რა უნდა, აქ კი არავინ არ იცის <...> სხვათა შორის, ირკვევა, რომ ყველა არამარქსისტული მოძღვრების ბეჭდვა აკრძალულია. ასეთი მოძღვრებების შემოქმედთა სახელები ეგზავნება ყველა რედაქციას და სახელმწიფო გამოცემლობის ყველა განყოფილებას. უცხოეთთან მიმონერა შეიძლება მხოლოდ სპეციალური ნებართვით, ანუ ბევრი მეცნიერი, რომელიც დანუნებულია ამა თუ იმ მიზეზით, მეცნიერებისათვის შეიძლება მკვდრად ჩავთვალოთ. <...> რონსონისაგან მივიღე წერილი. <...> ფორმალისმისაგან არაფერი აღარ დარჩა. „ლიტერატურული ყოფა თანდათანობით იქცევა წარმოების განსაკუთრებულ სახედ, რომლისთვისაც გამოიყენება მრენველობის მეთოდოლოგია. ერთი სიტყვით, საკუთარი სახის შენარჩუნების მცდელობა არის, მაგრამ მარქსიზმი იწოვს ყველაფერს. რონსონი ფორმალისტთა ბედზე არაფერს მწერს“ (ტრუბეცკოი 2004:174-175).

თუ აქამდე ეჭვით უყურებდა პროლეტარული მეცნიერების შექმნას, მისთვის უკვე აშკარა გახდა, რომ ძველი კულტურა ნამდვილად კვდებოდა. ტრუბეცკოი 1930 წლის 10 დეკემბერს. სავიცკისადმი მიწერილ წერილში ღიად წერს, „სხვა არაფერი არ დაგვრჩენია, უნდა გამოვიღეთ ნაციონალური თვალსაზრისით შეზღუდული ევროპულ-რუსული საზღვრებიდან და ვიმუშაოთ საერთო-ევროპული კულტურისათვის, რომელიც ზოგადსაკაცობრიოა თავისი ღირებულებით. სხვა გზა არა გვაქვს. <...> მე გადავწყვიტე ჩემი სპეციალობის ფარგლებში ვწერო არა რუსულად, არამედ უცხო ენებზე“ (ტრუბეცკოის სავიცკისადმი მიწერილი წერილი გამოაქვეყნა კაზნინამ 1995:93).

თანდათანობით ტრუბეცკოის სერიოზულად ეპარებოდა ეჭვი, რომ რუსეთში არსებობდა ევრაზიული კულტურის შესაქმნელად მომზადებული ხალხი: „ეს არის საკმაოდ ბეცი, შეზღუდული და ელემენტარული ხალხი. უფრო დახვეწილი ფორმაციის ადამიანები მალე გაიკეთებენ კარიერას, მაგრამ ბელადთა წრეში მოხვედრის შემდეგ აუცილებლად მოუნევთ დაეა, გადავლენ ოპოზიციაში და ბოლოს და ბოლოს დაამხოვს მათ რომელიმე ძლიერი, მაგრამ შეზღუდული და ელემენტარული, ორგანიზაციის წევრთა ფართო მასებისათვის უფრო ახლობელი ბელადი. სტალინი შემთხვევითობა არ არის. ეს არის ტიპი, რომელიც დედუქციურად გამომდინარეობს იდეოკრატიის ცნებიდან. შინარსის შეცვლა საქმის არსს არ შეცვლის. სტალინი სტალინად დარჩება, სულ ერთია, პროლეტარიატის დიქტატურის სახელით იმოქმედებს თუ მართლმადიდებლობის სახელით. ასეთ შემთხვევაში იგი უფრო სახიფათო იქნება

ეკლესიისათვის, ვიდრე ახლაა. ერთი სიტყვით, ახლაც ვთვლი რომ იდეოკრატია ამჟამად შესაძლებელი ერთადერთი წყობაა, მაგრამ ვხედავ მის ნაკლოვანებებს და არ შემოძლია დიდი ენთუზიაზმის გამოვლენა და ამიტომ ვერც მის პროპაგანდას გავწევ. ყველაფერთან ერთად, ვფიქრობ, რომ ასეთი წყობა ბოლოს და ბოლოს უნდა გავრცელდეს მთელ მსოფლიოში, მაგრამ მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში მხოლოდ კომუნიზმის ფორმით გავრცელდება. <...>ამიტომ უმჯობესია, სულ არ ვიქადაგოთ ეს წყობა (კაზნინა 1995:94).

ტრუბეცკოი იხსენებს კრებულს „ოცდაათიანი წლები: ევრაზიელთა განმტკიცება.“<sup>1</sup> სახელწოდება „ოცდაათიანი წლები“ ისევ მაფერხებს <...> იმიტომ, რომ ეს სახელწოდება ბოროტ ირონიას ჰგავს. <...> თუ თანამედროვე ტემპებს გავითვალისწინებთ, სსრკ-ში ოცდაათიანი წლები იქნება სულიერი კულტურის მქონე ადამიანების საბოლოო სიკვდილის (როგორც ფიზიკური, ისე სულიერი) ეპოქა. ამ კულტურის ყველა სფეროში უტიფარი, შეზღუდული და ელემენტარულად მოაზროვნე „ახალი ადამიანების“ განმტკიცებისა და არატენდენციური მეცნიერების სრული კვდომის ეპოქა. <...> კომუნიზმი შეიძლება ევროპაშიც კი შემოვიდეს ყველა თავისი შედეგით, მათ შორის სულიერი კულტურის თანდათანობითი დაშლით. ასეთ ვითარებაში, გაბედული ნოტი, რომელიც ჟღერს კრებულის სათაურშივე, უსიამოვნოდ ჭრის ყურს“ (კაზნინა 1995). მართალია, საკუთარ წინასწარმეტყველებას ირონიით იხსენებს ტრუბეცკოი, რადგან სტალინის პოლიტიკამ ფრთები შეაკვეცა ევრაზიელთა გეგმებს, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სტალინის საბჭოთა კავშირი და ევრაზიელების „რუსეთი-ევრაზია“ დიდწილად ჰგავს ერთმანეთს.

## §2. საბჭოთა კავშირი და ევრაზიელი ერი

ევრაზიულობის თეორიაში დაეჭვება და კულტურულ იდენტობაზე საკუთარ თავთან ჭიდილი ტრუბეცკოის ცხოვრების მხოლოდ ხანმოკლე პერიოდს ახასიათებდა. ამ თეორიის სისწორეში მას არწმუნებდა ოქტომბრის სოცალისტური რევოლუცია. მისთვის საბჭოთა კავშირი იყო მისაღები, ოღონდ საბჭოეთის პოლიტიკურ ლიდერებთან სახელმწიფო ერთიანობის საფუძვლებზე დაობდა.

---

<sup>1</sup> „Тридцатые годы: Утверждение евразийцев“, Париж, 1931 Кн. 7

საბჭოთა კავშირი უზარმაზარი ენობრივი კონგლომერატი იყო. საბჭოეთის ენობრივი სიჭრელე, რომელსაც ხშირად ახასიათებენ როგორც დახლართულობასა და არეულ-დარეულობას (ლევინი 1972:17), მხოლოდ ცხოვრების სოციალისტური წესის შედეგი როდი იყო, არამედ რუსეთის წარსული საუკუნეების მემკვიდრეობა. რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკა ივანე მრისხანის დროიდან დაიწყო და ალექსანდრე II-ის მეფობის წლებში უკვე ჩამოყალიბებული იყო მრავალენოვანი სახელმწიფო. თუმცა დაპყრობითი პოლიტიკა ამის შემდეგაც წარმატებით გრძელდებოდა.

„რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, - წერდა ილია ჭავჭავაძე 1881 წელს, - საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი ცხოვრობენ, და მერე ისე, რომ თავიანთ მამაპაპეულ მინა-წყალზე შეჯგუფულნი არიან... ამიტომაც ერთს უდიდეს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, თუ სხვადასხვა ერის ტომნი როგორ მოენწყონ შინაობაში სათითაოდ, და მერე - როგორ უნდა მოთავსდნენ სახელმწიფოში... რუსეთს არ ჰქონდა და არც დღეის აქამომდე აქვს გამოკვლეული და დადგენილი დედააზრი მასზედ, თუ სად თავდება უკლება ეროვნებისა და სად იწყება სახელმწიფოსი“ (ჭავჭავაძე 1991).

რევოლუციამდე რუსეთის სახელმწიფო ტერიტორიის ოფიციალურ პატრონად აღიარებული იყო მხოლოდ რუსი ხალხი. არარუსი ძირეული მოსახლეობა არ ითვლებოდა თავისი მხარის მესაკუთრედ. ის უბრალო მცხოვრები იყო და სხვა არაფერი. რევოლუციის დროს მდგომარეობა შეიცვალა. ანარქია რუსეთს ნაწილებად დაშლით ემუქრებოდა. ამიტომ, - როგორც ნ. ტრუბეცკოი წერს, - „რუსმა ხალხმა სახელმწიფოებრივი მთლიანობისათვის ქვეყნის ერთადერთი პატრონის მდგომარეობა დათმო. ისტორიის უღმობელო ლოგიკის ძალით რუსეთში მოსახლე რუს და არარუს ხალხებს შორის ძველი მიმართება დაირღვა. ამის შემდეგ რუსი ხალხი სახელმწიფო ტერიტორიების ერთადერთი მპყრობელი კი აღარ იყო, არამედ ერთ-ერთი, რუსეთში მოსახლე უკვე თანასწორი უფლებების მქონე სხვა ხალხებს შორის“ (იხ. ქრესტომათია: ტრუბეცკოი, საერთოევრაზიული ნაციონალიზმი).

საბჭოთა კავშირი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ, ერთმანეთისაგან ბუნებრივი და კლიმატური პირობების მიხედვით ზოგჯერ დიამეტრალურად განსხვავებულ ტერიტორიებზე მოსახლე საზოგადოებებს მოიცავდა. აქ ერთდროულად თანაარსებობდნენ დანინაურებული ერები და მომთაბარე ტომები. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იყო უნიტარულ სახელმწიფოში მოქცეული პეტეროგენული საზოგადოებები. ამ მდგომარეობას ასახავდა ტერმინები: Народ (რაც ეთნიკურ ჯგუფს გულისხმობს), Народность (გარკვეული დონის ეკონომიკუ-

რი, ტერიტორიული და ენობრივ-კულტურული ერთიანობა და **Нация** (რომელიც ხასიათდება მაღალგანვითარებული ეკონომიკური, ტერიტორიული და ენობრივ-კულტურული ცხოვრების სტაბილურობით). ცარისტული რუსეთის ასიმილაციურ პოლიტიკას დაუპირისპირდა ლენინური თეზა "ერთა თვითგამორკვევის" (ლენინი 1961) შესახებ.

"ერთა თვითგამორკვევის" პოლიტიკის განუხრელმა დაცვამ შესაძლებელი გახადა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე საშუალო და უმაღლესი განათლების მიღება, რასაც წინ უძღოდა ეროვნულ უმცირესობათა ანბანებით მომარაგება და მათი სალიტერატურო ენებისთვის შესაბამისი დიალექტების შერჩევა, რაც ზოგჯერ ძალიან რთული ხდებოდა. რომან იაკობსონის ნაშრომში „ევრაზიული ენობრივი კავშირის დახასიათებისათვის“ აისახა ის დისკუსია, რომელიც მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირში ანბანების გრაფიკული საფუძვლების არჩევის თაობაზე. რა უნდა აერჩიათ ახალი საბჭოთა ანბანებისთვის - სლავური კირილიცა თუ ლათინური ანბანი. ნიკო მარი ლათინურ ანბანს უჭერდა მხარს და სწორედ ლათინურზე დაყრდნობით შექმნა, როგორც თვითონ უნოდებდა, „აფხაზური ანალიტიკური ანბანი“ (მარი 1926). ეს არჩევანი განპირობებული იყო ნიკო მარის ღრმა რწმენით, რომ ადრე თუ გვიან მსოფლიოს ხალხები ერთ ენაზე ალაპარაკდებოდნენ და მხოლოდ ლათინურ ანბანს გამოიყენებდნენ. მისი აზრით, მსოფლიოს აუცილებლად დაუდგებოდა ერთიანი ენის საჭიროება, რაზეც მიუთითებდა ხელოვნური ენების შექმნა, თუმცა ისინი შესრულებითა და ტექნიკით სუროგატებია იმასთან შედარებით, რაც გარდაუვლად მოხდება მსოფლიო ხალხთა ენების დაახლოების შედეგად. ამ გლობალურ პროცესს ვერც ერთი ერი ვერ ასცდება, - წერდა ნ. მარი. ერთ ენაზე მოლაპარაკე კაცობრიობას დამწერლობაც ერთი ექნება (მარი 1926).

რ. იაკობსონი ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა ანბანების ლათინიზაციის იდეას და ზოგჯერ არგუმენტად ეკონომიურობის პრინციპი მოჰყავდა. მაგალითად, მისი გამოთვლით, ლათინიზებული ბელორუსულით დაბეჭდილი ტექსტი 7,5%-ით აჭარბებს კირილიცაზე დაფუძნებული ბელორუსულით დაბეჭდილს. ეს ანგარიში არჩევნებს, რომელი გადაწყვეტილება სჯობს ტიპოგრაფიული თვალსაზრისით. ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, რის გამოც იგი უჭერდა მხარს ანბანის შექმნის ნ. იაკოვლევისეულ ფორმულას (იაკოვლევი 1928) და აკრიტიკებდა ნ. მარს იაკოვლევის შევინროვებისათვის (იხ. ქრესტომათია: იაკობსონი, ევრაზიული ენობრივი კავშირი). არ უნდა დაგვაგინყდეს, რომ სლავურზე დაფუძნებული საბჭოთა ანბანები ხელს უწყობდა რუსულის, ევრაზიული თეორიის შემქმნელთა შეფასებით, როგორც „საერთო ევრაზიული კულტურული მისიის მქონე ენის“ გავრცელებას. 1940 წლისათვის უკვე 68 ენას ჰქონ-

და კირილიცაზე შექმნილი ანბანი, რომელთაც 25 მილიონი არარუსი საბჭოთა მოქალაქე იყენებდა. როგორც ე. ლევისი წერდა, ახალი ანბანების საფუძვლად კირილიცასა და ლათინურის აღება რამდენიმე მიზანს ისახავდა: ახლად შექმნილ ანბანთა უნიფიცირებული ბაზა ხელს უწყობდა ჰომოგენური საზოგადოების განვითარებას, ქმნიდა რუსულთან თანაარსებობის პირობებს და აადვილებდა შესწავლას (ლევისი 1972:169. ენისა და ხელისუფლების მიმართებისათვის საბჭოთა კავშირში იხ. აგრეთვე სმითი 1998)).

ოციანი წლებიდან 1953 წლამდე პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ენობრივი ცენტრალიზმი, რომელიც ენობრივ პლურალიზმს ჩაენაცვლა. საბჭოთა ენობრივ პოლიტიკას ამ დროს იოსებ სტალინი განსაზღვრავდა. მან დაიწყო ერთა (და შესაბამისად ენათა, - თ.ბ.) დაახლოების (сближение) პოლიტიკა, რომელიც, მისი აზრით, მომავალში ენათა შერწყმით (слияние) უნდა დასრულებულიყო. თუმცა მას კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ ენათა დაახლოება და, მით უმეტეს, შერწყმა ვერ იქნებოდა ხანმოკლე პროცესი, რადგან, როგორც თვითონ ხაზგასმით აღნიშნავდა, ერები და ეროვნული ენები გასაოცარი სიმყარითა და წინააღმდეგობის კოლოსალური ძალით გამოირჩევიან. ამას გარდა, ი. სტალინი დიდ შეცდომად თვლიდა ერთა შერწყმის განხორციელებას ზევიდან, დეკრეტირების გზით, ე.ი. იძულებით. ეს ნიშნავს, - წერდა იგი, - ხელი შეუწყნოთ იმპერიალისტებს, ჩავშალოთ ერთა განთავისუფლების პროცესი, დავლუპოთ ერთა ძმობისა და თანამშრომლობის საქმე (სტალინი 1954 : 13).

ნ. ტრუბეცკოის აზრით, ენათა შერწყმა და კაცობრიობის ერთ ენაზე ამეტიყველება ეწინააღმდეგება დანაწევრების კანონს, რომლის შედეგი ენათა და ეროვნულ კულტურათა მრავალფეროვნებაა. იგი ენათა და ეროვნულ კულტურათა სიმრავლეს აფასებდა როგორც ღმერთის პასუხს ბაბილონის გოდოლის მშენებლობაზე, რომ ასეთი რამ აღარ განმეორებულა. ნ. ტრუბეცკოი წერს: "ბაბილონის გოდოლის ამბით წმინდა წერილი გვიხატავს ერთ ენაზე მოლაპარაკე, მაშასადამე, ლინგვისტურად და კულტურულად სრულიად ერთგვაროვან კაცობრიობას. და, როგორც ირკვევა, ეს ერთიანი, ყოველგვარ ინდივიდუალურსა და ეროვნულს მოკლებული საკაცობრიო კულტურა ძალზე ცალმხრივია. განვითარებული მეცნიერებისა და ტექნიკის ფონზე (რაზეც მეტიყველებს თვით ასეთი მშენებლობის ჩანაფიქრი), მას ახასიათებს სულიერი სიცარიელე და ამორალობა. სწორედ ამ თვისებათა წყალობით ვითარდება თვითკმაცოფილება და კადნიერება, რაც გამოიხატება უღმერთო და იმავდროულად უაზრო ჩანაფიქრში. ბაბილონის გოდოლი ტექნიკის საოცრებაა, მაგრამ მას რელიგიური შინაარსი არა აქვს, პირიქით, ანტირელიგიური და მკრეხელურია. ღმერთმა ამ ჩანაფიქრის

განხორციელების შესაჩერებლად, კაცობრიობის მკრეხელური თვითნებობის ასალაგმად არია ენები, ანუ სამუდამოდ დაამკვიდრა ეროვნული დაყოფისა და ეროვნულ ენათა და კულტურათა სიმრავლის კანონი. ეს ღვთაებრივი აქტი, ერთი მხრივ, გვაჩვენებს, რომ ერთფეროვანი, ეროვნულად დაუნაწევრებელი საკაცობრიო კულტურა გარდაუვლად მიდის ასეთ უღვთო ტექნიკურ თვითნებობამდე და, მეორე მხრივ, იმაზე მიგვითითებს, რომ მხოლოდ ეროვნული კულტურებია თავისუფალი ადამიანთა ამაო სიამაყისაგან. მხოლოდ მათ შეუძლიათ ატარონ კაცობრიობა ღვთისგან დასახული გზებით" (იხ. ქრესტომათია: ტრუბეცკოი, საერთოევრაზიული ნაციონალიზმი).

ნ. ტრუბეცკოის აზრით, დანაწევრების კანონი ანუ „დედამინაზე ენათა მკვეთრი მრავალფეროვნება ქმნის თავისებურ, რა თქმა უნდა, მხოლოდ გონებით წარმოსახულ მთლიანობას. ამდენად, დანაწევრების კანონს ენის სფეროში ანარქიისკენ კი არ მივყავართ, არამედ მონესრიგებული ჰარმონიული სისტემისაკენ, რომლის უმცირესი ნაწილიც კი თავის განსაკუთრებულ ინდივიდუალობას ინარჩუნებს" (იხ. ქრესტომათია: ტრუბეცკოი, საერთოევრაზიული ნაციონალიზმი). ფაქტობრივად, ამ სტატიაში ნ. ტრუბეცკოი ატარებს იმ აზრს, რომელიც გავრცელებული იყო აღმოსავლურ ქრისტიანობაში. სულიწმიდის მოვლინების დღისთვის ნათქვამ ქადაგებაში იოვანე მთავარეპისკოპოსი ამბობს: „ოდესმე ენანი ღმრთისაგან რისხვთა განიწვალნეს უკეთურებისათჳს კაცთაჲსა, ხოლო ამას დღესა შინა წყალობითა და მადლითა სულისა წმიდისაჲთა მოეცნეს შეწვევისათჳს სოფლისა; მაშინ განიბნინეს, რადთა მოყუასისა თჳსისა ნუ ისმინოს, ან მოქცნეს, რადთა ისმინონ, ისნაონ და გულისხმა-ყონ. მას ჟამსა განყოფამან მან ენათამან საქმენი ცუდნი განაქარვნა; ხოლო ან ენათა, რომელნი მომეცნეს, საქმენი ჭეშმარიტებისანი დაამტკიცნეს და აღავსნეს; მუნ მოეცნეს, რადთა ზრახვანი უკეთურნი განაქარვნეს, და აქა მოეცნეს, რადთა კეთილი ღმრთისა ნება ქადაგონ. მას ჟამსა მისთჳს, რადთამცა არა ისმინეს ენა იგი ურთიერთასი, და ან მისთჳს, რადთა აღიშენებოდა ბოროტად, და აქა მომეცნეს ენანი, რადთა დაემკუნენ ცოდვანი, რომელნი აღიშენებნიან საცთურად. და გამოვიდეს ენანი შემდგომად ენათა, რადთა შემოიყვანნეს იგინი სახლსა ცხოვრებისასა" (სინური მრავალთავი 1959:181). იოვანე მთავარეპისკოპოსის ნათქვამში გატარებულია აზრი, რომ ენათა სიმრავლე უფალმა ადამიანებს რისხვად დაატეხა, მაგრამ შემდეგ ეს დიდ სიკეთედ მოუბრუნდა კაცობრიობას. ამ თვალსაზრისს განსაკუთრებული მნიშვნელო-

ბა მიენიჭა აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროში ენათა თანასწორობის იდეის საქადაგებლად.

მართალია, ნ. ტრუბეცკოი გადაჭრით ილაშქრებდა ერთენოვანი კაცობრიობის იდეის წინააღმდეგ, რაც უნდა შორეულ მომავალში ყოფილიყო მისი განხორციელება მოსალოდნელი, და ეწინააღმდეგებოდა ყველა იმ ნაბიჯს, რაც მიგვაახლოებდა ერთფეროვან, ეროვნულად დაუნანვერებელ საკაცობრიო კულტურას, მაგრამ მის მიერ შემოტანილი „ენობრივი კავშირის“ გაგება, რომელიც გულისხმობს ერთ არეალში გავრცელებული ჰეტეროგენული ენების ერთიანობას, ადვილად დაიყვანება ზონალური ენის გაგებაზე, რომელსაც ი. სტალინი და იქამდე ნიკო მარი ერთიანი საკაცობრიო ენის წინარე სტადიად სახავდნენ. სწორედ „ენობრივ კავშირად“ წარმოედგინა ნ. ტრუბეცკოის საბჭოეთი. საბჭოთა კავშირში შემავალ სოციალისტურ რესპუბლიკებს მხოლოდ სოციალური იდეალები აერთიანებდა. ეს კი საკმარისი არ იყო სსრ კავშირის ნაციონალურ-სეპარატისტულად განწყობილი ნაწილების საწინააღმდეგოდ: „არსებითად საბჭოეთს შეადგენს არა იმდენად ხალხები, რამდენადაც ამ ხალხთა პროლეტარიატი... პროლეტარიატის დიქტატურა, პროლეტარიატის სოლიდარობა და კლასობრივი შულის გაღვივება მხოლოდ დროებითია და დიდი ხნით ვერ შეაჩერებს საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალისტურ და სეპარატისტულ იდეებს... სახელმწიფოს მყარი და მუდმივი გაერთიანების საფუძველი უნდა იყოს ნაციონალური სუბსტრატი. ამიტომ იმ სახელმწიფოს, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ჰქვია, ნაციონალური სუბსტრატი შეიძლება იყოს მასში მოსახლე ყველა ხალხის ერთიანობა, რომელიც უნდა განვიხილოთ როგორც თავისი ნაციონალიზმის მქონე განსაკუთრებული მრავალხალხოვანი ერი (многонародная нация). ამ ერს ჩვენ ვუწოდებთ ევრაზიელ ერს, - წერს ნ. ტრუბეცკოი, - ტერიტორიას ევრაზიას, მის ნაციონალიზმს - ევრაზიელობას. ევრაზიის (იგულისხმება საბჭოთა კავშირი, - თ.ბ.) ცალკეული ხალხის ნაციონალიზმი კომბინირებული უნდა იყოს საერთოევრაზიულ ნაციონალიზმთან ანუ ევრაზიელობასთან... საერთოევრაზიულ ნაციონალიზმში უნდა შეირწყას ევრაზიის ხალხთა ნაციონალიზმები <...> აუცილებელია, რომ ევრაზიის ხალხთა ძმობა გაცნობიერებულ და თან არსებით ფაქტად იქცეს... (ამ მიმართულებით, - თ.ბ.) რუსმა ხალხმა, რომელიც რევოლუციამდე რუსეთ-ევრაზიის ტერიტორიის ერთადერთი პატრონი იყო, ახლა კი პირველია რაოდენობისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით ევრაზიის ხალხებს შორის, რა თქმა უნდა, სხვებს მაგალითი უნდა მისცეს“ (იხ. ქრესტომათია: ტრუბეცკოი, საერთოევრაზიული ნაციონალიზმი).



ამ მსჯელობის შემდეგ ძნელი დასაჯერებელია, რომ ნ. ტრუბეცკოის ევრაზია მხოლოდ გეოგრაფიულ, ეკონომიკურ და ისტორიულ ერთიანობად წარმოდგინა და რომ ამ კავშირს საერთო ენა არ სჭირდებოდა. გეოგრაფიული, ისტორიული და ეკონომიკური ერთიანობა ბუნებრივად ბადებს ერთიანი ენის საჭიროებას. მით უმეტეს, რომ ევრაზიის ხალხები მისთვის ევრაზიული ერია. ამდენად, ნ. ტრუბეცკოის წარმოდგენილი ევრაზია სწორედ რომ მისთვის მიუღებელი ბაბილონის გოდოლია. ტრუბეცკოის ევრაზიული მრავალხალხოვანი ნაცია მიაჩნდა განსაკუთრებული ღირებულების მთლიანობად მაშინ, როცა საბჭოთა კავშირს ანუ ევრაზიულობის თეორიის მომხრეთა ტერმინოლოგიით რუსეთ-ევრაზიას, ახასიათებდნენ როგორც უზამაზარ ენობრივ კონგლომერატს, როგორც დახლართულობასა და არეულ-დარეულობას და არა სისტემურ მთლიანობას (ლევისი 1972. იხ. ზემოთ). ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ტრუბეცკოი ერთნაირად აფასებენ რევოლუციამდელ რუსეთს: ამ ქვეყნის პატრონი რუსი ხალხია, სხვები კი მხოლოდ მოსახლენი არიან. მართალია, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ ეროვნული თავმოყვარეობა რუსეთის იმპერიის ბევრ ხალხს გაუღვიძა, მაგრამ მალე, სტალინურმა ნაციონალურმა და ენობრივმა პოლიტიკამ საბჭოთა ხალხების თანდათანობითი და სრული ასიმილაცია დაისახა მიზნად. ეს პოლიტიკა ძალიან წინ იყო წასული თავისის შედეგებით „განვითარებული სოციალიზმის“, ანუ საბჭოთა კავშირის ბოლო პერიოდისათვის. საბჭოთა ხალხებს არ ჰქონდათ ისტორიული ბედით ერთ სახელმწიფოში გაერთიანების განცდა. ამიტომ სსრკ-ის ისტორია სავსეა ისეთი დაპირისპირებებით, მათ შორის სისხლიანი შეტაკებებით, რომლებიც საერთო წარსულისა და საერთო მომავლის მსურველ ხალხს ფაქტობრივად არ ახასიათებს. ასეთი ურთიერთობები ვერ ჩამოაყალიბებდა მრავალხალხოვან ნაციას. არ ჩანდა იმის პირობები, რომ ამხდარიყო ტრუბეცკოის ოცნება: „საერთოევრაზიული ნაციონალიზმი უნდა იყოს ევრაზიის თითოეული ხალხის გაფართოება, კერძო ნაციონალიზმთა შერწყმა“. ნაციონალიზმები საბჭოთა კავშირში ანუ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ერთმანეთს ვერ შეერწყა, გაიმარჯვა ცენტრისკენულმა ძალებმა. თავი იჩინა იმ მოვლენამ, რომლსაც ნიკოლოზ ტრუბეცკოი დამლუპველ გზად მიიჩნევდა როგორც რუსეთისათვის, ისე მისი მეზობელი ქვეყნებისათვის.

# ЕВРАЗІЙСКІЙ ВРЕМЕННИКЪ

н е п е р і о д и ч е с к о е   и з д а н і е  
п о д ь   р е д а к ц і е й

Д-РЪ П. П. САВИЦКАГО, П. П. СУВЧИНСКАГО  
И КН. Н. С. ТРУБЕЦКОГО

КНИГА ТРЕТЬЯ

ЕВРАЗІЙСКОЕ  
КНИГОИЗДАТЕЛЬСТВО  
БЕРЛИНЪ  
1923

## ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ И СМЪШЕНИЕ ЯЗЫКОВЪ

Кромѣ наказанія за первое грѣхопаденіе человѣчества въ лицѣ Адама и Евы, Священное Писаніе упоминаетъ еще второе наказаніе за коллективное грѣхопаденіе всего человѣчества, именно — смѣшеніе языковъ, послѣдовавшее въ видѣ кары за вавилонское столпотвореніе.

„Смѣшеніе языковъ“, т. е. установленіе множественности языковъ и культуръ, рисуется въ Священномъ Писаніи именно какъ кара, какъ проклятiе Божіе, аналогичное проклятiю „труда въ потѣ лица“, наложенному въ свое время на человѣчество въ лицѣ Адама. И то и другое проклятiе выражается въ установленіи соответствующаго закона, противъ котораго человѣчество бунтовало. Физиологическая природа человѣка и всего окружающаго міра устроена такъ, что добыча пропитанія возможна съ затратой физическаго труда. Законы эволюціи породили устроены такъ, что неминуемо влекутъ за собой возникновеніе и сохраненіе національныхъ отличій въ области языка и культуры. Сколько бы человѣкъ ни изобрѣталъ машинъ, чтобы уменьшить примѣненіе своего физическаго труда, совсѣмъ упразднить этотъ трудъ никогда не удастся. И сколько бы люди ни стремились противоборствовать факту множественности національныхъ различій, эти раз

10



### ОПОВѢЩЕНІЕ ОБ ОТКРЫТІИ

(Евразія в лингвистическихъ признакахъ)

Читаем на этихъ страницахъ вольную передачу доклада Р. О. Якобсона, прочитаннаго на фонологическомъ конгрессѣ 20 декабря 1930 г.: О фонологическихъ

...и свѣдѣтельствующие о томъ же профрѣшаніи, истори...  
...и т. н. факты. Отрицаніе Р. О. Якобсона свѣдѣннотъ в...  
...иные свѣдѣннотъ свѣдѣннотъ научной системы, помы...  
...эматическое и рѣшнотъ се вѣдѣннотъ. И в этомъ смѣле...  
...ударъ по всему общирному фронту научныхъ и полноту...  
...иентовъ свѣдѣннотъ.




Петръ П. Савицкий

### ДОКЛАД Р. О. ЯКОБСОНА

О фонологическихъ языковыхъ союзахъ

Настоящій докладъ представляетъ собою краткое резюме этого вывода работы, котораго в скоромъ времени появятся.

Преобладающе интересовъ генетическаго порядка в языкѣ



# ЕВРАЗИЯ

ПРИЗ 1<sup>er</sup>

ЕЖЕНЕДЕЛЬНИК ПО ВОПРОСАМ КУЛЬТУРЫ И ПОЛИТИКИ  
**EURASIE hebdomadaire russe EURASIE**

ЦЕНА 1<sup>op.</sup>

ЛАБОРАТОРИИ: П. АРАПОВ, Д. П. КАРСАВИН, А. С. ЛУРЬЕ, П. И. МАЛГБЕКИНИ-МАЛЕВИЧ, Ц. П. НИКИТИН, И. П. СУВЧИНСКИЙ, С. Я. ЭФРОИМ

СУББОТА, 26 ЯНВАРЯ 1929

От редакции

## Национальности

### 2. ГРУЗИЯ

Не случайно что высшее руководство Советским Союзом принадлежит грузину. Из всех советских национальностей Грузия, после России, лучше всего подготовлена играть самостоятельную и руководящую роль. В б. Российской Империи только Польша и Финляндия были политически более активны и национально - живучи чем Грузия. Даже ставшие ныне независимыми, буржуазно - европейскими, республиками Эстония, Латвия и Литва стояли в этом отношении не выше, а лишь рядом с Грузией. Грузия имеет более прочную и законченную индивидуальность, — историче-

лучней и уездной самостоятельностью — столь дорогой и редкой для русского побережья. Политические формы СССР особенно благоприятны для развития этого традиционного и исконного грузинского «яластобуния». В них, идеальное соединение двух нужных грузинскому народу начал — самобытности и политического простора. Психологически, грузины, несмотря на свою малочисленность и несмотря на свою преданность своей национальной культуре, никогда не были

**Евразия — органическое единство.**

**Единый мир в отношении: Экономике, географии, истории, языка, психологии, судьбы и идеалов.**

# ქ რ ე ს ტ ო მ ა თ ი ა

## ნიკოლოზ ტრუბაცკოი

### ბაბილონის გოდოლი და ენათა აღრევა (ნიგნიდან „ჩინგისხანის მემკვიდრეობა“)

ადამისა და ევას სახით კაცობრიობის პირველი ცოდვად დაცემისათვის სასჯელის გარდა წმინდა წერილში ნახსენებია კაცობრიობის მეორედ დასჯა კოლექტიური ცოდვისთვის, კერძოდ – ენათა აღრევით, რომელიც მოჰყვა ბაბილონის გოდოლის მშენებლობას. ენათა შერევა ანუ ენათა და კულტურათა სიმრავლე წმინდა წერილში დახატულია როგორც სასჯელი, როგორც ღვთის რისხვა, ისეთივე წყევლა, როგორც ოფლის ღვრით სარჩოს მოპოვება („ოფლიანი სახით შრომა“), რომელიც დაიმსაძურა კაცობრიობამ ადამის სახით. ორივე წყველით გამოხატულია ბუნებრივი კანონი, რომლის წინააღმდეგ კაცობრიობა უძღურია. ადამიანის ფიზიოლოგიური არსი და გარემომცველი სამყაროს ბუნება ისეთია, რომ საკვების მოპოვება დაკავშირებულია ფიზიკურ შრომასთან. ხალხთა ევოლუციის კანონები ისეა მონყობილი, რომ მათ შორის გარდაუვლად წარმოიშობა ენობრივი და კულტურული სხვაობა და ამ სხვაობათა დაცვის საკითხი აუცილებლად დგება. რამდენი მანქანა ანუ ტექნიკური საშუალებაც უნდა შექმნას ადამიანმა, რომ შეიმციროს ფიზიკური შრომა, ამ შრომის სრული უგულვებელყოფა შეუძლებელია. და რამდენიც უნდა ებრძოლონ ნაციონალურ სხვაობებს, ისინი მაინც იარსებებენ. ამას გარდა, ფიზიკური შრომა იმდენად არის დაკავშირებული ადამიანის ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებასთან, რომ მასზე უარის თქმა საზიანოა ჯანმრთელობისთვის. ადამიანები, რომლებსაც არ უხდებათ შრომა არსობის პურის მოსაპოვებლად, იძულებულნი არიან, რომ მიზანმიმართული შრომა შეცვალონ გამამხნეველები ვარჯიშით, სპორტითა და მოციონით ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. ზუსტად ასე, ენისა და კულტურის დიალექტური დაყოფა იმდენად ბუნებრივად არის დაკავშირებული სოციალური ორგანიზმის არსთან, რომ ნაციონალური მრავალფეროვნების განადგურება მიგვიყვანს კულტურულ სიმწირემდე და საბოლოოდ – სიკვდილამდე. თავისთავად შრომა წმინდა სახით სასიამოვნო არ არის. სასიამოვნოა მხოლოდ ის გრძნობა და განწყობილება, რაც თან ახლავს შრომას – საკუთარი ძალის შეგნება და მოქნილობა, შრომის უშუალო შედეგი, შეჯიბრის სურვილი, დასვენების მოლოდინი და ასე შემდეგ. რაც უფრო ნაკლებად სდევს შრომას ეს გრძნობა და განწყობილება, მით უფრო ნათლად ჩანს შრომის ჭეშმარიტი ბუნება. ცნობი-

ლია, რომ იქ, სადაც შრომა უნდა იქცეს სასჯელად, მას ამორებენ ყველაფერს, რასაც შეუძლია შრომის გალამაზება, რომ მშრომელისთვის დაფაროს შრომის ნამდვილი ბუნება – კატორღა არის შრომა წმიდა სახით. ღმერთი განსაკუთრებულ წყალობად მოიღებს ცალკეულ ადამიანებზე ფიზიკურ ძალას და შრომაში წინსვლას. მაგრამ ეს ღვთის წყალობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ალამაზებს შრომას, როცა მშრომელებს გააზრებული აქვთ ეს როგორც ღვთის წყალობა, ხარობენ ამით, ხოლო შრომა შრომად ანუ ტანჯვა-ნამებად რჩება. ამგვარად, შრომა თავისთავად არის ნამება, ხოლო შრომის კანონი რჩება საუკუნო წყევლად, ცოდვად დაცემული ადამიანის სასჯელად. ამის საპირისპიროდ, ენათა დიალექტური დანაწევრება და ნაციონალურ კულტურათა სიმრავლე ტანჯვა-ნამებასთან დაკავშირებული არ არის. ეს კანონი აჩერებს ბევრ ადამიანურ განზრახვებსა და იდეალებს, რომლებიც ინვევენ ომებს, ეროვნულ შუღლს, ხალხთა ურთიერთშევიწროვებას, მაგრამ თავისთავად, წმინდა სახით არ არის დაკავშირებული ნამებასთან. და სწორედ ეს განასხვავებს კულტურათა დანაწევრებისა და მრვალრიცხოვნების კანონსა და ფიზიკურად შრომის აუცილებლობის კანონს ერთმანეთისაგან. შრომის აუცილებლობის კანონი არის პირველცოდვისთვის კაცობრიობაზე დადებული სასჯელი, ხოლო დანაწევრების კანონი, ბიბლიის მიხედვით, არის არა იმდენად სასჯელი, რამდენადაც ღმერთის პასუხი ბაბილონის გოდოლის მშენებლობაზე, ღვთაებრივი დადგენილება (უფლის კანონი), შეეჩერებინა მომავალში ასეთი ბაბილონის გოდოლის მშენებლობა.

რომც არ დავფიქრდეთ ბაბილონის გოდოლის მშენებლობის ბიბლიური თხრობის ისტორიულ საფუძვლებზე, უნდა ვალიაოთ ამ ამბის ღრმა შინაარსი. ბაბილონის გოდოლის ამბით წმინდა წერილი გვიხატავს ერთ ენაზე მოლაპარაკე, მაშასადამე, ლინგვისტურად და კულტურულად სრულიად ერთგვაროვან კაცობრიობას. და, როგორც ირკვევა, ეს ერთიანი, ყოველგვარ ინდივიდუალურსა და ეროვნულს მოკლებული საკაცობრიო კულტურა ძალზე ცალმხრივია. განვითარებული მეცნიერებისა და ტექნიკის ფონზე (რაზეც მეტყველებს თვით ასეთი მშენებლობის ჩანაფიქრი), მას ახასიათებს სულიერი სიცარიელე და ამორალობა. სწორედ ამ თვისებათა წყალობით ვითარდება თვითკმაყოფილება და კადნიერება, რაც გამოიხატება უღმერთო და იმავდროულად უაზრო ჩანაფიქრში. ბაბილონის გოდოლი ტექნიკის საოცრებაა, მაგრამ მას რელიგიური შინაარსი არა აქვს, პირიქით, ანტირელიგიური და მკრეხელურია. ღმერთმა ამ ჩანაფიქრის განხორციელების შესაჩერებლად, კაცობრიობის მკრეხელური თვითნებობის ასალაგმად არია ენები, ანუ სამუდამოდ დაამკვიდრა ეროვნული დაყოფისა და ეროვნულ ენათა და კულტურათა სიმრავლის კანონი. ეს ღვთაებრივი აქტი, ერთი მხრივ, გვაჩვენებს, რომ ერთფეროვანი, ეროვნულად დაუნაწევრებელი საკაცობრიო კულტურა გარდაუვლად მიდის ასეთ უღვთო ტექნიკურ თვითნებობამდე და, მეორე მხრივ, იმაზე მიგვითითებს, რომ მხოლოდ ეროვნული კულტურაა თავისუფალი ადამიანთა ამაო სიამაყისაგან. მხოლოდ

ეროვნულ კულტურებს შეუძლიათ ატარონ კაცობრიობა ღვთისგან დასახული გზებით.

ამჟამად შინაგანი კავშირი გოდოლის მშენებლობასა და ერთგვაროვან საერთო საკაცობრიო კულტურას შორის. ყოველი კულტურა არის მოცემული სოციალის ნარსული და ახლანდელი თაობების კოლექტიური შემოქმედების მუდმივად ცვალებადი პროდუქტი. ამასთან ცალკეული კულტურული ფასეულობა მიზნად ისახავს მოცემული სოციალური ერთობის ან მისი ცალკეული ნევრების განსაზღვრული (მატიერიალური ან სულიერი) მოთხოვნების დაკმაყოფილებას. აქედან გამომდინარე, ყოველი კულტურა ახდენს მოცემული სოციალური ერთობის ნევრთა ინდივიდუალური სხვაობების ნიველირებას. აღიარებულ კულტურულ ღირებულებებში აისახება მის შემოქმედთა მხოლოდ განსაკუთრებული, ინდივიდუალური თვისებები და მოცემული სოციალურ-კულტურული ორგანიზმის გამორჩეული ნევრების გემოვნება.

ეს ხდება ბუნებრივად, პოლარული ანუ მაქსიმალურად დაპირისპირებული ინდივიდუალური სხვაობების ურთიერთნიტრალიზაციით. ამის შედეგად მთელ კულტურას ადევს მოცემული სოციალური ერთობის ნევრთა საშუალო ფსიქიკური მახასიათებლის ანაბეჭდი. რაც უფრო მეტია სოციალურ-კულტურული ერთობის ნევრთა შორის ინდივიდუალური სხვაობები, მით უფრო განურჩეველი და უპიროვნოა ამ კულტურისთვის დამახასიათებელი საშუალო ფსიქოლოგიური ტიპი. თუ წარმოვიდგინოთ კულტურას, რომლის შემქმნელია მთელი კაცობრიობა, მაშინ ნათელია, რომ ამ კულტურაში უპიროვნობა და განურჩევლობა მაქსიმალური იქნება. ამ კულტურაში ხორცს შეისხამს მხოლოდ ის ფსიქოლოგიური ელემენტები, რომლებიც ყველა ადამიანს ახასიათებს. გემოვნება და რწმენა ყველა ადამიანს განსხვავებული აქვს, ინდივიდუალური გადახრები ამ სფეროში ძალიან ძლიერია, მაგრამ ლოგიკა

ყველას ერთნაირი აქვს ისევე, როგორც მატერიალური მოთხოვნილებანი, კვება, შრომის ეკონომია და ასე შემდეგ ყველას მეტ-ნაკლებად მსგავსი აქვს. ამიტომ ნათელია, რომ ერთგვაროვან საერთო საკაცობრიო კულტურაში ლოგიკა, რაციონალისტური მეცნიერება და მატერიალური ტექნიკა ყოველთვის დასჯაბნიან რელიგიას, ეთიკასა და ესთეტიკას, რომ ამ კულტურაში ინტენსიური სამეცნიერო-ტექნიკური განვითარება გარდაუვლად იქნება დაკავშირებული სულიერ და ზნეობრივ გავლურებასთან, დეგრადაციასთან. ლოგიკა და მატერიალური ტექნიკა, რომელიც არ იქნება სულიერებით განათებული, კი არ გააადვილებს, არამედ გაართულებს გზას ჭეშმარიტი მეცნობისაკენ და გაამყარებს ადამიანში ქედმაღლობას. ამგვარად, ერთფეროვანი საერთო საკაცობრიო კულტურა აუცილებლად გახდება უღმერთო, ღვთის მებრძოლი, ბაბილონური. ამის სანინაალმდეგოდ, ეროვნულ კულტურაში, რომელშიც აისახება განსაკუთრებული სულიერი მოთხოვნილებანი, ესთეტიკური გემოვნება და ზნეობრივი იდეალები ამა თუ იმ



ხალხის მორალურ და სულიერ სახეს საპატიო ადგილი უჭირავს. ასეთი კულტურის სულიერი მხარე, რომელიც გაჯერებულია თვითმყოფადი ნაციონალური ფსიქიკით, ორგანულად არის დაკავშირებული მის შემოქმედ ხალხთან. მსგავსი და მონათესავე ნატურების კულტურაში გამახატული სულიერი სახე და სულიერი გამოცდილება უადვილებს მოცემული ეროვნული ორგანიზმის ცალკეულ წევრებს პიროვნულ შეცნობას. და ამიტომ მხოლოდ ასეთი კულტურის ფარგლებში შეიძლება წარმოშვას დადებითი, სულიერად ამამალლებელი ადამიანური ღირებულებები.

ეროვნული კულტურის დადებითი მხარეების გაგება კარგია, მაგრამ აუცილებელია უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვა ბუნებრივ ზღვარს გადაცილებული ეროვნული დანანევრების მიმართ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ეროვნული დანანევრება სულაც არა ჰგავს ეროვნულ-კულტურული ძალების ანარქიულ დაყოფას, რომ დაყოფა ამ შემთხვევაში არ არის უსამანო. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ეროვნული დაყოფის ჩრდილოვანი მხარეების განხილვისას.

ეროვნული კულტურების მრავალფეროვნების კანონი ზღუდავს ადამიანს: ადამიანური აზროვნება იზღუდება არა მხოლოდ თვით აზროვნების ბუნებით, რომ არ ძალუძს დროის, სივრცისა და „კატეგორიების, ასევე ადამიანური გამოცდილების სამანებიდან გასვლა, არამედ იმიტომაც, რომ ყოველ ადამიანს მხოლოდ იმ კულტურის მიღება შეუძლია, რომელსაც თვითონ ეკუთვნის ან მის კულტურასთან ახლოსაა (ეს განსაკუთრებული ძალით ჩანს, როცა კულტურათა დანანევრება მის სრული დაყოფით მთავრდება). ნაციონალურ კულტურათა მრავალფეროვნების კანონის გამო სხვადასხვა ხალხის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობის დამყარება რთულდება, ხოლო ზოგჯერ კულტურათა შორის სხვაობის გამო შეუძლებელიც კი ხდება. მაგრამ ამ ნაკლოვანებათა გვერდით ნაციონალურ კულტურათა მრავალფეროვნების კანონის მოქმედება არ ცდება ორგანული აუცილებლობის საზღვრებს, მას დადებითი შედეგებიცა აქვს, რადგან სწორედ დანანევრების წყალობით უყალიბდება ზოგიერთ ხალხს ისეთი კულტურული ღირებულებები, რომლებიც ადამიანს სულიერად ამალლებს. ეს უნდა გავაცნობიეროთ, ხალხი უნდა შეეგუოს ამ კანონის უარყოფით მხარეებს და შეგნებითა და უდრტიენველად უნდა გადაიტანოს თავისი ნაციონალური შეზღუდულობა.

სწრაფვა ფიზიკური შრომის შემსუბუქებისა და ადამიანის შრომის გამოყენების შემცირებისაკენ ბუნებრივია და არ შეიცავს ცოდვას, ნაციონალურ კულტურათა მოსპობისკენ სწრაფვა კი პრაქტიკულად ყოველთვის ცოდვია. იგი ისეთ კაცობრიობას ქმნის, რომელიც წინ უსწრებდა ბაბილონის გოდოლის მშენებლობას. ეს მდგომარეობა კი გარდაუვლად დაბადებს ახალი ბაბილონის გოდოლის შენების სურვილს.

არც ერთი ინტერნაციონალი შემთხვევითი არ არის, ყველა არსობრივად უღმერთოა, ანტირელიგიურია და გაჯერებულია ადამიანის ქედმალლობით.

ესაა მთავარი და ძირითადი ცოდვა თანამედროვე ევროპული ცივილიზაციისა. იგი მიისწრაფვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით წამალს ყველა ინდივიდუალური ნაციონალური განსხვავება, ყველგან შეიტანოს ყოფისა და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მონყობის ერთნაირი ფორმები და ერთგაროვანი ცნებითი სისტემა. მლის რა ყოველი ცალკეული ხალხის ცხოვრების თვითმყოფად სულიერ ნყობას, იგი ვერ იცვლება და ვერც შეიცვლება სხვა სულიერი მდგომარეობით. ცვალებადობა ეხება მხოლოდ ყოფის გარეგნულ ფორმებს, რომლებიც ეყრდნობა მატერიალურ-უტილიტარულ ან რაციონალისტურ საფუძვლებს. ამის გამო ევროპული ცივილიზაცია ინვევს ევროპეიზებული ხალხების აქამდე არნახულ სულიერ სიცარიელეს. ევროპეიზებული ხალხები შემოქმედებითი თავლსაზრისით უნაყოფონი არიან, მორალური თვალსაზრისით – გულგრილნი და გაველურებულნი. ამას გარდა, მინიერ სიამოვნებათა მიღებას დახარბებულნი და ცოდვიანი ქედმაღლობით ევროპული ცივილიზაციის ერთგული თანამგზავრები არიან. ისინი უგამონაკლისო თანამიმდევრულობით უახლოვდებიან ახალ კულტურამ დაინყო სწრაფვა ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციად ჩამოყალიბებისაკენ, მატერიალურმა ტექნიკამ, წმინდა რაციონალურმა მეცნიერებამ და ეგოისტურ-უტილიტარულმა მსოფლმხედველობამ სძლია მასში ყველაფერს და ასეთი მიმართება კულტურის ელემენტებთან დროთა განმავლობაში იზრდება. სხვაგვარად ვერც იქნება: იაპონელი და გერმანელი შეიძლება ერთმანეთს ემსგავსოს ლოგიკით, ტექნიკითა და მატერიალური ინტერესით, რასაც მოჰყვება სხვა ელემენტებისა და კულტურის მამოძრავებელი ზამბარების ატროფირება. მაგრამ მცდარია აზრი, თითქოს კულტურათა ამგვარ ნიველირებას, რომელიც სულიერი მხარის მარტივი უარყოფით ხდება, მოჰყვება საზღვრების მოშლა და ადამიანთა ურთიერთობების გაიოლება. „ხალხთა ძმობა, რომელიც ნაყიღია ხალხთა სულიერი დაცარიელების ფასად, სამარცხეინო სიყალბეა. ასეთი ძმობა არც არსებობს, როცა სათავეში დგას ეგოისტური მატერიალური ინტერესები, როცა ტექნიკას თავისთავად შემოაქვს საერთაშორისო კონკურენციისა და მატერიალიზმის მოტივი, ხოლო თვით იდეა საერთაშორისო ცივილიზაციისა ბადებს იმპერიალიზმისა და მსოფლიო ბატონობის სურვილს. კულტურის სულიერი მხარის უარყოფა ან მისი უკანა პლანზე გადაწევა ინვევს ადამიანთა გაველურებასა და პიროვნული ეგოიზმის განვითარებას, რაც არა თუ ამარტივებს ადამიანთა ურთიერთობას, არამედ აღმავეებს მტრობას განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებს შორის თვით ერთი ხალხის შიგნითაც კი. ეს ყველაფერი არის გარდაუვალი შედეგი ინტერნაციონალური, საერთო საკაცობრიო ცივილიზაციისაკენ სწრაფვისა და ეს შედეგები თვალნათლივ გვიმტკიცებენ, რომ თავად ეს სწრაფვა ცოდვაა და ღვთის სანინააღმდეგოა.

ეროვნულ კულტურათა და ენათა სიმრავლე დანანევრების კანონის შედეგია. ამ კანონის მოქმედება ყველაზე კარგად ენაში ჩანს. ყვე-

ლა ენა იყოფა დიალექტებად, დიალექტები – კილოკაეებად, კილოკაეები – თქმებად, თქმები – ქცევებად და ასე შემდეგ სქოლიო:.. ამასთან ყოველ კილოკაეს აქვს განმასხვავებელი ნიშნები, მაგრამ რალაც თვისებებით ერთიანდება მეზობელ კილოკაეთან, სხვა თვისებებით კი რომელიმე სხვა კილოკაეთან და ასე შემდეგ. მეზობელ კილოკაეებს შორის არსებობს გარდამავალი თქმები, რომლებიც ორივე კილოკაეის თვისებებს აერთიანებს. ამგვარად, ენა არის დიალექტთა უწყვეტი ჯაჭვი, რომლის შემადგენელი კილოკაეები თანდათანობით და შეუმჩნეველად გადადიან ერთმანეთში. ენები, თავის მხრივ, ერთიანდებიან ოჯახებად, რომლის ფარგლებში შეიძლება გავარჩიოთ შტოები, ქვეშტოები და ასე შემდეგ. ყოველი ასეთი ოჯახის შიგნით ენებს ისეთივე ურთიერთობა აქვთ როგორც კილოკაეებს ერთი ენის შიგნით. მაშასადამე, მოცემული შტოს თითოეულ ენას აქვს სკუთრივ მისთვის დამახასიათებელი თვისებები, ამ შტოსთვის საერთო თვისებები და თვისებები, რომლებითაც იგი განსაკუთრებით უახლოვდება მოცემული შტოს ერთ რომელიმე ენას და ასე შემდეგ. ამასთან, მონათესავე ენებს შორის ყოველთვის არსებობს გარდამავალი კილოკაეები. ენები ისევე შეესაბამებიან ერთმანეთს შტოს ფარგლებში, როგორც ცალკეული შტოები ენათა ოჯახის ფარგლებში.

ცნებები – შტო, ენა, კილოკაეი, თქმა<sup>1</sup> პრინციპულად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თუ მოცემული ენობრივი მთელის ყველა დანაყოფი ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან, მეტყველები ერთმანეთს უგებენ თავისუფლად და თარჯიმანი არ სჭირდებათ, მაშინ ამ ერთეულებს უწოდებენ კილოკაეებს, მათ ჯგუფს – თქმებს და თვით ენობრივ მთლიანობას (ანუ მათ ერთობლიობას) – ენას. მაგრამ როცა ამა თუ იმ კილოკაეზე მეტყველნი ვეღარ უგებენ ერთმანეთს ადვილად, კილოკაეები უკვე ენებად იწოდება, მათ ერთობლიობას შტო ჰქვია, ხოლო შტოთა ერთობლიობას – ოჯახი. ამიტომ ხშირად კამათობენ, ეს თუ ის მოცემულობა ენაა თუ დიალექტი, ან ორ მონათესავე ენათა შორის რომელს ეკუთვნის მოსაზღვრე, გარდამავალი კილოკაეი. ეს კამათი მხოლოდ ენათმეცნიერების მონაცემებით უმეტესად ვერ ნყდება. ასე იქმნება მიმართება გენეტიკურად გაერთიანებულ ენობ-

---

<sup>1</sup> ენის დანაწევრებული ნაწილების აღსანიშნავად ნ. ტრუბეცკოი იყენებს ტერმინებს: *наречие, говор, подговор*. ამ ტერმინთა განმარტება განსხვავებულია თვით რუსულ საენათმეცნიერო ტერმინოლოგიაში. აქედან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ნ. ტრუბეცკოის უნდოდა ეწვენიებინა, ერთი მხრივ, ენის იერარქიულობა და, მეორე მხრივ, მისი შემადგენელი ნაწილების განუყოფელი კავშირი, ვამჯობინე გამომეყენებინა ქართულ საენათმეცნიერო ტერმინოლოგიაში გავრცელებული ტერმინები: დიალექტი, კილოკაეი, თქმა და ქცევა. ეს ტერმინები ყოველთვის ზუსტად შეიძლება არ შეესაბამებოდეს ზემოთ დამონმებულ რუსულ ტერმინებს, მაგრამ აჩვენებენ იერარქიულობასა და განუყოფლობას და, შეიძლება ითქვას, ადეკვატურად გადმოსცემენ ნ. ტრუბეცკოის სათქმელს.

რივ ერთეულებს შორის, რომლებიც ისტორიულად ერთიანი ფუძენის დაილექტებს წარმოადგენდნენ. ენათა გეოგრაფიული მეზობლობა ყოველთვის მათი წარმომავლობის მიხედვით როდი ხდება. ძალზე ხშირად ერთი და იმავე გეოგრაფიული და კულტურულ-ისტორიული ერთობიდან რამდენიმე ენას ახასიათებს მსგავსება, რომელიც საერთო წარმომავლობით კი არ არის გამოწვეული, არამედ ხანგრძლივი მეზობლობითა და პარალელური განვითარებით. ასეთი ჯგუფების აღსანიშნავად, რომლის წევრთა ურთიერთობა არ არის დაფუძნებული გენეტიკურ პრინციპზე, ჩვენ შემოგვაქვს სახელწოდება – ენობრივი კავშირები [\*1]. ასეთი ენობრივი კავშირები მხოლოდ ცალკეულ ენებს შორის კი არ არსებობს, არამედ ენობრივ ოჯახებს შორის, ანუ ისეც ხდება, რომ რამდენიმე ენობრივი ოჯახი, რომლებსაც ერთმანეთთან არა აქვთ ნათესაური კავშირი, მაგრამ გავრცელებული არიან ერთ გეოგრაფიულ და კულტურულ-ისტორიულ ზონაში და მთელი რიგი ნიშნებით ერთიანდებიან ენობრივი ოჯახების კავშირში. ასე მაგალითად, უგრო-ფინურ-სამოიედურ (ანუ სხვაგვარად ურალურ), თურქულ, მონგოლურ და მანჯურიულ ენათა ოჯახები ძალიან ბევრი საერთო თვისების წყალობით ერთიანდებიან ურალურ-ალათაური ენების კავშირში, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მეცნიერება ამ ენათა ოჯახების საერთო გენეტიკურ წარმომავლობას უარყოფს. არსებით სახელთან დაყოფა გრამატიკული სქემის მიხედვით და ფორმათა წარმოებისთვის ძირის ცვალება, ძირიდან ხმოვნის ამოვარდნა ან გაჩენა აერთიანებს ინდოევროპულ, სემიტურ, ქამიტურ და ჩრდილოკავკასიურ ენებს ხმელთაშუა ზღვის ენათა ოჯახების კავშირში, რომელსაც სავარაუდოდ მიეკუთვნებოდა აგრეთვე ხმელთაშუა ზღვის აუზის გადაშენებული ენები. ასეთი, ერთმანეთთან გენეტიკურად არამონათესავე ენების კავშირები უამრავია მთელ დედამიწაზე. ისეც ხდება, რომ ერთი და იგივე ენათა ოჯახი ან ცალკე მდგომი ენა ერთდროულად ორ კავშირს ეკუთვნის ან მერყეობს ორ მეზობელ კავშირს შორის და იმავე როლს თამაშობს, რასაც გარდამავალი კილოკავები გენეტიკურ კლასიფიკაციაში [\*2]. ამდენად, თუ გავითვალისწინებთ ენათა ორივე სახის დაყოფას, როგორც გენეტიკურს (ენობრივ ოჯახებად), ისე არაგენეტიკურს (ენათა კავშირებად), შეიძლება ითქვას, რომ დედამიწაზე გავრცელებული ყველა ენა ქმნის ერთმანეთში გარდამავალი რგოლების ცისარტყელისებურ ქსელს. სწორედ უწყვეტობისა და ურთიერთგარდამავლობის გამო დედამიწაზე ენათა მკვეთრი მრავალფეროვნება ქმნის თავისებურ, რა თქმა უნდა, მხოლოდ გონებით წარმოსახულ მთლიანობას. ამდენად, დანაწევრების კანონს ენის სფეროში ანარქიისკენ კი არ მივყავართ, არამედ მონესრიგებული ჰარმონიული სისტემისაკენ, რომლის უმცირესი ნაწილიც კი თავის განსაკუთრებულ ინდივიდუალობას ინარჩუნებს. მთლიანობა მისი ნაწილების უპიროვნობით კი არ მიიღწევა, არამედ ცისარტყელისებური ენობრივი ქსელის უწყვეტობით.

კულტურათა დაყოფა და ურთიერთობა არ ემთხვევა ენათა ოჯახებად დაყოფა-დაჯგუფებას. არა თუ ერთი და იმავე ოჯახის, არამედ ერთი და იმავე შტოს ენებზე მეტყველ ადამიანთა კოლექტივებიც კი შეიძლება სხვადასხვა კულტურას ეკუთვნოდნენ. და მაინც კულტურათა დაყოფა და ურთიერთობა იმავე პრინციპებს ეფუძნება, რომლებსაც ენათა დაყოფა, მხოლოდ იმ სხვაობით, რომ ის, რაც კულტურაში ოჯახს შეესაბამება გაცილებით მცირე მნიშვნელობისაა, ვიდრე ის, რაც კავშირებს შეესაბამება. მეზობელი ხალხების კულტურებს ყოველთვის აქვთ მსგავსი თვისებები. ამის გამო მეზობელი ხალხების კულტურებს შორის არსებობს კულტურულ-ისტორიული ზონები, მაგალითად, აზიაში მუსლიმანურ, ინდურ, ჩინურ, ნყნაროკეანურ, სტიეპის, არქტიკულ და სხვა კულტურებს ურთიერთგადამკვეთი საზღვრები აქვთ, რის გამოც წარმოიქმნება ნარევი ან გარდამავალი ტიპის კულტურა. ცალკეულ ხალხებს ან ამა თუ იმ ხალხის ნაწილებს შეაქვთ თავისი ინდივიდუალური თვისებები ამ კულტურაში. ერთიანი და ჰარმონიული უწყვეტობისა და იმავდროულად უსასრულოდ მრავალფეროვანი დიფერენცირებულობის გამო წარმოიქმნება ცისარტყელისებური ქსელი. ასეთია დანაწევრების კანონის შედეგები. ცალკეული ნაციონალურ-ეროვნულ კულტურათა მოჩვენებითი ანარქიული სიჭრელის ფონზე თითოეული ინარჩუნებს განუმეორებელ ინდივიდუალურ თვითმყოფადობას და ქმნის უწყვეტ ჰარმონიულ ერთობას. მათი სინთეზირება შეუძლებელია ინდივიდუალური თავისებურებების უარყოფით, რამდენადაც სწორედ მკვეთრად გამოხატულ ინდივიდუალურ კულტურულ-ისტორიულ ერთეულში ჩანს მთლიანობა. როგორც ყოველივე ჭეშმარიტი, ბუნებრივი და ღვთისგან დადგენილი კანონებისაგან გამომდინარე ცხოვრება და განვითარება, ეს სურათი დიდებულია თავისი მიუწვდომელი სირთულით და ჰარმონიულობით. ადამიანის ხელით დაშლა ან ჩანაცვლება გამორჩეული ინდივიდუალური კულტურების ბუნებრივი ორგანული მთლიანობის უპიროვნო ზოგადსაკაცობრიო კულტურის მექანიკური გაერთიანებით, რომელიც არ აძლევს გასაქანს ინდივიდუალობას და უმნეოა თავისი აბსტრაქტული განყენებულობით ნამდვილად არაბუნებრივი, ღვთის ნების საწინააღმდეგო ქმედებაა. კაცობრიობის კულტურული გაერთიანებისა და ერთფეროვანი ზოგადსაკაცობრიო კულტურის - როგორც ღვთის ნების უარყოფელი ქცევის ასეთი მკვეთრი და უპირობო განსჯის საწინააღმდეგო ფაქტია ქრისტიანობის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა. მათთვის, ვინც ქრისტიანობაში ხედავს დედამიწაზე გავრცელებული მრავალი რელიგიიდან ერთ-ერთს, რომელიც შეიქმნა გარკვეულ ისტორიულ-კულტურულ პირობებში, ეს პრობლემა, რა თქმა უნდა, საერთოდ არ დგას. ასეთი მიდგომით ქრისტიანობა - როგორც გარკვეული კულტურის პროდუქტი - ერთ სიბრტყეზე თავსდება სხვა კულტურების პროდუქტებთან ერთად და შედის როგორც ერთ-ერთი ელემენტი კაცობრიობის მრავალფეროვანი კულტურული გამოვლინების საერთო სქემაში. ასეთ შემთხვევაში მის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე საუ-

ბარი ზედმეტია. მაგრამ მათთვის, ვინც ქრისტიემი ღვთის ძეს ხედავს, ხოლო ქრისტიანობას ერთადერთ ჭეშმარიტ რელიგიად სახავს, ქრისტეს სიტყვები: „ნარვედით და მოიმონაფენით ყოველნი ნარმართნი და ნათელს სცემდით მათ სახელითა მამისადათა და ძისადათა და სულისა წმიდისადათა (მათე 28:19) - თითქოს არ ეთანხმება იმ აზრს, რომ კაცობრიობის კულტურული გაერთიანება ღვთის სანინაალმდეგო საქმეა. მაგრამ ეს წინააღმდეგობა მოჩვენებითია. რადგან ქრისტიანობას ვალიარებთ აბსოლუტურ ჭეშმარიტებად, რომელიც ეფუძნება ღვთაებრივ გამოცხადებას, რადგან იგი ადამიანებამდე ისტორიულ პროცესში ღვთის უშუალო მონაწილეობით მოვიდა. ამით უკვე ვენინაალმდეგებით ქრისტიანობის როგორც პროდუქტის ან რომელიმე კულტურის ელემენტად მიჩნევას. ქრისტიანული მოძღვრება არ არის კულტურაში რომელიმე ელემენტის შემოტანა. განსხვავებით იუდაიზმისაგან, რომელიც გარკვეულ რასას უკავშირდება, განსხვავებით მუსლიმანობისაგან, რომელიც დაკავშირებული კონკრეტულ კულტურასთან და განსხვავებით ბუდიზმისაგან, რომელიც ეწინააღმდეგება ყოველგვარ კულტურულ დაყოფას, ქრისტიანობა დგას რასასა და კულტურაზე მაღლა, მაგრამ არ უარყოფს რასათა და კულტურათა სიმრავლესა და მრავალფეროვნებას. ქრისტიანობის მიღებას თან სდევს ეროვნული წარმართული კულტურის ბევრი ელემენტის უარყოფა და მათი გადამუშავება. მაგრამ გადამუშავება განსხვავებულად ხდება და დამოკიდებულია იმ კულტურულ-ისტორიულ ფესვებზე, რომელზეც ხდება ქრისტიანობა. ერთგვაროვნება ამ სფეროში არათუ აუცილებელი არ არის, არამედ შეუძლებელია. ქრისტიანობა „საფუარია“, რომელიც შეიძლება შეეფერიოთ სხვადასხვა სახის ცოშს და მისი აფუების ხარისხი განსხვავებული იქნება ცოშის შემადგენლობის მიხედვით. სწორედ ამიტომ დედაინის ინდივიდუალურ ნაციონალურ კულტურათა ცისარტყელისებური ქსელი, რომელზეც ზემოთ ვმსჯელობდით, შეინარჩუნებდა თავის კონსტრუქციას იმ შემთხვევაშიც კი, მთელი მსოფლიოს ხალხებს რომ მიეღოთ ქრისტიანობა.

ქრისტიანობა არ მოითხოვს ნაციონალურ-კულტურულ სხვაობათა ნიველირებას ან ერთგვაროვანი ზოგადსაკაცობრიო კულტურის შექმნას. ქრისტიანობა, როგორც ღვთაებრივი მოცემულობა, უცვლელია. ისტორიულ პროცესში ქრისტიანული დოგმატები არ იცვლებოდა, არამედ ისინი იხსნებოდა. კულტურა კი თავისი არსებით ხალხის შექმნილია. იგი ისტორიულად ცვალებადია, ექვემდებარება ევოლუციის კანონებს და უპირველეს ყოვლისა, დანაწევრების კანონს. ერთიანი ქრისტიანული კულტურა არის contradiction in adjecto. ქრისტიანული კულტურა არა მარტო შესაძლებელია, არამედ აუცილებლად გულისხმობს კულტურულ სიმრავლეს. ყოველმა გაქრისტიანებულმა ხალხმა თავისი კულტურა ისე უნდა გარდაქმნას, რომ მისი ელემენტები არ ეწინააღმდეგებოდეს ქრისტიანობას. ამ კულტურაში უნდა ღვიოდეს არა მხოლოდ ეროვნული, არამედ ქრისტიანული სული. ამდენად, ქრისტიანობა არ უარყოფს თვითმყოფად ნაციონალურ კულტურას,

არამედ, პირიქით, ახალი დავალებებით სტიმულს აძლევს მას. ყველა ქრისტიან ხალხს ეძლევა დავალება, რომ შეათანხმოს კულტურა დოგმატებთან, ეთიკასთან და ჭეშმარიტი ქრისტიანული ეკლესიის კანონებთან ეკლესია-მონასტრებისა და ლიტურგიის შექმნით, რომ ამ ხალხის წარმომადგენელ მრევლში გააღვიძოს ქრისტიანული განწყობილებები. ყოველ ხალხს არა თუ შეუძლია, არამედ ვალდებულია ეს ამოცანები გადანიჭოს თავისებურად იმისთვის, რომ ქრისტიანობა გახდეს ორგანული და ინტიმურად შეერწყას ეროვნულ ფსიქიკას. რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს ერთი ქრისტიანული კულტურის გავლენას მეორეზე. ასეთი გავლენა არაქრისტიანულ კულტურებშიც შეიმჩნევა. ეს გავლენა დაკავშირებულია თავად კულტურის არსთან და სულაც არ მთავრდება ეროვნულ სხვაობათა ნიველირებით. მთავარია, რომ ერთი კულტურის გავლენა მეორე კულტურაზე არ იყოს აბსოლუტური. საჭიროა კულტურული გავლენების ორგანულად გადამუშავება, რომ საკუთარი და უცხოური ელემენტებით იქმნებოდეს ახალი მთლიანობა, რომელიც მჭიდროდ დაუკავშირდება ამ ხალხის ნაციონალურ ფსიქიკას. ქრისტეს ეკლესია ერთია. მისი ერთიანობა გულისხმობს ცალკეული ეკლესიების ურთიერთობას, რაც შესაძლებელია კულტურული ერთობის გარეშეც. ეკლესიური ერთობა გამოიხატება წმინდა წერილის, წმინდა . . . დოგმატებისა და კანონების აღიარებით და არა კონკრეტულ ყოფითი, მხატვრული და სამართლებრივი ფორმებით, რომელთა საშუალებით დოგმატები, კანონები და წმინდა წერილი შედის ყოველი ხალხის ცხოვრებაში. ამ ფორმათა დაფიქსირებისა და ერთ ეკლესიას მიკუთვნებული, მაგრამ განსხვავებული კულტურის მქონე ხალხთა შორის სხვაობის განადგურების მცდელობა დაფუძნებულია ცრუმორწმუნეობასა და სიკეთე არ მოაქვს. ჩვენ, რუსები, ძალიან დაგვაზარალა პატრიარქ ნიკონის ასეთმა მცდელობამ, რომელმაც საბოლოოდ საეკლესიო განხეთქილებამდე მიგვიყვანა, ხოლო ყოფით ცხოვრებაში რუსული კულტურულ-ნაციონალური ორგანიზმი დაასუსტა, რამაც საფუძველი მოუმზადა პეტროვსკის დარბევას. ამდენად, ქრისტიანისათვის ქრისტიანობა არ არის დაკავშირებული რომელიმე ერთ კულტურასთან. იგი არ არის განსაზღვრული კულტურის ელემენტი, არამედ ფერმენტი, რომელიც სრულიად განსხვავებულ კულტურებს ბადებს. აბისინიისა და შუასაუკუნეების ევროპის კულტურა სრულიად არა ჰგავს ერთმანეთს მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქრისტიანულია.

თუ ჩვენ გადავხედავთ ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას, დავრწმუნდებით, რომ მისი გავრცელება წარმატებული მხოლოდ იქ იყო, სადაც ქრისტიანობა აღიქმებოდა ფერმენტად და არა უკვე მზა, უცხოური კულტურის ელემენტად. ორგანულად და ნაყოფიერად ქრისტიანობა მხოლოდ იქ მიიღეს, სადაც მან გადაამუშავა ნაციონალური კულტურა ისე, რომ მისი თვითმყოფადობა არ დაურღვევია და პირიქით, ქრისტიანობის გავრცელების ერთი ძლიერი დამამუხრუჭებელი საშუალება ყოველთვის იყო ამა თუ იმ ხალხის მხრიდან ქრისტიანობისა და რომელიმე უცხოური კულტურის იდენტიფიკაციის აღიარება.

თუ ხშირად ხალხი არ იღებს და არ იღებდა ქრისტიანობას ღრმა, მისტიკურ-პროვინდეციალური მიზეზების გამო, უმეტეს შემთხვევაში ამის ნამდვილი მიზეზი ის არის, რომ მისიონრები ავრცელებენ არა ქრისტიანობას, როგორც ასეთს, არამედ გარკვეულ ქრისტიანულ კულტურას. ასეთი ცოდვა მართლმადიდებელ ქრისტიანებსაც მიუძღვის: საიდუმლო არ არის, რომ ხშირად მისიონრობა რუსეთში რუსი-ფიკაციის საშუალება იყო, ხოლო რუსეთის ფარგლებს გარეთ – რუსული პოლიტიკური გავლენის გავრცელების საშუალება.

ეს კიდევ უფრო დიდი დოზით ეხება კათოლიკურ, პროტესტანტულ, ანგლიკანურ მისიონრობას. რომანულ-გერმანიკული წარმოშობის მისიონრები თავის თავს აღიქვამდნენ კულტურტრეგერებად. მთელი მათი მისიონრული მოღვაწეობა დაკავშირებულია „შერწყმის სფეროსთან“, კოლონიზაციასთან, ეროპეიზაციასთან, კონცესიებთან, ფაქტორებთან, პლანტაციებთან და ასე შემდეგ. მისიონრები საღვთო საქმის ღვთისგან წარმოგზავნილი მასწავლებლები კი არ არიან, არამედ კოლონიური პოლიტიკის აგენტები ან ამა თუ იმ ძლიერი სახელმწიფოს (державы) ინტერესების გამტარებელი. არა ქრისტიანობის, არამედ კათოლიციზმის, პროტესტანტობის ან ანგლიკანურობის ანუ ქრისტიანობიდან ამა თუ იმ სახის გადახვევის, რომელიც წარმოიშვა რომანულ-გერმანული კულტურის ნიაღბი და მჭიდროდ უკავშირდება ამ კულტურას. ეს მისიონრები ფაქტობრივად ამ კულტურას ავრცელებენ. მათი მისიონრობის წარმატება განისაზღვრება იმით, რამდენად მოახერხებს ამ ხალხის ზიარებას „ევროპულ ცივილიზაციასთან“. ამ ცივილიზაციაში კი დიდი ხანია ქრისტიანობა უკვე უკანა პლანზეა გადაწეული და წარღვნილ ტენდეციებშია ჩაფლული. აქედან გამომდინარე, აბლად მოქცეული ადგილობრივი ხალხები („ტუზმეცები“) ქრისტიანობას იღებენ ევროპული ცივილიზაციის პერსპექტივით და ამის შედეგად იქცევიან ამ ცივილიზაციისთვის უმნიშვნელო ელემენტებად; ხდებიან ცუდი, ყოველ შემთხვევაში შემოქმედებითი თვალსაზრისით უნაყოფო ქრისტიანები. ასეთი მისიონრობის საშუალებით ქრისტიანობას ეზიარებიან არა ხალხები მთლიანად, რომლებსაც არ ძალუძთ თავიანთი ნაციონალური კულტურა ორგანულად გადაამუშაონ ქრისტიანული თვალსაზრისით, არამედ მხოლოდ ცალკეული ინდივიდები, რომლებიც გაქრისტიანებით წყდებიან მშობლიურ, ნაციონალურ ფესვებს და ხდებიან უცხოური სახელმწიფოს (державы) ეკონომიკური და პოლიტიკური ჩანაფიქრის გამტარებელი აგენტ-თანამშრომლები. ამდენად, ყველა ხალხის სახელითა მაშისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა მოქცევის საქმე არსებითად რჩება შეუსრულებელი. და შეუსრულებელია სწორედ იმიტომ, რომ მისიონრობა ევროპეიზაციის იარაღად იქცა, რაც ერთგვაროვანი საკაცობრიო კულტურის შექმნას ისახავს მიზნად. ეს კი ღვთის საწინააღმდეგო მიზანია, რის ახსნასაც შევეცადეთ. ნაციონალურ სხვაობათა ნიველირებისკენ სწრაფვას ვერ გაამართლებს ქრისტიანული მისიონრობის აუცილებლობაზე მითითება, სწორედ რომ ასე არ არის საქმე. ეს მისიონრობა უნაყოფო



და ნარუმატებელია იმიტომ, რომ დაკავშირებულია არსობრივად ანტიქრისტიანულ ნიველირების მოსურნე კულტურტრეგერობაზე.

### შენიშვნები:

[\*1] ევროპაში ენობრივი კავშირის ყველაზე გამოკვეთილი მაგალითი არის ბალკანური ენები - ბულგარული, რუმინული, ალბანური და ახალბერძნული. ეს ენები ინდოევროპული ოჯახის სხვადასხვა შტოს მიეკუთვნებიან, თუმცა მათ აერთიანებთ გრამატიკული აგებულების საერთო სქემა და დეტალური დამთხვევები.

[\*2] ამდენად, ინდოევროპული ოჯახი, რომელიც შუამდინარეთის თუ ხმელთაშუა ზღვის ენობრივ კავშირს ეკუთვნის გარკვეული მახასიათებლებით (მაგალითად, პრეფიქსთა არარსებობით) უახლოვდება ურალურ-ალათაურ კავშირს, კერძოდ, ცალკეულ შემთხვევებში გვაქვს მსგავსება ურალურ ენებთან (უგარიტულ - ალათაურ-...)

თუმცა აღმოსავლეთ ციმბირში გავრცელებული ენები (ენისეურ-ოსტაკური, ე. ნ. კამჩატკური, ჩუკოტკური და კორიაკული) გვევლინება გარდამავალ რგოლად ურალურ-ალათაურსა და ჩრდილოამერიკულ (ესკიმოსურ-ალუტურ) კავშირებს შორის და ა. შ.

## ნიკოლოზ ტრუბუცკოი

### საერთოეპრაზიული ნაციონალიზმი

I

რევოლუციამდე რუსეთი იყო ქვეყანა, რომელშიც სახელმწიფო ტერიტორიის ოფიციალურ მფლობელად აღიარებული იყო რუსი ხალხი, თან ისე, რომ პრინციპულად არ განასხვავებდნენ ერთმანეთისგან მხარეებს, სადაც ყოველთვის რუსი მოსახლეობა იყო იმ მხარეებისგან, სადაც სხვა ხალხები ბინადრობდნენ: რუსი ხალხი ითვლებოდა ამ მხარეების პატრონად და მესაკუთრედ, ხოლო სხვა ხალხები - მხოლოდ უბრალო მაცხოვრებლებად.

რევოლუციის დროს ვითარება შეიცვალა. რუსეთს ელოდა ანარქიული დაქუცმაცება ნაწილებად, რუს ხალხს რომ არ ეშველა სახელმწიფოებრივი ერთიანობისათვის. სწორედ ამისთვის დათმო მან სახელმწიფოს ერთადერთი პატრონის მდგომარეობა. ამდენად, ისტორიის შეუბრალებელი ლოგიკით რუს ხალხსა და სხვებს შორის დამოკიდებულება შეიცვალა. რუსეთის იმპერიის არარუსმა ხალხებმა მოიპოვეს ის მდგომარეობა, არც იქამდე მათ არ ჰქონდათ. რუსი ხალხი რუსეთში მოსახლეობის ერთადერთი გაბატონებული ხალხიდან იქცა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებს შორის ერთ-ერთ თანასწორუფლებიან ნევრად.

რადგან რუსი ხალხი სხვა ხალხებს აღემატება რაოდენობრივად და აქვს სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, ამი-

ტომ იგი ბუნებრივად თამაშობს, და ასეც უნდა იყოს, მთავარ როლს სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოსახლე სხვა ხალხებს შორის. მაგრამ იგი უკვე აღარ არის ბატონ-პატრონი, არამედ მხოლოდ პირველი თანასწორუფლებიანთა შორის.

ეს გარდაქმნა უნდა გაითვალისწინოს ყველამ, ვინც კი ჩვენი სამშობლოს მომავალზე ფიქრობს. არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ რუსი ხალხის ახალი მდგომარეობა რუსეთის იმპერიასა და ახლანდელ საბჭოთა კავშირში, რომელიც მოიტანა რევოლუციურმა პროცესმა, წარმავალი და ცვალებადია. ის უფლებები, რომლებიც ახლა აქვთ სსრკ-ის არარუს ხალხებს, მათ ვეღარ ჩამოერთმევათ. დრო ამყარებს მათ მდგომარეობას. თუ მომავალში ვინმე ამას დააპირებს, შედეგად საშინელ წინააღმდეგობას მიიღებს. თუ რუსი ხალხი ოდესმე გადანყვეტს, რომ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოსახლე სხვა ხალხების უფლებები ან დააკნინოს ან ძალადობრივად ნაჰკვაროს, ამით იგი თავის თავს გასწირავს ამ ხალხებთან პირდაპირი ან ფარული, ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლისთვის. უეჭველია, რომ ასეთი ომი დიდად სასურველია რუსეთის მტრებისთვის და თუ რუსი ხალხი რუსეთის ყოფილი იმპერიის ანდეს ახლანდელი სსრკ-ის თვითალიარებული ხალხების მიმართ ასეთ რამეს გაივლებს გულში, აუცილებლად აღმოუჩნდებათ ამ ხალხებს მხარდამჭერები და მოკავშირეები უცხო სახელმწიფოებს შორის. მით უმეტეს, რომ რუსი ხალხის სწრაფვა სახელმწიფოში მოსახლე სხვა ხალხებისათვის ნაციონალური უფლებების წართმევის ან შეეინროვებისაკენ, მორალური თვალსაზრისით იქნება ძალიან ნამგებიანი და ფაქტობრივად შეუძლებელი გახდება მისი დაცვა. რუსი ხალხის მორალურად გაუმართლებელი ბრძოლა რუსეთის ყოფილი იმპერიის ხალხთა უფლებების წართმევისათვის არაპოპულარული იქნება თვით რუსი ხალხის შიგნითაც. როგორც უნდა იყოს ამ ბრძოლის ამოსავალი წერტილი, თავად ფაქტი ნიშნავს რუსი ხალხის მხრიდან სახელმწიფოებრიობის გრძნობის დაკარგვას და შოვინისტური თვითდამკვიდრებისთვის სწრაფვას, რაც ნამდვილად იქნება სახელმწიფოს დაშლის ნიშანი.

ამგვარად, რუსეთის ყოფილი იმპერიის ხალხების მიერ რევოლუციის დროს მოპოვებული უფლებების წართმევასა და შეეინროვებაზე ლაპარაკიც არ უნდა იყოს. რუსეთი, რომლის სახელმწიფო ტერიტორიის ერთადერთი ბატონ-პატრონი იყო რუსი ხალხი, წარსულს ჩაბარდა. დღეის ამას იქვთ რუსი ხალხი იქნება მხოლოდ ერთ-ერთი თანასწორუფლებიან ხალხებს შორის, რომლებიც სახლობენ სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მონაწილეობენ მის მართვაში.

სახელმწიფოში რუსი ხალხის როლის ასეთი ცვლილება რუსული ნაციონალური თვითშეგნების წინაშე ბადებს ახალ პორობლემებს. ადრე ყველაზე უკიდურესი რუსი ნაციონალისტიც კი პატრიოტი იყო. ახლა ის სახელმწიფო, რომელშიც რუსი ხალხი ცხოვრობს, მხოლოდ მისი აღარ არის. ამიტომ რუსული ნაციონალიზმი დაარღვევს სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილების წონასწორობას და საფრთხეს შეუქმნის

სახელმწიფოს ერთიანობას. რუსული ნაციონალური სიამაყის უსამანოდ ზრდა რუსი ხალხის წინააღმდეგ განაწყობს სახელმწიფოს სხვა ხალხებს ანუ დაამორებს რუს ხალხს მათგან. თუ ადრე თვით ყველაზე უკიდურესად გამოხატული რუსული ნაციონალური თავმოყვარეობაც კი იყო ფაქტორი, რომელსაც შეიძლებოდა სახელმწიფო დაყრდნობოდა, ახლა ეს თავმოყვარეობა თუ უზომო სიამაყეში გადაიზრდება, მაშინ ანტისახელმწიფოებრივ ფაქტორად იქცევა. იგი კი არ შექმნის, არამედ დაშლის სახელმწიფოებრივ ერთობას. სახელმწიფოში რუსი ხალხის ახლანდელი, უკვე შეცვლილი როლის გათვალისწინებით უაღრესად გამოხატული რუსული ნაციონალიზმი მივა რუსულ სეპარატიზმამდე, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო. ყველაზე უკიდურესი ნაციონალისტიც კი, რომელსაც სურს, რომ რაღაც უნდა დაუჯდეს, რუსი ხალხი იყოს სახელმწიფოს ერთადერთ პატრონი და ეს სახელმწიფო სრულად და განუყოფლად ეკუთვნოდეს მხოლოდ რუს ხალხს, უნდა შეეგუოს თანამედროვე პირობებში იმ აზრს, რომ მის „რუსეთს“ ჩამოსცილდა განაპირა „მხარეები“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეთი რადიკალურ-ნაციონალისტური ოცნება მხოლოდ იმ დავინროვებულ საზღვრებში ახდება, რომელშიც დიდი რუსი ხალხი ცხოვრობს. ეს კი არის თანამედროვე რუსეთი ურალამდე. ამგვარად, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ახლა წრეგადასული რუსი ნაციონალისტი არის სეპარატისტი და „სამოსტინიკი“<sup>1</sup> ისევე, როგორც უკრაინელი, ქართველი, აზერბაიჯანელი და სხვა რომელიმე ნაციონალისტ-სეპარატისტი.

## II

თუ ადრე რუსეთის იმპერიას ერთ მთლიანობად კრავდა ის, რომ იმპერიის მთელი ტერიტორია ერთ პატრონს – რუს ხალხს ეკუთვნოდა, რომელსაც რუსი მეფე ჰყავდა, ეს ფაქტორი ამჟამად განადგურებულია. ისმის კითხვა: რა ფაქტორმა უნდა გაამთლიანოს ახლა სახელმწიფოს ნაწილები ერთ სახელმწიფო მთლიანობად?

ასეთ გამაერთიანებელ ფაქტორად რევოლუციამ წამოსწია ცნობილი სოციალური იდეალის მიღწევა. სსრკ მხოლოდ ცალკეული რესპუბლიკების ჯგუფი კი არ არის, არამედ სოციალისტური რესპუბლიკებისა, ანუ ისეთი ქვეყნებისა, რომლებიც მიისწრაფვიან ხორცი შეასხან ერთსა და იმავე სოციალურ წყობას და სწორედ საერთო იდეალი აერთიანებს ამ რესპუბლიკებს.

საერთო სოციალური იდეალი და სსრკ-ის ცალკეული ნაწილების სწრაფვა ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა, არის ძლიერი გამაერთიანებელი ფაქტორი და დროთა განმავლობაში ამ იდეალის ხასიათი რომც შეიცვალოს, სოციალური სამართლიანობის ზოგადი იდეალი მა-

---

<sup>1</sup> „სამოსტინიკი“ რუსულ განმარტებით ლექსიკონებში განიმარტება როგორც უკრაინელი ბურჟუა ნაციონალისტი, ხოლო ნიკოლოზ ტრუბეცკოიმ გააფართოვა მისი მნიშვნელობა და ეს სიტყვა გამოიყენა რუსეთში ყველა სახის სეპარატიზმის აღსანიშნავად.

ინც აუცილებლად უნდა დარჩეს და ამ იდეალისკენ სვლაც ყოველთვის უნდა ედოს საფუძველად იმ ხალხებისა და იმ მხარეების სახელმწიფოებრიობას, რომლებიც ახლა გაერთიანებულნი არიან სსრკ-ში. თუმცა ისმის კითხვა, საკმარისია კი ეს ფაქტორი ერთ სახელმწიფოში სხვადასხვა ხალხის გასაერთიანებლად? იმ ფაქტიდან, რომ უზბეკეთის რესპუბლიკა და ბელარუსის რესპუბლიკა სამინაო პოლიტიკაში მიზნად ისახავენ ერთი და იმავე სოციალური იდეალის მიღწევას, სულაც არ გამომდინარეობს ის, რომ ეს რესპუბლიკები აუცილებლად ერთ სახელმწიფოში უნდა ერთიანდებოდნენ. უფრო მეტიც, სოციალური იდეალის ერთიანობა სულაც არ გამორიცხავს, რომ ეს ორი რესპუბლიკა მტრულად განენყოს ერთმანეთის მიმართ ან ერთმანეთს ომი გამოუცხადონ. აქედან ცხადია, რომ სოციალური იდეალი არ არის საკმარისი სსრკ-ის ცალკეული ნაწილების ნაციონალისტურ-სეპარატისტული სწრაფვების საწინააღმდეგოდ და რომ უნდა მოიძებნოს კიდევ რაღაც სხვა მათ შესაჩერებლად.

თანამედროვე საბჭოთა კავშირში ნაციონალიზმისა და სოციალიზმის საწინააღმდეგოდ მოქმედებს კლასობრივი შუღლი და პროლეტარიატის სოლიდარული ცნობიერება გარედან მუდმივად მოსალოდნელი საფრთხის გამო. სსრკ-ის შემადგენელი ხალხებიდან სრულყოფილიან მოქალაქეებად იწოდებიან მხოლოდ პროლეტარები და არსობრივად, თვითონ საბჭოთა კავშირს შეადგენს არა იმდენად ხალხები, არამედ ამ ხალხთა პროლეტარიატი. ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და საკუთარი დიქტატურის დამყარების შემდეგ სსრკ-ის ხალხთა პროლეტარიატი სულ გრძნობს მტრული ძალების მხრიდან საფრთხეს როგორც შიგნით (რადგან სოციალიზმი ჯერ არ დამყარებულა და მიმდინარე „გარდამავალ“ პერიოდში სსრკ-ის შიგნით თვით კაპიტალისტებისა და ბურჟუების არსებობაც დასაშვებია), ასევე გარეთ (მთელი დანარჩენი სამყარო საერთაშორისო კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის ხელმძღვანელობით). სსრკ-ის ხალხთა პროლეტარიატმა მიტაცებული ძალაუფლება რომ შეინარჩუნოს, აუცილებელია მისთვის ერთიანი სახელმწიფო.

სწორედ ამ ფონზე ებრძვის სსრკ-ის საბჭოთა ხელისუფლება სეპარტიზმს. სეპარატისტებს უნდათ სსრკ-ის სახელმწიფოებრივი ერთიანობის დაშლა, მაგრამ ერთიანობა სჭირდება პროლეტარიატს მიტაცებული ძალაუფლების შესანარჩუნებლად. აქედან გამომდინარე, სეპარატისტები პროლეტარიატის მტრები არიან. ამავე მიზეზით შესაძლებელია და აუცილებელიცაა ნაციონალიზმთან ბრძოლა, რადგან იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფარული სეპარატიზმი. მარქსისტული დოქტრინის თანახმად, პროლეტარიატს არა აქვს ნაციონალისტური ინსტიქტები, რაც ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული წყობის მახასიათებელია. ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ხდება ხალხის ყურადღების ნაციონალური ემოციებიდან სოციალურ ემოციებზე გადატანით. ნაციონალური ერთიანობის შეგრძნებას, რომელიც ყოველგვარი ნაციონალიზმის საფუძველია, ამარცხებს გააფთრებული კლა-

სობრივი მუდლი, ხოლო ნაციონალური ტრადიციების დიდი ნაწილს არცხვენენ ბურჟუაზიულ წყობასთან, არისტოკრატიულ კულტურასთან ან „რელიგიურ ცრუმორწმუნეობასთან“ კავშირის გამო. ამის მიუხედავად, ყოველი ხალხის თავმოყვარეობა დაკმაყოფილებულია იმით, რომ იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ეს ხალხი სახლობს, მისი ენა აღიარებულია ოფიციალურ ენად, ადმინისტრაციული და სხვა თანამდებობები, უდავოა, ამ ხალხის შვილებს უჭირავთ და თვით მხარესაც სახელი შერჩეული აქვს იქ მოსახლე ხალხის მიხედვით.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტორი, რომელიც აერთიანებს სსრკ-ის ახლანდელ ნაწილებს ერთ სახელმწიფო მთლიანობად, კვლავ არის სახელმწიფოებრივი ტერიტორიის ოფიციალური ბატონპატრონის აღიარება. ოღონდ ადრე ასეთი პატრონი რუსი ხალხი იყო, ახლა კი პატრონი სსრკ-ის ხალხთა პროლეტარიატია, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს.

### III

საკითხის გადაჭრის ზემოთ აღწერილი გზის ნაკლოვანებანი ნათელია. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სსრკ-ის ხალხთა დიდი ნაწილის დაყოფა პროლეტარიატად და ბურჟუაზიად ან სწორი არ არის ან ნაკლებმნიშვნელოვანი და ხელოვნურია. ისიც უნდა აღინიშნოს, პრობლემის ასეთი გზით გადაჭრა მხოლოდ დროებითია. იმ ხალხების და ქვეყნების სახელმწიფოებრივი ერთიანობა, სადაც ძალაუფლება პროლეტარიატმა მიიტაცა, მიზანშეწონილია მხოლოდ პროლეტარიატისა და მისი მტრების ბრძოლის ამ კონკრეტული ეტაპისთვის. თვით პროლეტარიატიც, როგორც ჩაგრული კლასი, მარქსიზმის თანახმად, დროებითი მოვლენაა და იგი აუცილებლად დაიძლევა. იგივე უნდა ვთქვათ კლასთა ბრძოლაზეც. ამგვარად, სახელმწიფოს ერთიანობა რომელიმე პრინციპულად მუდმივ და ურყევ საფუძველს კი არ ემყარება, არამედ დროებით, პრინციპულად დროებით და წარმავალ ფაქტორს. ეს სულაც არ არის სასურველი მდგომარეობა და ბევრ არაჯანსაღ მოვლენას შეიცავს. იმისთვის რომ თავისი არსებობა გაამართლოს, ცენტრალურ ხელისუფლება იძულებულია ხელოვნურად შეუქმნას საფრთხე პროლეტარიატს, თავად ქმნის კლასობრივი სიძულვილის ობიექტებს ახალი ბურჟუაზიის სახით, რაც ერთადერთ მიზანს ისახავს, პროლეტარიატი მიუსიოს ამ კლასს და ასე შემდეგ... მოკლედ, აუცილებელი ხდება, რომ პროლეტარიატი მუდამ ფიქრობდეს ერთ პრობლემაზე – მისი, როგორც სახელმწიფოს ერთადერთი პატრონის მდგომარეობა, მყარი არ არის.

ამ სტატიის მიზანი არ არის სახელმწიფოს კომუნისტური კონცეფციის კრიტიკა. ჩვენ აქ პროლეტარიატის დიქტატურას განვიხილავთ მხოლოდ ერთი ასპექტით – როგორც სსრკ-ში შემავალი ხალხების ერთიან სახელმწიფოში გამაერთიანებელ და ნაციონალისტურ-სეპარატისტული დინებების შემაკავებელ ფაქტორს. უნდა ვალიაოთ, რომ აქამდე პროლეტარიატის დიქტატურის იდეა კი მოქმედებდა, მაგ-

რამ პრობლემის გადაწყვეტის საფუძვლად არ გამოგდება. სსრკ-ის ცალკეული ხალხების ნაციონალიზმი ვითარდება იმის შესაბამისად, თუ რამდენად ეგუება იგი თავის ახალ მდგომარეობას. განათლების განვითარება, დამწერლობის შემოღება სხვადასხვა ნაციონალურ ენებზე, ადმინისტრაციულ და სხვა თანამედროებაზე უპირატესად ადგილობრივი ხალხის წარმომადგენლების<sup>1</sup> დანიშნვა აღრმავებს ცალკეულ მხარეებს შორის ნაციონალურ სხვაობებს, ადგილობრივ ინტელიგენტებს უჩენს კონკურენციის ეჭვნარევ შიშს „წარსულის ელემენტებისადმი“ და მდგომარეობის გაძლიერების სურვილს. ამასთანავე სსრკ-ის ხალხთა შიგნით კლასობრივი ბარიერები თანდათანობით იშლება და კლასობრივი დაპირისპირებები ნელ-ნელა ქრება. ყველაფერი ეს ერთად ქმნის სსრკ-ის თითოეული ხალხის ნაციონალურ და სეპარატისტულ მიდრეკილებებს. ამის სანინაალმდეგოდ პროლეტარიატის დიქტატურის იდეა უძღურია. ხელისუფლების სათავეში მოხვედრილ პროლეტარიატს ზოგჯერ ძალიან დიდი, გადაჭარბებული დოზითაც კი ახასიათებს ნაციონალისტური ინსტიქტი, რომელიც, კომუნიზმის დოქტრინის თანახმად, თანამედროვე პროლეტარიატს არ უნდა ახასიათებდეს. ხელისუფლების სათავეში მოხვედრილ ასეთ პროლეტარიატს, როგორცა ჩანს, უფრო ნაკლებად აღელვებს მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესები, ვიდრე ეს კომუნიზმის დოქტრინით იყო მოსალოდნელი.

ამგვარად, პროლეტარიატის დიქტატურის იდეა, პროლეტარული სოლიდარობა და კლასობრივი შულის გაღვივება საბოლოოდ გამოუსადეგარი აღმოჩნდება სსრკ-ის ხალხთა ნაციონალისტური და სეპარატისტული სწრაფვების სანინაალმდეგოდ.

#### IV

რუსეთის ყოფილი იმპერიის ნაწილების სახელმწიფოებრივი გაერთიანების საკითხი ამჟამად ეყრდნობა სახელმწიფოს კლასობრივი ბუნების მარქსისტულ სწავლებას და სახელმწიფოს ნაციონალური სუბსტრატის მისთვის დამახასიათებელ უგულვებელყოფას. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, ამ მოძღვრების მომხრეებს მხოლოდ ის დარჩენიათ, რომ ერთი ხალხის ბატონობა ერთი კლასის ბატონობით ჩაანაცვლონ ანუ სახელმწიფოებრიობის ნაციონალურ სუბსტრატს კლასობრივი სუბსტრატი არჩიონ. ამ ჩაანაცვლებიდან დანარჩენი თავისთავად გამომდინარეობს. ამდენად, კომუნისტები ყოველ შემთხვევაში დემოკრატებზე უფრო მართალნი და თანამიმდევრულნი არიან, რადგან დემოკრატები უარყოფენ რუსული სახელმწიფოს ერთიან ნაციონალურ

---

<sup>1</sup> ТУЗЕМЫ - ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობაა: ძირითადი მოსახლეები, აბორიგენები, ავტოქტონები, მაგრამ მას ყოველთვის იყენებდნენ ირონიული შინაარსი და ვერცერთ კონტექსტში ვერ ჩამოიშორებს იმ დამაკინებელ ელფერს, რომელიც უკონდა ამ ტერმინს XIX საუკუნის რუსულ ისტორიოგრაფიასა თუ გეოგრაფიაში (თ. ბ.).

სუბსტრატს და მხარს უჭერენ ფართო საიმპერიო ავტონომიის ანუ ფედერაციის იდეას კლასობრივი დიქტატურის გარეშე, ანუ არ ესმით, რომ ასეთ პირობებში ერთიანი სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია.

იმისთვის, რომ რუსეთის ყოფილი იმპერიის ნაწილებმა გააგრძელონ არსებობა ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში, აუცილებელია სახელმწიფოებრიობის ერთიანი სუბსტრატი. ეს სუბტრატი შეიძლება იყოს ნაციონალური (ეთნიკური) ან კლასობრივი. ამასთან, კლასობრივი სუბტრატს, როგორც უკვე განვიხილეთ, რუსეთის ყოფილი იმპერიის ნაწილების გაერთიანება შეუძლია მხოლოდ დროებით. მტკიცე და მუდმივი ერთიანობა, შესაბამისად, შესაძლებელია, მხოლოდ ეთნიკური (ნაციონალური) სუბტრატის შემთხვევაში. ასეთი რევოლუციამდე იყო რუსი ხალხი. მაგრამ ახლა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, შეუძლებელია იმ მდგომარეობის დაბრუნება, როცა რუსი ხალხი იყო სახელმწიფოს ტერიტორიის ერთადერთი მესპატრონე. ნათელია ისიც, რომ ვერც ერთი სხვა ხალხი, რომელიც ცხოვრობს ამ ტერიტორიაზე, ვერ შეასრულებს სახელმწიფოს ტერიტორიის ერთადერთი პატრონის ფუნქციას. აქედან გამომდინარე, იმ სახელმწიფოს ნაციონალური სუბსტრატი, რომელსაც სსრკ ჰქვია, შეიძლება იყოს იმ ხალხთა ერთობლიობა, რომელიც მის ტერიტორიაზე ცხოვრობს. ეს იქნება მრავალი ხალხისგან შემდგარი ნაცია და ექნება თავისი ნაციონალობა.

ამ ნაციას ჩვენ ვუნოდებთ ევრაზიულს, მის ტერიტორიას – ევრაზიას, მის ნაციონალიზმს – ევრაზიულობას.

## V

ყოველი ნაციონალიზმი გამომდინარეობს მოცემული ეთნიკური ერთეულის პიროვნული ბუნებიდან და ამიტომაც ამტკიცებს ამ ეთნიკურ ერთეულის (ხალხის, ხალხთა გაერთიანების ან ხალხის ნაწილის) ორგანულ მთლიანობას და თვითმყოფადობას. მაგრამ დედამინაზე არ არის (ან თითქმის არ არის) მთლიანად ერთიანი ან ერთგვაროვანი ხალხი. ყველა ხალხში, თვით ყველაზე მცირერიცხოვან ხალხშიც კი გამოიყოფა ტომობრივი სახესხვაობანი, ზოგჯერ ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებულიც კი, როგორც ფიზიკური მონაცემებით, ისე ხასიათით, ზნე-ჩვეულებებით და სხვა. დედამინაზე არ არის (ან თითქმის არ არის) მთლიანად იზოლირებული ან ყველასგან განაპირებული: ყოველი ხალხი შედის ხალხთა რომელიმე ჯგუფში, რომელთანაც აერთიანებს ესა თუ ის თვისება; ზოგჯერ კი ერთი და იგივე ხალხი თვისებათა რაღაც ერთობლიობით ერთ ჯგუფს ეკუთვნის, სხვა თვისებებით კი მეორე ჯგუფის ნაწილია. შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური ერთეულის მთლიანობა ამ ერთეულის სიდიდის უკუპროპორციულია, ხოლო ეთნიკური ერთეულის თვითმყოფადობა პირდაპირპროპორციულია ამ ერთეულის სიდიდისა: სრულ ერთგვაროვნებას, სრულ მთლიანობას მხოლოდ ყველაზე პატარა ეთნიკური ჯგუფები აღწევენ (მაგალითად, ერთი ხალხის რომელიმე პატარა ტომობრივი განშტოე-

ბა), სრულ თვითმყოფადობას კი მხოლოდ დიდი ეთნიკური ერთეულები (მაგალითად, ხალხთა ჯგუფი) აღწევენ. ამგვარად, ნაციონალიზმი გარკვეულად განსხვავდება ფაქტობრივი არაერთგვაროვნებისა და ამ ეთნიკური ერთეულის არაიზოლირებულობისგან. სწორედ ამ განსხვავების ხარისხით შეიძლება განესაზღვროთ ნაციონალიზმის სახეები.

ნათქვამიდან ჩანს, რომ ყოველ ნაციონალიზმს ახასიათებს როგორც ცენტრალიზაციის ელემენტები (რომელიც განსაზღვრავს ამ ეთნიკური ერთეულის ერთიანობას), ისე სეპარატისტული თვისებები (რომელიც განსაზღვრავს ამ ეთნიკურ ჯგუფის თვითმყოფადობას და გამოარჩევს მას უფრო დიდ ერთეულში). აქედან ნათელია, რომ რადგან ერთი ეთნიკური ერთეული შედის უფრო დიდ ერთეულში (მაგალითად, ხალხი შედის ხალხთა გაერთიანებაში, ოღონდ, თავის მხრივ, მოიცავს რამდენიმე ტომობრივ და სამხარეო სახესხვაობას, ნაციონალიზმებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან ამპლიტუდისა და სიფართოვის მიხედვით. თვითონ ნაციონალიზმებიც „შედიან“ ერთმანეთში კონცენტრირებული წრეების სახით იმ ეთნიკური ერთეულების შესაბამისად. რომლებსაც ეყრდნობიან. ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთი და იგივე ნაციონალიზმის ცენტრალიზაციისა და სეპარატისტული ელემენტები არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, მაგრამ ორი კონცენტრირებული ნაციონალიზმის ცენტრალიზაციისა და სეპარატისტული ელემენტები ერთმანეთს გამორიცხავენ. ესე იგი თუ A ეთნიკური ერთეული „შედის“ B ეთნიკური ერთეულის შემადგენლობაში, მაშინ A ერთეულის ნაციონალიზმის სეპარატისტული ელემენტი და B ერთეულის ნაციონალიზმის ცენტრალიზაციის ელემენტი ერთმანეთს გამორიცხავენ.

ამდენად, იმისთვის, რომ მოცემული ეთნიკური ერთეულის ნაციონალიზმი სრულ სეპარატიზმში არ გადაიზარდოს, აუცილებელია მისი კომბინირება იმ დიდი ეთნიკური ერთეულის ნაციონალიზმთან, რომელშიც მოცემული ეთნიკური ერთეული შედის. ევრაზიასთან მისადაგებით ეს იმას ნიშნავს, ევრაზიის (თანამედროვე სსრკ-ის) ცალკეული ხალხის ნაციონალიზმი კომბინირებული უნდა იყოს საერთოევრაზიულ ნაციონალიზმთან, ანუ ევრაზიულობასთან. ევრაზიული სახელმწიფოს თითოეულ მოქალაქეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს არა მარტო ის, რომ იგი ეკუთვნის ერთ რომელიმე ხალხს (ან ერთი რომელიმე ხალხის სახესხვაობას), არამედ ისიც, რომ თავად ეს ხალხი ეკუთვნის ევრაზიულ ნაციას. ამ მოქალაქის ნაციონალური ღირსება უნდა აკმაყოფილებდეს როგორც ერთის, ისე მეორის გაცნობიერება. სწორედ ამის შესაბამისად უნდა აინყოს ამ ხალხების ნაციონალიზმი: საერთოევრაზიული ნაციონალიზმი უნდა იყოს ევრაზიის თითოეული ხალხის გაფართოება, კერძო ნაციონალიზმთა შერწყმა.



ევრაზიის ხალხთა შორის ყოველთვის არსებობდა ძმობა და ადვილად ხდებოდა მათი დაძმობილება, რაც გულისხმობს ქვეცნობიერ ურთიერთსწრაფვასა და სიმშაითას (საპირისპირო შემთხვევა, ანუ ქვეცნობიერი ანტიპათია და განზიდვის სურვილი ევრაზიის ხალხებს შორის ძალიან იშვიათია). მაგრამ მხოლოდ ეს ქვეცნობიერი გრძობები, საკვირველია, საკმარისი არ არის. აუცილებელია ევრაზიის ხალხთა ძმობა შეგნებულ ფაქტად იქცეს და თან მნიშვნელოვან ფაქტად. აუცილებელია, რომ ევრაზიის ყოველი ხალხი თავის თავს იაზრებდეს, როგორც ამ ძმობის წევრს, რადგან მას გარკვეული ადგილი აქვს ამ ძმობაში და საჭიროა, რომ ევრაზიული საძმოს წევრობის განცდა ყოველ ამ ხალხში იყოს უფრო ძლიერი და მკაფიო, ვიდრე ხალხთა სხვა რომელიმე გაერთიანების წევრობა. შეიძლება ევრაზიის ცალკეული ხალხი ამა თუ იმ თვისებით სხვა, არაევრაზიული ჯგუფის გაერთიანებასაც ეკუთვნოდეს. მაგალითად, რუსები ენობრივი მახასიათებლებით ეკუთვნიან სლავ ხალხებს; თათრები, ჩუვაშები, ჩერემისები და სხვები – ეკუთვნიან ე. წ. ხალხთა „თურანულ“ ჯგუფს; თათრები, ბაშკირები, სარტები რელიგიური ნიშნით მუსლიმან ხალხებში შედიან. მაგრამ დასახელებული ხალხებისთვის ეს კავშირები ნაკლებად მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე ის კავშირები, რომლებიც მათ ხალხთა ევრაზიულ ოჯახთან აერთიანებთ. არც პანსლავიზმი რუსებისთვის, არც პანთურანიზმი ევრაზიული თურანელებისთვის და არც პანისლამიზმი ევრაზიული მაჰმადიანებისათვის არ უნდა იყოს პირველ პლანზე. მათ ყოველთვის უნდა გამოარჩევდეთ – ევრაზიულობა. რადგან ყველა ეს „პან-იზმი“ ზრდის მრავალი ხალხისგან შემდგარი ნაციონალიზმის ცენტრიდანულ ძალებს, ხაზს უსვამს ამა თუ იმ ხალხის ერთი რომელიმე ნიშნით გამორჩეულ ცალმხრივ ურთიერთობას ამა თუ იმ ხალხთან, რაც ვერ შექმნის რეალურ და ცოცხალ მრავალხალხოვან ნაციოპიროვნებას, ევრაზიულ საძმოში კი ხალხები ერთმანეთთან ცალმხრივად კი არ არიან დაკავშირებულნი, არამედ ისტორიული ბედის ერთიანობით<sup>1</sup>. ევრაზია არის გეოგრაფიული, ეკონომიკური და ისტორიული ერთიანობა. ევრაზიის ხალხთა ბედი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ამ მჭიდრო კავშირმა შექმნა ისეთი დიდი ნასკვი, რომლის დაშლა უკვე შეუძლებელია, რომელიმე ხალხის გამოყოფა ამ ერთობიდან შეიძლება მხოლოდ ბუნებაზე ხელოვნური ძალადობით და მხოლოდ ავნებს ამ ხალხებს. ასეთს ვერაფერს ვიტყვით იმ ხალხებზე, რომელთა ერთობას საფუძვლად უდევს, მაგალითად, ისეთი ცნებები, როგორიცაა პანსლავიზმი, პანთურანიზმი ან პანისლამიზმი.

არც ერთი ეს ჯგუფი არ შექმნილა მასში შემავალი ხალხების ისტორიული ბედის ერთიანობით. ამიტომ „პან-იზმების“ არც ერთი სახეს არ აქვს ისეთი პრაქტიკული ღირებულება, რაც საერთოევრაზიულ ნაციონალიზმს. ეს ნაციონალიზმი ღირებულია არა მხოლოდ პრაგმა-

<sup>1</sup> იხ. კ. ა ჩხეიძის სტატია „ევრაზიული ქრონიკაში“, IV.

ტული თვალსაზრისით, არამედ სასიცოცხლოდ აუცილებელია: ჩვენ ხომ უკვე ვნახეთ, რომ მხოლოდ მრავალხალხოვანი ევრაზიული ნაციის ერთიანობაზე დაფუძნებული ცნობიერება იქცევა რუსეთ-ევრაზიის სახელმწიფოებრიობის იმ ეთნიკურ სუბტრატად, რომლის გარეშეც ადრე თუ გვიან იგი დაიშლება მისი შემადგენელი ყოველი ნაწილის საუბედუროდ.

იმისთვის, რომ საერთოევრაზიულმა ნაციონალიზმმა წარმატებით შეასრულოს იმ ფაქტორის როლი, რომელიც გააერთიანებს ევრაზიულ სახელმწიფოს. საჭიროა ევრაზიის ხალხთა შეგნების ხელახალი წრთვნა. რა თქმა უნდა, შეიძლება ვთქვათ, რომ ამაში თვით ყოველდღიური ცხოვრება გვეხმარება. მოლოდ იმ ფაქტი რად ღირს, რომ ყველა ევრაზიელი ხალხი (და არცერთი სხვა ხალხი მსოფლიოში) უკვე ამდენი წელია ერთად ცხოვრობს და უძლებს კომუნისტურ წყობას. ეს ერთი ფაქტი ქმნის ყველა ამ ხალხს შორის ახალ ფსიქოლოგიურ და კულტურულ-ისტორიულ კავშირებს და აიძულებს მათ, სულ უფრო და უფრო ნათლად და რეალურად იგრძნონ მათი ისტორიული ბედის ერთიანობა. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. აუცილებელია, რომ იმ ადამიანებმა, რომლებსაც უკვე დღეს ნათლად და მკაფიოდ აქვთ გაცნობიერებული მრავალხალხოვანი ევრაზიული ნაციის ერთიანობა, გაავრცელონ ეს რწმენა იმ ევრაზიელ ხალხში, რომელშიც მუშაობს. ეს არის ჯერაც ხელშეუხებელი სფერო ფილოსოფოსების, პუბლიცისტების, პოეტების, მწერლების, მხატვრების, მუსიკოსებისა და სხვადასხვა დარგის მეცნიერებისათვის. მრავალხალხოვანი ევრაზიული ნაციის ერთიანობის თვალსაზრისით საჭიროა მეცნიერების სხვადასხვა დარგების გადახედვა; ძველი, დაფხავებული სამეცნიერო სისტემების ნაცვლად ახალის შემუშავება. სწორედ ასეთი მიდგომით სრულიად ახლებურად მოგვიწევს ევრაზიის ხალხთა, მათ შორის რუსი ხალხის ისტორიის წარმოდგენა. . .

ამ ხანგრძლივ პროცესში, რომელიც მიზნად ისახავს ნაციონალურ თვითშეგნების ისეთ გადანაცობას, რომ მივიღოთ ევრაზიის მრავალხალხოვანი ნაციის სიმფონიური (გუნდური) ერთობა, რუს ხალხს ევრაზიის სხვა ხალხებთან შედარებით განსაკუთრებით მოუწევს საკუთარი ძალების დაძაბვა, რადგან მას, ყველაზე მეტად ვიდრე სხვას, ელის ბრძოლა ამ ძველ წარმოდგენებთან და თვალსაზრისებთან, რომლებიც რუსულ ნაციონალურ თვითშეგნებას ქმნიდნენ ევრაზიული სამყაროს რეალური კონტრექსტის გარეშე, რუსი ხალხის წარსულს ამორებდნენ ევრაზიის ისტორიის ზოგად პერსპექტივებს. მეორეც, რუსმა ხალხმა, რომელიც იყო რუსეთ-ევრაზიის ტერიტორიის ერთადერთი ბატონ-პატრონი და ახლა არის რიცხოვნობით და მნიშვნელობით პირველი ევრაზიელ ხალხებს შორის, რა თქმა უნდა, მაგალითი უნდა მისცეს სხვას.

ნაციონალური თვითშეგნების გარდაქმნის თვალსაზრისით ევრაზიელები მუშაობენ განსაკუთრებულად რთულ პირობებში. სსრკ-ის ტერიტორიაზე ასეთ სამუშაო, რა თქმა უნდა, ღიად ვერ ჩატარდება. ემიგ-

რაციაში კი ძირითადად ისეთი ადამიანები სჭარბობენ, რომელთაც არ ძალუძთ საკუთარ ცნობიერებაში რევოლუციის შედეგებისა და ობიექტური წინსვლის რეალიზება. ასეთი ადამიანებისთვის კვლავაც არსებობს რუსეთი, როგორც ისეთი ტერიტორიული ერთეულების კრებული, რომელიც რუს ხალხს ბრძოლით აქვს მოპოვებული და მხოლოდ მას ეკუთვნის სრულად და განუწყოფლად. ასეთი აზროვნებიდან გამომდინარე ამ ადამიანებს უჭირთ საერთოევრაზიული ნაციონალიზმის შექმნისა და მრავალხალხოვანი ევრაზიული ნაციის ჩამოყალიბების პრობლემის გაგება.

მათთვის ევრაზიელები მოლალატეები არიან, რადგან ცნება „რუსეთი“ ახალი ცნებით – „ევრაზიით“ ჩაანაცვლეს. მათ არ ესმით, რომ ევრაზიულმა მოძრაობამ კი არა, თავად ცხოვრებამ მოიტანა ეს „ცვლილება“, რომ რუსული ნაციონალიზმი თანამედროვე პირობებში უბრალოდ ველიკორუსული სეპარატიზმია, რომ ის წმინდა რუსული რუსეთი, რომლის „აღდგენასაც“ ისინი ესწრაფვიან, მხოლოდ ყველა განაპირა მხარეების ჩამოშორებით ანუ ეთნოგრაფიული დიადი რუსეთის (ველიკორუსეთის - Великоросия) ფარგლებშია შესაძლებელი.

არსებობს სხვა ემიგრაციული მოძრაობებიც, რომლებიც თავს ესხმიან ევრაზიულობას და მოითხოვენ, რომ ევრაზიელებმა უარი თქვან საერთოდ ნაციონალურ თვითმყოფადობაზე და ფიქრობენ, რომ რუსეთი როგორც სახელმწიფო, შეიძლება დაეფუძნოს ევროპული დემოკრატიის სანყისებს, ყოველგვარი ნაციონალური ან კლასობრივი სუბსტრატის წინ ნამონწევს გარეშე. ეს ხალხი რუსული ძველი ინტელიგენციის მედასავლეთეობის განწყობილების გამგრძელებელია. მათ არ უნდათ იმის გაგება, რომ სახელმწიფოს არსებობა უპირველესად ეყრდნობა მისი მოქალაქეების ამ სახელმწიფოსთან ორგანული ერთიანობის განცდას, ეს კი შეიძლება იყოს ან ეთნიკური, ან კლასობრივი. თანამედროვე პირობებში შესაძლებელია მხოლოდ ორგვარი გადანყვეტა – ან პროლეტარიატის დიქტატურა, ან მრავალხალხოვანი ევრაზიული ნაციის ერთიანობა, თვითმყოფადობა და საერთო ევრაზიული ნაციონალიზმი.

1927 წელი

## ფიქრები ინდოევროპულ პრობლემაზე<sup>2</sup>

ინდოევროპელები არიან ადამიანები, რომელთა მშობლიური ენა მიეკუთვნება ენათა ინდოევროპულ ოჯახს. აქედან სამეცნიერო თვალსაზრისით გამომდინარეობს ერთადერთი დასაშვები განსაზღვრება, რომ „ინდოევროპელები“ ისეთივე ლინგვისტური გაგებაა, როგორც ცნებები „სინტაქსი“, „ნათესაობითი ბრუნვა“ ან „მახვილი“. არსებობენ ინდოევროპული ენები და ხალხები, რომლებიც ინდოევროპულ ენებზე მეტყველებენ. ყველა ამ ხალხის ერთადერთ გამაერთიანებელ თვისებად გვევლინება ის, რომ მათი ენები ინდოევროპულ ენათა ოჯახს მიეკუთვნება.

<sup>1</sup> ამ სტატიის გერმანულ ორიგინალში, გერმანული ტრადიციის შესაბამისად, გამოყენებულია ტერმინი - ინდოგერმანიკული, რომელსაც სხვა ენაზე არსებული თარგმანების მსგავსად ქართულ თარგმანში ვანაცვლებთ ტერმინით - ინდოევროპული. ეს არ გამოიწვევს გაუგებრობას ენათმეცნიერებს შორის, ხოლო სხვა პროფესიის მკითხველებისთვის ცხადი გაბდება ამ ორი ტერმინის შინაარსობრივი იდენტურობა, - თ.ბ.

<sup>2</sup> სტატია თარგმნილია რუსული ვერსიიდან, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ენათმეცნიერების საკითხებში“ („Вопросы языкознания“, №1, 1958:65-77). სტატია პირველად გამოქვეყნდა 1939 წელს (N. S. Trubetzkoy. Gedanken Über das Indogermanen Problem. „Acta linguistica“, vol. 1. fasc. 2. Copenhagen. 1939: 81-89). რუსული ვარიანტის ზოგიერთი ნაწილი განსხვავდება გერმანულისაგან და წინ უძღვის ჟურნალის რედაქციისგან ასეთი შინაარსის ტექსტი: ნაშრომი გადმოსცემს ნ. ტრუბეცკოის 1936 წლის 14 დეკემბერს პრალის ლინგვისტური წრის წინაშე წაკითხული მოხსენების შინაარსს და ხაზს უსვამს ინდოევროპული პრობლემის წმინდა ლინგვისტურ ხასიათს. იგი მიმართული იყო იმ არამეცნიერული თეორიების წინააღმდეგ, რომლებიც ინდოევროპულ ფუძენაზე მეტყველ კოლექტივს აკავშირებდა ევროპის კონკრეტულ არქეოლოგიურ კულტურებთან. ტრუბეცკოის მიერ შემოთავაზებული ჰიპოთეზა ენათა ნათესაობის, ენობრივ ოჯახთა კონვერგენციის პრინციპით შესაძლო განვითარების შესახებ ეხმიანება სხვა თანამედროვე ენათმეცნიერების (ესე იგი 1958 წლისთვის, ანუ სტატიის რუსულად გამოქვეყნების პერიოდის ლინგვისტიკის, - თ.ბ.) შეხედულებებს (შდრ. ვ. პიზანი. В. Пизани. Общее и индоевропейское языкознание. - В. сб.: Общее и индоевропейское языкознание. М., 1956:168. იხ. აგრეთვე ტრუბეცკოის ჰიპოთეზის არქეოლოგიური მონაცემებით შესაძლო დამტკიცების შესახებ: პენკენი. H. Henken. Indo-European languages and archaeology // „American Antropologist [American Antropological Association]“, vol. 57, №6, part 3. Memoir №84, 1955:46-48). ამის მიუხედავად, ის სტრუქტურული მახასიათებლები, რომლებსაც ირჩევს ტრუბეცკოი, არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად მოტივირებულად, რაც აღნიშნულა კიდევ საბჭოთა საენათმეცნიერო ლიტერატურაში (А.А. Фрейман. Хеттский язык в его отношении к индоевропейским. ИАН ОЛЯ т. VI, вып. 3, 1947:193)

დღეისთვის მრავალი ინდოევროპული ხალხი და ენა არსებობს. თუ ისტორიულ წარსულში გადავიხედავთ, ენახავთ, რომ ასე იყო ადრეც, საუკუნეთა სიღრმეში, იმ დრომდე, სანამდეც ჩვენი წარმოსახვა აღწევს. თანამედროვე ინდოევროპული ენების წინაპართა გარდა იყო კიდევ ძალიან ბევრი ინდოევროპული ენა, რომლებიც ისე გადაშენდნენ, რომ მემკვიდრეები არ დაუტოვებიათ. ფიქრობენ, რომ ძველად, ჩვენგან ძალიან დაშორებულ დროს, არსებობდა ერთადერთი ინდოევროპული ენა, ეგრეთ ნოდებული ფუძეინდოევროპული ენა, რომელმაც თითქოს სათავე დაუდო ისტორიულად დადასტურებულ ინდოევროპულ ენებს. ეს დაშვება ეწინააღმდეგება ფაქტობრივ მონაცემებს. რაც უნდა ღრმად შევიდეთ ისტორიაში, ყოველთვის ვაწყდებით მრავალ ინდოევროპულ ენას. მართალია, ერთიანი ფუძეინდოევროპული ენის არსებობა მთლად შეუძლებლად არ უნდა ჩავთვალოთ, თუმცა გარდაუვლად აუცილებელიც არ არის. ფუძეინდოევროპული ენის დაშვების გარეშეც შეიძლება ინდოევროპული ენების პრეისტორიული წარსულის წარმოდგენა.

ცნება „ენათა ოჯახი“ სულაც არ ნიშნავს ერთი რომელიმე ფუძეინდიან წარმომდგარ ენებს. „ენათა ოჯახში“ იგულისხმება ჯგუფი, რომელშიც შემავალ ენებს გარდა მსგავსი ლინგვისტური მახასიათებლებისა, აქვთ საერთო „მატერიალური დამთხვევებიც“, ანუ ერთი ჯგუფის ენების გრამატიკული და ლექსიკური ელემენტების მნიშვნელოვან ნაწილს შორის უნდა არსებობდეს კანონზომიერი რეგულარული ბგერათმესატყვისობანი. მაგრამ ასეთი რეგულარული ბგერათმესატყვისობების ასახსნელად სულაც არ არის საჭირო ამა თუ იმ ჯგუფში შემავალი ენების ერთიანი წარმომავლობის მტკიცება, რადგან ასეთი შესატყვისობები მაშინაც გვხვდება, როცა ერთ ენას მისი მონათესავე ენისაგან მასობრივად აქვს ნასესხები ენობრივი ერთეულები. ასე მაგალითად, დასავლურფინურ ენათა მიერ უშორეს წარსულში აღმოსავლეთსლავური ენებიდან მიღებულ ნასესხობებში სლავური მჟღერი ხშულები *b, d, g* რეგულარულად გადადის ფინურ ენებში მოკლე ყრუ *p, t, k* -ში, ხოლო სლავური ყრუ ხშულები *n, m, k* ფინურ ენებში გადადის (ორმაგი) ყრუ ხშულებით *nn, mm, kk*, სლავური *h* - ფინური *h*, სლავური *h* - ფინური *h* (მაგრამ სიტყვის ბოლოს სლავური ყრუ თანხმოვნების შემდეგ იძლევა *h*-ს). სლავურ *o*-ს ფინური *a* შეესაბამება, სლავურ *e* -ს ფინური *ä* (უმლაუტიანი *a*) და ასე შემდეგ. დამთხვევები ლექსიკისა და მორფოლოგიის რუდიმენტულ ელემენტებში ასევე არ გამოდგება მათი ერთი ფუძეინდიან წარმომავლობის სამტკიცებლად, რამდენადაც ენის ყველა ელემენტის სესხება შეიძლება. განვითარების დაბალ საფეხურზე კი რუდიმენტული ელემენტები უფრო ადვილად გადადიან ერთი ენიდან მეორეში. თავის დროზე პაულ კრეჩმერი („*Einleitung in die Geschichte der griechischen Sprache*“) სრულიად საფუძვლიანად ამტკიცებდა, რომ ნათესაობისა და სესხების ცნებებს შორის მხოლოდ ქრონოლოგიური სხვაობაა. ერთი ინდოევროპული ენიდან მეორეში მოხვედ-

რილ სიტყვას ბგერითი სახეცვლილების შემდეგ ჩვენ ვთვლით ნასესხობად, რადგან ბგერათშესატყვისობის ნესები დარღვეულია. მაგალითად, სლავური **Тынь** აშკარად ნასესხებია გერმანული **tūnas**-დან (ამ სიტყვაში უ უმარცვლოა.) (გერ. *Zaun*, ინგლ. *town*), რადგანაც საკუთრივ გერმანულის მონათესავე სიტყვებში გერმანულ **t**-ს (გერმან. *z*, ინგლ. *t*) უნდა შეესატყვისებოდეს სლავური **д** (მაგალითად, შდრ.: გერმან. *zwei*, ინგლ. *two* - სლავ. *дъви>дъва*; გერმან. *zu*, ინგლ. *to* - სლავ. *до*; გერმან. *zwingen* - სლავ. *двигати*; გერმან. *sitzen*, ინგლ. *sit* - სლავ. *сѣдѣти*; გერმან. *Zahl*, სლავ. *доля*; ინგლ. *tear*, გერმან. *zerren* - სლავ. *дѣрати, дѣра*; გერმან. *zergen* - სლავ. *дергати* და ასე შემდეგ. აქედან ჩვენ ვიგებთ იმას, რომ სიტყვა ნასესხებია, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ შესება მოხდა გერმანულ ნიადაგზე **d**-ს **t**-ში გადასვლის შემდეგ. შესება ამ ცვლილებამდე რომ მომხდარიყო, სლავურში იქნებოდა არა **ТЫНЬ**, არამედ **ДЫНЬ**, რომელიც უნდა ჩაგვეთვალა გერმან. *zaun*-ისა და ინგლ. *town*-ის უშუალო მონათესავედ. სრულიად შესაძლებელია, რომ გერმანული სიტყვა, რომელიც დაედო საფუძვლად სლავურ **ТЫНЬ**-ს, თვითონ ნასესხები იყოს კელტურიდან (შდრ.: გალური *dunum*, რომელიც გვხვდება გამაგრებული ქალაქების სახელწოდებებში: *Neviodunum*, *Mellodunum*, *Eburodunum*, *Uxellodunum* და ასე შემდეგ). მაგრამ რამდენადაც ეს ნასესხობა მოხდა გერმანულ ნიადაგზე **d**-ს **t**-ში გადასვლამდე, გერმანული **tūnas** (გერ. *zaun*, ინგლ. *town*) არაფრით არ ავლენს თავის კელტურ წარმომავლობას და უნდა განვიხილოთ როგორც კელტური *dunum*-ის უშუალო მონათესავე. მოკლედ რომ ვთქვათ, „ინდოევროპულ ფუძენას“ მიენერება ყველა ენობრივი (ლექსიკური და გარატიკული) ელემენტი, რომლებიც გვხვდება რამდენიმე ინდოევროპულ შტოში, მაგრამ არ ჩანს ნასესხობის მიმართულება, რომლის წყალბოთაც ესა თუ ის ლექსიკური ელემენტები ერთი ენიდან მეორეში მოხვდნენ. ზუსტად ასეა საქმე სხვა ენობრივ ოჯახებშიც.

ამგვარად, არ არსებობს მიზეზი, რომელიც გვაიძულებს დავუშვათ ერთიანი ინდოევროპული ფუძენა, რომლისგანაც თითქოს ყველა სხვა ინდოევროპული ენა წარმოიშვა. ამავე საფუძვლით შეგვიძლია დავუშვათ განვითარების სანინალმდეგო გზა, ანუ ვივარაუდოთ, რომ ინდოევროპული ენათა შტოები თავდაპირველად ერთმანეთს სულაც არ ჰგავდნენ და მხოლოდ დროთა განმავლობაში გამუდმებული კონტაქტების, ურთიერთგავლენისა და შესხების გამო მნიშვნელოვნად დაუახლოვდნენ ერთმანეთს, მაგრამ არა ისე, რომ ერთმანეთს დამთხვეოდნენ. ენათა ისტორიაში ცნობილია დივერგენციული და კონვერგენციული განვითარება. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ძნელია ზღვარის გავლება განვითარების ამ ორ გზას შორის. რომანული ენებს უდავოდ ერთი წინაპარი ჰყავთ. ეს არის ლათინური (ველგარული, ანუ ხალხური ლათინური) ენა. მაგრამ სანამ იბერები, გალები, ლიგურები, ეტრუსკები, ვენეტები, დაკები და სხვები ხალხურ ლათინურს აითვისებდნენ, იქამდე აუცილებლად იქნებოდა პერიოდი, როცა ეს ენები

ბევრ ლექსიკურ ერთეულს სესხულობდნენ ლათინურისგან და მათი გრამატიკა და სინტაქსი ლათინურს ემსგავსებოდა. უეჭველია, რომ ამავე პერიოდში იცვლებოდა თვითონ ლათინურიც, რადგან მასაც უნევდა ბარბაროსთა მეტყველებასთან შეგუება. და შედეგად, როცა ბარბაროსთა ენები ყოფილი რომის იმპერიის სხვადასხვა ნაწილში ქრებოდნენ და გზას უთმობდნენ ლათინურს, ეს ლათინური, თავის მხრივ, ყოველ პროვინციაში უკვე განსხვავებული იყო. ასე რომ, მთლიანი ენობრივი ერთობა ვერც გამოვიდოდა. მას შემდეგ რაც ლათინურმა შეაქინროვა ბარბაროსთა ენები, მათი პროვინციული ნაირსახეობები ვითარდებოდა განსხვავებულად და საბოლოოდ სწორედ მათ წარმოშვეს თანამედროვე რომანული ენები, რომლებიც ასევე სხვაობენ ერთმანეთისაგან, ზოგჯერ არათუ ენები, არამედ ერთი ენის შიგნითაც სხვაობა იმდენად დიდია, რომ კომუნიკაციასაც კი ართულებს. იმავდროულად იგივე რომანული ენები, განსაკუთრებით კი ლიტერატურული ენები ამჟღავნებენ ურთერთდაახლოების ტენდენციას, რაც მომავალში მოსალოდნელია. ამდენად, ამ შემთხვევაში კონვერგენცია და დივერგენცია თავიდანვე გადაჯაჭვულია ერთმანეთში.

რომანული ენები არის ერთი „ფუძენიდან“ ენათა ოჯახის წარმოშობის მაგალითი. ეს მაგალითი მაინცა და მაინც კარგი არ არის, რადგან „ფუძენად“ წერლობითი ტრადიციების მქონე სახელმწიფო ენა გვევლინება. ნამდვილად რომანული ენების გვერდით არსებობს, ასე ვთქვათ, ნახევრადრომანული ენები, რომელთაც მუდმივად ეცვლებოდათ თვისებები ხალხური ლათინურის გავლენით, მაგრამ ეს პროცესი ბოლომდე არ მისულა. ასეთია, მაგალითად, ალბანური ენა. მისი ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწილი შედგება ლათინური ელემენტებისაგან და მისი გრამატიკული სტრუქტურაც ძლიერ გვახსენებს ლათინურს. მაგრამ ეს ენა არ იქცა მთლიანად რომანულ ენად და კვლავაც ინარჩუნებს ელემენტების დიდ რაოდენობას, რომლის ახსნა ლათინურის მეშვეობით ვერ ხერხდება. რამდენადაც ლათინური კარგად არის ცნობილი თავისი ძეგლებით და ამას გარდა, არსებობენ ცოცხალი რომანული ენები. ენათმეცნიერები ამან შეიძლება ჩააყენოს ისეთ მდგომარეობაში, რომ ვერ გამოიჯნონ ერთმანეთისაგან რომანული და არარომანული ელემენტები ალბანურ ენაში. ეს დაკავშირებულია დიდ სირთულეებთან. მაგრამ მეცნიერებს მხოლოდ რამდენიმე „ნახევრადრომანული“ ენები რომ ჰქონდეთ შესასწავლი, გამოიყენებდნენ ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში შემუშავებულ შედარებით მეთოდს, მოუწევდათ მათი „ფუძე ენის“ აღდგენა ისე, რომ ამ ენების არარომანული ელემენტები ან აუხსნელად უნდა დაეთოვებინათ, ან რთული და ხელოვნური კომბინაციებით უნდა აეხსნათ, რაც, თავის მხრივ, აღდგენილ „ფუძენაზეც“ იმოქმედება. ვითარება უფრო გართულდებოდა, მეცნიერებას შესასწავლად მხოლოდ ენათა ერთი ისეთი ჯგუფი რომ ჰქონდეს, რომელიც დაადგა კონვერგენციის გზას და შეჩერდა შუა გზაზე, არამედ რამდენიმე ასეთი ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთთან ნაწილობრივი კონვერგენციით არიან დაკავშირებული.

კლასიკური შედარებითი ენათმეცნიერების პრინციპებიდან გამომდინარე საჭირო გახდებოდა ამ ენათა „ფუძეენის„ აღდგენა, რადგან ამ ენებს ექნებოდათ საერთო მახასიათებლები ისევე, როგორც ლექსიკური და გრამატიკული ელემენტების კანონზომიერი ბგერათშესატყვი-სობანი. „ფუძეენის“ აღდგენა კი მოხერხდებოდა, ოღონდ ასეთი ენა რეალობაში ვერ იარსებებდა ვერასოდეს.

ამდენად, ენობრივი ოჯახი შეიძლება შეიქმნას როგორც წმინდა დივერგენციული, ისე წმინდა კონვერგენციული განვითარებით, ან სულაც ამ ორი მიმართულების სხვადასხვა პროპორციული შეხამებითაც. კრიტიერიუმები, რომლითაც ობიექტურად განვსაზღვრავთ, რომელი გზით წარმოიშვა ესა თუ ის ენათა ჯგუფი, არ არსებობს ან თითქმის არ არსებობს. ენათა ისეთი ოჯახებისთვის, რომელთა წევრები იმდენად ახლოს არიან ერთმანეთთან, რომ თითქმის მთელი ლექსიკური შედგენილობა და გრამატიკული ელემენტები კანონზომიერ ბგერათშესატყვი-სობას იძლევა, უფრო საფიქრებელია მათი დივერგენციის გზით და არა კონვერგენციის გზით განვითარება. ზოგიერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება თვით მოცემული ენობრივი ოჯახის შიდა დაყოფაზე დაკვირვებით. არსებობს ენათა ოჯახები, რომლებიც **ჯ ა ჭ ვ უ რ ი** დაყოფით არიან მიღებული. ასეთია, მაგალითად, სლავური ენები, რომელთაგან ლამის ყოველი ენა ასრულებს მაკავშირებელი რგოლის ფუნქციას სხვა ორ სლავურ ენას შორის; თან ისე, რომ მაკავშირებელი ძაფები გადის ჯგუფებს შორისაც. სამხრეთსლავური ჯგუფი სლოვენური ენით კაიშაემინის გზით უწყვეტად უკავშირდება სერბულ-ხორვატულს, ხოლო ამ ენიდან რამდენიმე გარდამავალი კილოკავის გავლით ბულგარულს, მაგრამ შეიძლება პირდაპირ ვთქვათ, რომ სამხრეთსლავური ენებიდან დასავლურსლავურ ენებთან ყველაზე ახლოს დგას სლოვენური (კერძოდ, მისი ხორუტანული კილოკავეების), ხოლო აღმოსავლურ სლავურთან - ბულგარული (განსაკუთრებით მისი აღმოსავლური კილოკავეები) და ასე შემდეგ. მაგრამ თუ სლავურ ენებს სხვა ინდოევროპულ ენებს შევუპირისპირებთ, ასეთი ჯაჭვური დაყოფა წყდება. სადავო არ უნდა იყოს, რომ ინდოევროპული ენებიდან სლავურ ენებთან ყველაზე ახლოს ბალტური ენები დგას (ლიტვური, ლატვიური და მკედარი ძველი პრუსიული ენა), მაგრამ ვერ ვიტყვით, კონკრეტულად რომელი ბალტური ენა დგას ყველაზე ახლოს სლავურთან და კონკრეტულად რომელი სლავური ენა ყველაზე ახლოს ამა თუ იმ ბალტურ ენასთან. აქ ჯაჭვური დაყოფისაგან განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე, რომელსაც შეიძლება ვუნოდოთ **ა გ უ რ ის ე ბ უ რ ი**. შესაძლებელია, რომ დაყოფის ეს სახეები დაკავშირებული იყოს თავად ამ „მონათესავე“ ოჯახების წარმოშობის სახეებთან, კერძოდ, ჯაჭვისებური დაყოფა ვითარდება, როცა დივერგენცია ქარბობს, ხოლო აგურისებური კონვერგენციულ განვითარებას შეესაბამება.

როგორც უნდა იყოს, ინფოევროპულ ენათა ოჯახის შიგნით შტოებს შორის კავშირი იმდენად მჭიდრო არ არის. თითოეულ ინდოევროპულ ჯგუფს ახასიათებს მნიშვნელოვანწილად ისეთი ლექსიკური



და გრამატიკული ელემენტები, რომელთა შორის არ არის კანონზომიერი ბგერათმეცნიერებისობანი. ამ თვალსაზრისით ინდოევროპული ენათა ოჯახი ძლიერ განსხვავდება თურქული, სემიტური, ბანტუს ენათა ოჯახებისაგან. დაშვება, რომ ინდოევროპულ ენათა ოჯახი წარმოიშვა ინდოევროპულ ენათა გვიანდელი „მტოების“ წინაპარი, თავდაპირველად არამონათესავე ენების კონვერგენციული განვითარების შედეგად, უფრო მეტად სანდოა, ვიდრე სანინაალმდეგო დაშვება, თითქოს ყველა ინდოევროპული ენა წარმოიშვა ერთიანი ინდოევროპული ფუძეებისაგან წმინდა დივერგენციული ევოლუციით.

ყოველ შემთხვევაში, ეს დაშვება აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ეგრეთ წოდებული „ინდოევროპული პრობლემის“ განხილვისას და ყველა მსჯელობა ამ პრობლემაზე უნდა აიგოს ისე, რომ ძალა არ დაეკარგოს არცერთ დაშვებას. აქამდე „ინდოევროპული პრობლემის“ განხილვა ეყრდნობა ერთიანი ინდოევროპული ფუძეებიდან მხოლოდ წმინდა დივერგენციული გზით ინდოევროპული ენათა ოჯახის წარმოშობას. ასეთი ცალმხრივი მიდგომის წყალობით კვლევა არასწორ გზაზე დგას. ინდოევროპული პრობლემის მთავარი, წმინდა ლინგვისტური არსი დაივინყეს. ბევრი ინდოევროპისტი სრულიად უსაფუძვლოდ ჩაერთო „ინდოევროპული პრობლემის“ ისტორიამდელი არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ეთნოლოგიის სპეციალისტებთან განხილვაში. დაიწყეს ინდოევროპელთა წინაპარი ხალხის ბინადრობის ადგილის, კულტურისა და რასის შესახებ დისკუსია მაშინ, როცა ასეთი ხალხი იქნებ სულაც არ არსებულა. თანამედროვე გერმანელი (და არა მხოლოდ გერმანელი) ენათმეცნიერებისათვის „ინდოევროპული პრობლემა“ ასეთ სახეს მიიღებს: „ისტორიამდელი თიხის ნაკეთობების/კერამიკის რომელი სახე უნდა მიეწეროს უძველეს ინდოევროპელებს/ ინდოევროპელ ხალხს?“ მაგრამ ეს კითხვა (და საერთოდ მსგავსი კითხვები) მეცნიერულად ვერ გადაწყდება და ამიტომ ფუჭია. მთელი დისკუსია მოჯადოებულ წრეში ტრიალებს, რადგან ფუძეინდოევროპელი ხალხის არსებობა ვერ დამტკიცდება, ვერ მოხერხდება რომელიმე ენასთან ამა თუ იმ მატერიალური კულტურის ძეგლების დაკავშირებაც. ამდენად ჩნდება „წინაპარი ხალხის/ ფუძეხალხის“ წარმოსახვითი ცნება, რომანტიკული მოჩვენება და ამ მოჩვენების დევნაში დავინყებულა ის ფუძემდებლური სამეცნიერო ჭეშმარიტება, რომელიც საყრდენი უნდა იყოს, რომ „ინდოევროპელები“ მხოლოდ ლინგვისტური ცნებაა.

თუ საკითხი მეცნიერულად უნდა დავაყენოთ, მაშინ კითხვა ასე უნდა დაისვას: სად და როგორ ჩამოყალიბდა ენის ინდოევროპული ტიპი? ამ კითხვაზე პასუხი იქნება დაფუძნებული ლინგვისტურ ცნებებსა და ფაქტებზე და ასეც უნდა იყოს.

იმისთვის, რომ ეუპასუხოთ კითხვას, სად და როგორ წარმოიქმნა ენის ინდოევროპული ტიპი, რასაკვირველია, საჭიროა ჯერ გავარკვიოთ, რა თვისებები აქვს მას.

რომელი მახასიათებლებით არკვევენ ენათმეცნიერები, რომ მოცემული ენა ინდოევროპულია? რა თქმა უნდა, ამისთვის საჭიროა ენაში იყოს გარკვეული რაოდენობის „მატერიალური თანხვედრა“, ანუ ძირები, სიტყვანარმოებითი ელემენტები, რომლებიც არა მხოლოდ ფუნქციით (მნიშვნელობით), არამედ ბგერითი შედგენილობითაც (რა თქმა უნდა, კანონზომიერი ბგერათმესატყვისობის გათვალისწინებით) დაემთხვევა სხვა ინდოევროპული ენების მონაცემებს. თუმცა შეუძლებელია იმის თქმა, რამდენად ბევრი უნდა იყოს ასეთი „თანხვედრა“, რომ ეს ენა ჩაითვალოს ინდოევროპულ ენად. ასევე შეუძლებელია იმის თქმა, საკუთრივ რომელი ლექსიკური და გრამატიკული ელემენტები უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ ინდოევროპულ ენაში. ძნელია ისეთი სიტყვის პოვნა, რომლებიც კანონზომიერი ბგერათმესატყვისობის წესთა დაცვით მოიპოვებოდეს უკლებლივ ყველა ინდოევროპულ ენაში. სწორედ ყველაზე გავრცელებული სიტყვები ისეთ დარღვევებს გვიჩვენებენ ბგერათმესატყვისობის თვალსაზრისით, რომ მათი პროტოტიპის აღდგენა მხოლოდ ფაქტებზე ძალადობით თუ მოხდება. ისეთი სიტყვები კი, რომლებიც ბგერათმესატყვისობის თვალსაზრისით სწორია, გვხვდება არა ყველა, არამედ მხოლოდ რამდენიმე ინდოევროპულ ენაში. რაც შეეხება გრამატიკულ დაბოლოებებს, მათ მხოლოდ იშვიათად ეძებნებათ ზუსტი შესატყვისები რომელიმე ინდოევროპულ მტოში. ძალიან ხშირად ბგერათმესატყვისობის წესები არ ვრცელდება გრამატიკულ დაბოლოებებზე და სპეციალისტებს უხდებათ „სიტყვის დაბოლოების წესების“ (Auslautgesetze) ad hoc ხელოვნურად გამოგონება, რომელიც მხოლოდ ერთ მაგალითზე ამართლებს (ავიღოთ, სლავური მიცემითი ბრუნვის მხოლობითი რიცხვის ფორმა: *paňь*, მოქმედებითი ბრუნვის მრავლობითი რიცხვი: *paňьь*, ნათესაობითი ბრუნვა, მხოლობითი რიცხვი: *жешь*. ეს არის ძალიან გავრცელებული ახსნა). ამას უნდა დაეუმატოთ ისიც, რომ ინდოევროპულ ენებში ყველაზე მეტად გავრცელებული ლექსიკური და გრამატიკული ელემენტები სულაც არ არის სპეციფიკურად ინდოევროპული და სხვა არაინდოევროპულ ენებშიც გვხვდება. მაგალითად, უარყოფის გადმომცემი ელემენტები *n* და *m* თანხმოვნების მონანილებით, ან ნაცვალსახელური ძირები: *m* «*мои, меня*», *t* ან *s* «*твой, тебя*», *io* «*то*», *кто* «*кто?*» და ასე შემდეგ. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, უნდა ვალიაროთ, რომ ამა თუ იმ ენის ინდოევროპულ ენათა ოჯახის ნევრად ცნობისას ძალიან დიდი მნიშვნელობა ვერ მიენიჭება „მატერიალურ თანხვედრებს“. რა თქმა უნდა, ასეთი თანხვედრები უნდა იყოს და მათი არარსებობა ამტკიცებს, რომ ეს ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახს არ ეკუთვნის. მაგრამ ასეთი თანხვედრების რიცხვის განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან მათ შორის არცერთი არ არის ისეთი, რომლის არსებობა აუცილებელი იყოს მოცემული ენის ინდოევროპული ბუნების განსასაზღვრად.

ენის ინდოევროპული ოჯახის ნევრად მიჩნევისთვის გარდა „მატერიალური თანხვედრებისა“ აუცილებელია ქვემოთ ჩამოთვლილი

ექვსი სტრუქტურული მახასიათებლის არსებობა, რომლებიც აქვს ჩვენთვის ცნობილ ყველა ცოცხალ და მკვდარ ინდოევროპულ ენას:

უპირველესად, ორი ფონოლოგიური ნიშანი, რომელიც არ უნდა ახასიათებდეს ინდოევროპულ ენას:

1. ხმოვანთა ჰარმონიის არარსებობა სიტყვის\* მარცვლებში ხმოვანთა განანილება ინდოევროპულ ენებში არ არის დამოკიდებული პირველი მარცვლის ხმოვანზე (ალათური და მრავალი უგრო-ფინური ენისგან განსხვავებით). იმ შემთხვევაში როცა გამოიყენება ტერმინი „ხმოვანთა ჰარმონია“, იგი ეხება ცალკეულ ინდოევროპულ ენას ან კილოკავს (მაგალითად, ეს ახასიათებს დასავლეთ უკრაინულ კილოებს, სლოვენური ენის რეზიანულ დიალექტს), რეალურად საქმე გვაქვს უმახვილო ხმოვანთა მახვილიან ხმოვნებთან ლიაობის მიხედვით შეგუებასთან (მაგალითად, სლოვენური ენის რეზიანულ კილოში koleno შენარჩუნებულია, მაგრამ korito გადადის kuritu-ში, პოდლიაშურ-უკრაინულმა c ცინიო, შენარჩუნებულია, მაგრამ მიცემითი ბრუნვის ცინი გადადის ცინი-ში და ასე შემდეგ) – ამ პროცესის შედეგი არაფრით არ ჰგავს იმ მოვლენას, რომელსაც ხმოვანთა ჰარმონიას უწოდებენ ალათურსა და უგროფინურ ენებში.

2. სიტყვის დასაწყისში თანხმოვანთა რაოდენობა არ არის ნაკლები სიტყვის შიგნით დასაშვებ თანხმოვანთა რაოდენობაზე. ამ თვალსაზრისით ინდოევროპული ენები ძალიან განსხვავდება უგრო-ფინური და ალათური ენებისგან. იმ შემთხვევაში, როცა ინდოევროპულ ენებში სიტყვის თავსა და სიტყვის შუაში სხვადასხვა თანხმოვნები გვხვდება, სიტყვის თავში უფრო მეტი თანხმოვანი იყრის თავს, ვიდრე სიტყვის შუაში. ასე მაგალითად, შოტლანდიური ენის დიალექტები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სიტყვის თავში ფშვინვიერი და არაფშვინვიერი თანხმოვნების არსებობით, ზოგიერთ ახალინდურ ენაში სიტყვის თავში განირჩევა ფშვინვიერი, არაფშვინვიერი და ყელხშული, სიტყვის შუაში კი ასეთ სხვაობა არ არის (ასეთია, მაგალითად, ბენგალური ენის აღმოსავლური დიალექტები). მაგრამ უგრო-ფინურში ან ალათურ ენებში ასეთი რამ ვერ მოხდება (ჩრდილოეთკავკასიურ ენებში კი ეს სრულიად მოსალოდნელია) შდრ.: მაგალითად, ჩეჩნური ენა, რომელშიც სხვაობა მარტივ ყრუებსა და ყელხშულებს – არსებობს მხოლოდ სიტყვის დასაწყისში).

შემდეგი სამი თავისებურება ეხება „მორფონოლოგიას“.

3. არ არის აუცილებელი, რომ სიტყვა ძირით ინწყებოდეს. ინდოევროპული ენები უპრეფიქსოდ არ არსებობენ. თვით ყველაზე ძველ ინდოევროპულ ენებში გვაქვს პრეფიქსები, ანუ ისეთი მორფემები, რომლებსაც მოსდევს ძირი, მაგრამ დამოუკიდებელ სიტყვად არასოდეს არ გვხვდება (მაგალითად, h – უ, su – სიკეთე, კეთილი, dus –

\* ხმოვანთა ჰარმონიაში ტრუბეცკოი გულისხმობს სინჰარმონიზმს, რომელიც დამახასიათებელია მაგალითად თურქული ენისათვის.

ცუდი და ასე შემდეგ). მოგვიანო პერიოდის ინდოევროპულ ენაში ასეთი პრეფიქსების რაოდენობა იზრდება.

4. ფორმანარმოება ხდება არა მხოლოდ აფიქსების მეშვეობით, არამედ ძირის შიგნით ხმოვნის მონაცვლეობით. ძველ ხმოვანმონაცვლეობას (Ablaut), რომელზეც შეიძლება გამოითქვას მეტნაკლებად გასაზიარებელი აზრი, უერთდება ხმოვანმონაცვლეობის ახალი სახეები, რომელთა წარმომშობი პირობების დადგენა ძნელი არ არის. მიუხედავად იმისა, ახალი ხმოვანმონაცვლეობა არის სპეციალური ფონეტიკური კანონების მოქმედების შედეგი, ამ კანონებმა ძალა დაკარგეს და კონკრეტული ეპოქის თვალსაზრისით ახალი ხმოვანმონაცვლეობა მექანიკურად განპირობებული კი არ არის, არამედ ისეთივე „თავისუფალი“ და „გრამატიკული“, როგორც ძველი აბლაუტი. ასე მაგალითად, თანამედროვე რუსულისთვის არ არის პრინციპული სხვაობა *e-o (ე-ო)* მონაცვლეობას შორის შემდეგ შემთხვევაში *.мелет — .мелотыи, петь-пой да течь-тои*, არადა პირველ შემთხვევაში ხმოვანმონაცვლეობა გამონეულია რუსული ბგერითი სისტემის ხასიათით, ხოლო მეორე შემთხვევაში – საერთო სლავური ბგერათმონაცვლეობით, მესამე შემთხვევა კი მომდინარეობს სლავიანობამდელი („საერთოევროპული“) ხმოვანმონაცვლეობიდან. ამგვარად, ყველა ინდოევროპულ ენაში ხმოვანმონაცვლეობის სახეები და ახალი თუ ძველი შემთხვევები ერწყმიან ერთმანეთს და ქმნიან რთულ რიგებს. მაგალითად, გერმანული ძირი „ტეხვა, გადატეხვის“ მნიშვნელობით გერმანულ სალიტერატურო ენაში რვა განსხვავებული განხმოვანებით გვხვდება, ანუ ჩვეულებრივი ხმოვანების და არა დიფთონგების გამოყენებით. *bruch* – „მოტეხილობა,“ *gebroschen* – „მოტეხილი.“ *brach* „მოტეხა“, *bräche* – წარსული დროის კონუქტივი *brechen* „ტეხვა“, *brich!* – გატეხე!“, *brüchig* „დატეხილი“, *ab-brückeln* „მოტეხვა, ჩამოტეხვა“.

5. ხმოვანმონაცვლეობასთან ერთად გრამატიკული ფორმების შექმნაში მონაწილეობას იღებს თანხმოვანთა გარედან შეპირობებული მონაცვლეობა. ამ საშუალებას ცალკეული ინდოევროპული ენები განსხვავებული ხარისხით, მაგრამ მაინც აუცილებლად იყენებენ და არ არსებობს არცერთი ინდოევროპული ენა, რომლისთვისაც თანხმოვანთმონაცვლეობა უცხო იყოს. ისტორიული თვალსაზრისით თანხმოვანთა მონაცვლეობის სახეები გამონეულია ბგერათა სხვადასხვა კომბინატორული სახეცვლილებებით, რომელთა დიდი ნაწილის ახსნა შესაძლებელია სინქრონული თვალსაზრისით (ანუ ენის ერთი, მოცემული მდგომარეობიდან ამოსვლით) თანხმოვანთა მონაცვლეობა გარედან შეპირობებული არ არის და ფორმის წარმოქმნისთვის უმეტესად მხოლოდ დამხმარე საშუალებაა ისევე, როგორც ხმოვანმონაცვლეობა. ეს თავისებურება ძალიან მნიშვნელოვანია. ეს მნიშვნელობა განსაკუთრებით მაშინ გამოჩნდება, თუ ინდოევროპულ ენებს სხვა ენებს შევუდარებთ. მაგალითად, სემიტური ენებისათვის თანხმოვანთა მონაცვლეობა სრულიად უცხოა. უცხოა იგი ჩრდილოკავკასიური ენებისთვის (არჩიბული-

სა და დღევანდელი ლეზგიურის გამოკლებით); ალათაურ ენებში თანხმოვანთმონაცვლეობა გარედან შეპირობებულია, თანხმოვანთა კომბინატორული მონაცვლეობა მორფოლოგიურ „ნაკერებზე“ ხდება.

ბოლო პუნქტი მორფოლოგიას ეხება.

6. გარდაუვალი ზმნის ქვემდებარე ისევე გამოიხატება როგორც გარდამავალი ზმნის ქვემდებარე. იმ ინდოევროპულ ენებში, რომლებშიც გარდამავალი ზმნის ქვემდებარესა და პირდაპირ დამატებას შორის სხვაობა ბრუნვის ნიშნებით გამოიხატება, გარდაუვალი ზმნის ქვემდებარეს იგივე დაბოლოება აქვს, რაც გარდამავალი ზმნის ქვემდებარეს (მაგალითად: ლათ. *filius pat rem amat—filius venit*); იმ ინდოევროპულ ენებში, რომლებშიც სხვაობა ქვემდებარესა და პირდაპირ დამატებას შორის წინადადებაში სიტყვათა რიგით გამოიხატება, გარდაუვალი ზმნის ქვემდებარე ისეთივე ურთიერთობაშია შემასმენელთან, როგორი ურთიერთობაც აქვს გარდამავალი ზმნის ქვემდებარეს (მაგალითად, ფრანგ. *le fils aime le père – le fils vient*).

ზემოთ ჩამოთვლილი ექვსი სტრუქტურული ნიშანი განსხვავებული რაოდენობით გვხვდება არაინდოევროპულ ენებშიც, მაგრამ ექვსივე ერთად ახასიათებს მხოლოდ ინდოევროპულ ენებს. ენას, რომელსაც არა აქვს ჩამოთვლილი ექვსი მახასიათებელი, ინდოევროპულ ენად ვერ ჩაითვლება, თუნდაც მისი ლექსიკა ბევრ ისეთ ელემენტს შეიცავდეს, რომელიც ინდოევროპულს ემთხვევა და პირიქით – ენამ, რომელიც ლექსიკური და ფორმალური ელემენტების დიდი ნაწილი არაინდოევროპული ენებიდან ისესხა, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი ექვსი მახასიათებელი აქვს, ინდოევროპულ ენად უნდა ჩავთვალოთ იმ შემთხვევაშიც კი, როცა სხვა ინდოევროპულ ენებთან მხოლოდ მცირე ლექსიკური მასალა და მორფოლოგიური ელემენტები აერთიანებს. აქედან ის გამომდინარეობს, რომ ენა შეიძლება გ ა ხ დ ე ს ინდოევროპული ან პირიქით, ინდოევროპულმა ენამ იცვალოს ბუნება.

ის მომენტი, როცა ზემოთ მოცემული ექვსი სტრუქტურული მახასიათებელი, ერთმანეთს შეერწყა რომელიღაც ენაში, რომლის ლექსიკასა და გრამატიკას ისტორიულად დამონშებულ ინდოევროპულ ენებში შესატყვისობები მოეძებნება, უნდა ჩაითვალოს ენის ინდოევროპული აგებულების წარმოქმნის დროდ. ისტორიამდელი არქეოლოგის მონაცემები, რა თქმა უნდა, ვერ მიგვითითებენ, როდის მოხდა ეს, რადგან თიხის დამუშავების ტექნიკა ან იარაღის ფორმა არ არის პირდაპირ კავშირში ზემოთ ჩამოთვლილ ექვს სტრუქტურულ ნიშანთან. ამდენად, ინდოევროპული აგებულების წარმოქმნის დროს ვერ განვსაზღვრავთ. მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ამ ექვსი სტრუქტურული მახასიათებლის შერწყმა გარკვეული რაოდენობის „ფუძვინდოევროპულ“ ძირებთან და აფიქსებთან დაახლოებით ერთდროულად ხდებოდა რამდენიმე ენაში. ასეთ შემთხვევაში ინდოევროპული ენა თავიდანვე რამდენიმე ყოფილა, თავიდან ისინი ქმნიდნენ „ენობრივ კავშირს“, რომლისგანაც დროთა განმავლობაში განვითარდა ენათა ოჯახი. რეტროსპექტულად ენათმეცნიერები იძულებულნი არიან უძ-

ველესი ინდოევროპული ჯგუფის ენები ჩათვალონ „ინდოევროპული ფუძეენის დიალექტებად“, მაგრამ მათი გამოყვანა მაინცდამაინც ერთი ნყაროდან საფუძველს მოკლებულია.

იმ გეოგრაფიული სივრცის განსაზღვრისათვის, სადაც შეიძლება ბოდა მომხდარიყო ინდოევროპულით აგებულების წარმოქმნა, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი მოსაზრება. იოჰან შმიდტის მიერ შემოთავაზებული „ტალღების თეორია“ მისაღებია არა მხოლოდ ერთი ენის დიალექტების ან მონათესავე ენების, არამედ ურთიერთმეზობლობაში მყოფი არამონათესავე ენების მიმართაც. მეზობელი (თუნდაც არამონათესავე) ენები გავლენას ახდენენ ერთმანეთზე, რასაც შედეგად მოსდევს ფონეტიკურ და გრამატიკულ სტრუქტურაში საერთო მახასიათებლების გაჩენა. ასეთი საერთო თვისებების რაოდენობა დამოკიდებულია ამ ენების გეოგრაფიული მეზობლობის ხანგრძლივობაზე. იგივე თეორია მისაღებია მონათესავე ენებისთვისაც. უმეტეს შემთხვევაში ენათა ოჯახს ახასიათებს გარკვეული თავისებურებები, რომელთაგან ზოგიერთი მას აერთიანებს ენათა ერთ ოჯახთან, ხოლო სხვა თვისებებით კი იგი ერთიანდება ისევ მეზობელ, მაგრამ სხვა ენათა ოჯახთან. ამგვარად, ცალკეული ოჯახები ქმნიან ჯაჭვს. მაგალითად, უგრო-ფინური ენები და მათთან მჭიდროდ დაკავშირებული სამოდური ენები ამჟღავნებენ სტრუქტურული თავისებურებებს, რომლებიც „ალათაურ“ ან თურქულ, მონღოლურ და ტუნგუსურ-მანჯურიულ ენებს) ახასიათებს. ალათაურ ენებს აქვთ საერთო თვისებები „პალეოაზიურ“ ენებთან („ოდულურს“ - იკაგიურლთან, „ნიეზურს“ - გილიაკურ და კამჩატკურ ჯგუფთან, რომელიც შედგება „იტელმანურის“ (კამჩადალურის) „ნიმილანურის“ - კორიაკულთან და „ლუორავეტურს“ - ჩუკოტკურთან), ხოლო ეს ენები (განსაკუთრებით კამჩატკური ჯგუფი) თავისი სტრუქტურით ძალიან გვაგონებენ ესკიმოსურს და მისი გავლით ერთიანდებიან სხვა რამდენიმე ჩრდილოამერიკულ ენასთან. სწორედ ასევე, აფრიკაში ბანტუს ენობრივი ოჯახი „ბანტოიდური“ ენებით უკავშირდება სუდანურსა და ნილოტურს. სუდანის ენები მსგავსებას ამჟღავნებენ რამდენიმე ცალკე მდგომ დასავლეთაფრიკულ ენასთან, გორებიცაა ვოლოფი ან ფულა, რომლებიც, მეორე მხრივ, ემსგავსებიან ბერბერულ ენებს. ნილოტურის ენები, როგორცაა ჩანს, კუმიტურის ენების მსგავსია. და ბოლოს, ბერბერულ, კუმიტურ, ეგვიპტურ (კოპტურ) და სემიტურ ენებს იმდენი საერთო აქვთ სტრუქტურული თვალსაზრისით, რომ ხშირად მათ ერთი სახელწოდების ქვეშ აერთიანებენ და „ქამიტურ-სემიტურს“ უწოდებენ.

თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, იმას, რომ ენობრივი ოჯახებს აქვთ მიდრეკილება „ჯაჭვური“ გეოგრაფიული განაწილებისაკენ და, მეორე მხრივ, არ დავივიწყებთ, რომ ინდოევროპული ენობრივი სტრუქტურა ძალიან ხშირად გვხვდება არაინდოევროპულ ენებში, შეიძლება მიახლოებით აღვადგინოთ ის გეოგრაფიული ადგილი, სადაც წარმოიშვა ინდოევროპული ენის აგებულება. ინდოევროპული სტრუქტურის მქონე ენის (ან ენების) „მეზობლები“ შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ

ენათა ორი დიდი ოჯახი, რომელთაგან ერთს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „ურალურ-ალათაური“ და მეორეს – „შუამდინარეული“. ურალურ-ალათაურ ენებს (ამ ოჯახებში შედის უგრო-ფინური, სამოდური, თურქული, მონღოლური და ტუნგუსურ-მანჯურიული) ინდოევროპულთან აერთიანებს ნომინატიურ-აკუზატიური (სახელობით – ბრალდებითი) კონსტრუქცია („ბ“ პუნქტი). ამას გარდა, ამ ჯგუფის ყველაზე დასავლურ წევრს, უგრო-ფინურ ოჯახს ახასიათებს თანხმოვანთა გრამატიკული მონაცვლეობა (პუნქტი 5). ენათა ოჯახების შუამდინარეთული ჯგუფი (დღეს წარმოდგენილია ჩრდილოკავკასიურის, სამხრეთკავკასიურის, სემიტურისა და ბასკურის სახით; შესაძლოა ამ ოჯახში შედიოდეს ბერბერული ენები, ხოლო წარსულში ალბათ ამ ჯგუფში შედიოდა მცირე აზიის ენები). ინდოევროპულ სტრუქტურას ემთხვევა 1, 2, 3 და 4 პუნქტებით, მაგრამ განსხვავდება მისგან ხმოვანთა უცვლელობითა და ერგატიული კონსტრუქციით (რომელიც უცხოა სემიტური ენებისათვის)<sup>1</sup>. ინდოევროპული ენობრივი სტრუქტურა გვევლინება მაერთებელ რგოლად ურალურ-ალათაურ და შუამდინარეულ ენათა სტრუქტურებს შორის. ამიტომ ინდოევროპული ენობრივი სტრუქტურის წარმოქმნის ადგილად უნდა მივიჩნიოთ ადგილი, ურალურ-ალათურ და შუამდინარულ ენათა ოჯახებს შორის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ინდოეთში დრავიდულ ენებს ურალურ-ალათაურ ენებთან ლინგვისტური სტრუქტურის თვალსაზრისით ბევრი რამ აერთებს, მაგრამ ეს ნიშნები უცხოა ინდოევროპული ენებისათვის. ამ ფაქტის გამო შეუძლებელია ენის ინდოევროპული სტრუქტურის წარმოშობა ურალურ-ალათაურსა და დრავიდულ ენებს შორის, ესე იგი ირანში ან ჩრდილოეთ ინდოეთში. ასევე ნაკლებად საყარაუდოა მისი ლოკალიზება უფრო აღმოსავლეთით, მაშინ ენის ინდოევროპული სტრუქტურა უნდა ყოფილიყო გამაერთიანებელი რგოლი ურალურ-ალათაურისა და ჩინურის ან ურალურ-ალათურისა და ტიბეტურ-ბირმანულის ენობრივი სტრუქტურისათვის. ამგვარად, ენის ინდოევროპული სტრუქტურის წარმოქმნის ადგილი ხასიათდება როგორც დადებითად, ისე უარყოფითად. ანუ ეს არის ადგილი, რომელიც მდებარეობს ურალურ-ალათაურსა და შუამდინარულ ენათა ოჯახების გავრცელების არეალს შორის, მაგრამ არ მოიცავს იმ ტერიტორიას, რომელიც ურალურ-ალათაურსა და დრავიდულ ენებს შორის არსებობს.

რა თქმა უნდა, ეს გეოგრაფიული მითითებები ძალიან ბუნდოვანია, მით უმეტეს, რომ არ ვიცით, ჩრდილოეთით რამდენად შორს ვრცელდებოდა „შუამდინარულ“ ენათა ოჯახების ჯგუფი, რომლის წარმომადგენლები დღესაც არიან ჩრდილოეთ კავკასიაში ბისკაის ყურესთან. მაგრამ უფრო ზუსტად ენის ინდოევროპული ტიპის ჩამოყალიბების ადგილის

<sup>1</sup> ერგატიული კონსტრუქციაში ვგულისხმობთ ისეთ გრამატიკულ სტრუქტურას, როცა გარდამავალი ზმნის ქვემდებარეს არა აქვს იგივე ფორმა, რაც გარდაუვალი ზმნის ქვემდებარეს. მაგალითად, ავარ: *вац вкєтєрла* „ბიჭი დარბის“, *воуац тил нєсула* „ბიჭი იღებს ჯოხს.“

განსაზღვრა მეცნიერული მეთოდებით შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში უნდა გავთავისუფლდეთ წინასწარ აკვიატებული აზრისაგან, თითქოს „ინდოევროპული ფუძეენა“ (ან ინდოევროპული სტრუქტურის მქონე პირველი ენა) გაბატონებული იყო მხოლოდ ვინრო სივრცეში. ამასთან, ის არაერთგვაროვანი ბუნება, რომელიც უნდა მივანეროთ „ინდოევროპული ფუძეენას“, თვით რეკონსტრუქციის ნეოგრამატიკოსთა მეთოდებითაც კი შეუძლებელია დაეუშვათ ინდოევროპულ ენათა ოჯახის ერთიანი ცენტრი ან კერა. რამდენიმე კერის ერთობლივი მოქმედება კი სრულიად წარმოსადგენია, თანაც ძალიან დიდ გეოგრაფიულ სივრცეზე – ვთქვათ, ჩრდილოეთ ზღვიდან კასპიის ზღვამდე.

ენის ინდოევროპული სტრუქტურის წარმოქმნა, ინდოევროპულ ენათა „მატიერიალური“ და „ფორმალური“ ნიშნების ერთობლიობა იყო ხანგრძლივი ისტორიული განვითარების ნაყოფი. ინდოევროპულმა აგებულებამ გაირა ევოლუცია ისევე, როგორც ყველაფერმა, რაც ენას ეხება. ფაქტობრივად ყოველი ინდოევროპული შტო დამოუკიდებლად ვითარდება, მაგრამ არსებობს განვითარების ზოგიერთი ტენდენცია, რომელიც საერთოა ყველა ინდოევროპული შტოსთვის თუ არა, მისი დიდი უმრავლესობისთვის მაინც. ამ ტენდენციების შედარებას მეზობელი არაინდოევროპული ენების ფაქტებთან მივყავართ რამდენიმე საინტერესო გარემოებასთან.

ინდოევროპული ენების უძველესი პერიოდებისათვის ხშილი თანხმობების არტიკულაციის სულ მცირე სამი სახის ხშილ-მსკდომები უნდა დაეუშვათ. თანამედროვე ინდოევროპულ ენებში ხშილთა არტიკულაციის სულ ორი გზა არსებობს. მხოლოდ ისეთი ენები, როგორცაა სომხური, ქურთული, ოსური და კიდევ რამდენიმე ახალინდური ენა, ანუ ისეთი ენები, რომლებიც გარშემორტყმულნი არიან არაინდოევროპული ენებით, ინარჩუნებენ ხშილთა სამ- და ოთხნევროვან სისტემას. მეზობელ ენებს თუ გადავხედავთ, ხმშილთა წარმოქმნის სამგვარი სახე არსებობს ჩრდილო და სამხრეკავკასიურ ენებში, აგრეთვე ბასკურში და (თუ ჩათვლით ე. წ. „ემფატიკურ“ თანხმობებს არტიკულაციის განსაკუთრებული ფორმად) სემიტურ ენებში, უგრო-ფინური და ალათაური ენები კი ხშილთა მხოლოდ ორ სახეს აჩვენებენ ისევე, როგორც თანამედროვე ინდოევროპული ენების აბსოლუტური უმრავლესობა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ უძველეს ინდოევროპულ ბგერით სისტემაში ბაგისმიერი ხშილები სხვა კლასებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ მისი სამი ნევრიდან ერთი (კონკრეტულად b) ძალიან იშვიათად გვხვდება. სწორედ ასეთ სურათს აჩვენებს თანამედროვე ჩრდილოკავკასიური ენები, რომელთაგან ერთ-ერთი სამი ბაგისმიერი ხშილიდან (კერძოდ კი ე.წ. „ყელხშილი“ კ (p) ძალიან იშვიათად გვხვდება (ბევრ ენაში კი საერთოდ არ არის, მაგალითად, ავარულში, ლეკურში და ასე შემდეგ). ზუსტად ასეა სემიტურ ენებშიც, ლაბიალური ხშილებში არ მოიპოვება ემფატიკური ხშილი და უძველეს, პრეისტორიული სემიტურ „ფუძეენაში“, თუ საერთოდ არსებობდა, მაშინ ძალიან იშვიათად გამოიყენებოდა. თანამედროვე ინდოევროპულ ენებში კი



ბაგისმიერ ხშულთა კლასი გამოყენების სიხშირით უტოლდება ხშულთა სხვა კლასებს. ამ თვალსაზრისით თანამედროვე ინდოევროპული ენები უახლოვდებიან უგრო-ფინურ, სამოდური და ალათურს.

„ინდოევროპული ფუძეებისათვის“, საერთოდ ინდოევროპული ენების განვითარების უძველეს სტადიაზე უნდა დაეფუძვთ ორი ტიპის თანხმოვანთა ჯგუფი: კ. რ<sup>1</sup>. ისტორიულ ინდოევროპულ ენებში ასეთი თანხმოვნების მხოლოდ ერთ რიგს ვხედავთ და ენათა იმ მცირე რიცხვში, რომლებსაც აქვთ მეორე რიგი (მაგალითად, ოსური), იგი ნამდვილად მეორეულია. ინდოევროპულის მეზობელ ენათა ოჯახებში არის ორი სახის კ. რ არის ჩრდილო- და სამხრეთკავკასიურ ენებში და შეიძლება სემიტურშიც (თუ მეორე რიგად ჩავთვლით ემფატიკურ (ღრმა) რბილსასისმიერ თანხმოვნებს. ამის საპირისპიროდ, უგრო-ფინურ და ალათურ ენებში არსებობს კ. რ-ს მხოლოდ ერთი რიგი ზოგჯერ წარმოთქმის ორგვარი სახით, რაც გამონეულია თანხმოვანთა ავტომატური ჰარმონიით. თუ სამოდურ ენებში ჩვეულებრივი კ. რ გვერდით გვხვდება უკანარბილსასიმიერი, ეს უნდა მივანეროთ (სამოედური ენების სხვა თავისებურებების მსგავსად) გადაშენებული პლაოაზიური ენების გავლენას.

ბოლო პერიოდში პოლონელმა ენათმეცნიერმა ე. კურილოვიჩმა დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ ინდოევროპულ ენებს განვითარების უძველეს ეტაპზე ჰქონდათ ოთხი ყელისმიერი თანხმოვანი, მაგრამ შემდეგ ეს თანხმოვნები დაიკარგა და იქ, სადაც თანამედროვე ინდოევროპული ენები აჩვენებენ ყელისმიერ თანხმოვნებს (მაგალითად, გერ. h. უკრ. რ და ასე შემდეგ), ისინი განვითარებული ჩანან ისტორიული მესხიერების საფუძველზე სხვა არაყელისმიერი თანხმოვნებისაგან<sup>2</sup>. მეზობელ ენათა ოჯახებს, კერძოდ, ჩრდილოკავკასურ და ქამიტურ-სემიტურ ენებს ახასიათებთ ყელისმიერი თანხმოვნების სიმრავლე. ურალურ-ალათურში კი ყელისმიერი თანხმოვნები საერთოდ არ არის და თუ რომელიმე ენაში გვხვდება h (ჰ), იგი სხვა ბგერის საკმაოდ გვიანდელი განვითარების შედეგია (მაგალითად, უნგრულში h/ჰ მოდის უფრო ძველი x (ხ)-დან, ბურიატულსა და ჩრდილოევნიკურში ჩ მოდის s-სგან და ასე შემდეგ)<sup>3</sup>. ამ თვალსაზრისით ურალურ-ალათური ენები მოგვაგონებენ ისტორიულად დამონმებულ ინდოევროპულ ენებს.

<sup>1</sup> რით განსხვავდება ერთმანეთისგან ეს ორი რიგი კ. რ. ამაზე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ერთმანეთს უპირისპირდება ნმინდა კ. რ და ლაბიალიზებული (ანუ წარმოთქმული იმგვარად, რომ ბაგეებს ისეთივე მდგომარეობა ჰქონდეს, როგორც ყ ხმოვნის წარმოთქმისას) კ. რ; მკვლევართა მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ ერთმანეთს უპირისპირდება მაგარი კ. რ და რბილი კხ. რ.

<sup>2</sup> სულ ახლახანს ხეთურში აღმოჩენილი h, როგორცა ჩანს, სწორედ იმ ფუძეინდოევროპული ყელისმიერ თანხმოვნამდე მიდის.

<sup>3</sup> ყასიმელი თათრების მეტყველებაში არის ყელისმიერი ხშული (coup de glotte). რომელიც განვითარდა საერთოთურქული კ-სგან. საინტერესოა, რომ ეს ევო-

ზოგიერთ უძველეს ინდოევროპულ ენაში ზმნური ფორმა დაბოლოებებითა და ძირეული ხმოვნის მონაცვლეობის გარდა შეიძლება წარმოიქმნას ძირის გაორმაგებით, თან სწორედ ძირის პირველი თანხმოვანი ორმაგდება. ასეთი ფორმები ცნობილია ძველინდურში, ძველსპარსულში, ძველბერძნულში, ლათინურში (posco-poposci, yango-tetigi, iundo-tuludi და ასე შემდეგ), უმბრულში, ოსკურსა და გოთურში. იმ ენებში, რომლებიც განვითარების უფრო გვიანდელ სტადიაზეა დამონმბებული, ასეთი ფორმები უკვე აღარ არსებობს და თანდათანობით ინდოევროპულ ენებში ძირის გაორმაგება ზმნური ფორმის წარმოსაქმნელად სულ უფრო და უფრო უცხო ხდება. მეზობელ ენათა ოჯახებიდან ჩრდილოკავკასიურსა და სემიტურს ახასიათებს ძირეული თანხმოვნის გაორმაგება ზოგიერთი ზმნური ფორმის წარმოების (მრდ. მაგალითად, ავარული. тезе "მონყვეტა, მოგლეჯა" – тетезе "ჩაგდება, წარუმატებლობა"; ლეკური. ауи – ავადმყოფობა ауаар – სტიკია, ааараа "დულილი" – ааараааар "დულს", არჩიბული хураа "სიცილი", – хураау, "იციზობა" და ასე შემდეგ). ამისგან განსხვავებით. ურალურ-ალათური ჯგუფის ენათა ოჯახებს არ ახასიათებთ ზმნურ ფორმათა წარმოებისთვის ძირეული თანხმოვნის გაორმაგება.

ინდოევროპული ენები განვითარების უძველეს საფეხურზე განარჩევენენ არსებითი სახელის გრამატიკულ სქესს (როგორც ახლა ფიქრობენ, ჯერ განირჩეოდა სულიერთა სქესი ანუ აქტიური და უსუსლო, ანუ პასიური, მოგვიანებით კი – მამრობითი, მდედრობითი და საშუალი). ინდოევროპული ენები თავიანთი განვითარების მანძილზე ამჟღავნებენ მიდრეკილებას სქესის კატეგორიის დაკარგვის, ან მისი მინიმუმამდე დაყვანისადმი. ასე მაგალითად, სომხურმა და ახალმა სპარსულმა საერთოდ დაკარგეს გრამატიკული სქესის გაგება, ინგლისურმა და ჰოლანდიურმა, თითქმის დაკარგეს ეს სხვაობა, ხოლო რომანულ ენებში (ისევე როგორც ლატიურსა და ლიტვურში) შენარჩუნებულია მხოლოდ მდედრობითი და მამრობითი სქესი. მეზობელ ენათა ოჯახებიდან გრამატიკულ სქესს ყველაზე მეტად განასხვავებს ჩრდილოკავკასიური ენები (ჩეჩნური, მაგალითად, ექვს გრამატიკულ სქესს აჩვენებს). ამ მხრივ უფრო სუსტია ქამიტურ-სემიტური ენები. ურალურ-ალათური ენებისთვის არსებით სახელთა განსხვავება გრამატიკული სქესის მიხედვით უცხოა.

და ბოლოს, თუ ულენბეკი და ზოგიერთი სხვა ენამეცნიერი მართალია, სახელობითი ბრუნვის ბრალდებითთან დაპირისპირება, რაც ახასიათებს ისტორიულად დამონმბებულ ყველა ინდოევროპულ ენას (ამ მხრივ ისინი ემთხვევიან ურალურ-ალათურ ენებს), შედარებით გვიან განვითარდა. უფრო ძველ პერიოდში კი ინდოევროპული ენები იყენებდნენ ერგატიულ კონსტრუქციას მსგავსად თანამედროვე

---

ლუცია განიცადა საერთოსლავურმა კ-მ სლოვენური ენის როზენტალურ კი-ლოკავში და საერთო გერმანულმა კ-მ ზოგიერთ ჰოლანდიურ თქმებში.

ჩრდილოკავკასიური ენებისა (ასევე ბასკურისა და მცირე აზიის რამდენიმე გადაშენებული ენისა). ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტი თითქოს მიაწინებს, რომ ინდოევროპული ენები ისტორიულად სულ უფრო და უფრო შორდებიან იმ ენობრივ ტიპს, რომელიც ახასიათებს აღმოსავლეთ კავკასიურ ენებს და უახლოვდებიან იმ ტიპს, რომელიც დამახასიათებელია უგრო-ფინური და ალათური ენებისათვის. ეს გარემოება სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს განხილული. მასში შეიძლება დაეინახოთ განსაკუთრებული „ისტორიული“ (უფრო ზუსტად, პრეისტორიული) მოვლენები ინდოევროპელი „ფუძეხალხის“ ანუ ინდოევროპელთა წინაპარი ხალხის და ვეცადოთ ამ მოვლენების აღდგენას მწირი, მაგრამ მრავალგვარი ინტერპრეტაციით პრეისტორიული არქეოლოგიური მონაცემების წარმოსახვითა და მოქნილობით აღვადგინოთ „ინდოევროპელთა წინაპარი ხალხის ისტორიის“ ნათელი სურათი და მისი მიმართება სხვა „პარარსებთან“ წინაპარ ძველ ხალხებთან და რასებთან. ეს სურათი შეიძლება ძალიან მიმზიდველიც გამოვიდეს, მაგრამ მეცნიერულად არადამაჯერებელი იქნება. ამიტომ ვამჯობინებთ ზემოთ მოყვანილი ფაქტების სხვაგვარ ინტერპრეტაციას. ჩვენ აღმოსავლეთკავკასიური ენობრივი ტიპიდან ურალურ-ალათურ ტიპზე გადასვლას ბუნებრივ პროცესად მივიჩნევთ. თანამედროვე ჩრდილოკავკასიური (განსაკუთრებით კი აღმოსავლეთკავკასიური) ენების ჰიპერტროფირებული ფლექსია<sup>1</sup>, უეჭველად, უფრო გამჭირვალე, ეკონომიური და ხელსაყრელია, ვიდრე ურალურ-ალათურ ენათა აგებულება, რომელიც ეგრეთ წოდებულ აგლუტინაციას ეფუძნება. ამ საკითხში<sup>2</sup> [ესე იგი იგი ენათა სხვადასხვა მორფოლოგიური ტიპის განვითარების შესახებ] ნიკო მარის ეგრეთ წოდებული „ახალი მოძღვრება ენის შესახებ“ არაფრით არ განსხვავდება ეგრეთ წოდებული „ბურჟუაზიული ენათმეცნიერებისაგან“. და თუ ფლექსიური ნყობის ენებთან შედარებით აგლუტინაციური ნყობის დიდი „პრიმიტიულობის“ მტკიცება შეიძლება მივანეროთ „მსოფლიო იმპერიალიზმის სოციალურ დაკვეთას“, ნიკო მარისა და მისი მიმდევრების პირით თქმული ეს მოსაზრება არის ევროპული მეცნიერების წინაშე მონობის გამოვლენის ნაყოფი (თან ევროპული მეცნიერება აქ ძალიან ზედაპირულადაა ათვისებული). საქმე ის არის, რომ რამდენადაც ნ. ი. მარის თეორია არ იყო მხოლოდ გიჟის („პარანოიკის“) უბრალო ბოდვა (როგორც, მაგა-

<sup>1</sup> ფლექსიას ვუნოდებთ მორფემის (ძირის ან აფიქსის) მორფოლოგიური ღირებულების მქონე ბევრივე ცვლილებას.

<sup>2</sup> ამ წინადადებიდან აბზაცის ბოლომდე ჩვენს თარგმანში აღვადგინეთ ის ნაწილი, რომელიც ამოღებული იყო სტატიის რუსულ ვარიანტში და სქოლიოში მოცემული იყო ასეთი განმარტება: „სტატიის ამ ადგილას არის ნ. ს. ტრუბეცკოვის ფართო შენიშვნა, რომელშიც მოცემულია ნიკო მარის შეხედულებების მკაცრი კრიტიკა ენათა მორფოლოგიური ტიპების შესახებ და გადმოცემულია თვით ტრუბეცკოვის დამოკიდებულება მთლიანად ნ. ი. მარის თეორიისადმი. რადგან ამ შენიშვნის შინაარსი არ არის უშუალოდ დაკავშირებული სტატიის თემასთან, ამიტომ ეს ნაწილი გამოვტოვეთ. — რედ.“ (ტრუბეცკოვი 1958:77).

ლითად, მისი მოძღვრება „ოთხი ელემენტის შესახებ“: ბერ, სალ, იონ და როშ), ეს გახლდათ ევროპელი ლინგვისტების, თან არცთუ პირველი კლასის ლინგვისტების ძველ სწავლებათა უბრალო გამეორება. თვალისმომჭრელი რეკლამისა და სრულიად ხელოვნურად შექმნილი მარქსისტული ფრაზეოლოგიის (რომელიც ზოგჯერ აბსოლუტურად დაცლილია შინაარსისაგან) წყალობით მთელი ეს მანიაკური ბოდვის ნაზავი და სხვათა დახასკებული თეორიები მონოდებული იყო როგორც ახალი, ჭეშმარიტად მარქსისტული მოძღვრება ენის შესახებ. საბჭოთა რეალობის პირობებში, სადაც მავნებლობა ასე ხშირად ხვდება განმკარგულებლის სიმალლეზე, ამ თეორიამ შეიძინა თავისებური მონოპოლიური უფლება. ამის შედეგად საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარება დიდი ხნით შეჩერდა. საბჭოთა ენათმეცნიერება მთელი ცივილიზებული სამყაროს მასხრად ასაგდები გახდა და რაც ყველაზე ცუდია, დაკარგა კონტაქტი ნამდვილად პროგრესულ და რევოლუციურ მიმდინარეობებთან, რომლებმაც გზა გაიკაფეს ევროპისა და ამერიკის ენათმეცნიერებაში.

თუ ენათმეცნიერები აქამდე აგლუტინაციური ტიპის ენებს უფრო პრიმიტიულ ენებად მიიჩნევდნენ, ვიდრე ფლექსიურ ენებს, ასე მხოლოდ ეგოცენტრული წინასწარი აკვიატების გამო იქცეოდნენ, რადგან თვითონ ამა თუ იმ ინდოევროპულ ენაზე ანუ ფლექსიურ ენაზე მეტყველებდნენ. თუ ამ წინასწარ აკვიატებული წარმოდგენებისგან გათავისუფლდებიან, უნდა აღიარონ, რომ ალათური ტიპის წმინდა აგლუტინაციური ენები, რომელთაც ეკონომიურად გამოყენებული ფორმების არცთუ დიდი ინვენტარი აქვთ, არ ახასიათებთ ძირების ცვალებადობა ყოველთვის ერთმნიშვნელობიანი სუფიქსებითა და დაბოლოებებით უერთდებიან ერთმანეთს, ტექნიკურად უფრო სრულყოფილი იარაღია, ვიდრე ფლექსიური ენები თუნდაც აღმოსავლურკავკასიური ტიპისა, რომლებშიც ძნელია ძირის გამოყოფა მუდმივი ცვალებადობისა და პრეფიქს-სუფიქსებს შორის ჩამალულობის გამო. ამ პრეფიქს-სუფიქსებს ყოველთვის განსაზღვრული და ადვილად მისაბვედრი მნიშვნელობა არა აქვთ. ამას ისიც ემატება, რომ მრავალსახეობრივია და მიუხედავად ერთი ფუნქციისა და მნიშვნელობისა, ბგერითი შედგენილობით ერთმანეთზე არ დაიყვანება.

მართალია, ინდოევროპულ ენათა უმრავლესობაში ფლექსურობის პრინციპი არც ისე ჰიპერტროფირებული სახითაა წარმოდგენილი, როგორც კავკასიურ ენებში, მაგრამ ტექნიკურ სრულყოფილებამდე ინდოევროპულ ენებს კიდევ ბევრი უკლიათ აგლუტინაციურ ალათურ ენებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ ინდოევროპელი მეცნიერები აგლუტინაციურს უფრო პრიმიტიულად მიიჩნევენ ჰიპერტროფირებულად ფლექსიურთან და ზომიერად ფლექსიურთან შედარებით, უპირატესობას მაინც აგლუტინაციურს ანიჭებენ. ამაზე მიუთითებს ხელოვნური ენების შექმნის მცდელობა. შარლ ბალი სწორად მიუთითებდა, რომ ესპერანტო, რომელიც მხოლოდ ინდოევროპული ლექსემებისგან შედგება, მაინც წმინდა აგლუტინაციური ენაა. ამგვარად,

როცა ინდოევროპელებს სურთ „გამოასწორონ ბუნება“ და შექმნან უფრო სრულყოფილი ხელოვნური ენა, ისინი უნებლიედ უარს ამბობენ ფლექსიურობაზე და აგლუტინაციურობას ირჩევენ. ამის საპირისპირო არ ხდება: წარმოუდგენელიც იქნებოდა ფინელი, ესტონელი, უნგრელი, თურქი ან იაპონელი, რომელიც ხელოვნური ენის შექმნას დაისახავდა მიზნად და ამისთვის აგლუტინაციურობაზე იტყოდა უარს ფლექსიურობის სასარგებლოდ.

ამდენად, ინდოევროპული ენები ჩამოყალიბდნენ ჰიპერტროფირებული ფლექსიის დაძლევის პროცესში, როცა მიისწრაფოდნენ რაციონალური აგლუტინაციისაკენ, როგორც იდეალისკენ. თუმცა ამ პროცესში ისინი ბოლომდე არ მისულან, ვერ მოასწრეს „პრეისტორიული პერიოდის“, ანუ ისეთი მყარი ენობრივი აგებულების შექმნა, როგორიცაა აქვს, მაგალითად, ალათაურს. ამიტომ ინდოევროპული ენები აგრძელებენ ევოლუციას იმავე მიმართულებით, ოღონდ ისე, რომ ბოლომდე არ წყვეტენ კავშირს თავიანთი „გარდამავალი“ სტრუქტურის ელემენტებთან. სწორედ ამის გამოა ინდოევროპული ენები ასეთი ცვალებადი ალათურ ენებთან შედარებით.

1937 წელი

ევრაზიული ენობრივი კავშირის  
დახასიათებისათვის

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ენობრივი კავშირი .....	159
2. ევრაზიული ენობრივი კავშირის პრობლემა თანამედროვე მეცნიერებაში .....	161
3. ფონოლოგიის ანბანი და ფონოლოგიური გეოგრაფიის პრობლემა.....	165
4. ევრაზიის ენათა მონოტონია და მოსაზღვრე პოლიტონური ენობრივი კავშირები .....	171
5. თანხმოვანთა ტემპრული სხვაობა ევრაზიის ენებსა და მოსაზღვრე მხარეებში.....	173
6. ევრაზიული ენობრივი კავშირის დასკვნითი ფონოლოგიური დახასიათება .....	194
7. ევრაზიული ენობრივი კავშირის ისტორიიდან.....	196
8. თანხმოვანთა სირბილე ევროპულ მეცნიერებასა და დანერღობაში .....	202
9. ევრაზიული ენათმეცნიერების მთავარი ამოცანები .....	205
10. ნახსენები და დამონმებული შრომების საძიებელი .....	207

1

ენობრივი კავშირი. – ღირებულებათა დღევანდელ იერარქიაში კითხვა *საიქ?* უფრო მაღლა დგას, ვიდრე კითხვა *საიდან?* გენეტიკური მახასიათებლების ნაცვლად თვითგამორკვევა ხდება ხალხის ძირითად თვისება. კასტის იდეა შეიცვალა კლასებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების იდეით და სამეცნიერო შრომებში საერთო წარმომავლობა უკან იხევს საერთო ფუნქციებთან და მიზნებთან შედარებით. თუ მიზანი არცთუ შორეული წარსულში იდეოლოგიის კონკია იყო, იგი თანდათანობით ყველგან რეაბილიტირდება.

ენათმეცნიერებაში შედარებითი მეთოდი გამოიყენებოდა მხოლოდ მონათესავე ენათა საერთო ისტორიული ფონდის გამოსარკვევად. ახლა კი შედარებით მეთოდს მხოლოდ ფუძეენის აღსადგენად არ ვიყენებთ, ამასთან ერთად გვაინტერესებს წინაპარი ენიდან მომდინარე ენების განვითარების ტენდენციები. ერთდროულად ვსწავლობთ როგორც ურთიერთდამორების ნიადაგზე წარმოქმნილ ენებს, ასევე

ევოლუციის მსგავს ფორმებს ანუ ეგრეთწოდებულ *კონვერგენციას*, რომელიც შუქს პფენს ენობრივი ცვლილებების მიზანდასახულობას. თუმცა მონათესავე ენათა კონვერგენციული ევოლუცია მხოლოდ კერძო შემთხვევაა. ლინგვისტურ პრობლემათა წრეში შემოდის განსხვავებული წარმოშობის, მაგრამ ურთიერთმეზობლობაში მყოფ ენათა ევოლუციაში მსგავსი შტრიხების პრობლემა. უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ სრულიად განსხვავებული საწყისი წერტილების მიუხედავად, შესაძლებელია განვითარებას გზათა მნიშვნელოვანი საერთოობა: არამსგავსი, განსხვავებული მასალისგან სხვადასხვა საშუალებებით იქნება ერთგვაროვანი აგებულება. *საერთო წარმომავლობის ტრადიციული გაგების გვერდით შემოდის ერთიანი მიზანდასახულების მქონე ენათა ცნება.*

1928 წელს ჰააგაში ენათმეცნიერთა საერთაშორისო კონგრესზე მიიღეს ნ. ტრუბეცკოის წინადადება:

– ჩვენ ვუნოდებთ ენათა ჯგუფს ისეთ ენათა კომპლექსს, რომლის წევრები ერთმანეთს უკავშირდებიან მნიშვნელოვანი რაოდენობის სისტემური (რეგულარული) შესატყვისობებით. ერთმანეთისგან უნდა გამიჯნოთ ენობრივი ჯგუფის ორი სახე: ერთი მხრივ, ენობრივი კავშირები და, მეორე მხრივ – ენობრივი ოჯახები. ეს ორი ცნება უმკაცრესად უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისგან (იხ. აქტიები).

პირველად ეს ორი ცნება გამოიყენა ტრუბეცკომ ნერილში „ბაბილონის გოდოლი და ენათა აღრევა“ (ტრუბეცკოი ა). საილუსტრაციოდ იგი იმონებს ბულგარულ ენას, რომელიც, ერთი მხრივ, მიეკუთვნება სლავურ ენათა ოჯახს, სერბულ-ხორვატულთან, რუსულთან, პოლონურთან და სხვა ენებთან ერთად, ხოლო მეორე მხრივ, ახალ ბერძნულთან, ალბანურთან და რუმინულთან ერთად ეკუთვნის ბალკანურ ენობრივ კავშირს. ენობრივ ოჯახს ახასიათებს ნამეშკვიდრევი საერთო ლექსიკური და გრამატიკული რეკვიზიტი და ბგერითი შესატყვისობები ამ რეკვიზიტში, რაც მიუთითებს მათ საერთო წყაროზე და იძლევა საერთო ფუძეფორმების აღდგენის საშუალებას. ენობრივი კავშირის მახასიათებელია ორი ან მეტი ურთიერთმეზობელი ენების სტრუქტურაში გაჩენილი მსგავსებაა, რაც უტოლდება დამოუკიდებელი ენობრივი სისტემის შექმნას.

სახელმწიფო კავშირები განსხვავდება ერთმანეთისგან შინაარსითა და მოქნილობით, მაგალითად, არსებობს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო კავშირები. სამხედრო კავშირები, თავის მხრივ, განსხვავდება ერთმანეთისგან მოვალეობების ხარისხითა და ხასიათით (მაგალითად, თავდასხმითი და თავდაცვითი კავშირები, რომლებიც იქნება რომელიმე ერთი კონკრეტული ან ნებისმიერი „მშვიდობის დამრღვევის“ წინააღმდეგ. ერთი და იგივე სახელმწიფო შეიძლება იყოს დაკავშირებული ერთდროულად რამდენიმე განსხვავებულ კონტრაგენტთან, რომლებიც, თავის მხრივ, შედიან არაერთგვაროვან ან რაოდენობრივი შედგენილობით განსხვავებულ კავშირებში. – ენაში არსებობს რამდენიმე სისტემა; ბგერითი აგებულება, სიტყვათა ფორმაცვალებადობის რე-

პერტუარი (მორფოლოგია), სიტყვათშეთანხმებების სახეთა რეპერტუარი (სინტაქსი), ლექსიკა, ფრაზეოლოგია, – ამთგან ყოველი ცალკე აღებული სისტემა დახშულია და ქმნის ერთი ენის განსხვავებული *პლანებს*; ენა – სისტემათა სისტემა (სისტემების შემცველი სისტემა). სახელმწიფო კავშირების მსგავსად არსებობს ერთპლანიანი და მრავალპლანიანი ენობრივი კავშირები. ერთი ენობრივი პლანის ფარგლებში ენათა შორის შესაძლებელია სტრუქტურული სიახლოვის განსხვავებული ხარისხი, ხოლო იგივე ენა სხვა რომელიმე პლანით ან თვისებებით შეიძლება განსხვავებულ (კონცენტრირებულ ან უბრალოდ გადამკვეთ) ენობრივ კავშირებს ეკუთვნოდეს: თუ შემოსენებულ ბალკანურ ენობრივ კავშირს განსაკუთრებით ახასიათებს მსგავსება მორფოლოგიურ ანუ სიტყვათა ფორმაცვალების სისტემებში<sup>1</sup>, რომანულ-გერმანიკული დასავლეთის ენებს უფრო მეტად ახასიათებთ სიახლოვე სინტაქსურ აგებულებაში. გერმანელი ენათმეცნიერი ვალტერ პორციგი იმასაც კი თვლის შესაძლებლად, რომ სინტაქსის ჭრილში ეს ენები ერთი ენის სხვადასხვა დიალექტად ჩავთვალოთ – *Sprache des Abendlandes*. ამ, „დასავლეთის ენის“ სინტაქსის შექმნა არის ინდოევროპული ენათმეცნიერების ერთი საჭირობოტო და კეთილშობილური ამოცანა (150).

## 2.

ევრაზიული ენობრივი კავშირის პრობლემა თანამედროვე მეცნიერებაში. – მცენარეული საფარის, ფესვთა სისტემისა და კლიმატური პირობების მიხედვით ევრაზია წარმოგვიდგება ტიპურ „რამდენიმე მახასიათებლის მქონე“ რაიონად, განსაკუთრებულ, თავისებურ და მთლიანობრივ გეოგრაფიულ სამყაროდ. სწორედ ამ დასკვნამდე მივიდნენ ბოლო ათწლეულში გეოგრაფიული მეცნიერების წარმომადგენლები, რომელთაგან ეს დასკვნები სინთეზური სიცხადით გამოსცა პ. ნ. სავიციკიმ თავის შრომებში.

ყოველწლიურად თვალსაჩინო ხდება (რამდენადაც სწორედ აქვთ არის მიმართული სამეცნიერო კვლევები) ის შესაბამისობა, მჭიდრო კანონზომიერი კავშირი, რომელიც არსებობს სხვადასხვა სახის მოვლენებს შორის. თუმცა ამ მოვლენათა კავშირი არ უნდა გავიაზროთ მათი საზღვრების მექანიკურ დამთხვევად. ჩვეულებრივ, ურთიერთშესაბამისობაში მყოფი მახასიათებლების გადამკვეთი ხაზები ჯგუფდება კონებად. სხვადასხვა მოვლენა ერთმანეთს შეიძლება დაუკავშირდეს ქრონოლოგიურად ან ტერიტორიულად. თუმცა ეს შესაბამისობა როგორც დროში, ისე სივრცეში არ ზღუდავს თავად ამ მოვლენის შინაგან კანონზომიერებებს. პირობით, შესაბამისობებს ვერც კი შევამჩნევთ ცალკეული სფეროს წინასწარი იმანენტური განხილვის გარეშე. ეს აუცილებელი წინაპირობაა. აუცილებელია ყოველი სფე-

<sup>1</sup> თუმცა მორფოლოგიური მსგავსების გარდა ბალკანური კავშირის ენებს აქვთ საერთო ნიშნები სინტაქსტში, ლექსიკურ მნიშვნელობებსა და ბგერით აგებულებაში (იხ. სელიშვიი ა).



როს სტრუქტურული მრავალფეროვნების შესწავლა მის კონკრეტულ გამოვლინებაში – ისტორიული მრავალფეროვნება უნდა შევისწავლოთ ზონალურობის კანონზომიერებით. ერთი სფეროს მრავალფეროვნება მექანიკურად არ გამოიყვანება მეორე სფეროს მრავალფეროვნებიდან. აქ არ არის ერთმნიშვნელოვანი მიმართება ბაზისებსა და ზედნაშენებს შორის. მეცნიერების ამოცანაა მრავალპლანიანი მოვლენების ურთიერთგადამკვეთი ხაზების კოორდინირების ჩვენება, სხვადასხვა პლანს შორის კავშირის კანონზომიერების ამოხსნა. კვლევის ამ გზას ეწოდოთ *დაკავშირების* მეთოდი და ამგვარად ვაქციოთ სამეცნიერო ტერმინად თანამედროვე რუსეთის ლექსიკონის მოქნილი სიტყვა. ამ მეთოდის ერთ-ერთი გამოვლინებაა ცნება *მოქმედების განვითარების ადგილი*, რომელიც ერთ მთლიანობად აქცევს სოციალურ-ისტორიულ გარემოსა და მის ტერიტორიას (ტერმინი და მისი განსაზღვრება ეკუთვნის სავიციკი ა:თავი IV).

განსხვავდება თუ არა ამ თვალსაზრისით ევრაზიული გეოგრაფიული სამყარო სხვა, მისი მეზობელი, უპირველეს ყოვლისა, ევროპული და აზიური სამყაროებისაგან? სამეურნეო და ფიზიკური გეოგრაფია აჩვენებს ევრაზიული სამყაროს მთლიანობას. ევრაზიის ისტორიული ბედი ამტკიცებს მის განუყოფელობას. სისხლის რასობრივი კოეფიციენტის შესწავლა ნათელყოფს ევრაზიის ხალხთა არსებით ანთროპოლოგიურ სხვაობას ევროპელებისა და აზიელებისგან. და ბოლოს, ეთნოლოგია, რომელმაც გადალახა თავისი მრავალპლანიანი დამოკიდებულება ენათა ნათესაობის სქემასთან, ადგენს ევრაზიული კულტურული წრისათვის დამახასიათებელ თვისებებს (მდრ. ტრუბეცკოი ბ და ზელენინი).

ტრუბეცკოიმ სტატიაში – „თურანული ელემენტი რუსულ კულტურაში“ – დამაჯერებლად აჩვენა მჭიდრო კავშირი, ერთი მხრივ, რუსულ და თურანულ სულიერ სამყაროს შორის და, მეორე მხრივ, თურანული სულიერი სამყაროს სტრუქტურასა და თურანულ ენებს შორის (ბ:34-53)<sup>1</sup>. ამ ორი მიმართებიდან ლოგიკური აუცილებლობით გამომდინარეობს ახალი სამეცნიერო პრობლემა, და ა. მეიემ, რომელმაც დადებითად დაახასიათა ტრუბეცკოის სტატია, მკაფიოდ ჩამოაყალიბა ეს ამოცანა: უნდა აისხნას რუსულ და თურანულ ენებს შორის შინაგანი კავშირი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დგება ევრაზიის ენათა სტრუქტურული ერთიანობის საკითხი.

სავიციკიმ (იხ. c) პირველად შეაპირისპირა ერთმანეთთან რუსული ენობრივი სამყაროს დიალექტური დაყოფა და ფიზიკური გეოგრა-

---

<sup>1</sup> თურანული ანუ ურალურ-ალათაურ ენათა რიცხვს მიეკუთვნება ურალური ენობრივი ოჯახი (ფინურ-უგარიტული შტო და სამოედური) და ალათაური ოჯახი (თურქულ-ჩუვაშური შტო, მონღოლური და ტუნგუსურ-მანჯურიული). რა აერთიანებდა ურალურ ენებს ალათაურთან – ნათესაობა თუ ერთი ენობრივი კავშირის ნეკრი ენებისთვის საერთო თვისებები – ეს საკითხი მეცნიერებისთვის ჯერაც არ არის ნათელი.

ფიის მონაცემები. მან აღმოაჩინა მოულოდნელი პარალელიზმი ურალამდე ტერიტორიისთვის დამახასიათებელ კლიმატურ იზოხაზებსა და რუსულის მთავარ იზოგლოსებს შორის (ე. ი. იმ დიალექტურ მოვლენათა საზღვრებს შორის, რომლებიც უძველეს საფუძვლად რუსული ენის დიალექტების კლასიფიკაციას). ის მოულოდნელი გარემოება, რომ რუსული ენის დიალექტური რუკა ასახავს ევრაზიული გეოგრაფიული სამყაროს ზონალურ დაყოფას, გვიბიძგებს გავაფართოვოთ კვლევის საზღვრები და რუსული ენობრივ მასივთან ერთად ვიკვლიოთ ევრაზიის ენობრივი მრავალფეროვნება ზოგადი გეოგრაფიის მონაცემების გათვალისწინებით და კვლავ ძირითადი, ამოსავალი კითხვა: არის კი ერთიანობა ევროპელისთვის დამახინველ მრავალენოვნებაში? რა არის ეს – შემთხვევითი კრებული, ქაოსური სიმრავლე თუ კანონზომიერი და ჰარმონიული კავშირი?

მეცნიერებაში ამ საკითხის დაგვიანებით დასმა (ამ ჯერზე გადავდოთ ზოგადფილოსოფიური ნანამძღვრები) გამონვეულია ფუნქციონალური პრობლემატიკის ნაცვლად გენეტიკური ინტერესების სიჭარბით. ეს კი ენათმეცნიერთა უმრავლესობას აჯაჭვავდა ამა თუ იმ ცალკეულ ენობრივ ოჯახთან. რუსისტი სწავლობდა რუსულ ენას მხოლოდ სლავურ ენათა კონტექსტში, მაგრამ არა რუსეთში გარცელებულ ენათა კონტექსტში. ჩრდილში რჩებოდა რუსეთში გავრცელებული ენების ურთიერთგავლენა და კონვერგენციული განვითარება, ანუ საკითხთა სწორედ ის წრე, რომელიც ენათმეცნიერებამ უნდა შეიტანოს რუსეთისმცოდნეობის სინთეზურ დისციპლინებში.

მიუხედავად აღმოსავლურ სლავური და ფინურ-უგარიტული ენების მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრებისა, როგორც მართებულია აღნიშნავს ა. პ. პოგოდინი, ბოლო დრომდე „რუსულ მეცნიერებაში ძალიან ცოტას ესმოდა ფინურ-უგარიტული ენათმეცნიერების მნიშვნელობა ჩვენთვის“. რევოლუციამდე რუსულისა და ფინურ-უგარიტული ენების ეპიზოდურ და არაორგანიზებულ კვლევას პოგოდინი უპირისპირებს ახალი დროის არცთუ მცირე მიღწევებს: „თანამედროვე რუსეთში მიმდინარე უწყვეტმა მოძრაობამ მოიცვა მრავალი ახალი საკითხი და მასალა, რომლებიც ადრე რჩებოდა სამეცნიერო ინტერესების გარეთ, ახლა კი მოითხოვს ახალი მეცნიერული ძალების ჩართვას. ეს არის ნამდვილად დადებითი მოვლენა“. დაახლოებით ასეთი მდგომარეობაა რუსეთის სხვა არარუსული ენების მიმართაც.

თანამედროვე რუსულ ენათმეცნიერებას ახასიათებს რუსული ენის გეოგრაფიულად ახლო, მაგრამ ნარმოშობით რუსულისგან განსხვავებულ ენებთან შეპირისპირება. თუ ეს შეპირისპირება უმეტესად მხოლოდ სიტყვათა სესხების გამოვლენას ისახავდა მიზნად, ახლა პრობლემათა წრე გაფართოებულია. შეისწავლება ის ცვლილებები, რომლებიც განიცადა რუსულმა არარუსი ხალხების მიერ მისი გამოყენების დროს: ა. ს. სელიშევის შრომები ვოლგისპირეთის ნაციონალურ უმცირესობათა რუსულის თაობაზე (სელიშევი კ, d) ა. პ. გეორგიევსკის მასალები „შორეული აღმოსავლეთის მხარის ენათა მეტისაციისათ-

ვის", ე. დ. პოლივანოვის შენიშვნები ნაციონალურ უმცირესობათა ენობრივი ჩვევებისა და რუსულის ურთიერთმიმართების თაობაზე და სხვა. შეისწავლება მეზობელი ენების გავლენები არა მხოლოდ ლექსიკაზე, არამედ ბგერით და გრამატიკულ აგებულებაზე. ასეთია, მაგალითად, ვ. ნ. ბაუშევის შრომა, რომელშიც ნაკვლევი რუსულის გავლენა ვოტიაკური სალიტერატურო ენის სინტაქსზე, ან სელიშევის მოსაზრებები რუსული ენის ციმბირული კილოების ფონეტიკაზე უცხოენოვანი გავლენის შესახებ (სელიშევი ხ). ადრეც არაერთგზის დაისვა საკითხი ჩრდილო-ველიკორუსულზე ფინურის ბგერითი სისტემის გავლენის შესახებ, მაგრამ მხოლოდ ახლა ტრუბეცკოის საერთორუსული ენობრივი ერთიანობის დაშლის შესახებ დაწერილ ნაშრომში ეს ფონეტიკური გავლენა ამოიხსნა საბოლოოდ (ტრუბეცკოი e:293). თუმცა გავლენა პრობლემის მხოლოდ ერთი მხარეა. ეს ენობრივი თანაცხოვრების უმარტივესი პროდუქტია. არის შემთვევები, როცა რთულდება ახსნა, რასთან გვაქვს საქმე – უბრალო სესხებასთან თუ კონვერგენციული განვითარების შედეგთან. სესხება და კონვერგენცია, როგორც უკვე ვნერდი ერთხელ, არც გამორიცხავენ და კატეგორიულადაც ვერ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. მნიშვნელოვანია არა სესხების ფაქტი თავისთავად, არამედ მისი ფუნქცია მსესხებელი ენობრივი სისტემის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სწორედ ასეთ სიახლეებზეა მოთხოვნა, რომ იგი სანქცირებულია სისტემის მიერ და შეესაბამება მის შესაძლებლობებსა და საჭიროებებს (ტრუბეცკოი ხ:96-98). სესხება უმეტესად კონვერგენციის განსაკუთრებული შემთხვევაა. უმთავრესი პრობლემა ურთიერთმოსაზღვრე ენების შეპირისპირებისას არის მათი კონვერგენციული განვითარება. ევრაზიის ენებისთვის მნიშვნელოვანია დ. ვ. ბუბრიხის თეზისები (ბუბრიხი ხ). რადგან ეს მკვლევარი ერთდროულად სლავისტიც არის და ფონოლოგიც, იგი ხაზს უსვამს რუსული და მორდვული ენების ფონოლოგიურ სისტემათა სიახლოვეს<sup>1</sup> და მიუთითებს, რომ ეს სიახლოვე მხოლოდ ცალმხრივი გავლენის შედეგი არ შეიძლება იყოს. ცალკეული ენების შეპირისპირებები ნელ-ნელა ამზადებს ისეთი დიდი პრობლემის გადწყვეტას, როგორცაა ევრაზიის ენებისთვის დამახასიათებელი საერთო თვისებების დადგენა.

ევრაზიის ხალხთა რწმენა-წარმოდგენებში სიტყვის აკრძალვის (ტაბუს) შესახებ დ. კ. ზელენინი უმნიშვნელოვანეს ნაშრომში აჩვენებს, რომ „ევრაზიის მრავალი ტომისაგან შემდგარ ხალხებში შეინიშნება შედარებითი ერთგვაროვნება სიტყვათა აკრძალვის თვალსაზრისით... მათ ტაბუს მიხედვით უფრო მეტი საერთო აქვთ, ვიდრე – განსხვავებული“. ევრაზიის ხალხების ენებში ტაბუს ფუნქციური თავისებურებები იმდენად განსხვავებულია, რომ ის სამეცნიერო კონცეფციები, რომლებიც ემყარება არაევრაზიელთა სიტყვიერ ტაბუს, არ გამოდგე-

<sup>1</sup> ფონოლოგიური სისტემა – ეს არის ისეთი ბგერითი ინვენტარი, რომელიც მოცემულ ენაში შეიძლება ქმნიდეს მნიშვნელობათა სხვაობას.

ბა ევრაზიული მასალისათვის. „ტაბუს ფსიქოლოგიისა და გენეტიკის ახსნისას ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ შევძელით ჯ. ფრეზერის თეორიის გამოყენება, უმეტესად კი ჩვენი აზრები იყოფოდა. ეს მდგომარეობა შეიძლება აიხსნას ევრაზიული კულტურული ციკლის სხვაობით მსოფლიოს სხვა ქვეყნების კულტურისგან, რომლის ანალიზსაც ეყრდნობა ფრეზერის თეორია“ (ზელენინი, 4). ზელენინი ახასიათებს აკრძალული სიტყვის როლს ევრაზიის ხალხთა მითოლოგიაში, იმ წარმოდგენებს, რომლებიც არსებობს სახელსა და მის მქონეს შორის, შემცველი სიტყვებისა და საიდუმლო ენების ფუნქციებს, ასევე სიტყვის ტაბუსა და წარმოებას შორის მიმართებებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი ადგენს იმ ზოგადევრაზიულ მიმართებებს, რომლებიც ახასიათებს მეტყველის დამოკიდებულებას სიტყვისადმი. იქ, სადაც ერთნაირ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ სიტყვისადმი, ენობრივი კულტურის ერთიანობა ჩანს და, ბუნებრივია, რომ დაეუშვათ დამთხვევები უშუალოდ ენობრივ სტრუქტურაშიც.

### 3.


**ფონოლოგიის ანბანი და ფონოლოგიური გეოგრაფიის პრობლემა.** - რადგან ენის სხვადასხვა სფეროდან ყველაზე მეტად ამჟამად ლინგვისტიკა ენის ბგერით აგებულებას სწავლობს და რადგან ურთიერთმეზობლად გავრცელებული ენების კვლევა შეიძლება სწორედ ყველაზე ნაყოფიერი იყოს, რა თქმა უნდა, დიდი მეთოდოლოგიური სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო.

ყველა მსგავსება ერთნაირი ღირებულების არ არის. არსებობს მსგავსების განსხვავებული ტიპები. ორი ენა შეიძლება იყენებდეს მსგავს ბგერით ელემენტებს, მაგრამ ამ მასალის როლი ორივე ენაში განსხვავებული იყოს. ერთ ენაში, ორი განსხვავებული ბგერა შეიძლება იძლეოდეს განსხვავებულ სიტყვებს, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქმნიდეს *ფონოლოგიურ* სხვაობას. ასეთ შემთხვევაში ენათმეცნიერება მსჯელობს ორ განსხვავებულ *ფონემაზე*<sup>1</sup>. მეორე ენაში არის ორივე ეს ბგერა, მაგრამ ისინი ერთმანეთს ვერ ენაცვლებიან ერთსა და იმავე პოზიციაში და მათი არჩევა განპირობებულია ბგერითი გარემოცვით. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთი ფონემის კომბინატორულ ვარიანტებთან. მაგალითად: რუსული *н* [ი] და *у* [უ]. ორი სხვადასხვა ფონემაა (*შდრ. Изорь - узорь*) ხოლო ყაბარდოულში ერთი ფონემის ორი კომბინატორული ვარიანტია, რომელიც თანხმოვანთა ერთ ნყებასთან რეალიზდება როგორც *н* [ი], ხოლო სხვა თანხმოვნების შემდეგ რო-

<sup>1</sup> ფონემები ეწოდება ფონოლოგიური დაპირისპირების ისეთ ნევრებს, რომლებიც აღარ იძლება უფრო მცირე ფონოლოგიურ დაპირისპირებად (ამ დროისთვის ჯერ ტერმინი ფონოლოგიური ოპოზიცია გამოყენებული არ არის - თ. ბ.). ფონემის ყველაზე მარტივი განსაზღვრება ასეთია: ფონემა არის ისეთი ბგერა, რომელსაც აქვს მოცემულ ენაში სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია, ანუ შეუძლია სიტყვითი მნიშვნელობების დიფერენცირება.

გორც - y [უ]. რუსულ ენაში ფონემა e [ე] რბილი თანხმოვნების წინ რეალიზდება როგორც დახურული, ანუ უფრო მაღალი ანეულობის ე ხმოვანი (*emu*), ხოლო მაგარი თანხმოვნების წინ როგორც დახურული ე, რომელსაც არ ახასიათებს მაღალი ანეულობა (*emom*)<sup>1</sup>. ღია e და დახურული e ერთი ფონემის კომბინატორული ვარიანტებია. ფრანგულში ან იტალიურში ორივე ეს ბგერა შეიძლება შეგვხვდეს ერთსა და იმავე პოზიციაში, მათ აქვთ სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია. ეს ორი დამოუკიდებელი ფონემაა. შდრ. ფრანგული სიტყვები *dé* (სათითე), *lé* (სიგანე), რომლებშიც e დახურული ხმოვანია და *dais* (ბალდახინი), *lait* (რძე), რომლებშიც e ღიაა. ორი ენის ბგერითი შედგენილობის შეპირისპირებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, გარეგნულად მსგავსი ბგერები ერთნაირ ფუნქციას ასრულებენ თუ არა შესაძარებელ ენებში.

მაგრამ მხოლოდ ამის გათვალისწინება საკმარისი არ არის. ნაკლებად ნაყოფიერი იქნებოდა ორი ენის ცალკეული ფონემების შედარება. არ შეიძლება ენის ფონოლოგიური ინვენტარის წარმოდგენა ფონემათა მექანიკურ ჯამად. ფონემები ერთმანეთთან ამყარებენ გარკვეულ ურთიერთობებს, ისინი ქმნიან სისტემას. არცთუ იშვიათად ერთი ენის ფონემა მეორე ენის ფონემის მსგავსია, მაგრამ იგი განსხვავდება ფონოლოგიურ სისტემაში თავისი ფუნქციით. მაგალითისთვის ერთმანეთის შევეპირისპიროთ ხმოვანთა სისტემა სამ სხვადასხვა ენაში:



პირველ და მეორე სისტემაში არის ფონემები o და e, მაგრამ მათ განსხვავებული მდგომარეობა აქვთ სისტემაში. II ენაში ისინი ქმნიან სამკუთხედის წვეროებს: o - აუკუსტიკურად ყველაზე დაბალია, ხოლო e - სისტემის ყველაზე მაღალი ხმოვანია; I ენაში o და e ხმოვნები ფონეტიკურად „სამშუალო იარუსს“ მიეკუთვნებიან მაშინ, როცა აკუსტიკურად ყველაზე დაბალი ფონემა ამ სისტემაში არის y, ხოლო ყველაზე მაღალი - u. II ენის o და e ხმოვნებთან ფუნქციურად ახლოსაა I ენის y და u, ვიდრე გარეგნულად ერთსა და იმავე ადგილებში განაწილებული o და e ფონემები. II ენის უახლოესი პარალელი III ენაა. ეს ორი სამფონემიანი სისტემა ფონოლოგიურად მსგავსია; ოღონდ II სისტემაში ანეულობის მიხედვით ყველაზე დაბალი ფონემაა o, III სისტემაში კი - y. შესაბამისად, ყველაზე მაღალი ანეულობის ფონემა, ერთ შემთხვევაში არის e, მეორე შემთხვევაში კი - u. ორი ენის ბგერითი სის-

<sup>1</sup> თანხმოვანთა *სირბილე* და *სიმეგრე* ახსნილია მე-5 თავში.

ტემის შეპირისპირებისას უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ ბგერათა სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქციები ფონოლოგიური სისტემის შიგნით, არამედ თვით ამ ფონემების მიმართება სისტემაში. უპირველეს ყოვლისა, არსებითია ფონემებს შორის ურთიერთობის ამსახველი ე. წ. **კორელაციის** გამოვლენა. ორ ფონემას აქვს საერთო აკუსტიკური თვისებები და ერთი დიფერენციალური მახასიათებელი: ერთს ამათვან აქვს მოცემული აკუსტიკური თვისება, მეორეს კი – არა. იგივე თვისება განასხვავებს ფონემათა კიდევ რამდენიმე წყვილს ამავე სისტემაში. ასეთი განმეორებადობის გამო ენობრივი აზროვნება აქცევს დიფერენციალურ ნიშანს აბსტრაქციად და შეიძლება განიხილებოდეს ფონემათა წყვილებისგან მონყვევითაც. მეორე მხრივ, ხდება თითოეული წყვილის საერთო თვისებების აბსტრაგირებაც და ეს სუბსტრაქტი არის ფონოლოგიურ სისტემაში რეალური ერთეული. დაეასახელოთ ფონოლოგიური კორელაციის მაგალითები:

– **ხმოვანთა რაოდენობრივი კორელაცია.** ბევრ ენაში, მაგალითად, ჩეხურში, მადიარულში, ლათინურში, სერბულში, ძველბერძნულში ერთმანეთს უპირისპირდება ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე. მაგალითად, სერბულში ერთმანეთს უპირისპირდება *ā* (გრძელი *a*) და *a*, *ō* და *o*, *ē* და *e*, *y* და *y*, *ū* და *u*. ხმოვანთა რაოდენობრივი სხვაობას ამ ენებში აქვთ სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია. შდრ. მაგალითად, ჩეხური სიტყვები: *muži (muži)* – *muži (muže)* – *míši (muši)* – *múši (muše)*. ხმოვანთა სხვაობა სიგრძე-სიმოკლის მიხედვით ანუ ხმოვანთა რაოდენობრივი დაპირისპირება, არსებობს ენობრივ აზროვნებაში ხმოვანთა კონკრეტული წყვილისგან დამოუკიდებლად. ამის საბალუსტრაციოდ გამოდგება რაოდენობრივი (ანუ მეტრული) ლექსთწყობა, რომელიც დაფუძნებულია ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლეზე. ამ ენების ფონოლოგიურ სისტემებში ხმოვანთა რაოდენობრივი სხვაობის იდეის გარეშე არსებობს *a*-ს იდეა, ხმოვნის სიგრძე-სიმოკლისგან დამოუკიდებლად. ამას აჩვენებს ასეთ ენებში რითმები, რომლებშიც გრძელი ხმოვნები მოკლე ხმოვნებს უპირისპირდება.

– **დინამიკური (სიძლიერის) კორელაცია:** ძლიერი მახვილი – უმახვილობა. მაგალითად, რუსული წყვილები: *á–a* უმახვილო, *ý–y* უმახვილო, *ü–u* უმახვილო. მახვილიან და უმახვილო ხმოვნებს აქვს სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია: *рѣка-рѣка, мѣка-мѣка, зѣмка-зѣмка, нѣтъ-нѣтъ; пона́дѣть-понадѣть, нѣдою-подою, нѣтѣ-на́тѣ-по.тѣтѣ* (ან იგივე ფონოლოგიური ჩანერით: *нѣтѣ-на́тѣ-по.тѣтѣ*).

ყოველ ენას აქვს კორელაციათა სერია და სწორედ ეს კორელაციები განაპირობებენ ენის ფონოლოგიურ აგებულებას. რუსული ფონოლოგიური სისტემა მოიცავს, უპირველესად, დინამიკურ კორელაციას, რომელიც არ არის დამოკიდებული ხმოვანთა რაოდენობრივ კორელაციაზე. მეორე მხრივ, ახასიათებს თანხმოვანთა ორგვარი კორელაცია: ტემპული დაპირისპირება (თანხმოვანთა სირბილე-სიმაგრე) (ამაზე დანვრილებით ვიმსჯელებთ მე-5 თავში) და მჟღერობა. მჟღერობის კო-

რელაციის დიფერენციალური ნიშანია თანხმოვანთა წარმოთქმისას ხმის ტონის არსებობა-არარსებობა (თანხმოვანთა მჟღერობა-სიყრუე). მჟღერობის კორელაციას აქვს სიტყვათგანმასხვავებლური ფუნქცია: *ბა-მა, ჯაჰ-შაჰ, ნჰიუ-ნჰიუ*.

პოლონურში რუსულის მსგავსად თანხმოვანთა ორივე კორელაცია არსებობს, მაგრამ ხმოვანთა კორელაცია მას არ ახასიათებს. ჩეხურ ენას ახასიათებს თანხმოვანთა მჟღერობა-სიყრუე და ხმოვანთა რაოდენობრივი კორელაცია. ჩეხურში მახვილი მოდის სიტყვის პირველ მარცვალზე, პოლონურში – ბოლოსწინა მარცვალზე. ამკარად, ამ ენებში, რუსულისაგან განსხვავებით, მახვილის ადგილი განპირობებულია მხოლოდ გარეგნულად და არა აქვს სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია. აქედან გამომდინარე, სიტყვის ფონოლოგიას აქ არ ახასიათებს დინამიკური კორელაცია (იხ. იაკობსონი ა:26 და შემდეგი; ბოდუენ დე კურტენე ა:§27). სერბულ-ხორვატული ენის შტოკავურ კილოს ახასიათებს თანხმოვანთა მჟღერობა-სიყრუე და ხმოვანთა ორგვარი კორელაცია: მელოდური და რაოდენობრივი. მელოდური კორელაცია განარჩევს ხმის სიმაღლეს და ერთმანეთს უპირისპირდება ორი სახის მელოდიკა. შტოკავურში განირჩევა ხმოვნები აღმავალი და დამავალი ინტონაციით. მელოდიკურ კორელაციაში ორი სიტყვა შეიძლება სრულიად ერთნაირად გამოითქმებოდეს და მხოლოდ თანხმოვნის მელოდიკით განირჩეოდეს<sup>1</sup>.

რამდენიმე მაგალითი ვუკა კარაჯიჩის ლექსიკონიდან:

**აღმავალი მახვილი  
| მარცვალზე**

села=род. ед. - села  
басма=тисненное полотно  
сјеница=синица  
бацати=метать  
лӯка=лут

**აღმავალი მახვილი  
| მარცვალზე**

села=им. мн. - села  
басма=заклинания  
сјеница=беседка  
бацати=колоть  
Лӯка=Лука

შტოკავური სიტყვის ფონოლოგიაში არ არის კორელაცია „მახვილიანი-უმახვილო“. მახვილის ადგილი აქ განპირობებულია გარეგანი ფაქტორებით მსგავსად ჩეხურისა და პოლონურისა. შტოკავურში მახ-

<sup>1</sup> სერბი ენათმეცნიერი რად. კომუტიჩი მიუთითებს, რომ რუსულში არსებობს მარცვლის ორი განსხვავებული ინტონაცია, რომლებიც მოსმენით შეესატყვისებთან სერბულს: რუსულ ღია მარცვალს (რომელიც ხმოვნით ბოლოვდება) ახასიათებს აღმავალი მახვილი – *иуу*, ხოლო დახურულ მარცვლებს (ესე იგი თანხმოვანზე დაბოლოებულს) დამავალი მახვილი – *иуут* (თავი მე-2). ამდენად, რუსულში აღმავალი და დამავალი მახვილის მქონე ერთი და იგივე ხმოვანი ერთი ფონემის კომბინატორული ვარიანტებია მაშინ, როცა სერბულში ეს ორი კორელაციური ფონემაა.

ვილი მოუდის აღმავალი ინტონაციის მარცვალს, თუ სიტყვაში ასეთი მარცვალი არ არის, მაშინ მახვილი სიტყვის პირველ მარცვალზე მოდის.

როგორც მელიორდიკურ (ე. წ. *პოლიტონურ*) კორელაციას, ისე მის არარსებობას (მონოტონიას) უკავშირდება ენის ფონოლოგიური სისტემის მთელი რიგი თავისებურებანი. მაგალითად, პოლიტონურ ენებს აუცილებლად ახასიათებს ხმოვანთა რაოდენობრივი კორელაცია, ხოლო მონოტონიის მქონე ენებისთვის შეუთავსებელია კორელაციასთან „მახვილიანი-უმახვილო“. ერთი სიტყვით, პოლიტონურობა (და შესაბამისად მონოტონიაც) თვალსაჩინოდ განსაზღვრავს ფონოლოგიური სისტემის ხასიათს.

ფონოლოგიური სისტემის ძირითადი პრინციპები დღეისათვის უკვე შემუშავებულია, მაგრამ სხვადასხვა ენის ფონოლოგიური სისტემების კონკრეტული აღწერილობა ჯერაც ცოტაა. ამა თუ იმ ენის ბგერითი სისტემის ტრადიციული აღწერილობები ფონოლოგიური ინტერპრეტაციისთვის ნაკლებად გამოსადეგია. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭირო ხდება მასალის საფუძვლიანი გადამუშავება ახალი თვალსაზრისით და სანამ ასეთი აღწერილობები არა გვაქვს, შეუძლებელია აქტუალური ლინგვისტური ამოცანის შესრულება – ფონოლოგიური მოვლენების კარტოგრაფია, მსოფლიოს ფონოლოგიური დარაიონება. მუხრუჭდება *ფონოლოგიური გეოგრაფიის* - დიდი მომავლის მქონე ამ ახალი სამეცნიერო დისციპლინის - განვითარება.

მაგრამ ახლაც კი, იმ ფრაგმენტულ მასალებზე დაყრდნობით, რომლებსაც იყენებს შედარებითი ფონოლოგია, შეიძლება ითქვას, რომ ფონოლოგიური სტრუქტურების ძირითადი პრინციპები, კერძოდ კი, სხვადასხვა კორელაცია, მხოლოდ იზოლირებულ ენებს და ენათა ოჯახებს არ ახასიათებს. უფრო ბუნებრივია ფონოლოგიური ენობრივი კავშირები, ფართოდ გავრცელებული იზოფონები (ფონოლოგიური მოვლენების საზღვრები), ვიდრე ფონოლოგიური კუნძულები. გეოგრაფიულ რუკაზე ცალკეული კორელაციების დატანა ამდიდრებს სურათს მოქნილ ზონათა სიუხვით. ეს ზონები გაბნეული კორელაციებით მოზაიკურად კვეთენ ცალკეული ენების საზღვრებს. მე ვცაადე ფონოლოგიურ კორელაციაზე დაყრდნობით გამომეყო ზონები თანამედროვე სლავურ ენობრივ სამყაროში და თან მეჩვენებინა სხვა წარმომავლობის ენათა მიკუთვნებულობა ამა თუ იმ ზონისათვის (იაკობსონი b:79,109). დამახასიათებელია, მაგალითად, ახალბერძნულის ფონოლოგიის მსგავსებანი ბულგარულთან (სიძლირის კორელაცია და სხვა), მადიარულის მსგავსება ჩეხოსლოვაკურთან (რაოდენობრივი კორელაცია, ძლიერი მახვილი, თანხმოვან ფონემათა შემადგენლობაში მსგავსება და სხვა). როგორც ჩანს, კორელაციათა ზონების დადგენა განსაკუთრებით ნაყოფიერი იქნება<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ფონოლოგიური გეოგრაფიის საწყისებს ვხვდებით ვ. შმიდტის საინტერესო ნიგნში „ენობრივი ოჯახები და დედამინის ენობრივი წრეები“. ავტორისთვის



ენათმეცნიერებამ უნდა გაითვალისწინოს ყველა ის შედეგი, რაც ახლავს ფონოლოგიური კავშირების გავრცელებულობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილი შესაძლებელია ნაკლებად ცნობილი ისტორიის, ურთიერთმეზობლად გავრცელებული ენების ესა თუ ის ფონოლოგიური თვისება, რომელიც ფონოლოგიური კავშირისთვის არის დამახასიათებელი გენეტიკურ სიმპტომად ჩავთვალოთ და ენობრივ ოჯახად მი-

ფონოლოგიური კრიტერიუმები დედამიწის ლინგვისტური დარაიონებისთვის მხოლოდ მეორეხარისხოვან, დამხმარე როლს ასრულებს გრამატიკულ (მორფოლოგიურ და სინტაქსურ) მახასიათებლებთან შედარებით. მაგრამ რამდენადაც შმიდტი იკვლევს ბგერითი მოვლენების გეოგრაფიულ გავრცელებულობას, იგი ცდლობს ერთმანეთისაგან გამოიხსნოს ფონოლოგიური და არაფონოლოგიური ფაქტები ანუ ფონემები და კომბინატორული ვარიანტები (იხ. შმიდტის შენიშვნები 274, 282 გვერდებზე). ეს არის ამ ნაშრომის მნიშვნელოვანი აქტივი. შმიდტი არა მხოლოდ არეგისტრირებს სხვადასხვა ენობრივ სტრუქტურებსა და მათ გავრცელებას, არამედ იგი ერთმანეთს ადარებს ენობრივი მოვლენების ზონებსა და კულტურულ ზონებს. ავტორი ევოლუციონიზმის მონიშნაღმდეგეა, მაგრამ მან მაინც ვერ გაუძლო ევოლუციონიზმის თავდაპირველ ცოდვას: ევროპული ევოლუციონიზმი რჩება მისი ნაშრომის ძირითად ნაკლად. დადგენილია ეთნოლოგიური კულტურული ნრეების კიბე: *Urkulturen*, *fortgeschrittene Kulturen*, *weiter fortgeschrittene Kulturen*, *Hockkulturen* (პრაკულტურები, პროგრესული კულტურები, უფრო მეტად დანინაურებული კულტურები, მაღალი კულტურები). შესაბამისად, შეფასებულია ენობრივი, კერძოდ კი, ფონოლოგიური მოვლენები. არ არის გათვალისწინებული, რომ ენაში ამა თუ იმ ფონოლოგიური მახასიათებლის არარსებობა კომპენსირებულია ფონემათა სხვა დაპირისპირებებით, ფონემათა სხვაგვარი დაჯგუფებით. იმის ნაცვლად, რომ ამა თუ იმ კორელაციის არარსებობა დააკავშიროს ამავე ენობრივი სისტემის დადებით სტრუქტურულ თავისებურებებთან, შმიდტი ამას ხსნის ამ კულტურის სიღარიბით (მაგალითად, შმიდტი: 530). პირიქით, ფონოლოგიური ფაქტის არსებობა, განსაკუთრებით კი ევროპული ენებისთვის დამახასიათებელი ფონოლოგიური ფაქტები შეფასებულია როგორც მაღალი კულტურული დონის ნიშანი. ინდაოევროპულ ენათა ხმოვნების დახასიათებისას ავტორი წერს: „არის რალაც განსაკუთრებულად დახვეწილი და ღრმა იმაში, რომ ამ ენობრივ ნრეში სწორედ ხმოვნები, როგორც ენის ყველაზე მსუბუქი და მედინი ელემენტები, ძალიან მოხერხებულია ფორმალურ ურთიერთობათა აღსანიშნად და ძირითადად სწორედ ამ როლისთვის გამოიყენება“ (შმიდტი 540, შდრ. ასევე 533, 537). ასეთი გაგებით ენობრივი განვითარების მრავალფეროვნებას ენაცვლება განვითარების დონეში სხვაობა. ცნება „ენობრივი ნრე“ თითქოს უახლოვდება „ენობრივი კავშირის ცნებას“, მაგრამ რადგან საკმარისად არ არის გათვალისწინებული ენებში დივერგენციის (განსხვავებული განვითარების) და კონვერგენციის (ერთგვარი განვითარების) როლი, ცნება „ნრე“ „ოჯახათა“ ერთად ხდება გენეტიკური გაგება და მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ პირველყოფილ კულტურათა ენების მიმართ (შდრ. შმიდტი, 521) და წრის თვისებები გამოიყენება თავისებურ პალეონათოლოგიურ მახასიათებლებად. როცა ავტორი არკვევს მახასიათებლის გეოგრაფიულ გავრცელებულობას, ყურადღებას არ აქცევს განსხვავებული დროის მოვლენებს და ერთ სიბრტყეზე აყენებს ძველი ბერძნულის, გოთურის, ძველი სლავური ენების ფონოლოგიურ მახასიათებლებსა და თანამედროვე ბალტური, კავკასიური, აფრიკული ენების თვისებებს (შმიდტი, 291 და შემდეგი).

ვიჩნით. ეს არაერთხელ მომხდარა ეგზოტიკურ ენათა სისტემატიზაციისას. ევროპული ენების ფონოლოგიისთვის არაბუნებრივი, ეგზოტიკური მახასიათებლები, რომლებიც შეინიშნება ზოგიერთ მეზობელ ენაში, ჩაუთვლიათ საერთო წარმოშობის თვისებებად.

#### 4.

ევრაზიის ენათა მონოტონია და მოსაზღვრე პოლიტონური ენობრივი კავშირები. – ფონოლოგიურ კორელაციების ზონალურობის კარგი მაგალითია პოლიტონიის გეოგრაფიული გავრცელებულობა<sup>1</sup>. პოლიტონურობა, ანუ ტონის მიხედვით დიფერენცირებულობა ახასიათებს განსხვავებული წარმომავლობის ენებს, რომლებიც ერთიანდებიან წყნარი ოკეანეთის ენობრივ კავშირში. ამ კავშირში შედის ჩინურ-ტიბეტურ ენათა ჯგუფი (ჩინური, ტიბეტური, ბირმული, სიამური და სხვა), ანამური და მალაიური ჯგუფები, იაპონური და აინური. პოლიტონურობა ახასიათებს ენობრივ კავშირებს ცენტრალურ აფრიკასა და ამერიკაში.

ბალტური ენებიც ქმნიან პოლიტონურ ენობრივ კავშირს. რაოდენობრივი თვალსაზრისით ეს ენობრივი კავშირი ჩამოუყარდება სხვა პოლიტონურ კავშირებს, თვით პოლიტონურობის გამოყენების ხარისხიც შედარებით დაბალია, მაგრამ ამის მიუხედავად სხვადასხვა წარმომშობის ენები, რომლებიც ბალტიისპირეთშია გავრცელებული, გამოირჩევიან პოლიტონურობით. ასეთებია: შვედური, ნორვეგიული, დანიური დიალექტთა დიდი ნაწილი, ბალტიისპირეთის ზოგი გერმანული კილოკავი, ჩრდილოკაშუბური დიალექტი, ლიტვური და ლატვიური<sup>2</sup>, ასეთივეა ლიეური და ესტონური ენები (შდრ. იაკობსონი ხ:60). მელოდიკური კორელაციის სიტყვათგანმასხვავებლური ფუნქციის მაგალითები ბალტურ ენათა ოჯახიდან:<sup>3</sup>

<sup>1</sup> თუ ენაში ტონის სიმალის სხვადასხვა სახეობა არსებობს, მაშინ მათ ურთიერთდაპირისპირებას შეუძლია განასხვავოს სიტყვის მნიშვნელობები და ასეთ ენებს პოლიტონურ ენებს ვუნოდებთ. პოლიტონურს მიეკუთვნებიან ისეთი ენებიც, რომლებიც მხოლოდ მარცვლის ფარგლებში განასხვავებენ ფონოლოგიურ მელოდიკას (ე. წ. მუსიკალური მარცვალთმახვილი) და ისეთებიც, რომლებშიც მახვილი არ არის კონკრეტულად რომელიმე მარცვალში ლოკალიზებული (მუსიკალური სიტყვათმახვილი). ასეთ ენებში ფონეტიკური მარცვალთმახვილი მხოლოდ ცალკეული შემთხვევაა და მხოლოდ ერთმარცვლიან სიტყვებში გვხვდება (შდრ. პოლივანოვი ა:წ 33).

<sup>2</sup> პოლიტონური იყო იმავე ენობრივი ოჯახის მესამე წევრი – პრუსიული, რომელიც XVIII საუკუნიდან გადაშენებულ ენებს მიეკუთვნება (იხ. მაგალითად, ფორტუნატოვი).

<sup>3</sup> მაგალითების წყარობად გამოყენებულია: შვედურისა და ნორვეგიულისათვის კოკი 7,23; დანიურისათვის – ეკლომი 17, ჩრდილოგერმანულისათვის – ლესკინი 11, ჩრდილოკაშუბურისათვის – ლორენცი 147 (შდრ. 90), ლიტვიურისათვის – კურშატი 60, ლატვიურისათვის – ენძელენი 57 და ესტონურისათვის – პოლივანოვი ა:202.

ენები	მაგალითები	პირველ მარცვალზე აღმავალი მახვილი	პირველ მარცვალზე დამავალი მახვილი
შვედური	giftet	შხამი	მეულლეობა (კოლქმრობა)
შვედური	regel	ნესი	ჩამკეტი
ნორვეგიული	kokken	მზარეული	მზარეული ქალი
დანიური	trykker	უჭერს	ბეჭდის დამსმელი//მბეჭდავი
ჩრდ. გერმან.	brüte	ხარშავს	პატარძალი
ჩრდ. კაშ.	čũuka	(მის) სასარგებლოდ	
ლიტვური	suditi	გასამართლება	დამარილება
ლიტვური	dviem	ორი (რამით)	ორ (მათგანს)
ლატვური	Seju	მე ვანათებდი (გბრწყინავდი) თუ ვთესავდი	მე ვაკავშირებდი
ესტონური	kaevu	ჭაში	ჭას

ყველა ბალტიურ ენაში, გარდა ლიტვურ-ლატვიური ოჯახისა, მელოდიკური კორელაცია ახალი წარმოქმნილია. ბალტიისპირეთის გარეთ, გერმანიკულ ენებში არ არის პოლიტონია, იგი არ გვხვდება თვით ნორვეგიულის უახლოეს მეზობლებში – ისლანდიურისა და ფერერის კუნძულთა დიალექტში; პოლიტონია უკვე გადაშენების გზაზეა ნორვეგიულის ჩრდილო-დასავლურ კილოებში. იგი არ ახასიათებს არც სამხრეთკაშიბურ დიალექტს და არც კაშიბურის უახლოეს მონათესავე პოლონურ ენას ისევე, როგორც არ ახასიათებს ესტონურს და სხვა ფინურ ენებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პოლიტონურ ენებს ვაკუთვნებთ არა მხოლოდ იმ ენებს, რომლებსაც ახასიათებს მელოდიკური კორელაცია, არამედ იმ ენებსაც, რომლებსაც აქვთ კორელაცია „ხმოვნები შუაში ან ბოლოში წყვეტილი ხშვით ყელში და ყელში ხშვის არმქონე ხმოვნები“. ეს „წყვეტილი“ კორელაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც მელოდიურობის მოდიფიკაცია. წყვეტილი კორელაცია ნაწილობრივ ახასიათებს წყნაროკეანეთის ენობრივი კავშირის წევრებს, ასევე მოიპოვება ბალტიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით გაგრძელებულ ენებში. აღმოსავლეთ შლევზიგისა და მეზობელი კუნძულების დანიურ კილოებს ახასიათებს მელოდიური კორელაცია, ხოლო დანარჩენ დანიურ კილოებს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ახასიათებს წყვეტილი კორელაცია (იხ. კოკი:28 და შემდეგი), ზოგიერთი მათგანი კი ორივე სახის კორელაციას მოიცავს – როგორც მელოდიურს, ისე წყვეტილს (იხ. ეკბლომი:16-17, 20-21). წყვეტილი კორელაცია ახასიათებს ლიტვურის ჩრდილო-დასავლურ კილოებსა (იხ. პერულისი:XLVI

და შემდეგი) და ლატვიურ ენას, რომლის კილოთა ერთ ნაწილს მელოდიური კორელაცია ახასიათებს, მეორე ნაწილს კი იგი არა აქვს (იხ. ენძელინი ა). და ბოლოს, წყვეტილი კორელაცია მელოდიურის გარეშე ახასიათებს ლიტვიურ ენას, რომელიც ფინური ოჯახის წევრია, მაგრამ ლატვიურის გარემოშია შემოსული (იხ. § 6-8)\*.

ევრაზიის ენებისთვის სრულიად უცხოა პოლიტონურობის ყველა გამოვლინება. ევრაზიას ორმხრივად ესაზღვრება პოლიტონური ენობრივი კავშირები: ჩრდილო-დასავლეთით – ბალტიური, სამხრეთ-აღმოსავლეთით – წყნარი ოკეანეთის ენები. კონტინენტის აღმოსავლური და დასავლური ბოლოების სიმეტრიული სტრუქტურის ამ ახალ მაგალითს ყურადღება მიაქცია სავიციკმ (ა:47).

სერბულ-ხორვატული ენა სამხრეთ-აღმოსავლური ნაწილის გარდა (იხ. ბროკი ა:48) და მის მეზობელად გავრცელებული სლოვენური კილოები (იხ. ტენიერი:90 და შემდეგი) ქმნიან პოლიტონურ კუნძულს, რაც იშვიათი მოვლენაა ენობრივ სამყაროში. უნდა აღინიშნოს, რომ სერბულ-ხორვატული ფონოლოგია ტიპურ-რელიქტურია. მისი პათოსია ფუძესლავური აგებულების შენარჩუნება. ეს არის ნარჩენი ოდესლაც ინდოევროპული პოლიტონური ენების ფართო მასივისა. ამ ენების მიერ პოლიტონური კორელაციის დაკარგვის კვლევა მათი მიგრაციის ისტორიასთან შეპირისპირებით არის ისტორიული ფონოლოგიის ერთ-ერთი საინტერესო პრობლემა.

დღეს ევროპამ, ენათა ბალტიური კავშირის და სამხრეთსლავური ენობრივი კუნძულის გარდა, ისევე როგორც აზიამ წყნარი ოკეანეთის ენობრივი კავშირის გამოკლებით, არ იცის პოლიტონურობა. განსხვავდებიან თუ არა ევრაზიის ენები თავისი ფონოლოგიური კორელაციით ევროპისა და აზიის მონოტონური კორელაციის ენებისგან?

## 5.

**თანხმოვანთა ტემპრული სხვაობები ევრაზიისა და მისი მოსაზღვრე მხარეების ენებში. – ევრაზიის ენათა თავისებურება მეზო-**

---

\* კორელაციის მაგალითები.

ბალტიის პოლიტონურ კავშირს სამხრეთით და ჩრდილოეთით ემეზობლება განსაკუთრებული კორელაციის ენები: სიტყვათგანმასხვავებლურ ფუნქციას აქ ასრულებს მარცვლებად დაყოფის განსხვავებული საშუალებები. ამ კორელაციას ტრუბეტკოი ხედავს გერმანულ სალიტერატურო ენაში, გერმანული დიალექტების ერთ ნაწილსა და პოლანდიურში (იხ. ტრუბეტკოის სტატია ფონოლოგიური სისტემების შესახებ, რომელიც იბეჭდება პრადის ლინგვისტური ნრის შრომების IV ტომში). ასეთივე კორელაციაა ლოპარულ ენაში (იხ. ლაგერკრანცი ა.ბ.ც). ლოპარული ფონოლოგიური სისტემის სირთულეს ინვესს ის გარემოება, რომ დასახელებულ კორელაციას ერთვის ხმოვანთა რაოდენობითი კორელაცია, ხოლო კილოთა ერთ ნაწილში ამას ემატება თანხმოვანთა რაოდენობრივი კორელაცია.

ბელი მონოტონური ენებისაგან განსხვავებით არის თანხმოვანთა ტემბრული სხვაობის ფონოლოგიურად გამოყენება.

მაგალითად: *ველიკორუსული ენა*. აქ ოც თანხმოვან ფონემას ფონოლოგიურად უპირისპირდება ამდენივე ფონემა, რომლებსაც განსხვავებული ტემბრი აქვთ, ე. წ. მაგარი თანხმოვნები: *р, л, и, м, д, ш, з, с, б, н, в, ф*. კორელაციური რბილი თანხმოვანებია: *рх, лх, их, мх, дх, шх, зх, сх, нх, вх, фх*<sup>1</sup>. სხვაობა რბილ და მაგარ თანხმოვნებს შორის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა რუსულში სიტყვათა მნიშვნელობების დიფერენცირებისათვის. საკმარისია რამდენიმე ილუსტრაცია: *быт – бытъ – быт – бытъ, мат – мят – мать – мятъ, мыл – мыль – мил – миль, роя – рёв, вес – вьсь, пилу – пилю, волна – волъна, зорка – зорько, стенка – стенька*. არსებობს ლექსები, რომლებიც რბილი და მაგარი თანხმოვნების დაპირისპირებას ეფუძნება:

Я видел  
Выдел  
Весен  
В осень... (Хлебников)

რბილი და მაგარი თანხმოვნების დაპირისპირება არსებით როლს თამაშობს სხვა რუსულ ენებშიც. ბელორუსულში ფიგურირებს თანხმოვანთა იგივე წყვილები, რაც ველიკორუსულში, ოღონდ *ш-шх, д-дх* წყვილის ნაცვლად გვხვდება წყვილები *ш – шх, д – дх*, ხოლო სამხრეთ-დასავლურ ბელორუსულ დიალექტებში არ არის *р – рх* დაპირისპირება. უკრაინულში რბილი და მაგარი თანხმოვნების დაპირისპირება ველიკორუსულისაგან განსხვავდება იმით, რომ უკრაინულში არ არის რბილი თანხმოვნები *нх, лх, вх, фх*<sup>2</sup>; დიალექტებში არ გვხვდება *рх-ც*.

თანხმოვანთა სირბილე რუსულისთვის ბუნებრივი და თვალსაჩინო ენობრივი კატეგორიაა და თუ ადამიანი ენათმეცნიერებაში არ ერკვევა, მისთვის ძნელი წარმოსადგენია, რომ უცხოურ ენათა უმრავლესობა არ იყენებს თანხმოვანთა სირბილეს სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქციით და თუ მაინც გვხვდება, მხოლოდ როგორც ფონემის კომბინატორული ვარიანტი და არ გამოიყოფა ენობრივ აზროვნებაში. ენათმეცნიერებასთან დაახლოებულ რუსებსაც ხშირად აოცებთ ის ფაქტი,

<sup>1</sup> მხოლოდ ფშვინვიერებს არა აქვთ საპირისპირო ცალკები. ესენია *ш* და *ж* (ii). *з – зх, к – кх, х – хх* ეს დაპირისპირება რუსულ ენაში არსებობს, მაგრამ არა აქვს ფონოლოგიური ღირებულება, არ შეუძლია სიტყვათა განსხვავება.

<sup>2</sup> მაგალითები: *робит* – სამუშაო, *рабитъ* – გააკათეთ; *нис* – ცხვირი, *ниск* – მიჰქონდა (ხ აღნიშნავს მხოლოდ თანხმოვნის სირბილეს); *мик* – დენი, *мык* – წვეთავდა; *сину* – შვილო, ვაჟო! (ნოდ. ბრ.), *сину* – ცისფერს; *лиса* – მელია, *лися* – ძროხა, რომელსაც ლაქა აქვს შუბლზე; *рад, ряд*. რბილი და მაგარი თანხმოვნების დაპირისპირება სალიტერატურო უკრაინულში ამომწურავად აქვს შესწავლილი სინიაესკის.

რომ რიგითი ევროპელი ვერ ასხვავებს რუსულ რბილ და მაგარ თანხმოვნებს. მე თავად არაერთხელ ჩამიტარებია ეს ცდა ჩეხებისა და გერმანელებისათვის. თვალსაჩინოდ გამოითქვამს: „*жаръ – жар, Русь – рус, крошъ – крош*“ და ასე შემდეგ, მსმენელები კი მიმტკიცებდნენ, რომ მე ორჯერ ვიმეორებდი ერთსა და იმავე სიტყვას. ჯერ კიდევ ტრედიაკოვსკი წერდა 1752 წელს: რამდენიც უნდა ვეცადოთ, ევროპელებს აუხსნათ რუსული თანხმოვნების სირბილე, მათი წარმოთქმა ამას საბოლოოდ მაინც ვერ დაუახლოვდება, რადგანაც ლამის არცერთ მათგანს ამის ალქმა არ შეუძლია, შემთხვევით თუ გაუმართლებს რომელიმეს“ (ტრედიაკოვსკი:30).

პოლონური სალიტერატურო ენა და სამხრეთ-პოლონური დიალექტები შეიცავენ ისეთ თანხმოვანთა წყვილებს, რომელთა დაპირისპირება სირბილე-სიმაგრეზეა დაფუძნებული, ასევეა ბელორუსულის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში, სადაც ემატება წყვილები *к – х, з – ж*. ჩრდილოეთ პოლონურ დიალექტებში არ არის ფონემები *ш, щ, ф, ж, шш* (იხ. ნიჩი 270 და შემდეგი); ამ დიალექტთა დიდი ნაწილისთვის უცხოა *кх, гж* ფონემებიც (ნიჩი 276 და შემდეგი).

აღმოსავლურ-სლავური და პოლონური მასალა საშუალებას გვაძლევს გავანალიზოთ სიმაგრე-სირბილის კორელაციის რამდენიმე ტიპური სახესხვაობა. ერთმანეთს შევუპირისპიროთ 4 ერთნაირი ანეულობის ხმოვნები – *у, ხ, ყ, u* (*ყ* არის ბგერა, რომელიც გერმანულში გადმოიცემა *ü*-თი – *dünn, früh*, ხოლო ფრანგულში *u*-თი – *lu*). ყოველ ხმოვანს აქვს საკუთარი ტონი. ამ ტონის სიმაღლეს განაპირობებს რეზონატორის სიდიდე და ფორმა (ანუ არე მბგერი იოგებიდან ბაგემდე). დასახელებული ხმოვნები განსხვავდებიან აკუსტიკური თვალსაზრისით, საკუთარი ტონის სიმაღლით. *у*-დან *u*-მდე ტონის სიმაღლე თანდათანობით იზრდება. თუ ფონოლოგიურ სისტემაში არის მხოლოდ 3 ანეულობის ხმოვნები, ე. ი. 1. *у*. 2. *х* ან *ყ*. 3. *u*, მაშინ ორივე დაპირისპირება (1 – 2. და 2. – 3). ერთპლანიანია. დიფერენციალური ნიშანია – ტონის სიმაღლე. თუ სახეზეა 4 რიგი, მაშინ დაპირისპირება ორგვარია: ხმოვნები *ყ, u* უპირისპირდებიან *у, х* ხმოვნებს, როგორც რბილი ხმოვნები მაგარ ხმოვნებს; ხმოვნები *у, ყ* უპირისპირდებიან *х, u* ხმოვნებს, როგორც მუქი ნათელ ბგერებს) (ეს არის ორი განსხვავებული და დამოუკიდებელი ტემბრული სხვაობა: ერთი სირბილე-სიმაგრით და მეორე – სიმუქე-სინათლით. ეს სხვაობები ერთმანეთზე არ დაიყვანება. პრინციპული სხვაობა ორივე დიფერენციალურ ნიშანს შორის სუბიექტური აკუსტიკური თვალსაზრისით უეჭველია. უფრო რთული საქმეა, როგორ დავახასიათოთ ორივე ეს თვისება ობიექტური აკუსტიკის ტერმინებით, თუმცა ახლა ეს ჩვენთვის არსებითი არ არის.

ხმოვნებზე ნათქვამი თანხმოვანთა ტემბრული მახასიათებლებისთვისაც მისაღებია. მაგარი და რბილი თანხმოვნების დაპირისპირებისას მაგარი თანხმოვნები ხასიათდებიან როგორც ნორმალური ტემბრის თანხმოვნები, ხოლო რბილი თანხმოვნები კი გართულებულია დამატე-

ბითი თვისებებით. მუქი და ნათელი თანხმოვნების დაპირისპირებისას, ნათელი თანხმოვნები ითვლება ჩვეულებრივ თანხმოვნებად, ხოლო სიმუქე დამატებით თვისებად. თუ გვაქვს თანხმოვანთა სამწევროვანი დაპირისპირება (მუქი მაგარი – ნათელი მაგარი – ნათელი რბილი), მაშინ ეს უნდა ჩაითვალოს ერთპლანიან გრადაციად: ჩვეულებრივ თანხმოვნებს უპირისპირდება მაღალი ტემბრის (რბილი) და დაბალი ტონის (მუქი) თანხმოვნები. თანხმოვანთა ოთხწევროვანი ანუ ორპლანიანი დაპირისპირება ძალიან იშვიათია ზოგიერთ იაპონურ კილოში. პოლივანოვი აღწერს კჷ დაპირისპირების ოთხგვარ ფონოლოგიურ სახესხვაობას: მუქი მაგარი, ნათელი მაგარი, მუქი რბილი და ნათელი რბილი (პოლივანოვი ა:103). თანხმოვანთა აკუსტიკური მახასიათებლები მიიღწევა სარეზონატორო სივრცის დავინროვებით. სარეზონატორო სივრცის დავინროვების ძირითადი გზა არის ენის ზურგის შუა ნაწილის აწევა მაგარი სასის ანუ პალატუმისაკენ (palatum). ამის საპირისპიროდ – ბგერის ტემბრის დანევისთვის საჭიროა რეზონატორული სივრცის გაფართოება, რაც შესაძლებელია ბაგეთა წინ ნამონევითა და დამრგვალებით (ანუ ე. ნ. ლაბალიზაციით)<sup>1</sup>.

რუსული სალიტერატურო ენის თანხმოვანი ფონემები წარმოთქმას (არტიკულაციის) ადგილის ანუ იმ აქტიური ორგანოს მიხედვით, რომელიც ასრულებს მთავარ საქმეს თანხმოვნის წარმოთქმისას, იყოფა ხუთ ძირითად რიგად:

1) უკანაენისმიერი თანხმოვნები, ენის ზურგის უკანა ნაწილით წარმოებულ ბგერები: ველარული: კ, გ; ყელისმიერი: ხ. (ველარული თანხმოვნების წარმოებისას საწარმოთქმო ორგანოებს შორის რჩება ძალიან მცირე ნაპრალი.

2) შუაენისმიერი თანხმოვნები, რომლებიც იწარმოებიან ენის ზურგის შუა ნაწილის მონაწილეობით. პასიური ორგანოს მიხედვით მათ ვუნოდებთ პალატალურს (მაგარ სასისმიერს). თუ ენის ზურგის შუა ნაწილი აიწევა მაგარი სასის უკანა ნაწილის მიმართულებით, მაშინ ვიღებთ უკანაპალატალურ თანხმოვნებს. თუ აიწევა მაგარი სასის წინა ნაწილისკენ – წინაპალატალურ თანხმოვნებს. უკანაპალატალური თანხმოვნები რუსულ სალიტერატურო ენაში არ არის (რუსული კხ, ჯხ არ არის დამოუკიდებელი ფონემები). წინაპალატალურს მიეკუთვნებიან *ж (ш) ш* – მოსკოვურ გამოთქმაში – ფონემა, რომელიც შეესაბამება *ш* ასოს (მაგალითად, *ошшии*) და შესაბამისი მჟღერი ფონემა (მაგალითად, *дождик, дрожжи*).

3) წინაენისმიერი თანხმოვნები, რომლებიც ენის ზურგის წინა ნაწილით იწარმოებიან (ინგლისური ფონეტიკური ტერმინოლოგიის მიხედვით, *blade*). ხშულები: *ф, в*; ნუნისმიერნი: *с, з, ш, ж*.

4. აპიკალური (ენისწვერისმიერი) თანხმოვნები, რომლებიც ენის წვერის საშუალებით იწარმოებიან. ხშულები: *м, п*; ნუნისმიერნი: *н, л, р*.

<sup>1</sup> ლაბალიზაციის პროცესი საკმაოდ კარგად აქვს აღწერილი იაკოვლევს (ხ 49 და შედეგი).

წინაენისმიერი და ენისწვერისმიერი თანხმოვნების მახასიათებელია ის, რომ აქტიური ორგანო უახლოვდება კბილებსა და ზედა ნუნებს მასთან დაკავშირებული მაგარი სასის ნაწილითურთ.

ამიტომ თანხმოვანთა ორივე რიგი ერთ საერთო კატეგორიაში – კბილისმიერში (მდრ. ბროკი b: §15)<sup>1</sup> ხვდება.

5. ბაგისმიერი თანხმოვნები წარმოიქმნებიან ბაგეების მოძრაობით. ხშულები: *მ, ნ*; ნაპარალოვნები: *გ, ძ, შ*.

თუ წინაენისმიერ, აპიკალურ (ენისწვერისმიერ) ან ბაგისმიერ თანხმოვნებს ემატება ენის ზურგის შუა ნაწილის ანეულობა მაგარი სასისკენ, რაც იწვევს სირბილის შთაბეჭდილებას, მაშინ ეს დამატებითი ელფერი იწოდება პალატალიზაციად. პალატალიზებული თანხმოვნების იმავე რიგის არაპალატალური თანხმოვნებისგან მხოლოდ დამატებითი არტიკულაციით (და შესაბამისად აკუსტიკურად – ანეული ტემბრით) სხაობენ. აქედან გამომდინარე, თუ მოცემულ ენაში არის დაპირისპირება „პალატალიზებული – არაპალატალიზებული თანხმოვნები“, დიფერენციალური მახასიათებელი, ანუ დამატებითი ეფექტის არსებობა-არარსებობა (შესაბამისად, აკუსტიკური თვალსაზრისით ტემბრული სხვაობა) აბსტრაგირდება ცალკეული წყვილებიდან და, თავის მხრივ, ცალკეული წყვილის საერთო სუბსტრატის აბსტრაგირდება დიფერენციალური თვისებიდან (მაგალითად, *ს* მისი სირბილისა და სიმფარისგან). სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახეზეა თანხმოვანთა სირბილის კორელაცია. ეს კორელაცია თვალსაჩინოა თუ ტემბრული დაპირისპირება ახასიათებს რამდენიმე არტიკულაციურ რიგს. მაგალითად, ველიკორუსულ ენაში არსებობს წინაენისმიერი, ენისწვერისმიერი და ბაგისმიერი პალატალიზებული რიგები, ხოლო უკრაინული კილოების უმრავლესობაში რეალიზდება პირველი ორი რიგის პალატალიზებული თანხმოვნები.

მაგრამ წინაენისმიერი ანუ პალატალური თანხმოვნებისთვის ენის ზურგის ანეულობა მაგარი სასისკენ დამატებითი კი არა, მთავარი მახასიათებელია. მართალია, ეს მახასიათებელი ტოვებს მაღალი ტემბრის შთაბეჭდილებას, თუმცა შუაენისმიერი და მაგარი თანხმოვნები ერთნაირია წარმოების თვალსაზრისით, მაგრამ სხვადასხვა რიგს განეკუთვნებიან, ერთმანეთს უპირისპირდებიან არა მხოლოდ ტემბრით, არამედ ხშვის ხასიათით (შესაბამისად, არტიკულაციური თვალსაზრისით, ძირითადი წარმოების ადგილის მიხედვით). ამ ორი მოტორულ-აკუსტიკური სხვაობიდან რომელი გვევლინება ფონოლოგიურ დიფერენციალურ თვისებად ასეთ დაპირისპირებაში?

თუ მოცემულ ენაში ერთმანეთს უპირისპირდება ერთი და იმავე რიგის პალატალიზებული და არაპალატალიზებული თანხმოვნები და თან შუაენისმიერი თანხმოვნები უპირისპირდება ახლო რიგის არაპალატალიზებულ თანხმოვნებს, მაშინ ეს არის ტემბრული დაპირისპი-

<sup>1</sup> წინაენისმიერი და ენისწვერისმიერი თანხმოვნების გამიჯვნის მნიშვნელობას სირბილის კორელაციის ანალიზისთვის ყურადღება მიაქცია ნ. ს. ტრუბეცკოიმ.



რება და შედის სირბილის კორელაციაში. მაგალითები: 1) პოლონურის ის კილოები, რომლებშიც მაგარ ბაგისმიერ თანხმოვნებს უპირისპირდება პალატალიზებული თანხმოვნები, ხოლო წინაენისმიერ, ენისწვერისმიერ და უკანაენისმიერებს შუაენისმიერი თანხმოვნები, და 2) უკრაინულის ის კილოები, რომლებშიც მაგარ წინაენისმიერ თანხმოვნებს შეესაბამება პალატალიზებული წინაენისმიერები, ხოლო მაგარ ენისწვერისმიერ თანხმოვნებს – წინაპალატალური თანხმოვნები. ამ ტიპს მიეკუთვნებიან გუცულის, ბუკოვინისა და ბესარაბიის კილოები. მაგრამ უკრაინული კილოების ძირითადი მასივი უახლოვდება ველიკორუსულ ტიპს. ყველა რბილი თანხმოვანი, რომელიც ფონოლოგიურად უპირისპირდება შესაბამის მაგარ თანხმოვნებს, რეალიზდება როგორც პალატალიზებული და არა როგორც პალატალური თანხმოვნები.

თუ ენაში არ არის პალატალიზებული თანხმოვნები, მაგრამ მოიპოვება შუაენისმიერი თანხმოვნები, რომლებიც უპირისპირდება სხვადასხვა რიგის მაგარ თანხმოვნებს, მაშინ ფრჩხილებს გარეთ გაიტანება ტემბრული სხვაობა. მაგალითად: 1) პოლონურ კილოთა იმ ნაწილში, რომელსაც არ ახასიათებს ბაგისმიერთა ფონოლოგიური სირბილე, ერთმანეთს უპირისპირდება შუაენისმიერი თანხმოვნების უკანაპალატალური სახესხვაობა და უკანაენისმიერი მაგარი თანხმოვნები, ხოლო შუაენისმიერი თანხმოვნების წინაპალატალურ სახესხვაობას უპირისპირდება მაგარი წინაენისმიერი თანხმოვნები და ენისწვერისმიერი *h*<sup>1</sup>. 2) ზოგიერთ დასავლურ-უკრაინულ თქმებში (მაგალითად, ლემკებთან, გალიციური ინტელიგენციის მეტყველებაში) წინაენისმიერი და ენისწვერისმიერების რბილი კორელატები რეალიზდება შუაენისმიერი თანხმოვნების სახით<sup>2</sup>. ენაში მოცემულია პროპორცია: შუაენისმიერი

---

<sup>1</sup> პოლონურის ის კილოები, რომლებშიც არ არსებობს ფონოლოგიური წყვილები *k-kh*, *t-tsh*, მოიცავს მთელი პოლონეთის ტერიტორიას ამ ხაზიდან – ქვედა ვეპრისლა-გრუეცი-სოხაჩევი-ვისლა-კრაინის სამხრეთი საზღვარი – ჩრდილოეთით (წიჩი 276 და შემდეგი). ეს კილოები უნდა განვიხილოთ როგორც სასაზღვრო ტიპი რბილი კორელაციის მქონე ენებსა და ამ კორელაციის არმქონე ენებს შორის. რომ არა ერთადერთი წყვილი *h-hsh*, აქ სულ არ იქნებოდა მაგარი თანხმოვნების „ორრიგიანობა“ შესაბამისი შუაენისმიერი თანხმოვნებით, მაშინ ეს კილოები უნდა მიგვეკუთვნებინა იმავე რბილი კორელაციის არმქონე ენებისთვის, რომლებშიც შედის, მაგალითად, ჩეხური (იხ. გვ. 23). სინორულ თანხმოვნებს (*ჟ. 1. II. 11*) და ხშულ თანხმოვნებს შორის ასოციაცია ძალიან სუსტია და ენისწვერისმიერი *h* თავისთავად მკაფიოდ ვერ უპირისპირდებოდა წინაენისმიერ ხშულებს. ამიტომ ჩრდილო-პოლონურ კილოებს ჩვენ მივაკუთვნებთ სირბილის კორელაციის არმქონე კილოებს. ამავე ფონოლოგიურ ტიპს მიეკუთვნება სლოვაკური კილოები, რომლებსაც აქვთ შუაენისმიერები შესაბამისი მაგარი *l*, *n* და წინაენისმიერები (იხ. შტაიბერი 111 და შემდეგი, 122 და შემდეგი).

<sup>2</sup> უკრაინულ თქმებში პალიტალური და პალატალიზებული თანხმოვნების შესახებ მონაცემებისთვის ვალში ვარ ვ. ი. სიმოვიჩთან, უკრაინული დიალექტოლოგიის საუკეთესო მცოდნესთან. ეს მონაცემები არსებითად ცვლიან ზელინსკის

მ მიემართება ენისწვერისმიერ m-ს, როგორც შუაენისმიერი c მიემართება წინაენისმიერ c-ს. ორივე „მიმართებაში“ ერთმანეთს უპირისპირდება ერთნაირი ტემბრი მაშინ, როცა მაგარი c-ს და m-ს საშუალება (შესაბამის საარტიკულაციო რიგებში) განსხვავებულია. ამდენად, ჩვენ წინაშეა კვლავ სირბილის კორელაცია.

თუ მოცემულ ენაში შუაენისმიერ თანხმოვნებს შეესატყვისება იმავე რიგის მაგარი თანხმოვნები, მაშინ არ არსებობს წინაპირობა, რაც მოგვცემდა საშუალებას ფრჩხილებს გარეთ გაგვეტანა ტემბრი, ანუ სწორედ ტემბრული სხვაობა შეგვეფასებინა დაპირისპირების შექმნილ დიფერენციალურ ნიშნად. ასეთ პირობებში შუაენისმიერი თანხმოვნები უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ერთ-ერთ საარტიკულაციო რიგად და შუაენისმიერი რიგის თანხმოვნები სხვა რიგის თანხმოვნებთან მიმართებით არის დეზუნქციური ანუ არაკორელატური ფონემები. მაგალითები: შუაენისმიერი თანხმოვნები სლოვაკურში არის: *t', d', ň, l'*; ჩეხურშიც იგივე ფონემებია l-ს გარდა. ჩეხოსლოვაკური „l“-ს მიმართება m-სთან, k -s მიმართება k-სთან ან x-სთან ისეთივეა როგორი მიმართებაც არსებობს m-სა და k-ს შორის, ან c-სა და x-ს შორის და ასე შემდეგ. ყველა ეს დეზუნქციური ფონემებია. ამგვარად, თანხმოვანთა სირბილის კორელაცია არ არის არც ჩეხურში და არც სლოვაკურში.

საკუთრივ სლოვაკურ და უკრაინულ თქმებს შორის გარდამავალ ტალღას ქმნიან აღმოსავლურ-სლოვაკური თქმები, რომლებსაც დაკარგული აქვთ უკრაინულინათვის უცხო რაოდენობრივი კორელაცია და კარპატისპირეთის უკრაინული თქმები (ე. წ. რუსნაკული), რომლებსაც დაკარგული აქვთ სლოვაკურისათვის უცხო სიძლიერის კორელაცია. რუსნაკული თქმების იმ ნაწილმა, რომელიც დაუახლოვდა სლოვაკურ ფონოლოგიას, დაივიწროვა სირბილის კორელაციის ჩარჩოები: რბილი თანხმოვნები სიტყვის ბოლოს მაგრდება (დურნოვო 70). ამის მიუხედავად, სლოვაკურსა და უკრაინულ თქმებს ერთმანეთისგან სწორედ თანხმოვანთა ფონოლოგიური სირბილის არსებობა-არარსებობა მიჯნავს. „სწორედ ეს მომენტი, - ამბობს ოლაფ ბროკი, განაპირობებს სლავური ენების ბგერითი სისტემების ტიპურ კონტრასტებს. ასეთი კონტრასტების ტიპური შემთხვევა გვაქვს უგრო-რუსული და აღმოსავლურსლოვაკური თქმების ზღვარზე. შეგახსენებთ, რომ აქ არ არის საუბარი ეთნოგრაფიულ ან ტომობრივ საზღვარზე (ბროკი b:§178; შდრ. c).

სირბილის კორელაცია უარყოფილია კაშუბურში (იხ. ლორენცი a:72-85) და ზემო და ქვემო ლუჟიკურ ენებში (შჩერბა 183). აღმოსავლურ ლუჟიკურ კილოში, ლ. ვ. შჩერბას დაკვირვებით, რბილ თანხმოვანთა წყვილების ძველი კატეგორია ქრება. მხოლოდ სინორულ ბაგისმიერ თანხმოვნებს შეესაბამება რბილი მენყვილები, რომლებიც უკვე გაქრობის გზაზეა (შჩერბა 30). შჩერბამ დააფიქსირა სირბილის კორე-

ლაციის მოსპობის რამდენიმე სიმპტომი: რბილის ნაცვლად ახალგაზრდები თანდათანობით იყენებენ ევროპულ ნეიტრალურ I(ლ)-ს (29); II ენაცვალეა II ს-ს „ბგერათა თანამიმდევრობის ანალიზი ადგილობრივ მოსახლეებს რთულ მდგომარეობაში აყენებს“ (შჩერბა 22); II არ აღიქმება „რბილ“ თანხმონად, ასე რომ, ეს სირბილე არ გამოიხატება შემდეგ თანხმონაზე გადასვლისას ანუ თუ თანხმონა არ მოსდევს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინამავალ მაღალ გარდამავალ ბგერებს, რომლებიც აღიქმება როგორც „j“. ილებენ ხმოვანთგანმასხვავებელ ფუნქციას ხმოვნებში, რომლებზეც გადადის თანხმონათა ტემბული სხვაობა (შჩერბა 184).

სამხრეთ-სლავურში მხოლოდ აღმოსავლეთ-ბულგარულ კილოს ახასიათებს რბილი და მაგარი თანხმონების დაპისპირება. მაგრამ აქაც მისი გამოყენების არეალი ვიწროა. იგი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერ რუსულ დიალექტში. მხოლოდ რამოდენიმე აღმოსავლურ-ბულგარულ კილოში გვხვდება სიტყვის ბოლოს რბილი თანხმონების წყვილი. სხვა კილოებში სირბილე-სიმაგრის მიხედვით დაპირისპირება მხოლოდ მაგარი თანხმონის ფონემების წინ ჩანს, ხოლო აღმოსავლურ-ბულგარული კილოების უმრავლესობაში ეს დაპირისპირება მხოლოდ ა-ს წინ იჩენს თავს<sup>1</sup>. შეიძლება ითქვას, რომ ამ კილოებში რბილი და მაგარი თანხმონების დაპირისპირება სიტყვათგანმასხვავებლობის ზღვარზეა. სიმპოტამურია, რომ რბილი და მაგარი თანხმონების ფონოლოგიური დაპირისპირება იცვლება ურთიერთმომდევნო ხმონების დიფერენციაციით: აღმოსავლურ-ბულგარული ა რბილი თანხმონების შემდეგ იხრება დიფთონგად (ორი ხმონის ერთმარცვლიანი შეერთება) ქცევისაკენ – ea.

„რუსული მეტყველებისთვის დამახასიათებელი სირბილე-სიმაგრის დაპირისპირება სერბულ-ხორვატულში არ არის“, – ნერს ბროკი (b:68). იმავეს თქმა შეგვიძლია დასავლურ-ბულგარულსა და სლოვენურში. ამგვარად, თანხმონათა სირბილის კორელაცია გავრცელებულია აღმოსავლეთ სლავურ ენობრივ სამყაროში და დასავლეთ და სამხრეთ სლავური მხარეების აღმოსავლეთ რაიონებში. სლავური სამყაროს დასავლურ რაიონებს ეს დაპირისპირება არ ახასიათებს.

რუსულ ფონოლოგიასთან ახლოსაა რუსი ბოშების ენა. თუ უკრაინელი ბოშების ენა აჩვენებს უკრაინული ენის ბგერით სისტემას (ბარანნიკოვი 59), ველიკორუსი ბოშების ენას ახასიათებს ველიკორუსული ენის ზოგიერთი ფონოლოგიური თვისება<sup>2</sup>. მსგავსება განსაკუთრე-

<sup>1</sup> აღმოსავლურ ბულგარულში სირბილის ხარისხი მერყეობს „ნახევრადპალატალიზაციიდან“ ველიკორუსულ დონემდე. თანხმონათა წყვილების რეპერტუარი მნიშვნელოვანია: მთელი ველიკორუსული ინვენტარი და დამატებით კიდევ a-aa დაპირისპირება. აღმოსავლურ-ბულგარულ და დასავლურ-ბულგარული თანხმონების სირბილის მიხედვით დაპირისპირების შესახებ იხ. მილეტჩი 3-40; მლადენოვი, ბროკი b: 72 და შემდეგი; იაკობსონი b: 55 და შემდეგი; 76 და შემდეგი.  
<sup>2</sup> ველიკორუსი ბოშების ენის ფონოლოგიური დახასიათებისას ძირითადად ვეყ-

ბით ვლინდება სირბილის კორელაციაზე დაფუძნებულ თანხმოვანთა სისტემასა და მის მიმართებაში ხმოვანთა სისატემასთან. ეს სისტემა რუსულის მსგავსად შედგება ფონემებისგან: *и, у, е, о, а*. ფონემა *и*. ველიკორუსულის მსგავსად რბილი თანხმოვნების შემდეგ რეალიზდება როგორც *и*. მაგარი თანხმოვნების შემდეგ კი – როგორც *ы*. ველიკორუსული მაგარი თანხმოვნებიდან მხოლოდ ცალკეული მაგარი (*ე. ი.* ისეთი მაგარი თანხმოვნები, რომელთაც ენაში არ შეესაბამებათ რბილი მენყვილები) თანხმოვნები გვხვდება *е* ფონემასთან, რომელიც ასეთ შემთხვევებში რეალიზდება უფრო უკან გადაწეული არტიკულაციით (*ყჰც. იეი*). ბოშური *и* ფონემა გვხვდება როგორც მაგარ, ისე რბილ თანხმოვნებთან. რბილი თანხმოვნების შემდეგ იგი რეალიზდება როგორც ნინა რიგის ბგერა, ხოლო მაგარი კბილისმიერი თანხმოვნების შემდეგ, *ი-ს* გარდა, რეალიზდება ნინა – შუა რიგის ბგერად, ხოლო სხვა მაგარ თანხმოვნებთან შუა რიგის ბგერად. სხვაობა უკანაენისმიერ თანხმოვნებსა და მათ შესაბამის რბილ თანხმოვნებს შორის გარეგნულადაა შეპირობებული: *ж, ш, и* და *дз* ყოველთვის მაგარია, *ч* და *дж* ყოველთვის რბილია. სხვა ბაგისმიერი და კბილისმიერი თანხმოვნები წარმოდგენილია ორი ფონოლოგიური სახესხვაობით – რბილი და მაგარი. სირბილე-სიმაგრის დაპირისპირება ხორციელდება *и, е, а, о* ფონემების წინ, ისიც გარკვეულ პირობებში. მაგალითები: *ферло́ти-ты́кно, цыме́ньте-ла́ста, ратя́-ушта́, татѣла-тато́; тыкни́шко-паны́, ромѣн-яви́, ченя́-чипа́ва; чурѝ-рыч; сася́; пасѣ́ва-со́но; кириви́-ливи́на, бельсѣ́ль-ваи; ҕҕи́ѣ́ва-ди́со*. ბოშური სიტყვები უმეტესად ბოლოვდება თანხმოვანზე, ნარნარა ან ცხვირისმიერ თანხმოვანზე (სერგიევსკი *а:98*); რბილი თანხმოვნებიდან სიტყვის ბოლოს გვხვდება *и* ან *иь*: *бельсѣ́ль-бѣлѣват, черѣнѝ-ромѣен*. დამახასიათებელია, რომ თანხმოვანთა სირბილის კორელაცია ახასიათებს იმ ბოშათა დიალექტებს, რომლებიც ცხოვრობენ აღმოსავლეთ სლავებსა და პოლონელებს შორის (იხ. კოპერნიცკი III და შემდეგი), მაგრამ არ ახასიათებთ სხვა ბოშურ დიალექტებსა (დუნაისპირეთს და სხვა) და ინდური შტოს სხვა ენებს.

დასავლეთის რომანული ენებისთვის უგამონაკლისოდ უცხოა თანხმოვანთა დიფერანციაცია სირბილე-სიმაგრის მიხედვით. საკმარისია გავიხსენოთ, მაგალითად, რა ძნელია რუსულად მოლაპარაკე ფრანგისა და იტალიელისთვის რბილი თანხმოვნების წარმოთქმა *ი. ა.* ბოდუნ-დე-კურტენეს (*ხ:584*) მოჰყავს დამახასიათებელი მაგალითი: რუსეთში მოხვედრილმა ფრანგმა ქალმა შეამჩნია, რომ ერთმანეთისგან განსხვავდებოდა რუსულის რბილი და მაგარი თანხმოვნები, მაგრამ ვერ გაერკვა, რაში გამოიხატებოდა ეს სხვაობა (მაგალითად, იყენებდა *bel-ს* *пол-ის* ნაცვლად, *de-ს* *me-ს* ნაცვლად, *ruѣ-ს* *рухи-ის* ნაცვლად) ანუ სირბილე-სიმაგ-

რდნობი სერგიევსკის აღწერილობას (*ა*). აქედან არის აღებული ყველა მაგალითი.

რის კორელაციას ცვლიდა ფრანგულისთვის დამახასიათებელი მკლერობის კორელაციით.

მხოლოდ რუმინულ ჯგუფს, რომელიც რომანული სამყაროს უკიდურესი აღმოსავლური ენობრივი კუნძულია, ახასიათებს სირბილის კორელაცია. ამ „კუნძულის“ აღმოსავლეთ ნაწილს იკავებს მოლდავეური ენა. კარპატები მოლდავეური ენის დასავლეთი საზღვარია, მოლდავეურის სოციალისტური რესპუბლიკა კი – აღმოსავლეთი საზღვარი (მდრ. ვაიგანდი ხ:10 და რუკა 65). მოლდავეთის რესპუბლიკის დიალექტებს ეხება მ. ვ. სერგიევსკის მნიშვნელოვანი ნაშრომი (ხ მოლდავეურ ენას ახასიათებს: 1. რბილი ცხ, ჰხ მრავალფეროვან პოზიციებში და 2. ხშული ცუაენისმიერი თანხმოვნები, რომლებსაც ემეზობლებიან–*п, н+* უმარცვლო *н* (ვაიგანდი ხ:12). სერგიევსკის მიერ აღწერილ ზოგიერთ კილოში (რუბნიცკის რაიონში და სხვაგან) ეს ხშული თანხმოვნები დაემთხვა დარბილებისკენ ნასულ *м-ს* და *д-ს*. ავტორი წერს, რომ ეს თანხმოვნები „აკუსტიკურად ლამის ემთხვევა ერთმანეთს“ და „ინდივიდუალური წარმოთქმის დროს შეიძლება ნამდვილად დაემთხვენენ“ (სერგიევსკი 87). საინტერესოა, რომ გლეხები წერისას ამ თანხმოვნებს არ მიჯნავენ *мх, дх* თანხმოვნებისგან, ორთოგრაფიის წესების მიუხედავად და წერენ, მაგალითად: *май дани ар арди* მაშინ, როცა ეტიმოლოგიურად უნდა იწერებოდეს *майне ар арде*, სერგიევსკი პირობითად ასეთ ტრანსკრიფციას გვთავაზობს: *g'in' ar ard. i...* (სერგიევსკი 96). ამავე კილოებში *сх, жх* რეალიზდება წინაენისმიერი პალატალიზებულების სახით სერგიევსკის მაგალითების მიხედვით, სიტყვის ბოლოში გვხვდება: *сх, тх, нх, рх* (*аицх=რუმ. аици, зернх=რუმ. виетни, орх=რუმ. ори*); როგორც ეს თანხმოვნები, ისე *жх, дх, лх* შეიძლება შეგვხვდეს *а, о, е, и* თანხმოვნებთან, ხოლო რბილი კბილისმიერი თანხმოვნები მხოლოდ *е, и* ფონემებთან<sup>1</sup>.

სერგიევსკის მიერ დახასიათებული მოლდავეური დიალექტების მეორე ტიპი (ანანევის რაიონი და სხვა), პირველისგან იმით განსხვავდება, რომ „*п, н+* უმარცვლო“ თანამიმდევრობა არტიკულაციურ-აკუსტი-

<sup>1</sup> მოლდოვეურის ხმოვანთა სისტემა ძალიან ჰგავს რუსული სალიტერატურო ენის ხმოვანთა სისტემას. მოლდოვეურშიც 5 მახვილიანი და 3 უმახვილო ფონემაა. ნათელი ხმოვნები რბილია (და შესაბამისად ხასიათდება წინა არტიკულაციით) რბილი თანხმოვნების შემდეგ (*и, е, я*) და მაგარია (და შესაბამისად ხასიათდება უფრო უკანა არტიკულაციით) მაგარი თანხმოვნების შემდეგ (*ы, у, а*) (მდრ. სერგიევსკი ხ. კურილო 218). სხვაობა ისაა, რომ რუსულში *ж-ს* ეთანხმებია მხოლოდ ცალკეული მაგარი თანხმოვნები, მოლდავეურში კი – მაგარი თანხმოვნების წყვილები. ამას გარდა, სხვაობაა ისიც, რუსულში ფონემათა ძირითადი ვარიანტებია *и, е*, ხოლო მოლდოვეურში *ы, у*. მაგალითად, რუსულში სიტყვის თავში დასაშვებია მხოლოდ *и* და *а*, და არა *ы*, ხოლო მოლდოვეურში პირიქით: *хитрег, иин, иинсвник*. შესაბამისად, რუსულში *к-ს* შემდეგ გვხვდება *и*, მოლდავეურში კი *ы: кыинпа*. კიდევ ერთი განსხვავება: რუსულ უმახვილო ფონემა *а-ს* შეესაბამება მოლდავეური *а* (უკან გადანული *е*).

კურად „ცოტა შორსაა რბილი მხ, ძხ-სგან“, ანუ, როგორც ჩანს, უკანა-ენისმიერს უპირისპირდება ისევე, როგორც რბილი – მაგარს (მაგალითები: *окъ, кептхи*). მეორე თავისებურება: *сх* და *зх* ფონემები რეალიზდება როგორც შუაენისმიერი ნაპარალოვნები (სერგივესკი 96).

სირბილის კორელაცია, რომელიც ახასიათებს მოლდავეურ სალიტერატურო ენასა და მოლდავეურ დიალექტებს, უცხოა რუმინული სალიტერატურო ენისათვის. რუმინული ჯგუფის კონკრეტულად რომელ რაიონში გადის სირბილის კორელაცია, ამანზე უნდა უპასუხოს რუმინულის სპეციალისტმა, რომელსაც შეუძლია რუმინულ დიალექტოლოგიურ მრავალფეროვნებაში გამოყოფს ფონოლოგიური სისტემა. თუმცა ახლავე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სირბილის კორელაციის მიხედვით რუმინული ჯგუფი ბულგარული კილოების პარალელს ქმნის: *აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ეს კორელაცია ჯერ კლებულობს, ხოლო შემდეგ სულ იკარგება.*

*უგრო-ფინური ენობრივი ჯგუფიც იყოფა ორ სახედ – აღმოსავლური, რომელიც აჩვენებს თანხმოვანთა ფონოლოგიურ სირბილეს და დასავლური, რომელსაც სირბილე არ ახასიათებს.*

ფინური შტოს ენები ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამორჩეულია<sup>1</sup>. პერმულ ენებს, ე. ი. 1) ვოტიცურს ანუ უდმურტულს (იხ. ემელიანოვი), 2) კომის ენებს (ზირინულსა და პერმიკულს ახასიათებთ თანხმოვანთა დამოუკიდებელი სირბილის კორელაცია. მაგარ *მ. ბ. II. 1* თანხმოვნებს უპირისპირდება შუაენისმიერი რბილი თანხმოვნები, ხოლო მაგარ *с-ს* და *z-ს* ზოგიერთ კილოში უპირისპირდება შუაენისმიერი, ხოლო ზოგიერთგან წინაენისმიერი პალატალიზებული თანხმოვნები. ამგვარად, პერმული ენები მთლიანად ემთხვევა თანხმოვანთა წყვილულების მიხედვით უკრაინული დიალექტებიდან ორ დასავლურ კილოს, რომლებსაც ახასიათებს მაგარი *ხ*. ამ კილოებში რბილი *с* და *z* რეალიზდება როგორც შუაენისმიერი თანხმოვნები (იხ. ემელიანოვი 23). ამას გარდა, პერმული ენები ემთხვევა იმ დიალექტებსაც, რომლებშიც რბილი ნაპარალოვნები პალატალური კი არ არის, არამედ პალატალიზებულია (იხ. ემელიანოვი 22). სირბილის კორელაციის მადიფერენცირებელი როლის საილუსტრაციოდ პერმული ენებიდან რუსული ორთოგრაფიის გამოყენებით დავიმონმებ რამდენიმე მაგალითს *გ. ს. ლიტკინის* წიგნიდან: *рас-ნიშანი, пась-ქურქი; сам-მოგება. сям-ჩვეულება; чхсх-ლპობა, сисх-ცვილი; сош-მკლავის ადგილი მხარსა და იდაყვს შორის, сеш-თიხა; роз-ბორბალი (თვალი), розь-офто; ут-ბერკეტი, утх-სახე, შეხედულება; код-მთვრალი, кодх-მსგავსი; нэм-საუკუნე, нем-არაფერი; нур-საუზმე, нур-ჭაობი; лань-სინყნარე, лян-ობიანი; ул-ტოტი, уль-ნედლი, დაუმუშავებული, უმი, ნესტიანი; пел-დიდი თითი, пель-ყური.*

<sup>1</sup> იქ, სადაც ფინური ენების ფონოლოგიური მონაცემების წყაროს არ ვასახელებ, ეს მაგალითები დამონმებულია ბუბრიხის მონაცემების მიხედვით (ბუბრიხი).

სირბილის კორელაცია უფრო დიდ როლს თამაშობს ორივე მორდოვული კილოს ფონოლოგიურ სისტემაში – ერზიანულსა და მოკშანურში (მდრ. ბუბრიხი *b*. ევსევიევი, შახმატოვი *b*). ჩამოთვლილ თანხმოვან ფონემებს აქვთ შესაბამისი რბილი კორელატი ფონემები: *m, d, n, l, p, c, ʒ, dʒ*. ბუბრიხის მაგალითები: *исъня, вѣдѣмс, пшшш, моляш, вадѣря, сѣд, зря, цѣра*. ყველა მოროდვული რბილი თანხმოვანი ველიკორუსულის მსგავსად, პალატალიზებულია.

იგივე კორელაცია ახასიათებს ჩერემული (მარიული) ენის ლუგოვურ კილოს, მაგალითად, მალმიურ და პერმულ თქმებს (ვიხმანი, ბეკე:104 და შემდეგი). იმავე ჩერემულ დიალექტებს, რომლებშიც არ არის თანხმოვანთა სირბილის კორელაცია, ახასიათებს მარცვალთა სირბილის კორელაცია, რომელიც ბუნებრივია ევრაზიის თურქული ენებისათვის. ჩვენ ამ დიალექტებზე ქვემოთ ვიმსჯელებთ თურქულ ენათა ტემბრული მახასიათებლების განხილვისას.

კარელიური ენის დიალექტები აჩვენებენ მდიდარ ფონოლოგიურ გრადაციას. ტვერულ-კარელიურ კილოებში სირბილე-სიმაგრის დაპირისპირება ახასიათებს არა მარტო წინაენისმიერ, ენისწვერისმიერ და ბაგისმიერ თანხმოვნებს, არამედ უკანაენისმიერებსაც, ანუ რბილ ფონემათა წყვილეულების რაოდენობა აჭარბებს ველიკორუსულის რეპერტუარს. კარელიის რესპუბლიკის სამხრეთ დიალექტებში (პიდანურში) რბილი კორელატები აქვთ წინაენისმიერებსა (*c:ʒ*) და ენისწვერისმიერებს (*m, d, n, l, p*). ოლონეცური და მის აღმოსავლეთით გავრცელებული ლუდ – კარელიური დიალექტები არის მოსაზღვრე ტიპისა სირბილის კორელაციის ქონება-უქონლობის მიხედვით. წყვილეულები *ш-шш, ძ-ძშ, н-нш, л-лш, р-рш*. აქ რბილი თანხმოვნები რომ შუაენისმიერ თანხმოვნებად რეალიზდებოდნენ, მაშინ რბილი და მაგარი თანხმოვნები შეფასდებოდა როგორც ორი საარტიკულაციო რიგის (შუაენისმიერი და ენისწვერისმიერი) თანხმოვნები და ჩეხურის მსგავსად არ იქნებოდა ტემბრული კორელაცია. მაგრამ განხილულ კილოებში რბილი თანხმოვნები პალატალური კი არ არის, არამედ პალატალიზებულია. ისინი არ განსხვავდებიან მაგარი თანხმოვნებისგან სანარმოთქმო ადგილით და ტემბრული სხვაობა აქ უკვე გაცნობიერებულია. საინტერესო ფაქტია, რომ ველიკორუსული ნასესხობები ამ კილოებში ინარჩუნებს *сх, ʒх* და კბილისმიერი თანხმოვნების სირბილეს. სირბილის კორელაციის არმქონე ენა (მაგალითად, ჩეხური) დამოუკიდებელ სირბილეს ვერ შექმნის. უფრო ადვილია კორელატი ფონემების ინვენტარის გაზრდა, ვიდრე ფონემათა დეზუქციის ათვისება.

კარელიის რესპუბლიკის უკიდურეს ჩრდილოეთ მხარეს – უხტი-ნურ-კარელიურ კილოში თანხმოვნებს არ ახასიათებს სირბილის კორელაცია. სირბილის კორელაცია არ ახასიათებთ აგრეთვე ლოპარულ ენას, სუომის (ფინეთის ფინელთა ენის) ძირითად დიალექტებს. მხოლოდ სუომის აღმოსავლეთ ნაწილში – ნაწილობრივ ფინეთის ფარგლებში, უმთავრესად კი ფინეთის გარეთ (ლენინგრადის შემოგარენში) არცთუ დიდი ხა-

ნია ბოლო ი-ს მოკვეცის გამო წარმოიქმნა რბილი თანხმოვანი ფონემები – პალატალიზებული *ჩხ, ძხ, ლხ, ლხ, რხ*, ხოლო ზოგიერთ დიალექტებში კი *ცხ, ლხ* და სხვა მსგავსი. პარალელურ დიალექტურ სიახლეზე ესტონურში იხ. ქვემოთ. ამ სიახლის გარდა ესტონურს თანხმოვანთა ფონოლოგიური სირბილე არ ახასიათებს. იგი არა აქვს არც ლიეურ ენას, რომელიც გავრცელებულია კურლანდიის (კეტუნენი) ჩრდილოეთ ნაწილში.

თანხმოვანთა სირბილე უცხოა უგრო-ფინურლი ოჯახის უგორული შტოს დასავლური წარმომადგენლის – მადიარული ენისათვის. ჩეხურის მსგავსად, ამ ენასაც აქვს შუაენისმიერი დეზუნქციური ფონემები *l', d', n'*. ადრე მას შუაენისმიერი *l*-ც ჰქონდა, მაგრამ ეს ბგერა დაიკარგა ჩეხურის მსგავსად. უგორული შტოს ოსტაკურ ენას, კასტრენის მიხედვით (კასტრენი *b*), აქვს კორელატი თანხმოვნების 8 წყვილი: *m-მხ, ბ-ძხ, n-ლხ, ლ-ლხ, ყ-ყხ, ძახ-ძახხ, კ-კხ, ჯ-ჯხ*. მაგალითები: *тул-ბრიყვი, тил-ლილი; тада-ცარიელი, тям-მამა*. ჩვენ არა გვაქვს საკმარისად სანდო ცნობები იმის გასარკვევად, ახასიათებს თუ არა თანხმოვანთა ფონოლოგიური სირბილე ობსკურ-უგორული ჯგუფის გადაშენების გზაზე მდგარ ეოგულურ ენას.

უგრო-ფინური ოჯახის უახლოეს მონათესავე სამოედურ ენებსაც ახასიათებთ თანხმოვანთა სირბილე. სამოედური ტომებიდან რაოდენობრივად ყველაზე დიდია იურკების ტომი, რომელიც მომთაბარეობს არხანგელსკიდან ენისეიმდე, და მის ენას, კასტრენის დაკვირვებით (კასტრენი), აქვს რბილი და მაგარი თანხმოვნების შემდეგი წყვილები: *m, ბ, n, ლ, რ, ც, ჯ, ი* (კასტრენი *a*: §§20,23,29,31,33,35,37,39; შდრ. აგრეთვე ლეჰტისალო 28 და შემდეგი). რბილი ფონემების რეალიზაცია, როგორც ჩანს, შეესაბამება სალიტერატურო უკრაინულს (წინაენისმიერნი პალატალიზებულია, ენისწვერისმიერს შეესაბამება შუაენისმიერი).

ინდოევროპულ ენათა ოჯახის სამი შტოს – სლავურის, ინდურისა და რომანულის, შემდეგ კი ურალური ენობრივი ოჯახის (უგრო-ფინური და სამოედური ენები) განხილვით მივდივართ ასეთ დასკვნამდე: არსებობს ორი ფონოლოგიური ტიპი, რომელთაგან თითოეული ემთხვევა კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალს. ერთ ტერიტორიულ კომპაქტურ ჯგუფს ქმნიან ენები და დიალექტები, რომლებიც განასხვავებენ თანხმოვანთა სირბილე-სიმაგრეს. ამ ჯგუფში შედიან სხვადასხვა შტო-წარმომადგენლები. აქედან გამომდინარე ჩვენ გვაქვს უფლება ვისაუბროთ ენობრივ კავშირზე, რომელსაც ევრაზიულს ვუნოდებთ. ამ კავშირს უპირისპირდება მეორე ტიპი: თანხმოვანთა სირბილე-სიმაგრის მიხედვით განსხვავების არმქონე ენები. ეს ენები მიეკუთვნებიან იმავე მონათესავე ოჯახებს, ზოგჯერ ერთსა და იმავე შტოებსაც, რომლებსაც პირველი ტიპის ენები, მაგრამ გავრცელების თვალსაზრისით ეს ენები ევროპულია (რომანული ენების აბსოლუტური უმრავლესობა, სლავურ ენათა სამხრეთ-დასავლური ნაწილი და ფინური ენობრივი სამყაროს ჩრდილო-დასავლური მხარე, მადიარული ენა და დუნაისპირა ბოშების მეტყველება) ან აზიური (ინდურ ენათა აბსოლუტური უმრავლესობა).



თურქულ ენებს ახასიათებს ე. წ. ხმოვანთა ჰარმონია. ხმოვნები ქმნიან წყვილებს, რომლის წევრები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ტემბრით. ამდენად ერთმანეთს უპირისპირდება ორი კატეგორიის ხმოვნები: შედარებით დაბალი ტონის ხმოვნები – „მაგარი ხმოვნები“ და შედარებით მაღალი ტონის ხმოვნები „რბილი ხმოვნები“. მაგალითი – ხმოვანთა ყაზახურ-ყირგიზული სისტემა:

მაგარი ხმოვნები	რბილი ხმოვნები
a .....	e
o .....	ö
ы .....	у
у .....	ү <sup>1</sup>

ამ ენებში ერთი სიტყვის ყველა ხმოვანი იმავე კატეგორიისაა, რომელ კატეგორიასაც ამავე სიტყვის პირველი ხმოვანი: თუ პირველ მარცვალს რბილი ხმოვანი ქმნის, ყველა შემდეგი ხმოვანი – რბილია. თუ პირველი მარცვლის ხმოვანი მაგარია, მაშინ ამავე სიტყვის დანარჩენი ხმოვნებიც მაგარია. პალიმფჯან შარაფმა თავის საინტერესო ნაშრომში „თათრული ენის ბგერათა პალატოგრამები რუსულთან შედარებით“ და ჩვენი დროის სხვა რუსმა ენათმეცნიერებმა თურქული ენების ფონოლოგიურ სისტემაში მიაკვლიეს მის არსებით მახასიათებელს. ხმოვანთა წყვილულების გვერდით ამ ენებში აღმოჩნდა თანხმოვანთა წვილულებიც, რომელთა წევრები ერთმანეთს სირბილე-სიმაგრის მიხედვით უპირისპირდებიან. ხმოვანთა ჰარმონია განუყოფლად არის დაკავშირებული თანხმოვანთა ჰარმონიასთან: სიტყვათა ერთი ნაწილი შედგება რბილი თანხმოვნებისა და რბილი ხმოვნებისაგან, სიტყვათა მეორე ნაწილი კი შედგენილია მაგარი თანხმოვნებისა და მაგარი ხმოვნებისაგან. ეს არის ე. წ. მარცვლოვანი ჰარმონია. შარაფმა (98-99), იაკოვლევმა (ა:61) და სხვა მეცნიერებმა აჩვენეს, რომ თურქულ ხმოვანთა წყვილულების განხილვა არ შეიძლება როგორც დამოუკიდებელი ფონოლოგიური კატეგორიისა, ხოლო თანხმოვანთა წყვილულები არ უნდა განვიხილოთ, როგორც მხოლოდ მისი თანმდევი ვარიაცია<sup>2</sup>.

თანხმოვანთა სირბილე-სიმაგრის სხვაობა ისევე, როგორც ხმოვანთა სირბილე-სიმაგრე მარცვლის სირბილის კორელაციის განუყო-

<sup>1</sup> ö-ს წარმოთქმისას ენას იგივე მდებარეობა აქვს, რაც e-ს წარმოთქმისას, ხოლო ბაგეს – იგივე მდგომარეობა, რაც o-ს წარმოთქმისას. ү-ს წარმოთქმისას ენის მდგომარეობა იგივეა, რაც у-ს წარმოთქმისას, ხოლო ბაგის მდგომარეობა რაც ყ-ის წარმოთქმისას.

<sup>2</sup> თათრული ენის თანხმოვანთა ფონოლოგიური სხვაობა სირბილე-სიმაგრის მიხედვით შარაფს დასაბუთებული აქვს. სხვათა შორის მეცნიერი მიუთითებს მაგარი და რბილი თანხმოვნების უნარზე შეასრულონ დამოუკიდებელი შორისდებულების როლი (р! а! мь! сь!). ასევე მხოლოდ რბილი ან მაგარი თანხმოვნები ქმნიან ხმაბაძვით სიტყვებს (КЛМ-кльмь, шрт, тьрх და სხვა).

ფილი ნანილია. ამგვარად, ასეთი ტიპის ენებში თანხმოვანთა სირბილე-სიმაგრე არ ქმნის დამოუკიდებელ კორელაციას, არამედ მხოლოდ უფრო დიდი ერთეულის, მარცვლის, შემადგენელი ნანილია, მას მაინც ფონოლოგიური ღირებულება აქვს და შედის ფონოლოგიურ სისტემაში. მაგალითები ყაზახურ-ყირგიზულიდან: *ა1=აილე, ე1ხ=ხელის ბოლო, აკ=თეთრი, ეკხ=დათესე!* (ბრძანებითი კილო). სინჰარმონიზმის მქონე ენებში სირბილე ცალკეული ფონემის კი არა, არამედ მთელი სიტყვის მახასიათებელია. ამიტომ წერის ზოგიერთ თურქულ სისტემაში „ფრჩხილებს გარეთ გადის სიტყვის ყველა ბგერისთვის დამახასიათებელი სირბილის ნიშანი“ (შარაფი). ამ პრინციპზე დაფუძნებული ტურიაკულოვის მიერ შექმნილი კავკასიური ანბანში, რომელიც ლათინურ გრაფიკას ეყრდნობა, ზემოთ დამონმებული სიტყვები ასეთ სახეს იღებს: *al-'al, aq-'aq*. რუსულში, რა თქმა უნდა, შეიძლება ტრადიციული „სირბილის ნიშნის გამოყენება“ *аа-ххаа, аа-ххак*. აი კიდევ რამდენიმე მაგალითი სირბილის წერილობითი გადმოცემისა – თათრული სიტყვები: *аааа=დედა хххх=ეს და ასე შემდეგ.*

მარცვალთა სირბილის კორელაცია დადგენილია შემდეგ თურქულ ენებში: თათრულში, ყაზახურ-ყირგიზულში, ყარა-ყირგიზულში, ბამკირულში, თურქმენულში (შარაფი 97, იაკოვლევი ხ:60 და შემდეგი), ბესარაბიელი გაგაუზების ენაში (მოშკოვი XXVII) აზერბაიჯანულსა (აზერბაიჯანული ენის იმ მონაცემების მიხედვით, რომელიც უკვე მომზადებულია გამოსაცემად ე. პოლივანოვისა და ი. ჰასანოვის მიერ, და უზბეკური დიალექტების დიდ ნაწილში<sup>1</sup>.

მეორე მხრივ, საინტერესო ფაქტია ის, რომ არც ოსმალურ-თურქულში, რომელიც იმავე თურქულ ენათა ოჯახის სამხრეთ-დასავლურ ჯგუფს მიეკუთვნება, არც თურქმენტა, ბესარაბიელ (სამოილოვიჩი:5-6) და არც დობრუჯის გაგაუზთა ოსმანიზებულ ენაში არ განირჩევა თანხმოვანთა სირბილე-სიმაგრე, როგორც მიმითითეს ავტორიტეტულმა თურქოლოგებმა პრალის კარლოვის უნივერსიტეტიდან პროფ. ი. რიპკამ და კრაკოვის უნივერსიტეტის პროფ. ტ. კოვალსკიმ. სწორედ ამას აჩვენებს პროფ. ტ. კოვალსკის გამოკვლევები ყარაიმულ დიალექტებზე, რომლებშიც გამახვილებულია ყურადღება თანხმოვანთა სირბილე-სიმაგრეზე. ამგვარად, თურქულ ენათა ოჯახში იძებნება ძა-

<sup>1</sup> მარცვლოვანი სინჰარმონიზმი ახასიათებს უზბეკური ენის ყველა იმ დიალექტს, რომელიც ირანიზებული არ არის (პოლივანოვი с 517, 536). ამ კატეგორიას პოლივანოვი აკუთნებს 1. საკუთრივ უზბეკურ ჯგუფს, რომელშიც შედის უზბეკეთის სოფლის მოსახლეობის დიალექტთა უმრავლესობა, მათ შორის ნახევრადმომთაბარე უზბეკების მეტყველებაც, 2. ის ჩრდილოეთ უზბეკური დიალექტები, რომლებიც არ განიცდიან თურქმენულის გავლენას (ე. წ. არათურქმენიზებული) (თურქმენეთისა და ჩიმკენტის რაიონებში იკანსურისა და ყარაბულაყურის გარდა) და 3. ის უზბეკური დიალექტები, რომლებიც განიცდიან თურქმენულის გავლენას (ე. წ. თურქმენიზებული) (იკანური, ყარა-ბულაყური და ზოგიერთი სხვა.)

ლიან ახლო პარალელი ინდოევროპული და უგრო-ფინური ენობრივი სამყაროსთვის დამახასიათებელი გაყოფისა: ევრაზიული, რომელშიც განირჩევა თანხმოვანთა სირბილე-სიმაგრე და არაევრაზიული, რომელშიც სირბილის კორელაცია არ არსებობს<sup>1</sup>. პონევეჟში, ტროკსა და ვილნაში მცხოვრები ჩრდილო-დასავლეთ ყარაიმების ენის ფონოლოგიური სტრუქტურა ბევრ რამეს გვასწავლის. ამ თურქულმა ენამ, რომელიც შესანიშნავადაა აღწერილი კოვალსკის ნიგნში, საინტერესო ევოლუცია განიცადა მარცვალთა სირბილის კორელაციიდან თანხმოვანთა სირბილის კორელაციამდე. მაგალითად: *кунлардан* = მოსამსახურებიდან. *кюньлярдынь* = დღეებიდან (გვ. XXX). ამ ენაში ფაქტობრივად ყველა ბაგისმიერი, ენისწვერისმიერი, წინაენისმიერი და უკანაენისმიერი რიგის თანხმოვნები წყვილდებიან სირბილე-სიმაგრის მიხედვით. ყარაიმულში სირბილის კორელაციის წარმოქმნა რუსულ-პოლონური ფონოლოგიური ევოლუციის ძალიან ახლო პარალელია. აქ დანვრილებით აღარ შევჩერდები ფექსლავეური ფონოლოგიის რუსულ-პოლონურად გარდაქმნის ძირითად მახასიათებლებზე<sup>2</sup>. მხოლოდ ერთს აღვნიშნავ: ფუქსლავეურ ფონოლოგიურ სისტემას ახასიათებდა მარცვალთა იგივე სირბილის კორელაცია, რომელიც ახასიათებს თურქულ ენებს მარცვლოვანი სინჰარმონიზმის სახით (იმ განსხვავებით, რომ ფუქსლავეურ ენაში ეს კორელაცია არ გამოყოფდა სიტყვას ანუ მას არ ჰქონდა სინტაქსური ფუნქცია, რასაც იგი ასრულებს სინჰარმონიის მქონე ენებში – მაგრამ ეს ამ მომენტში არ გვაინტერესებს). ფუქსლავეური ფონოლოგიური სისტემის რუსულ-პოლონური მოდიფიკაციის არსი ის არის, რომ რბილი და მაგარი თანხმოვნების დაპირისპირებამ დამოუკიდებელი მნიშვნელობა შეიძინა. ამის გამო რბილი და მაგარი ხმოვნების დაპირისპირებამ დაკარგა მნიშვნელობა და რუსულსა და პოლონურში დაიწყო ტემბული სხვაობის მქონე თანხმოვანთა წყვილების უნიფიცირება. ფუქსლავეური ფონოლოგიის საპირისპირო მოდიფიკაციას ვხედავთ უფრო დასავლეთ და სამხრეთ სლავურ ენებში (განსაკუთრებით ჩეხურში, სერბულ-ხორვატულსა და სლოვენურში), რომლებშიც თანხმოვანთა განსხვავება სიმაგრე-სირბილის მიხედვით იკარგება, ხოლო რბილი და მაგარი თანხმოვნების ურთიერთდაპირისპირება ასეთ პირობებში ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. ამ ტიპის განვითარება თურქულ ენათაგან, როგორცა ჩანს, გაიარა ოსმალურ-თურქულმა, ჩრდილო-დასავლეთ ყარაიმების ენა კი სლავურ-

<sup>1</sup> სამწუხაროდ, ევრაზიის მრავალ თურქული წარმოშობის ენის შესახებ ჯერ კიდევ არა გვაქვს ინფორმაცია – იყოფიან თუ არა ისინი თანხმოვანთა სირბილე-სიმაგრის მიხედვით (მაგალითად, იაკუტურში, ალათურ-თათრულსა და კიდევ რამდენიმე სხვა ენაში). ყველა ამ ენაში ხმოვანთა ჰარმონია ბოლომდეა გატარებული და პარალელურად თანხმოვანთა ჰარმონიის არსებობაც თეორიულად შესაძლებელია. ხმოვანთა ჰარმონია შეიძლება ეს იყოს მარცვლოვანი სინჰარმონიზმის კერძო გამოვლენა.

<sup>2</sup> ამ კითხვაზე პასუხის მცდელობაა ჩემს ნაშრომში b: თავი VII და შემდეგი.

რი ევოლუციის აღმოსავლური ვარიანტის სრული ანალოგიაა. ამ ენაში რბილი ხმოვნის მომდევნო ხმოვნები დაემთხვა მაგარი მარცვლის შესაბამის თანხმოვანს<sup>1</sup>. შდრ. მაგალითად, რუსულში *е-ს* *о-ში* გადასვლა მაგარი თანხმოვნების წინ (*сѣла, идѣм*) და პოლონურში – მაგარი კბილისმიერების (დენტალურების) წინ.

ჩუვაშურ ენას, თურქულ ენათა ახლო მონათესავეს, უკავია გარდამავალი მდგომარეობა მარცვალთა რბილი კორელაციის მქონე ენებსა (თათრული ტიპი) და თანხმოვნების სირბილის დამოუკიდებელი კორელაციის (რუსული ტიპი) მქონე ენებს შორის. რუსულ ტიპთან დაახლოება იმაში გამოიხატება, რომ ჩუვაშური დაპირისპირება *с-ც* ხორციელდება მეზობელი თანხმოვნების თვისებების მიუხედავად. ამდენად *с* რბილი ვარიანტი არაცთუ იშვიათად ეთანხმება მაგარ თანხმოვნებს, ხოლო მაგარი *с*, თავის მხრივ, გვხვდება რბილ თანხმოვნებთან (ეგოროვი 51). დანარჩენი თანხმოვნები მისდევნენ თათრულ ტიპს, ანუ სირბილესიმაგრის დაპირისპირების მიხედვით ქმნიან განუყოფელ მთლიანობას მეზობელ ხმოვნებთან. მაგრამ საინტერესოა, რომ თათრული პალატალიზებული თანხმოვნები „იძლევიან უფრო მაგარ აკუსტიკურ ეფექტს, ვიდრე ჩუვაშური ენის შესაბამისი ბგერები, რომლებიც ამ თვალსაზრისით უაბლოვდებიან რუსულ თანხმოვნებს და ზოგიერთი გამონაკლისი ელფერის გარდა, ემთხვევიან რუსულს (ეგოროვი, იქვე:54). ეს, უნდა ვიფიქროთ, რომ უკავშირდება ჩუვაშური ენის ზემოაღნიშნულ ტენდენციას – თანხმოვანთა სირბილის დამოუკიდებელ კორელაციას.

ჩერიომული (მარიული) ენა აღმოსავლეთ ფინური ენების ჯგუფიდან ყველაზე თანამიმდევრულად იცავს ხმოვანთა ჰარმონიას. ის მარიული კილოები, რომლებსაც არა აქვთ თანხმოვანთა სირბილის დამოუკიდებელი კორელაცია (შდრ. გვ. 28), როგორცა ჩანს, უახლოვდებიან თათრულ ფონოლოგიურ ტიპს: თანხმოვანთა სირბილე ქმნის განუყოფელ მთლიანობას იმავე მარცვლის ხმოვანი ფონემის ტემბრთან. მარცვლოვანი სინჰარმონიზმის არსებობა კილოებში მეცნიერებს არაერთხელ აღუნიშნავთ (იხ. მაგალითად, ლევი 36-37). რამსტედტი ჩერიომიულის მთის კილოების აღწერისას აღნიშნავს, რომ ცოცხალ მეტყველებაში განუსაზღვრელი ხმოვნები ვარდება, თანხმოვნები ქმნიან მარცვალს და ამ თანხმოვანთა ტემბრული სხვაობა სიტყვათგანმასხვევებელ მნიშვნელობას იძენს. მაგალითები: *тр* (მარცვლოვანი *р*-თი, ამოვარდა მაგარი განუსაზღვრელი ხმოვანი)=მშვიდობა, *тръ* (მარცვლოვანი *ръ* – ამოვარდა რბილი განუსაზღვრელი ხმო-

<sup>1</sup> უფრო ზუსტი ფორმულირება ასეთია: რბილი თანხმოვნების მომდევნოდ რბილი ხმოვნებს ჩაენაცვლა მაგარი მარცვლის შესაბამისი თანხმოვანი ფონემა, რომელიც არის სიტყვის აბსოლუტურ თავში და ენობრივ ცნობურებაში ფასდება, როგორც შესაბამისი ფონემის ძირითადი ვარიანტი. რბილი და მაგარი თანხმოვნების დაპირისპირება მხოლოდ სიტყვის აბსოლუტურ თავში იყო შენარჩუნებული, რადგან ამ მდგომარეობაში ფონოლოგიური სხვაობა ვერ გადაიტანება თანხმოვნებზე.

ვანი)=საზღვარი;  $\alpha$  (მაგარი მარცვლოვანი თანხმოვანი, - ამოვარდა სანყისი მაგარი განუსაზღვრელი ხმოვანი)=გონება,  $\alpha\beta$  (რბილი მარცვლოვანი თანხმოვანი - ამოვარდა სანყისი რბილი განუსაზღვრელი ხმოვანი)=არა (ლევი გვ. IX, X).  $\tau, \pi, \mu$  თანხმოვნების ტემბული წყვილები არ არის დამოკიდებული ამ დიალექტში ხმოვანთა გარემოცვაზე, რის გამოც სახეზეა გარდამავალი მდგომარეობა მარცვალთა სირბილის კორელაციიდან თანხმოვანთა დამოუკიდებელი სირბილის კორელაციისკენ. შეიძლება ამ გარდამავლობის შეპირისპირება ჩუვაშური ფონოლოგიის მსგავს მოვლენასთან. რაც შეეხება ჩერიომული (მარიული) თანხმოვნების სირბილის ობიექტურ ხარისხს რბილ მარცვალში, პასონენის მიხედვით, რომელიც აკვირდებოდა ჩერიომულ დიალექტს უფიმის გუბერნიაში, იგი ემთხვევა პალატალიზაციის ხარისხს ვოლგურ-თათრულში და ჩამორჩება ჩუვაშურს, რომელიც, თავის მხრივ, მორდული თანხმოვნების სირბილეს ჩამორჩება (პასონენი გვ. IV-V). აღსანიშნავია, რომ ჩერემელთა რუსულ მეტყველებაში 1) რუსული თანხმოვნების სირბილე სუსტდება; 2. ჩანს მარცვლის ტემბული უნიფიკაციის ტენდენცია, მაგალითად: *лещь, неть* (სელიშევი c:67).

მონღოლურის დიალექტებში  $\alpha$ -ს წინ თანხმოვნები პალატალიზდება. ამ არაფონოლოგიური ფაქტის თანხმოვანთა დამოუკიდებელ სირბილედ გარდაქმნითაა განპირობებული სამი ფონოლოგიური ცვლილება: 1) ბოლო  $\alpha$  იკვეცება, წინა თანხმოვნის სირბილე შენარჩუნებულია; 2) პირველი მარცვლის  $\alpha$  ასიმილირდება მომდევნო მარცვლების ხმოვნებთან. ფონემა  $\alpha$  იცვლება  $a, e, o$  და სხვა ხმოვნებით. ამის შედეგია წინამავალი თანხმოვნის სირბილემ. 3)  $\alpha$ -სა და მომდევნო ხმოვანს შორის ვარდება თანხმოვანი. შედეგად ვიღებთ ორი ხმოვნის ერთ ხმოვნად შერწყმას:  $\alpha + a$  იქცა  $e$ -ად და ასე შემდეგ. წინამავალმა თანხმოვანმა შეინარჩუნა სირბილე<sup>1</sup>.

მხოლოდ მონღოლურის კილოებმა შეინარჩუნეს თანხმოვანთა სირბილე ყველა ამ შემთხვევაში, ხოლო სხვა კილოებში დამოუკიდებელი სირბილის საზღვრები მეტნაკლებად შეზღუდულია. როგორც უნდა იყოს, ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით, თანხმოვანთა სირბილის კორელაცია მონღოლურ ენობრივ სამყაროში ფართოდ არის გავრცელებული. სახასიათო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მონ-

<sup>1</sup> ვლადიმირცოვი კომპლექსების გრძელ ხმოვნებად გარდაქმნას უკავშირებს მონღოლური ტომების მონადირული ცხოვრების წესიდან მომთაბარეობაზე გადასვლის თანმდევ პროცესს. ცხოვრების მომთაბარე წესზე გადასვლამ მათ ცხოვრებაში ბევრი ცვლილება გამოიწვია. სხვადასხვა ტომი სხვადასხვა დროს და სხვადასხვაგვარად ეგუებოდა და საბოლოოდ ცხოვრების ამ წესზე გადავიდა მონღოლურ ტომთა უმრავლესობა. მონღოლური ტომების მონადირული ცხოვრებიდან მომთაბარეობაზე გადასვლას უნდა დაეჩქარებინა ფონეტიკური ევოლუციის პროცესი და ის ახალი და ძველი სიტყვები, რომლებიც მომთაბარე ყოფას და სტეპის მომთაბარე ვითარებას ასახავდნენ, ამჟამად სიტყვის ახალი ცხოვრების მოთხოვნებს ეგუებიან და ახალი ფორმებს იღებენ. (241).

ლოლურის დაგურული კილო, რომელიც გაერცელებულია ჩრდილოეთ მანჯურის მნიშვნელოვან ნაწილში და თანამიმდევრულად ინარჩუნებს თანხმოვანთა სირბილეს როგორც დაკარგული ა ხმოვნის, ისე მისი შეცვლილი ვარიანტის წინ. დაგურული კილო ბრწყინვალედ არის აღწერილი ი. ნ. პოპის მონოგრაფიაში. ამავე წესს მისდევს ორდისული კილო (მოსტერტი). დაგურულში სამივე ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი განაპირობებს თანხმოვანთა სირბილეს (119 და შემდეგი. 142). ამის საპირისპიროდ მონოლური შტოს არმოსავლურ კილოებს, რომლებიც აღწერილია ბ. ი. ვალადიმირცოვის კაპიტალურ შრომაში, არ ახასიათებს სიტყვის ბოლოს რბილი თანხმოვნები, ხოლო ა-ს წინ, რომელიც სხვა ხმოვნით იცვლება, ამ კილოში შეიმჩნევა მერყეობა – ზოგიერთ შემთხვევებში თანხმოვანი რბილია, ხოლო სხვა, გაურკვეველ-ამოუხსნელ პირობებში, მაგარი. რაც შეეხება მონოლოლურის დასავლური შტოს წარმომადგენელს – ყალმიყურს, მისთვისაც დამახასიათებელია რბილი თანხმოვანი ფონემები (დაკარგული ა-ს წინ). ვ. ლ. კოტვიჩი აღნიშნავს *нх, лх, рх, вх.кх* რბილი თანხმოვნების არსებობას (კოტვიჩი 51).

მონოლოლურის კილოებში თანხმოვანთა პალატალიზაციაზე მსჯელობს პოპე (120, 142). ვლადიმირცოვი ეხება თანხმოვნისა და მოკლე, სუსტი გარდამავალი ბგერის თანამიმდევრობას. ამ სუსტ გარდამავალ ბგერას მკვლევარი *i*-ით აღნიშნავს (56, 176, 200). აზრთა სხვადასხვაობის მორიგება ალბათ შეიძლება იმ თვალსაზრისით, რომ ძირითადი საარტიკულაციო მოძრაობა წყდება დამატებითზე ადრე: პალატალიზებულ თანხმოვანსა და ფართო ხმოვნებს (*a, e* და სხვა) შორის მონგოლურის კილოებში ვითარდება გამოკვეთილი გარდამავალი ხმოვნითი ელემენტი, რომელიც უახლოვდება უმარცვლო ა-ს – არცთუ იშვიათი თანმდევი მოვლენა ძლიერი პალატალიზაციის დროს (იხ. ბროკი *b:§185*). ძლიერ პალატალიზაციას, რომელიც ფონოლოგიური სირბილის რეალიზაციაა, მონმობს პოპის მონაცემები: რამდენადაც სირბილე დამოუკიდებელია, პალატალიზაციის ხარისხი მნიშვნელოვნად მალაია, ვიდრე ა-ს წინა პოზიციაში, სადაც სირბილე გარეგნულად არის განპირობებული, მაგრამ მაინც ა-ს მონაწილეობით შექმნილი თანამიმდევრობა ახლოსაა რუსულთან. მაგალითად, სიტყვაში *нште* (წერილი) *нх* წარმოითქმის თითქოს ისე, როგორც სიტყვაში *ншах* და ძალიან შორსაა გერმანულ *bitte*-ში გამოთქმული *b*-სგან (142).

გამოვიყვანოთ გეოგრაფიული დასკვნები ჩვენ მიერ გამოყოფილი თანხმოვანთა ფონოლოგიური სირბილისა და ერთგვარი ტონის მქონე (მონოტონური) ენებიდან. ამ ენებს უჭირავთ თეთრი ზღვისა და კავკასიის, დასავლეთ ციმბირისა და თურქმენეთის ტერიტორიები, ანუ ის ძირითადი ბირთვი, სადაც ჩანს ევრაზიული სამყაროს ძირითადი გეოგრაფიული მახასიათებლები (იხ. სავიცი *a:8* და შემდეგი; *b:131*). ამ ფონოლოგიური გაერთიანების სამხრეთ-დასავლეთი ბოლო არის ევრაზიული სტეპების დასავლეთი ნაწილი შავი ზღვის ოდესის ნაპირებიდან ბალკანეთისაკენ. და ბოლოს, აღმოსავლეთით სიმაგრე-სირბილის კორელაცი-

ისა და ერთი ტონის მქონე ენები (ტონის თვალსაზრისით გაუდიფერენცირებელი ენები), როგორც ჩანს, ფარავენ „კონტინენტის მონოლოლურ ბირთვის“, რომელიც გარკვეული თვისებებით მიეკუთვნება ევრაზიას (სავიციკი a:50).

მთიანი მხარე, შემოსაზღვრული სამხრეთ-აღმოსავლეთით თეთრი ზღვით და კავკასიით, ძირითადად წარმდგენილია მთის ჯგუფისა და ჩრდილო-კავკასიური ჯგუფის ენებით<sup>1</sup>. ევრაზიის ენების ფონოლოგიური მახასიათებელი აქ სახეზეა: თანხმოვანთა ტემბრული სხვაობა ამ ენებში არსებით როლს თამაშობს. მაგრამ ეს ტიპური პერიფერიული მოვლენაა! – სხვაობა ზოგჯერ სახენაცვალაია, ზოგჯერ კი – გაღრმავებული.

რუსულის, მორდულისა და სხვა ენების მსგავსი სირბილის კორელაცია ახასიათებს აფხაზურსა და აღმოსავლეთ-კიახურ კილოებს. ასეთი კორელაცია არის ლაკურ და ჩენურ ენებში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაღალი ტემბრის თანხმოვნები სხვაგვარად ინარმოვბიან. ეს ე. წ. „ემფატიკურ-რბილი თანხმოვნები“.

ევრაზიის დაბლობის ენათა კანონიკური ტემბრული კორელაციიდან გადახრის მეორე სახეა ჩრდილო-კავკასიური ენების თანხმოვანთა „მუქი“ კორელაცია. ობიექტური აკუსტიკის ტერმინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ მაღალი და ნორმალური ტემბრის თანხმოვნები კი არ უპირისპირდება ერთმანეთს, არამედ ნორმალური და დაბალი ტემბრის თანხმოვნები. ასეთი კორელაცია მოქმედებს ყველა დასავლეთ-კავკასიურ ენასა და დაღესტნის ბევრ ენაში. ზოგჯერ, მაგალითად, ყაბარდოულში, ეს არის ერთადერთი ტემბრული კორელაცია, სხვა ენებში ტემბრული სხვაობა ღრმავდება – ამა თუ იმ ტიპის სირბილის კორელაციით, მაგალითად, აფხაზურ ენაში<sup>2</sup>.

ამიერკავკასიის ენებს – სომხურსა და ქართველურ (ქართულ) ჯგუფს არ ახასიათებს თანხმოვანთა ტემბრული სხვაობა. ეს მიუთითებს ამ მხარის გარდამავალ ხასიათზე როგორც გეოგრაფიული, ისე ეთნოგრაფიული თვალსაზრისით – ევრაზიიდან მეზობელი მიმართულებით, რაც არაერთხელ აღნიშნულა (სავიციკი d:90, სვიატოპოლკ-მირსკი, ზელენინი:§87). ტემბრული სხვაობა არ ახასიათებს არც კავკასიის ირანულ ენებს (ოსურსა და თათურს), არც უზბეკურის ირანიზებულ კილოებს<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ამ ენებში ტემბრული სხვაობის შესახებ მონაცემები მიღებული მაქვს ნ. ს. ტრუბეტკოისთან ზეპირი საუბრების დროს, აგრეთვე იაკოვლევის ნაშრომიდან (ა. ბ. ც). ამ ენათა კლასიფიკაციის შესახებ იხ. ტრუბეტკო ც.

<sup>2</sup> ყაბარდოულში ურთიერთდაპირისპირებული მუქი და ნათელი თანხმოვნები ქმნიან მ წყვილს. მაგალითად: ნერხ=საბავშვო დაავადება, ნერ=ობობა (თანხმოვანთა ლაბილიზაციას აღნიშნულია სიმავრის ნიშნით). აფხაზურ ფონოლოგიურ სისტემაში ხუთ ნათელმავარ თანხმოვან ფონემებს შეესაბამება მუქი და რბილი კორელატები, ექვსს – მხოლოდ რბილი და ერთს – მხოლოდ მუქი კორელატი.

<sup>3</sup> აქ შემოდის უზბეკურის ქალაქური კილოები (ტამკენტის, ჯიზაკის, სამარყან-

შორეული აღმოსავლეთის პალეოაზიური ენები ამტკიცებენ სა-  
ვიციკის თეზისს, რომ შორეული აღმოსავლეთი ევრაზიული სამყაროს  
მიღმაა (ა:51). ეს ენები იყოფა ორ ფონოლოგიურ ტიპად. ჩუკოტური  
(ბოგორაზი b) და იუკაგორული ენები (იოხელსონი) არ განასხვავებენ  
თანხმოვნებს ტემბრის მიხედვით. შორეულ აღმოსავლეთში გავრცელე-  
ბული თვით რუსულის კილოებშიც კი, რომლებიც განიცდიან იუკაგი-  
რულის გავლენას (ბოგორაზი a), შესამჩნევად კლებულობს სირბილის  
კორელაციის გამოყენება. ამ თვალსაზრისით რუსული ენობრივი სამყა-  
როს ბოლო აღმოსავლური პუნქტი ჰგავს მის ბოლო დასავლურ პუნქტს  
– რუსნაკულის კილოთა ნაწილს. გილიაკურ ენას, რომელიც გავრელებ-  
ბულია სახალინის ჩრდილოეთ ნაწილსა და ამურის დაბლობზე, ახასია-  
თებს როგორც თანხმოვანთა სირბილის კორელაცია, ისე პოლიტონუ-  
რობა. ამ შემთხვევაში ვმსჯელობთ ლ. შტერნბერგის ფრაგმენტული  
მონაცემის მიხედვით.<sup>1</sup> ამდენად, იგი მიეკუთვნება წყნარი ოკეანეთის  
პოლიტონურ კავშირს და კორელაციათა შედგენილობით განსაკუთრე-  
ბით ახლოსაა იაპონურ ენასთან: იაპონური კილოები, ჩრდილო-აღმო-  
სავლურის გარდა, ხასიათდება პოლიტონურობით და თანხმოვანთა  
სირბილე-სიმაგრით (პოლივანოვი ა: 169 და შემდეგი, b).

მსგავსი მოვლენა ახასიათებს ევრაზიის ჩრდილო-დასავლეთ  
საზღვარს: აქაც რბილი თანხმოვნების იზოხაზი გადაჭდობილია პო-  
ლიტონურ ენობრივ კავშირთან. თანხმოვანთა სირბილე-სიმაგრის მი-  
ხედვით დაპირისპირება ახასიათებს ლიტვურ ენას, რომელიც, რო-  
გორცა ჩანს, არის მარცვალთა სირბილის კორელაციის შემადგენელი  
ნაწილი (შდრ. მაგალ. კურმატი 14, 24 და შემდეგი). ლარინის დაკვირ-  
ვებით, სლავურის მეზობელ ლიტვურ კილოებში „პოლონურისა და  
რუსულის გავლენის გამო პალატალიზაცია უფრო შესამჩნევი მახასი-  
ათებელია, ვიდრე ლიტვურის სხვა კილოებში“ (ლარინი 115). როგორც  
დიალექტური მოვლენა, თანხმოვანთა დამოუკიდებელი სირბილე ახა-  
სიათებს ლატვიურ ენას. იგი განსაკუთრებით გავრცელებულია აღმო-  
სავლურ ლატვიურ კილოებში, – ენძელინი უშეებს რუსულის გავლენას  
(b: §90). პოლივანოვი ესტონური ენის რეველურ დიალექტში ამჩნევს  
თანხმოვანთა სირბილე-სიმაგრის მიხედვით შექმნილ ფონოლოგიურ  
წყვილებს. ამ სირბილის აკუსტიკური სისუსტის აღსანიშნავად იგი  
იყენებს ტერმინ „ნახევრად რბილს“ (ა: 198). ეს მოვლენა, რომელიც  
წარმოიქმნა ა-ს ამოგდებით ან დაკარგვით აღმოსავლეთ-ფინურის-  
თვის დამახასიათებელი ანალოგიურ მოვლენასთან ერთად, მეტყვე-  
ლებს იმაზე, რომ სირბილის კორელაციის იზოხაზი გრძელდება, ყო-  
ველ შემთხვევაში, სულ ცოტა ხნის წინ გრძელდებოდა.

---

დის, კატა-ყურგანის, ურა-ტუბის, ყარმის, ბუხარისა და გარდამავალი ფერგა-  
ნული კილოები (პოლივანოვი c).

<sup>1</sup> სირბილე-სიმაგრის მიხედვით გილიანურში იქმნება თანხმოვანთა შემდეგი  
წყვილები: *u, y, c, z, .u, d, .h, .t, e.*



## ევრაზიული ენობრივი კავშირის დასკვნითი ფონოლოგიური დახასიათება

ჯერ კიდევ საკვლევი მარცვლოვანი სინჰარმონიზმის გავრცელებულობა თურანული ენობრივი სამყაროს (კერძოდ, ტუნგუსურ-მანჯურიული შტოს ენებში) აღმოსავლეთით<sup>1</sup>, მაგრამ უკვე უფლება გვაქვს ვიმსჯელოთ ევრაზიულ ენობრივ კავშირზე ისე, რომ სრულად არც კი ვიცოდეთ გარკვეულ შემთხვევებში როგორია მისი იზოფონების სიახლოვის ხარისხი სხვა ევრაზიულ იზოზაზებთან.

ევრაზიული კავშირის ენების ფონოლოგიურ კორელაციები ახასიათებს ორი თვისების ერთიანობა: 1. მონოტონია (ტონურობის თვალსაზრისით არადიფერენცირებულობა); 2. თანხმოვანთა ტემბრული სხვაობა, რაც გამოიხატება სირბილის კორელაციაში, ევრაზიის კავკასიური პაერიფერიის გარდა. ჩვენ მიერ სახელდებული ევრაზიული ენობრივი კავშირის გარეთ არ არსებობს ამ ორი ფონოლოგიური თვისების ერთდროულად მქონე ტერიტორიული უწყვეტი ენობრივი ჯგუფი ძველი სამყაროს ძირითად მატერიკზე ანუ იმ მატერიკზე, რომლის შემადგენლობაშიც შედის ევრაზია. მხოლოდ ერთადერთი ენაა, ირლანდიური, რომელიც გავრცელებულია ევროპული სამყაროს უკიდურეს დასავლეთში და ახასიათებს მონოტონია თანხმოვანთა სირბილე-სიმავრის ფონოლოგიურ დაპირისპირებასთან ერთად (იხ. მაგალითად, სომერფელტი a, b)<sup>1</sup>.

ევროპული ენობრივი კავშირის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით და შესაბამისად, უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ემეზობლებიან მონოტონიის მქონე ენები, რომლებიც არ განარჩევენ თანხმოვნებს ტემბრული თვალსაზრისით. ერთი მხრივ, ლოპარული ენა, უხტინო-კარელიური კილო, სუომი აღმოსავლეთ ნაწილსა და ფინურ-შვედური მეტყველების გარდა, მეორე მხრივ, პალეოაზიური ენების ჩუკოტური-იუკაგირული ტიპი<sup>2</sup>. ევრაზიულ კავშირს ჩრდილო-დასავლეთით და აღმოსავლეთით მთელ ზოლზე აკრავს პოლიტონური ენები – ბალტურ

### \* მაგალითები

აღკორი მიუთითებს, რომ „თითქმის ყველა, საკუთრივ ტუნგუსური თანხმოვნები შეიძლება იყოს პალატალიზებული და არაპალატალიზებული“ (6), მაგრამ გაუგებარია, იგულისხმება თუ არა ფონოლოგიური სირბილე. ტუნგუსურ ენათა რუსი მკვლევრების მიერ მომზადებული აღწერილობები (ზვენკისკის, ლამუტსკისა და ნევიდალსკისა), ჯერ, სამუნუხაროდ, დაბეჭდილი არ არის.

<sup>1</sup> ევრაზიის ფონოლოგიური მახასიათებელი დადებითი თვისებაა (ტემბრული კორელაციის არსებობა). ეს კიდევ უფრო საჩინოა, რადგან ჯერაც ვერ მოიძებნა საერთოევროპული ან საერთოაზიური დადებითი ფონოლოგიური თვისება.

<sup>2</sup> ამავე ტიპს მიეკუთვნებიან, როგორცა ჩანს, იაპონურის ის ჩრდილო-აღმოსავლური კილოები, რომლებსაც არ ახასიათებს არც პოლიტონურობა, არც ხმოვანთა რაოდენობრივი კორელაცია და არც თანხმოვანთა სირბილის კორელაცია (იხ. პორლივანოვი b).

ენათა ოჯახი და წყნარი ოკეანეთის ენები. ევრაზიული კავშირის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით კვლავ მონოტონიის მქონე ენებია გავრცელებული, რომლებიც არ განასხვავებენ თანხმოვნებს ტემბრის მიხედვით. ესენია: ევროპის ენათა ძირითადი მასივი, ოსმალურ-თურქული ენა, ქართველურ ენათა ოჯახი და ახლო აღმოსავლეთის ინდო-ევროპული ენები (სომხური და ინდოირანულ ენათა ჯგუფი).

ჯერჯერობით ჩვენ შევძელით მხოლოდ ერთი სხვაობის კონსტანტირება, რომელიც ქმნის ევრაზიის კონტურებსა და ფონოლოგიურ საზღვარს: პოლონეთის ფარგლებში ევრაზიული იზოფონები ფიზიკურ-გეოგრაფიული ნიშნებსა და ისტორიულ საზღვრებზე აგრესიული აღმოჩნდა. ჯერ ერთი, პოლონურის კილოების შეპირისპირება გვაძლევს სირბილის კორელაციის კვდომის თვალსაჩინო სურათს ანუ ვხედავთ პოლონური ფონოლოგიის გარდამავალ, რაიონთაშორის ხასიათს (მდრ. გვ. 22), მეორეც, არსებობს კიდევ ერთი საინტერესო ლინგვისტური ნიშანი – პოლონური მიდრეკილია აღმოსავლეთისკენ. ენობრივი მთლიანობისათვის დამახასიათებელი ტენდენციები ყველაზე მძაფრად სალიტერატურო ენაში ჩანს. პოლონური სალიტერატურო ენის ფონოლოგიის ევოლუციის რუსული ორიენტაცია თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად აჩვენა ლერ-სპლავინსკიმ (იხ. მაგალითად, 192 და შემდეგი). პოლონურმა სალიტერატურო ენამ უარყო რამდენიმე ფონოლოგიური თვისება, რომელიც უცხოა აღმოსავლურ სლავური ნყოფისთვის, მეორე მხრივ კი, შეინარჩუნა ისეთი ფონოლოგიური თვისებები, რომლებსაც ჰქონდათ შესატყვისები რუსულ ენობრივ სამყაროში; შეინარჩუნა იმის მიუხედავად, რომ ეს თვისებები არა აქვთ განაპირა პოლონურ ხალხურ თქმებს, რომლებიც ენაფებიან სალიტერატურო ენას.

უფრო ამკარად ჩანს რუმინული და ბულგარული ფონოლოგიის გარდამავალი, რაიონთაშორისი ხასიათი. ეს დიალექტური ჯგუფები ხასიათდება თანხმოვანთა ტემბრული სხვაობის არათანამიმდევრული განაწილებით: ზოგიერთ კილოში ეს სხვაობა საკმაოდ საფუძვლიანად არის გამოყენებული, ზოგიერთ კილოს კი ემჩნევა სირბილის კორელაციის შემცირების მკვეთრი ტენდენცია – მინიმუმამდეა დაყვანილი ისეთი თანხმოვნების რაოდენობა, რომლებიც სირბილე-სიმაგრის მიხედვით უპირისპირდებიან ერთმანეთს ან ისეთ ფონემათა თავსებადობის რეპერტუარია შემცირებული, რომლებშიც ეს დაპირისპირება რეალიზდება. რბილ და მაგარ თანხმოვანთა შორის სხვაობა ან საერთოდ იშლება ან ტემბრულ სხვაობას ენაცვლება სხვა დიფერენციალური ნიშანი. და ბოლოს, სირბილის კორელაციის კვდომის ზონას ემეზობლება ისეთი დიალექტები, რომლებშიც ეს კორელაცია საერთოდ არ არსებობს.

ევრაზიული კავშირისა და პოლიტონური კავშირის გადაკვეთაზე გარდამავალი რგოლის როლს ევრაზიული სამყაროსათვის ასრულებენ ისეთი პოლიტონური ენები, რომლებსაც თანხმოვანთა ფონოლოგიური სირბილე ახასიათებთ. ასეთია ბალტური კავშირის აღმოსავლეთ ნაწილში ლიტვიური ენა, ნაწილობრივ ლატვიურიც მისთვის დამა-

ხასიათებელი დიალექტური სირბილით და კიდევ უფრო ნაკლებად ესტონური თავისი რეველური „ნახევარსირბილით“, ხოლო ჩრდილოეთით წყნაროკეანეთის კავშირში ასეთი იაპონურის დიალექტთა უმრავლესობა და გილიაკური ენა.

საინტერესოა, რომ სლავურ ენებში ერთდროულად არ არსებობს თანხმოვანთა სირბილის კორელაცია და პოლოტონურობა და თუ სლავურ ენებში ასეთი რამ ხდებოდა, ყოველნაირად ცდილობდნენ მის თავიდან აცილებას (იხ. იაკობსონი ხ:51,59). ამგვარად, სლავური ენისთვის სირბილის კორელაციის შენარჩუნება ნიშნავს ფონოლოგიური თვისებების ევრაზიული კომპლექსის მიღებას.

ევრაზიული სამყაროს მოსაზღვრე ენების ფონოლოგიური თვისებურებები სპეციალურ კვლევას იმსახურებს. არცთუ იშვიათად თანხმოვანთა სირბილის კორელაციის მქონე ენებში არსებობს შუაენისმიერი ხშული თანხმოვნები დეზუნქციური ფონემების ფუნქციით, რომლებიც წარმოების თვალსაზრისით ერთგვროვნებას ამჟღავნებენ უახლოესი რიგის თანხმოვნებთან. ეს მოვლენა უფრო მეტად გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში: ჩეხურში, სლოვაკურსა და მაღიარულში (შუაენისმიერი თანხმოვნები შეესაბამებიან წინაენისმიერ m, d-ს), სერბულ-ხორვატულსა (შუაენისმიერი თანხმოვნები, რომლებიც წინაენისმიერ ყ, ძჟ-ს შეესატყვისებიან) და ალბანურში სხვადასხვა დიალექტური შუაენისმიერი თანხმოვნებით (იხ. ვაიგანდი ა:10). აქ უნდა შემოვიყვანოთ დასავლურ-ბულგარული და რუმინული კილოები, რომლებსაც არ ახასიათებთ თანხმოვანთა სირბილის კორელაცია.

## 7

### ევრაზიული ენობრივი კავშირის ისტორიიდან

ჩვენ დავახსიათეთ ის ფონოლოგიური თვისებები, რომლებიც აერთიანებს ევრაზიის ენებს სტატიკურ ჭრილში, მაგრამ ამით პრობლემა არ ამოიწურება. ევრაზიულ ენობრივ კავშირს აქვს თავისი ისტორია და კერძოდ, ისტორიული ფონოლოგია. ენობრივი კავშირის საზღვრები და მისი თვისებები იცვლება ცალკეული ენის საზღვრებისა და მახასიათებელი თვისებების მსგავსად. ჩვენ გვაქვს სლავური, რომანული, უგრო-ფინური, თურქული და მონგოლური ენების ისტორიული მონაცემები. უნდა დავსვათ კონკრეტული კითხვა: როდის და რა ვითარებაში, როგორ მიიღეს, განავითარეს ან შეინახეს თანხმოვანთა სირბილ-სიმაგრის მიხედვით განსხვავება იმ ენებმა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ევრაზიულ ტერიტორიასთან. ნაშრომში - „რუსული ენის ფონოლოგიური ევოლუცია სხვა სლავურ ენებთან შეპირისპირებით“ - ვეცადე განმესაზღვრა სლავური ენების ევოლუციის ყველა ძირითადი ტიპი და ტენდენციები, რომლებიც ამა თუ იმ სახეს ახასიათებს (ბ). ახლა საჭიროა სლავური ენობრივი ევოლუციის ევრაზიული ტიპის შეპირისპირება ევრაზიის არასლავურ ენებთან (არა მხოლოდ შედეგები, არამედ სწორედ მათი ევოლუციის გზა უნდა შეუპირისპირდეს ერთმანეთს).

და ბოლოს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისტორიულ-შედარებითი ფონოლოგიის მონაცემები უნდა დაუკავშირდეს ენათა მიგრაციის ისტორიას. თუ არ გავარკვეთ ენობრივი კავშირის ჩამოყალიბების გზას, ვერ გავერკვევით მის არსში, ვერ გავარკვევთ რა მიმართებაა ენობრივ გარემოსა და ტერიტორიას შორის. ჩვენ განვიხილეთ რამდენიმე ერთგვარი მოვლენა: ევრაზიაზე მიმავრებულ რამდენიმე ენობრივ ოჯახს ახასიათებს თანხმოვანთა დანაყოფება სირბილე-სიმაგრის მიხედვით, ხოლო იმავე ენობრივი ოჯახის არაევრაზიული განშტოებებს ეს არ ახასიათებს. აქედან გამომდინარე, არსებობს პროცესი, რომლის გავლის შედეგად ენა ხდება ევრაზიული, ანუ ენობრივი ევოლუციის პროცესი ევრაზიული მიმართულებისაა და თუ ეს პროცესი არსებობს, მაშინ აუცილებელია მისი სინთეზური დახასიათება.

ამ ენობრივი ოჯახების არაევრაზიული ნევრების ბედი გვაჩვენებს, როგორ ეგუებიან ეს ენები ევრაზიის მიმდებარე ტერიტორიას. ამკარაა ევროპეიზაციის პროცესი. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა სლავური ენობრივი სამყაროს დასავლური ავანპოსტის ისტორია. ფუძესლავური ენის დაყოფის ეპოქამ (X-XII სს.) რადიკალურად გარდაქმნა ყველა სლავური დიალექტის ფონოლოგიური შედგენილობა. მარცვალთა საერთოსლავური სირბილის კორელაციას სლავური ევოლუციის აღმოსავლურ ვარიანტში ჩაენაცვლა თანხმოვანთა სირბილის დამოუკიდებელი კორელაცია, ხოლო დასავლეთით განვითარდა თანხმოვანთა ტემბრული სხვაობის უარყოფის ტენდენცია. ფონოლოგიურ გზაგასაყარზე ჩეხურმა ენამ აირჩია ის გზა, რომელსაც მოეპოვებოდა პარალელი გერმანულთან (იხ. იაკობსონი b:55). ჩეხური ფონოლოგიური ევოლუციის ისტორია ფუძესლავური ენის დაშლიდან ჩეხური შუასაუკუნეების დასასრულამდე (XV საუკუნის დასაწყისი) არსობრივად არის თანხმოვანთა სირბილე-სიმაგრის მიხედვით დაპირისპირების ამოძირკვის ისტორია. იან ჰუსი იყო ამ სხვაობის უკანასკნელი ნარჩენების საბოლოო განადგურების მოწმე. იგი იცავდა სიძველეს და პათეტიკურად აცხადებდა, რომ „აქვთ არსებობის უფლება იმ პრალელელებს და სხვა ჩეხებს, რომლებიც მეტყველებენ ნახევრად ჩეხურად და ნახევრად გერმანულად“ და შლიან სხვაობას *ii-iii-s* შორის. მას უნაცვლებენ ნეიტრალურ *ii-s* ანუ ევროპულ *i-s*, ხოლო *ii-s* უნაცვლებენ *u-s*<sup>1</sup>. ჰუსის აღშფოთება ამაო იყო. – იმ ჩეხებმა გაიმარჯვეს, რომლებიც მეტყველებდნენ *more Teutonicorum*<sup>2</sup>. ფუძესლავური ენის გაყოფის შემდეგ ლუწიკური ენები და კაშუბური ცდილობდნენ თანხმოვანთა სირბილის კორელაციის და-

<sup>1</sup> რბილი *ii* ჩეხურში უფრო ადრე იყო ჩანაცვლებული ევროპული *i*-ით.

<sup>2</sup> თანხმოვანთა სირბილე-სიმაგრეზე დაფუძნებული სხვაობა იმდენად უცხოა ახლა ჩეხური ენობრივი აზროვნებისთვის, რომ ჩეხური ისტორიული გრამატიკის ფუძემდებელმა იან ჰებაურმა ვერ შენიშნა ამ სხვაობის გავლენა ერთ-ერთ ძირითად ძველჩეხურ ბევრათცვლილებაზე. ე. ნ. და საჭირო აღმოჩნდა რუსული ენის მცოდნე ენათმეცნიერი ა. ა. შახმატოვი, რომ ეს შეცდომა გამოესწორებინა (ა).

ფუძნებას<sup>1</sup>, მაგრამ ამ ენათა შემდეგდროინდელ ევოლუციაში სირბილის კორელაცია უარყოფილი იქნა. პოლაბურმა ენამ, რომელიც შესულია გერმანულ ენობრივ გარემოში, პირიქით, თანამიმდევრულად გაატარა თანხმოვანთა ტვიმბრული სხვაობა და მას არსებითი გრამატიკული როლი მიანიჭა. XVIII საუკუნის დასაწყისისთვის პოლაბურ ენას სირბილესიმიზარის დაპირისპირებაზე დამყარებული თანხმოვან ფონემათა 14 ნყვილი ჰქონდა (იხ. ტრუბეცკოი d:131,161). სირბილის კორელაცია კი არა, არამედ მისი მქონე პოლაბური ენა იქნა უარყოფილი. სასიკვდილოდ განწირული ენა არცთუ იშვიათად აძლევს თავის თავს სარისკო ფონოლოგიური ექსპერიმენტების უფლებას, რაც ფართო ექსპანსიისთვის გამიზნული ენებისთვის შეუძლებელია.

თუ რბილი და მაგარი თანხმოვნების ფონოლოგიურ დაპირისპირებას ჩვენ ვხედავთ ერთი ენის ან ენობრივი ოჯახის ფარგლებს გარეთაც, მაშინ თვალნათლივ ჩანს, რომ ენობრივი კავშირი არის მოვლენა, რომელიც თავისი მახასიათებლებითა და შინაგანი აგებულებით არანაკლებ მედინია, ვიდრე, მაგალითად, სახელმწიფო.

ორქონული წარწერების - უძველესი თურქული ძეგლების ანბანი ამოკვეთილია ქვაზე VII-VIII საუკუნეებში. თურქები მას იყენებდნენ უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში. ეს ანბანი გამოხატავს თანხმოვანთა დაპირისპირებას სირბილესიმიზარის მიხედვით: Ⴀ, Ⴁ, Ⴂ, Ⴃ, Ⴄ, Ⴅ, Ⴆ, Ⴇ, Ⴈ, Ⴉ თანხმოვნები რბილ მარცვლებში გამოიხატებიან სხვა ასოებით, ხოლო მაგარ მარცვლებში - განსხვავებული ასოების გამოყენებით<sup>2</sup>. გვაქვს საფუძველი დავუშვათ, რომ უკვე ფუძეთურქული ენა, ენობრივი ოჯახისთვის ფუძის დამდები, რომელსაც პირობითად ალათაურს უწოდებენ ანუ ფუძეალათაური ენა ხასიათდებოდა მარცვლოვანი სინჰარმონიზმით.

ალათაური ენობრივი სამყაროს გარშემო გავრცელებული ენების ისტორიული ფონოლოგიის მონაცემებს თუ შეუუპირისპირებთ ერთმანეთს, ვნახავთ, რომ ამ ენებმა სხვადასხვა დროს გაიარეს ალათაურ ლინგვისტურ ბირთვთან მიახლოების ფონოლოგიური სტადია. სწორედ ამ-

<sup>1</sup> სხვათა შორის, ამ ენებმა სხვადასხვა ტემბრის თანხმოვანთა ნყვილების ნაწილობრივი უნიფიცირება მოახდინეს.

<sup>2</sup> საინტერესოა, რომ დასავლელი მეცნიერები თანხმოვანთა ამ ნყვილეულების აღმნიშვნელ ასოებში ხედავენ მეზობელი ხმოვნის ტემბრის გადმოცემას. მაგალითად, დანიელი ენათმეცნიერი ვ. ტომსენი წერს, რომ „თვით თანხმოვანთა ბგერადობა უეჭველად ერთნაირი იყო უმრავლეს შემთხვევებში“ (17). მუქ-რბილი და მუქ-მაგარი ხმოვნების აღსანიშნად ორქონული წარწერების ანბანში გამოყენებული იყო სხვადასხვა ასო. მხოლოდ ნათელ-რბილი და ნათელ-მაგარი ხმოვნები აღინიშნებოდნენ ერთნაირი ასოებით. ამ სხვაობის წერილობითი გამოხატვისთვის საჭირო იქნებოდა მხოლოდ ორი ხმოვნის აღმნიშვნელი ასოები; ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ამ მარტივი საშუალების ნაცვლად ორი რბილი ხმოვნის აღსანიშნავად გამოყენებინათ ასეთი დიდი რაოდენობის დამატებითი თანხმოვნური ასოები. რუსმა ენათმეცნიერებმა სწორად ახსნეს, რომ ორქონულ წარწერათა ანბანი ასახავს მარცვლოვან სინჰარმონიზმს.

გვერდებზე შეთვისა უგრო-ფინური შტოს კილოებმა – ზოგმა მეტად და ზოგმა ნაკლებად – სინჰარმონიზმი (სინეი 41-44). ფუძესლავურ ენაში, რომელიც უკვე საბოლოოდ ჩამოცილებული იყო ინდოევროპულ ენათა ოჯახს, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო დიალექტურად დიფერენცირებული (იხ. ტრუბეტკოი გ:218 და შემდეგი) მოხდა მარცვლის უნიფიკაცია. ნაბიჯ-ნაბიჯ ხდებოდა მარცვლის მიგნით ფონემათა ჰარმონია: ენამ ერთმანეთს დაუპირისპირა მარცვლის ორი სტანდარტული ტიპი – რბილი და მაგარი მარცვლები (იაკობსონი ხ:20 და შემდეგი). ალათაური ენების სამხრეთელმა მეზობლებმა განავითარეს თანხმოვანთა სირბილის დამოუკიდებელი კორელაცია. თანხმოვანთა წყვილებების შექმნა სირბილე-სიმაგრის მიხედვით დამონმებულია ჩინურ ენაში ჩვენი ნელთალრიცხვის VII საუკუნეში (კარლგრენი, მეორე თავი). დროებით შეაღწია ამ კორელაციამ ენათა ინდოირანულ ჯგუფში. ყოველ შემთხვევაში, ძველინდურში ტრუბეტკოი ხედავს რბილი და მაგარი თანხმოვნების წყვილებს T და D. და ფშენივიერ T და D-ს და ასე შემდეგ.

ახლა მონოტონიის ზონა უფრო ფართოა ვიდრე თანხმოვანთა ფონოლოგიური სირბილის ზონა და სწორედ სირბილეა ევრაზიული კავშირის მახასიათებელი ფონოლოგიური ნიშანი. თავიდან კი, პირიქით, სირბილის კორელაციის ზონა იყო უფრო ფართო, ხოლო მონოტონია იყო ევრაზიული ფონოლოგიის ძირითადი კომპონენტი. შემდეგ სირბილის კორელაციის ზონა მცირდება და თანდათანობით ჩნდება თანამედროვე ევრაზიული ენობრივი კავშირის თვისებები და საზღვრები. საშუალო ინდურ ენაში უკვე არ არის სირბილის კორელაცია; იმავე დროს დაიწყო ტემბრული სხვაობის უარყოფა სლავური სამყაროს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში: პირველად სერბულ-ხორვატულსა და სლოვენურში, შემდეგ კი დასავლეთ-ბულგარულში, ჩეხურსა და სლოვაკურში (იაკობსონი ხ:36-37,51-57). ჩვენ არა გვაქვს ისეთი მონაცემები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა დავეთარიღებინა თანხმოვანთა ერთიანი ნეიტრალური ტემბრის სტანდარტიზაცია უგრო-ფინური ოჯახის დასავლურ ენებსა და ოსმალურ-თურქულში. თანხმოვანთა ფონოლოგიური სირბილის ზონის დავინროვებას თან სდევს სხვა მოვლენები – როგორც რეაქცია: ევრაზიული ენობრივი სამყაროს როგორც დასავლურმა, ისე აღმოსავლურმა ავანპოსტივებმა აამალღეს თანხმოვანთა სირბილე-სიმაგრის მიხედვით დაპირისპირების მნიშვნელობა. ჩვენი ნელთალრიცხვის პირველ საუკუნეებში მარცვალთა სირბილის კორელაციის ნაცვლად შემოიტანეს თანხმოვანთა სირბილის დამოუკიდებელი კორელაცია. ამით ფონოლოგიური კავშირის ახალი საზღვრები განმტკიცდა.

რამდენიმე თარიღი: მონღოლურის კილოებში ფონოლოგიური მოვლენა, რომელმაც დაბადა თანხმოვანთა დამოუკიდებელი ტემბრული დაპირისპირება, თარიღდება დაახლოებით XII-XIV საუკუნეებით (ვლადიმირცოვი 184, 241; პოპე 109). ევრაზიის ამ ფონოლოგიური დამცავი საზღვრის დასავლეთი სექტორი ცოტა უფრო ადრეა შექმნილი. პოლონურსა (როზვადოვსკი:340-341) და აღმოსავლურ-ბულგა-

რულში (იხ. მაგალითად, შჩეპკინი:86 და შემდეგი,) თანხმოვანთა სირბილის დამოუკიდებელი კორელაცია ნარმოიშვა XI საუკუნეში. რუსული ენისთვის დიდი ცვლილებებისა და რეფორმების ეპოქა, რომელიც დასრულდა ახალი კორელაციის შექმნით, მოდის XII-XIII საუკუნეებზე (ტრუბუცკოი f:294 და შემდეგი). ბუბრიხის თეორიის თანახმად, მორღულ ენას უკვე XI საუკუნეში ჰქონდა თანხმოვანთა დამოუკიდებელი სირბილე, ხოლო კარელიურმა ეს კორელაცია აითვისა და განავითარა მიმდინარე ათასწლეულის პირველ ნახევარში.

როგორც ჩანს, მსგავსი მოვლენები გადაიტანეს დასავლეთ ევრაზიის თურქულმა კილოებმა, კონკრეტულად კი დასავლურ-ყივჩალურმა დიალექტურმა ჯგუფმა. რადლოვის აზრით, დასავლურ-ყივჩალური დიდ ხანს იყო გავრცელებული ყირიმში. ყარაიმებმა, რომლებიც ყირიმიდან ჩრდილო-დასავლეთით დაიძრნენ, თან მოიტანეს ყივჩალური დიალექტი და დღევანდელ დღემდე შეინარჩუნეს. კოვალსკიმ დამაჯერებელი შეპირისპირებებით შეამაგრა თეზა დასავლურ-ყარაიმულისა და დასავლურ-ყივჩალურის მჭიდრო ნათესაური კავშირის შესახებ. დასავლურ-ყარაიმული ენა არის ერთადერთი ცოცხალი ნარმომადგენელი თურქულ ენათა ყივჩალური ჯგუფიდან. ყარაიმთა ემიგრაციას ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან კოვალსკი ვარაუდობს XIV საუკუნეში (გვ. XVII). იმავე პერიოდს მიეკუთვნება, მისი აზრით, ყივჩალურ დიალექტზე მეტყველი სომხების პოლონეთში გადასახლება. შემორჩენილია ამჟამად უკვე ამ მკვდარ დიალექტზე შესრულებული სომხური ანბანით დანერილი XVI-XVII საუკუნეების ტექსტები. კოვალსკიმ აღმოაჩინა ისეთი თვალსაჩინო მსგავსებები სომხურ-ყივჩალურსა და ყარაიმულს შორის, რომლებიც მეტყველებენ ამ დიალექტების ნათესაურ კავშირზე. ამ დიალექტთა შეპირისპირებით მან დაადგინა ერთ მნიშვნელოვანი ფაქტი: სომხურ-ყივჩალურმა იმავე მეთოდებით გარდაქმნა მარცვალთა სირბილის კორელაცია, რა მეთოდებიც ჩრდილო-დასავლური ყარაიმების დიალექტმა გამოიყენა. კოვალსკი არ გამორიცხავს შესაძლებლობებს, რომ ეს გარდაქმნა ჩრდილო-დასავლელი ყარაიმების დიალექტში ბელორუსულის გავლენით მოხდა (გვ.XLVII). ასეთი დაშვების შემთხვევაში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სომხურ-ყივჩალურში სრული სინჰარმონიზმის გარდაქმნა თანხმოვანთა პარმონიად სლავური გავლენის შედეგია. თუ ასეა, მაშინ უნდა ითქვას, რომ ორმა დიალექტმა ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად ლამის წვრილმანებამდე ერთნაირი პროცესი გაიარა, თანაც ამ პროცესს ანალოგი არა აქვს არცერთ თურქულ დიალექტში, იმის მიუხედავად, რომ მრავალმა თურქულმა დიალექტმა განიცადა რუსულის გავლენა. შესაძლებელი გახდებოდა მემკვიდრეობით მიღებული ინვენტარის შერწყმა შეძენილთან საოცარი მსგავსების საფუძველზე. უფრო ადვილი არ იქნება, რომ ორივე დიალექტისთვის დამახასიათებელი თანხმოვანთა სირბილის კორელაცია ჩავთვალოთ ნამემკვიდრევე თვისებად? მართალია, პოლოვეკური მეტყველების XII-XIV საუკუნეების ძეგლი Codex Cumanicus თითქოს ასეთ მოვლენებს არ შეიცავს, მაგრამ სომხურ-ყივჩალურსა და ჩრდილო-დასავლურ ყარაიმულს შორის, ერთი მხრივ, და კოდექსის ენას შორის, მე-

ორე მხრივ, სიახლოვის მიუხედავად არის დიალექტური სხვაობა, კოდექსში ასახული ყოველწლიური დიალექტის ტერიტორიული გავრცელებულობის საკითხი კი კვლავ ღიად რჩება (მდრ. ბანგი). იმ ფონოლოგიური ევოლუციის პროცესში, რაც ათასწლეულის დასაწყისში გაიარეს დასავლეთ ევრაზიის სლავურმა და ფინურმა ენებმა, სრულიად დასაშვებია ყოველწლიური დიალექტებში მარცვლოვანი სინჰარმონიზმის თანხმოვანთა ჰარმონიაში გადასვლა.

სლავურ ტერიტორიაზე მარცვალთა სირბილის კორელაცია თანხმოვანთა სირბილის კორელაციაში გადადის სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. იმ კილოებმა, რომელთაგანაც მომდინარეობს თანამედროვე ველიკორუსული ენა, ახალი კორელაცია რამდენიმე ათწლეულით გვიან აითვისეს იმ კილოებთან შედარებით, რომლებიც უკრაინულ ენას დაედვენენ საფუძვლად. სამხრეთული კილოები მათ წინაშე მდგარ კარდინალურ ფონოლოგიურ საკითხებს დამოუკიდებლად, მზა მოდელების გარეშე ნყვეტდნენ. სწორედ აქედან გამომდინარეობს წინააღმდეგობრივი ფონოლოგიური ტენდენციები, აქედანვე მომდინარეობს გარდაუვალი რყევები და გართულებები. ამ შინაგან ფონოლოგიურ კონფლიქტებს არ შეიძლება კვალი არ დაეტოვებინა უკრაინული ენის ბგერით აგებულებაზე. რუსული ენობრივი სამყაროს ჩრდილოეთ ზონაში შესაძლო კონფლიქტები დროულად იყო გათვალისწინებული. ამ ზონის კილოებმა ფონოლოგიური ამოცანები თვით ამ ამოცანების დასამამდე სამხრეთულად გადაწყვიტეს. ამან განაპირობა ფონოლოგიის უმტიკინეულო გარდაქმნა (იაკობსონი b:63-67,79).

შედეგად ის მივიღეთ, რომ ველიკორუსულ თანხმოვანთა სირბილის კორელაცია სტანდარტული ტიპია. იგი გეგმაზომიერად გამოიყენება სიტყვათმნიშვნელობების დიფერენციაციისათვის. თანხმოვანთა დარბილება ხდება ფართო მასშტაბით თითქმის ყველა ხმოვნის წინ და სიტყვის ბოლოში. ამ კორელაციაში კბილისმიერთა გარდა შედიან ბაგისმიერი თანხმოვნები. თანხმოვანთა ველიკორუსული ფონოლოგიური სირბილე მიიღწევა დამატებითი არტიკულაციით. შესაბამისად, შუაენისმიერი თანხმოვნები ფონოლოგიურ სირბილეს არ აჩვენებენ და მაგარ კბილისმიერებს უპირისპირდება რბილი კბილისმიერები. თანხმოვანთა სხვაობა სირბილე-სიმაგრის მიხედვით მკვეთრად არის შემოსაზღვრული საარტიკულაციო ადგილის მიხედვით თანხმოვანთა დაყოფისაგან. ამას გარდა, თანხმოვანთა ტემბრული სხვაობა გამოცალკავებულია ხმოვანთა ტემბრული სხვაობისგან: თანხმოვნები ერთმანეთს ფონოლოგიურად უპირისპირდება სირბილე-სიმაგრით, ხოლო ხმოვნები ერთმანეთს უპირისპირდებიან სინათლე-სიმუქის მიხედვით. ევრაზიულ ენობრივი კავშირისთვის დამახასიათებელმა ტენდენციებმა ყველაზე დასრულებული სახე ველიკორუსულ ფონოლოგიურ აგებულებაში მიიღო. არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ ველიკორუსული ფონოლოგია დაედო საფუძვლად რუსულ სალიტერატურო ენას, ანუ იმ ენას, რომელსაც აქვს საერთო ევრაზიული კულტურული მისია.



## თანხმოვანთა სირბილე ევროპულ მეცნიერებასა და დაწერილობაში

რუსული ენის გრამატიკის ევროპული სახელმძღვანელოები სულ აწყდებოდნენ სირთულეს, როცა ცდილობდნენ ევროპელებისთვის აეხსნათ მათთვის სიღრმისეულად უცხო, თანხმოვანთა სირბილე-სიმაგრაზე დაფუძნებული ფონოლოგიური დაპირისპირება. ევროპელი ფონეტიკოსები და მათთან ერთად რუსებიც არცთუ იშვიათად ერთმანეთში ურევდნენ სხვადასხვა ცნებებს: სირბილეს – პალატალიზაციაში, პალატალიზაციას – პალატალურობაში (შდრ. გვ. 21-22), ფონეტიკურ სირბილეს – ფონოლოგიურ სირბილეში. თანხმოვანთა სირბილე პირველად არსებითად სწორად დაახასიათა ამ საუკუნის დასაწყისში რუსმა ენათმეცნიერმა ა. ტომსონმა (ბ). ჯერ კიდევ 1927 წელს იგივე მკვლევარი აღნიშნავს, რომ ევროპულ სპეციალურ ლიტერატურაში (მაგალითად, ვონდრაკის შედარებითი სლავური გრამატიკის I ტომის ახალ გამოცემაში) კვლავაც ჩანს საკითხის არასაკმარისი ცოდნა, რის გამოც ტომსონმა გადანყვიტა თავისი დასკვნები ამ მოვლენის შესახებ გერმანულად გამოქვეყნებინა (ა).

როცა თანხმოვანთა ფონოლოგიური სირბილის არმქონე ენების წარმომადგენლები აღწერენ ისეთ ენებს, რომლებსაც ეს თვისება აქვთ, ხშირად მასალას ამახინჯებენ და მას არარსებულ მახასიათებლებს მიანერენ. მაგალითად, გერმანელი კავკასიოლოგი ა. დირი ვერ ამჩნევს რბილ თანხმოვნებს აფხაზურში. მხოლოდ რუს ენათმეცნიერებს (მარი, იაკოვლევი ბ) არ მოსდით ეს შეცდომა. ფინელი მკვლევრების მხრიდან აღმოსავლურ-ფინური ენების ინტერპრეტაციისას დაშვებული არსებითი ფონოლოგიური შეცდომები აღმოაჩინეს და გამოასწორეს რუსმა და ადგილობრივმა მეცნიერებმა (იხ. ბუბრიხი ა). აღსანიშნავია, რომ უმრავლეს შემთხვევაში თავიდან რუსული საენათმეცნიერო ლიტერატურა შეუმონმებლად იყენებდა და იმეორებდა დასავლელი მეცნიერის შეცდომებს. ასე, მაგალითად, ევროპული თურქოლოგიის ტრადიციული სწავლება „ხმოვანთა ჰარმონიის“ შესახებ, როგორც ვნახეთ, ევრაზიის ბევრი თურქული ენისათვის საერთოდ დამახასიათებელი არ არის, რადგან ამ ენებში ხმოვანთა ჰარმონია უფრო რთული ფონოლოგიური მოვლენების – „მარცვლოვანი სინჰარმონიზმის“ შემადგენელი ნაწილი. უპირატესად ადგილობრივი თურქი დამკვირვებლების ნაშრომებმა გამოიწვია თურქული ფონოლოგიის საფუძვლების რადიკალური გადახედვა. თათარი ენათმეცნიერი შარაფი, რომელმაც დეტალურად განიხილა თათრული თანხმოვნების სირბილე-სიმაგრის მიხედვით შექმნილი წყვილულები, ძირითადად ეყრდნობა თათრულ ენაზე შ. ახმეტოვის, ალპაროვისა და ვალიდოვის დაკვირვებებს, ხოლო ყაზახურ-ყირგიზულ ენაში დაეყრდნო ცნობილი ყაზახი მწერლისა და ენათმეცნიერის აჰმედ ბაიტურსუნოვის შრომებს. ძალიან საინტერესოა პოლივანოვის ექსკურსი „იპაონური პალატალი-

ზებული თანხმოვნების გადმოცემა რუსულ პრაქტიკული ტრანსკრიფციაში" (ა:169 და შემდეგი). იაპონურ ენაში თანხმოვანთა სირბილე-სიმაგრეზე დამყარებული წყვილეულები ძალიან ჰგავს შესაბამის რუსულ კორელაციას. ედვარდს გამოეპარა იაპონურ ენაში ამ კორელაციის არსებობა და იაპონური რბილი თანხმოვანი ახსნა როგორც თანხმოვნისა და *ჟ*-ს (*Y* -ს) თანამიმდევრობა. შესაბამისად, ასეთ არასწორ ინტერპრეტაციას ეყრდნობა იაპონური სიტყვების ევროპული ტრანსკრიფცია. კუროზულია ის ვითარება, რომ რუსული პრაქტიკული ტრანსკრიფცია ბრმად მიჰყვებოდა ევროპულს. ევროპული ტრანსკრიფცია *pya* რუსულში გადმოიცემოდა როგორც *пиа* ან *пиа* მაშინ, როცა იაპონური მარცვლის გადმოცემა უმარტივესად და უზუსტესად შეიძლება რუსული *пш*-თი<sup>1</sup>. სწორედ ამ პრინციპზეა აგებული რუსულ იაპონისტიკაში მიღებული პოლივანოვის ტრანსკრიფცია. იაპონური ენისაკენ მიმავალი ევროპული შემოვლითი გზა შეიცვალა უმოკლესი გზით. სწორედ ანალოგიური ვითარებაა ევრაზიის ნაციონალური უმცირესობების ენებშიც.

იაპონური მეტყველების პოლივანოვისეული ტრანსკრიფცია საყურადღებოა სხვა მხრივაც. იგი კიდევ ერთხელ ამტკიცებს ლათინური დამწერლობის ნაცვლად კირილიცას გამოყენების აუცილებლობას იმ ენებისათვის, რომლებიც თანხმოვნებს სირბილე-სიმაგრის მიხედვით განარჩევენ. შემთხვევითი არ იყო, რომ რუსულ ტომებთან ერთად ამ დრომდე სწორედ რუსულ კირილიცას იყენებდნენ აღმოსავლეთ-ფინეთის ტომები, მოლდოველები და რუსი ტომები<sup>2</sup>. ძალიან საინტერესოა ნ. ფ. იაკოვლევის ცდა შეიმუშავოს ისეთი ფორმულა, რომელიც ეკონომიური იქნება ანბანის ასოთა რაოდენობის თვალსაზრისით (ბ). ავტორი მიუთითებს, რომ თანხმოვანთა სირბილე-სიმაგრის გადმოცემის მიხედვით რუსული ანბანი მთლიანად შეესაბამება ფორმულას, ანუ აღწევს მაქსიმალურ ეკონომიას, რადგან თანხმოვანთა სირბილეს გადმოსცემს მომდევნო ხმოვანი ფონემების დამატებითი *ჟ*, *ჭ*, *ი*, *ი* ასოების გამოყენებით. თუ რბილ თანხმოვანს არ მოსდევს ხმოვანი, მაშინ მისი სირბილე აღინიშნება დამატებითი *ხ* ასოთი. იაკოვლევი ამტკიცებს, რომ წერის ეს სისტემა ძალიან ხელსაყრელია აღმოსავლურ ფინური ენების ფონოლოგიის გადმოსაცემად. იგი გვთავაზობს ამ სისტემის გამოყენებას მთის კავკასიური ენებისთვის, რომლებსაც ახასიათებთ თანხმოვანთა ერთი ან ორი ტემბრული კორელაცია.

ბელორუსული დამწერლობის ლათინურზე გადაყვანის მცდელობა იქნება ლათინურის არაეკონომიურობის თვალსაჩინო ილუსტრაცია

<sup>1</sup> ევროპული ტრანსკრიფციის მიბაძვით კვლავაც გრძელდება *Киото* დაწერილობის გამოყენება მაშინ, როცა სწორია *Кѣто* და სხვა.

<sup>2</sup> რუსული ალფაბეტითაა დაბეჭდილი ყარაიმელი პოეტის ო. ა. კობეცკის ლექსების კრებული „*Кларъ*“ (კიევი, 1904), - ერთადერთი საერო ნიგნი დასავლეთ-ყარაიმულ ენაზე.

თანხმოვანთა დამოუკიდებელი სირბილის გადმოცემის თვალსაზრისით. თუ, მაგალითად, ლათინური შრიფტით დაბეჭდილი ბელორუსული ნიგნის – *Wlast. Karotkaja historyja Bielarusi* (ვილნა, 1910) პირველ გვერდებს გადავწერთ კირილიცათი და ორივე ვარიანტს შევეუდარებთ ერთმანეთს, ვნახავთ, რომ რუსული სისტემის „დამატებით“ ხმოვან ასოებზე უარის თქმა ლათინიზებულ ტექსტს განსხვავებით ადიდება დაახლოებით 7,5%-ით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის ბელორუსები, რომლებსაც ლათინური დამწერლობა შეუყვარდათ, ტექსტის ყოველ 100 გვერდში 7,5 გვერდ ქალაღდს ზედმეტად ხარჯავენ ისევე, როგორც ზედმეტად იხარჯება სტამბური ფერები და აწყობა. ეს არის უკან დახვევა უბრალო სტატისტიკური გამოთვლებითაც კი. როგორც უნდა გარდაიქმნას ორთოგრაფია, ყველა შემთხვევაში რუსულის ან აღმოსავლეთ-ფინური ენების გადასვლა ლათინურ დამწერლობაზე დაკავშირებულია ზედმეტ ხარჯებთან. თანხმოვანთა სირბილის გადმოცემა ლათინური დამწერლობით ერთ პრინციპს ვერ დაექვემდებარება, რაც უარყოფითად აისახება წერა-კითხვის სწავლებაზე. რუსულად წერაში თანხმოვანთა ფონოლოგიური სირბილე ყველა შემთხვევაში გადმოიცემა მომდევნო ასოთი (ზხ, ჰჰ, ჰჰ, ჰიო, ჰიი), ხოლო ლათინიზირებულ ბელორუსულში სირბილის გამოსახატავად გამოიყენება ოთხი სრულიად განსხვავებული საშუალება: 1. რბილი და მაგარი *ჩ* გადმოიცემა ორი სხვადასხვა ასოთი: *ჩ=ჩ* რბილი, *ჩ=ჩ* მაგარი. 2. სხვა თანხმოვანთა სირბილე, თუ ისინი გამოყენებული არ არის ხმოვნის წინა პოზიციაში, გამოიხატება დიაკრიტული ნიშნით. მაგალითად, *kniaz', Rus', dzien'*. 3. *ჩ*-ს გარდა სხვა თანხმოვნების სირბილე-სიმაგრე *უ* ფონემის წინ გადმოიცემა ორი სხვადასხვა ასოთი: *უ* - მაგარი თანხმოვნების შემდეგ, *ი* - რბილი თანხმოვნების შემდეგ (რუსული აღნიშვნის შესაბამისად). მაგალიტები: *kniazii, dni*. 4. იმავე თანხმოვანთა სირბილე სხვა ხმოვნების წინ გამოიხატება *ი* ასოს ჩართვით თანხმოვანსა და ხმოვანს შორის: *kniazia, kniaziiu, kniaziiom*. ასეთი სიტყვლე ძალიან არარაციონალურია და შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული, თუ თანხმოვანთა სირბილეს განვაზოგადებთ დიაკრიტული ნიშნებით, მაგრამ მაშინ საჭირო გახდება ბევრი ტიპოგრაფული ნიშანი და რაც მთავარია, ნაბეჭდი გადატივრთული იქნება ამ მოუხერხებელი დიაკრიტული ნიშნებით. ლათინური ალფაბეტის გამოყენება ევრაზიული ენების ფონოლოგიისთვის ახალ პრობლემებს შექმნის<sup>1</sup>, ან ეს ანბანი ისე რადიკალურად უნდა გარდაიქმნას, რომ მისგან არაფერი დარჩება რქებისა და ჩლიქების გარდა, ხოლო ლათინიზაციის ღირებუნი ცარიელ სიტყვად იქცევა.

<sup>1</sup> ამა თუ იმ ენისთვის დიდი ხნის განმავლობაში ლათინური დამწერლობის გამოყენების ფაქტები არგუმენტად არ გამოდგება: განა ცოტაა არასწორი ისტორიული ფაქტი, რომელთა მიბაძვა არაფერს გვარგებს? ამა თუ იმ ანბანის გამოყენება რომელიმე ენისათვის შინაგანი მიზანშეწონილობის პრინციპს უნდა დაეყრდნოს.

## ევრაზიული ენათმეცნიერების ამოცანები

რაც ზემოთ გადმოვეცით, მხოლოდ სამუშაო გეგმის წინასწარი მონახაზია. შემდეგი ამოცანაა ევრაზიისა და მისი მეზობელი მხარეების ენებში თანხმოვანთა ტემბრული სხვაობის დეტალურად კვლევა და კარტოგრაფირება. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

1. გამოიხატება თუ არა მოცემული ენაში თანხმოვანთა ტემბრული კორელაცია მუქი და ჩვეულებრივი (ნათელი) სახეების დაპირისპირებით, ან მაგარი (ჩვეულებრივი) და რბილი ან „ემფატიკური რბილი“ თანხმოვნების დაპირისპირებით თუ შესაძლებელია ენაში ორივე კორელაციის არსებობა და მუქი მაგარი – ნათელი მაგარი და ნათელი რბილი თანხმოვნების დაპირისპირება?

2. უპირისპირდება თუ არა ერთმანეთს განსხვავებული ტემბრის თანხმოვნები დამოუკიდებლად, თუ ეს დაპირისპირება მხოლოდ ორ ახლო მდგომ ხმოვანთან მეზობლობაში ჩანს ისე, რომ კორელაცია ქმნიან არა ცალკეული ფონემები, არამედ მარცვლები?

3. მოცემულ ენაში რამდენ წყვილს ქმნიან თანხმოვანი ფონემები, რომელთა დაპირისპირება დაფუნქციონირებულია ტემბრულ სხვაობაზე და რამდენია ცალკეული თანხმოვანი ფონემა, ანუ ისეთი ფონემა, რომელიც არ მონაწილეობს ტემბრულ კორელაციაში?

4. მოცემულ ენაში რამდენად მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტემბრის მქონე თანხმოვნებში არტიკულაციური და შესაბამისად, აკუსტიკური სხვაობა? თუ ენაში თანხმოვნები წყვილებიან სირბილე-სიმაგრის მიხედვით, წინაენისმიერ ან ენისწვერისმიერ (აპიკალურ) თანხმოვნებს რომელი რბილი კორელატი შეესაბამება – შუაენისმიერი თუ პალატალიზებული წინაენისმიერი და პალატალიზებული ენისწვერისმიერი?

5. რამდენად ფართოა მოცემულ ენაში ტემბრული კორელაციის გამოყენება, ანუ ფონემათა თანამიმდევრობის რამდენ და რომელ კატეგორიებში უპირისპირდებიან თანხმოვნები ერთმანეთს ტემბრული თვალსაზრისით? მაგალითად, ველიკორუსულ ენაში თანხმოვანთა ტემბრი გარეგნულად არის განპირობებული (ანუ სირბილის კორელაცია არ რეალიზდება) იმავე სიტყვაში e-ს, უმახვილო ა-ს წინ, თუ ის დაბოლოების ნაწილი არ არის და ასევეა უმრავლეს თანხმოვანთა წინაც.

6. რამდენად ხშირად ფიგურირებენ მეტყველებაში ტემბრული კორელაციის ფონემები, რამდენად დიდია მოცემულ ენაში ტემბრული

<sup>1</sup> ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა, რომ შარაფმა თათრული და რუსული რბილი და მაგარი თანხმოვნების პალატოგრაფები ერთმანეთს შეადარა. ასევე გასათვალისწინებელია ბოგოროდიცის (ველიკორუსული პალატოგრაფები), სინიაუსკის (უკრაინულის შესახებ), ბენის (პოლონურის შესახებ) და მლადენოვის (ბულგარულის შესახებ) ნაშრომებში მოცემული პალატოგრაფების შედარება.

ლი კორელაციის ფუნქციური დატვირთვა, ანუ რა დოზით არის გამოყენებული ტემბრული დაპირისპირება 1) ლექსიკური განსასხვავებლად (მაგალითად: *ხმ-ხმ*) და 2) გრამატიკული მნიშვნელობების განსასხვავებლად (მაგალითად: *ხმ-ხმ*)?

7. რა დოზით იყენებს მოცემული ენა თანხმოვანთა ტემბრულ დაპირისპირებას გრამატიკული ბგერათმონაცველობისთვის (ალტერნაციისთვის)? მაგალითად: *нес-у, нес-от (несет), нес-ом (несем), нес-ом.*

ამ კითხვებზე პასუხი მოგვცემს საშუალებას დავადგინოთ, ამა თუ იმ ენებსა და კილოებში ტემბრული კორელაციის გამოყენების ხარისხი და გავარკვიოთ ევრაზიულ ენებში ამ კორელაციის ძირითადი კერა ან კერები. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ მონაცემებით კარტოგრაფირება კიდევ ერთხელ დაგვანახებს ფონოლოგიური მახასიათებლების სიმეტრიულობას და ზონალურობის პროინციპს. შემდეგ აუცილებელი იქნება ევრაზიული ენების შედარებითი კვლევა ფონოლოგიური სტრუქტურების სხვა პრობლემების გამოსავლენად, მაგალითად, უნდა განისაზღვროს ხმოვანთა განსხვავებული სისტემების გავრცელებულობა როგორც ევრაზიის, ისე მის ფარგლებს გარეთ. სრულიად შესაძლებელია, რომ ევრაზიის ენებისა და მისი მეზობელი გეოგრაფიული სამყაროების ენათა შეპირისპირება ჯერ ფონეტიკური, შემდეგ კი მორფოლოგიური და სინტაქსური თვალსაზრისით, დაახუსტებს ევრაზიული ენობრივი კავშირის ცნებას და გაამდიდრებს მას ახალი მახასიათებლებით\*.

---

\* ამ სტატიის ბეჭდვის დროს ჩვენთვის ცნობილი გახდა ის მნიშვნელოვანი დასკვნები, რომლებიც გააკეთა ნ. ს. ტრუბეცკოიმ ბრუნების გეოგრაფიულ გავრცელებულობაზე დაკვირვებისას: „ბრუნება შედარებით იშვიათი მოვლენაა და დედამიწის ენათა უმრავლესობას არ ახასიათებს. ბრუნების გეოგრაფიული ზონა საკმაოდ შეზღუდულია. იგი მოიცავს მთელ ევრაზიას და ნაწილობრივ გადის მის საზღვრებს გარეთ. აღმოსავლეთით აქ შემოდის ესკიმოსური ენა და, როგორც ჩანს, ჩრდილოეთ კანადის ინდოელთა ზოგიერთი ენა. დასავლეთით კი შემოდის თითქმის მთელი სლავური (ბულგარულის გარდა), ბალტიური, სუომური, ლოპარული და უნგრული. ძალიან სუსტად არის წარმოდგენილი ბრუნება გერმანულსა და პოლანდიურში, ხოლო რომანულ ენებს, ასევე ინგლისურსა და დანიურს იგი საერთოდ არ ახასიათებს. აფრიკასა და აზიაში ბრუნება არ არის. ამასთან, საზღვარი გადის ოსმალურსა და არაბულს, სომხურსა და ქურთულს, აზერბაიჯანულსა და სპარსულს, ყარა-ყირგიზულსა (აგრეთვე უზბეკურსა) და ირანულ ენებს შორის, უფრო იქეთ – მონღოლურსა და ჩინურ-ტიბეტურ ენებს შორის. ყველაზე კარგად ბრუნება განვითარებულია უგრო-ფინურ ენებსა (მაგალითად, უნგრულში 21 ბრუნვა) და აღმოსავლეთკავკასურ ენებში (30 და მეტი ბრუნვა), მეორე ადგილზეა სამოედური და ალათაური ენები (თურქული, მონღოლური და ტუნგუსურ-მანჯურიული ენები), მესამე ადგილზეა – სლავური ენები ლიტვურთან და ლატვიურთან ერთად. სლავური ენებიდან ბრუნება ყველაზე ძლიერად განვითარებულია ველიკორუსულ ენაში (მდრ. ბრუნვის ისეთი დაბოლოებები, როგორიცაა „стахан чаю (ჭიქა ჩაი) - вкуч чаю“ (ჩაის გემო), „говорю о себе (ელაპარაკობ ტყეზე) - живу в лесу (ვცხოვრობ ტყეში)“), რითაც მან ამ თვალსაზრისით თურქულ ენათა დონეს მიაღწია. ბულგარულში არსებით სახელთა ბრუნება

ეს სამუშაო, რა თქმა უნდა, გულისხმობს ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა თანამშრომლობას სლავისტიკის, თურქოლოგიის, უგრო-ფინური ენათმეცნიერებისა და კავკასიოლოგიის ფარგლებში. სრულყოფილად ეს შესაძლებელია ევრაზიული ენების ბოლო წლებში შეგროვილი მრავალფეროვანი მასალის გაცნობით. ამ მასალიდან, სამუხაროდ, მხოლოდ მცირე ნაწილია საზოგადოებისათვის ცნობილი<sup>1</sup>.

## ნახსენები და დამონებული პროექტის სია

(ავტორთა გვარ-სახელები დალაგებულია თანამედროვე რუსულ ანბანში ასოთა თანამიმდევრობის მიხედვით)<sup>2</sup>

აქტები: Actes du Premier Congrès International de Linguistes, 1928.

ალკორი (კოშკინი): Алюкор, Я. П. (Кошкин): Проект алфавита эвенкийского (тунгусского) языка. -Материалы комиссии по изучению Якутской автономной сов. соц. республики. XXXII, Л. 1930.

მთლიანად გაქრა, ნაცვალსახელთა ბრუნება შემორჩა ძალიან სუსტად (ისევე როგორც ბალყანური კავშირის სხვა ენებში), სერბულ ენაში ბრუნება შელახულა (მხოლოდ რიცხვში ნაშეიშობი საზღვარი მიცემითა და ვითარებითს შორის, ხოლო მრავლობით რიცხვში ფორმალურად ერთმანეთისგან აღარ განირჩევა მიცემითი და მოქმედებითი; სხვა სლავურ ენებში (პოლონურში, ჩეხურში, სლოვაკურში, ლეჟიკურში, სლოვენურში, უკრაინულსა და ბელორუსულში) ბრუნება უფრო განვითარებულია, ვიდრე სერბულში, მაგრამ ნაკლებად ვიდრე რუსულში (ველიკორუსულში)<sup>3</sup>. თუ ერთმანეთს შევეუპირისპირებთ ზემოთ განხილული ფონოლოგიურ მოვლენებსა და ნ. ს. ტრუბეცკოის მორფოლოგიურ დაკვირვებებს, შეიძლება დავასკვნათ: 1) ძველი სამყაროს ძირითადი მატერიკის ფარგლებში არის, ერთი მხრივ, სპეციფიკური ცენტრული და, მეორე მხრივ, სპეციფიკური პერიფერიული მოვლენები; 2) ევრაზიის ყველა ენას ახასიათებს ცენტრული მოვლენები (თანხმოვნათა ტემბრული სხვაობა, მონოტონია, ბრუნვის ფორმები); 3) ცენტრული მოვლენები არ ახასიათებთ არაევრაზიულ ენებს, გარდა გარდამავალი, ევრაზიის მეზობელ ზონაში გავრცელებულ ენებს; 4) პერიფერიული მოვლენები განსაკუთრებით ახასიათებს ევროპის მთელი რომანულ გერმანულ ზონას და აზიის მთელ სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთს.

<sup>1</sup> ფინური, თურქული, მონღოლური, კავკასიური და ევრაზიის ენების ბოლო წლებში შეგროვილი მრავალფეროვანი მასალა ჯერაც გამოსაქვეყნებელია. ხოლო იმ მასალებიდან, რაც უკეთ დაბეჭდილია, ბევრი არ არის ევროპულ ბიბლიოთეკებში. ფრაგმენტული ეტიუდიც კი ვერ დაინერებოდა, რომ არა ჩეხეთის საბჭოთა რესპუბლიკის (ჩსრ 4СР) საგარეო საქმეთა სამინისტროს სლავური ბიბლიოთეკის რუსული ნივთებისა და უზრუნველების მდიდარი კოლექცია. მისი დირექტორის (В. Н.о Тухалеваский) ვ. ნ. ტუკალევსკის გულკეთილობის გარეშე ვერ შეიქმნებოდა ეს ნაშრომი. გულითად მადლობას ეუხდით მას და ყველას, ვინც კი დამეხმარა შენიშვნებით, მითითებებითა და ბიბლიოგრაფიული ცნობებით.

<sup>2</sup> ნაშრომისთვის დართულ ლიტერატურის სიაში დამონებულ ავტორთა გვარები გადმოტანილია ქართულად და დალაგებულია ქართული ანბანის რიგზე.

- ბანგი:** Bang, W.: Beiträge zur Kritik des Codex Cumanicus. - Bulletin de la Classe des Lettres de l'Académie. 2. de Belgique, 1911 N.1, 13-40.
- ბარანნიკოვი:** Баранников, О. П.: Про діалект шигаи Артемівської округи», Науковий збірник Ленінградського товариства дослідників укр. іст., письменства та мови, I. К. 1928, 53-61.
- бауშеві:** Баушев, В. Н.: Синтаксический строй вотской речи и генезис частиц союзного порядка. М.-Л. 1929.
- богорази:** Богоразь, В. Г.: а) Областной словарь Колымского русского нарѣчия. - Сборник отд. русс. яз. и слов. И. Ак. Н., LXVIII, No 4.
- богорази:** Богоразь, В. Г.: б) Образцы матеріаловъ по изученію чукотскаго языка и фольклора. - Изв. И. Ак. Н., X, №3, 1899.
- богородицкі:** Богородицкий, В. А.: Опыт физиологии общерусскаго произношенія въ связи съ экспериментально-фонетическими данными. Казань 1909.
- бодуен де Куртене:** Boudouin de Courtenay, J.: а) Zarys historii języka polskiego. Warszawa. S. a.
- бодуен де Куртене:** Boudouin de Courtenay, J.: б) Zur Frage über die „Weichheit“ und „Härte“ der Sprachlaute im allgemeinen und im slavischen Sprachgebiete insbesondere. - Zbornik u slavu Vatroslava Jagića. Berlin 1908, 583-590.
- броки:** Broch, O.: а) Die Dialekte des südlichstn Serbiens. Wien. 1903.
- броки:** Брокъ, О.: б) Очеркъ физиологии славянскої рѣчи. СПб. 1910.
- броки:** Broch, O.: с) Studien von der slovakisch-kleinrussischen Sptachgrenze im östlichen Ungarn. Kristiania 1897.
- бубрихи:** Бубрих, Д. В.: а) «Краткий отчет о лингвистической экспедиции к мордве летом 1927 г. - Доклады АН СССР, No 10, 1927, 205-209.
- бубрихи:** Бубрих, Д. В.: б) О взаимоотношенияхъ русскаго и финскихъ языков. - I-er congrès des philologues slaves à Prague 1929. Resumés. Section II-ème.
- георгиевскі:** Георгиевский, А. П.: Русские говоры Приморья. - Труды Гос. Дальневосточнаго Университета, сер. III, No 7. 1928.
- герулли:** Gerullis, G.: Litauische Dialektstudien. Leipzig 1930.
- дири:** Dirr, L., Einführung in das Studium d. kaukasischen Sprachen. Leipzig 1928.
- дурново:** Дурново, Н. Н., Соколовъ, Н. Н., и Ушаковъ, Д. Н.: Очеркъ русской діалектологии. М. 1915.
- егоров:** Егоров, В. Г.: Введение и изучение чувашскаго языка. М. 1930.
- евсевьев:** Евсевьев, М.: Основы мордовской грамматики. М. 1928.
- едвардс:** Edwards, E. R.: Étude phonétique de la langue japonaise. Thèse. Leipzig 1912.
- емелянов:** Емельянов, А. И.: Грамматика вотяцкаго языка. Л. 1927.
- ендзелин:** Endzelin, J.: а) Des intonations lettonnes. - Revue des études slaves, II, 56-68.
- ендзелин:** Endzelin, J.: б) Lettische Grammatik. Heidelberg 1923.
- вайганд:** Weigand, G.: а) Albanesische Grammatik im südgegischen Dialekt. Leipzig 1913.
- вайганд:** Weigand, G.: б) Linguistischer Atlas des Dacorumänischen Sprachgebietes. Leipzig 1909.
- векке:** Becke, Ö.: Cseremisiz nyelvtan. Pest 1911.

- ვენის: Benni, T.: Metoda palatograficzna w stosowaniu do spółgłosek polskich. Warszawa 1917.
- ვიხმანი: Wichmann, Y.: Tscheremissische Texte. Hels. 1923.
- ვლადიმირცოვი: Владимирцов, Б. Я.: Сравнительная грамматика монгольского письменного языка и халхаского наречия. Введение и фонетика. Л. 1929.
- ვონდრაკი: Vondrák, W.: Vergleichende slavische Grammatik, I. Göttingen 1924.
- ზელენინი: Зеленин, Д. К.: Табу слов у народов восточной Европы и северной Азии, I. Л. 1929 (отд. оттиск из Сборника Музея Антропологии и Этнографии, VIII).
- ზელინსკი: Зелинский, Ив.: Проба упорядкования українських говорів. - Записки Наукового Товариства імені Шевченка, CXVII-CXVIII, 333-375.
- იაკობსონი: Якобсон, Р. О.: а) О чешском стихе преимущественно в сопоставлении с русским. Берлин 1923.
- იაკობსონი: Jakobson, R.: б) Remarques sur l'évolution phonologique du russe. - Travaux du Cercle Linguistique de Prague, II, 1929.
- იაკოვლევი: Jakovlev, N.: а) Kurze übersicht über die tscherkessischen (adygheischen) Dialekte und Sprachen. - Caucasia, VI, Teil I, 1-19.
- იაკოვლევი: Яковлев, Н. Ф.: б) Математическая формула построения алфавита. - Культура и письменность Востока, I. М. 1928, 41-64.
- იაკოვლევი: Яковлев, Н. Ф.: в) Таблицы фонетики кабардинского языка. М. 1923.
- იოხელსონი: Иохельсон, В. И.: Образцы материалов по изучению юкагирского языка и фольклора. - Изв. И. Ак. Н., IX, No 2, 1898.
- კარაჯიჩი: Караджич, Вук: Спрски рјечник. Београд 1898.
- კარლგრენი: Karlgren, B.: Études sur la phonologie chinoise. Stockholm 1915.
- კასტრენი: Castrén, A.: а) Grammatik der samojedischen Sprachen. SPb. 1854.
- კასტრენი: Castrén, A.: б) Versuch einer ostjakischen Sprachenlehre. SPb. 1849.
- კეტუტენი: Kettunen, L.: Untersuchung über die livische Sprache. - Eesti Vabariigi Tartu ülikooli Toimetused, Acta et commentationes Universitatis Dorpatensis, V. VIII-3, 1926.
- კოვალსკი: Kowalski, T.: Karaimische Texte im Dialekt von Troki. Krakow 1929.
- კოკი: Kock, A.: Die alt- und neuschwedische Akzentierung. - Quellen u. Forschungen zur Sprach- u. Kulturgeschichte der germanischen Völker, LXXXVII, 1901.
- კოპერნიცკი: Kopernicki, I.: Textes tsiganes. - Matériaux pour servir à l'étude de la langue des tsiganes polonais, I, Kraków 1925.
- კურილო: Курило, О.: Дещо до молдованської діалектології та фольклористики. - Збірник заходознавства, II, 215-222.
- კოშუტინი: Кошутинъ, Рад.: Грамматика русскаго языка. П. 1919.
- კურჩატი: Kurschat, F.: Grammatik der litauischen Sprache. Halle 1876.
- კოტვიჩი: Котвич, В. Л.: Опыт грамматики кальмыцкого разговорного языка. Ржевнице у Праги 1929.
- ლაგერკრანცი: Lagercrantz, E.: а) Strukturtypen und Gestaltwechsel im Lappischen. - Mémoires de la Soc. Finno-ougr. LII, 1928
- ლაგერკრანცი: Lagercrantz, E.: б) Sprachlehre des Westlappischen. - Mémoires de la Soc. Finno-ougr. LV, 1926
- ლაგერკრანცი: Lagercrantz, E.: в) Sprachlehre des Südlappischen nach der Mundart von Wefsen. Kristiania 1923



- ლაზიციუსი:** Laziczius, Gy.: Egy magyar mássalhangzóváltozás phonológiája. - Magyar nyelv, XXVI, 1930.
- ლარინი:** Ларин, Б. А.: Материалы по литовской диалектологии. - Язык и литература, I, 93-170.
- ლევი:** Lewy, E.: Tscheremissische Grammatik. Leipzig 1922.
- ლესკაინი და ბრუგმანი:** Leskien, A., und Brugman, K.: Litauische Volkslieder und Märchen aus dem Preussischen und dem Russischen Litauen. Strassburg 1882.
- ლეს-სპლავინსკი:** Lehr-Splawinski, T.: „Dzieje języków literackich słowiańskich. - Lwowska Biblioteka sławistyczna, IX. Lwów 1929, 161-199.
- ლექტისალო:** Lehtisalo, T.: Über den Vokalismus der ersten silde im juraksamojedischen. - Mémoires de la Soc. finno-oug., LVI. 1927.
- ლორენცი:** Lorentz, F.: a) Geschichte der pomoranischen (kaschubischen) Sprache. Berlin u. Leipzig 1925, 72-85.
- ლორენცი:** Lorentz, F.: b) Slovinzische Grammatik. SPb. 1903.
- ლორენცი:** Lorentz, F.: c) Slovinzisches Wörterbuch, I. SPb. 1908.
- ლიტკინი:** Лыткинъ, Г. С.: Зырянскій край при епископахъ пермскихъ и зырянскій языкъ. СПб. 1889.
- მარი:** Mapp, H. Я.: Абхазскій аналитическій алфавит. Л. 1926.
- მეიე:** Meillet, A.: N. S. Trubeckoj. - K probleme russkowo samopoznaniya. - Bulletin de la Société linguistique de Paris, No 84. 51.
- მილეტიჩი:** Miletić, Lj.: Das Ostbulgarische. Wien 1903.
- მლადენოვი:** Младеновъ, С.: Мекостъта на съгласнитъ въ българскитъ говори. - Годишникъ на Софийския Университетъ, X-XI, 1915.
- მოსტარტი:** Mostaert, A.: Le Dialecte des Mongols Urdus (Sud). - Anthropos, XXI-XXII.
- მოშკოვი:** Мошковъ, В.: «Нарѣчія бессарабскихъ гагаузовъ». - Образы народной литературы тюркскихъ племень, X. СПб. 1904.
- ნიჩი:** Nitsch, K.: Dyalekty języka polskiego. - Język polski i jego historia z uwzględnieniem innych języków na ziemiach polskich. Cz. 2, 238-466.
- პაასონენი:** Paasonen, H.: Tatarische Lieder. - Journal de la Société finno-ougrienne, XIX-2.
- პოგოდინი:** Погодинъ, А. П.: Труды комиссии по изучению племенного состава населения СССР и сопредельныхъ стран. 15. Финноугорскій Сборник. - Slavica, VIII. 161-166.
- პოლივანოვი:** Поливанов, Е. Д.: а) Введение в языковедение для востоковедныхъ вузов. Л. 1928.
- პოლივანოვი:** Поливанов, Е. Д.: б) Вокализмъ сев.-вост. японскихъ говоров. - Доклады Росскійской Академии Наук (В), 1924. 105-108.
- პოლივანოვი:** Поливанов, Е. Д.: с) Образцы не-нанизованныхъ (сингармонистическихъ) говоровъ узбекского языка. Изв. Ак. Наук СССР, VII серия, 1929, 511-537.
- პოპე:** Попе, Н. Н.: Дагурское наречие. - Академия Наук СССР, Материалы комисии по исследованию Монгольской и Тану-тувинской народныхъ республик и Бурятско-монгольской АССР, в. 6. Л., 1930.
- პორციგი:** Porzig, W.: Die Aufgaben der indogermanischen Syntax. - Festschrift für Streiberg. 1924.

- რადლოვი:** Radloff, W.: Das türkische Sprachmaterial des Codex Cumanicus, Mémoires – de l'Académie Imp. des Sciences de St. – Pétersbourg, VII série, t. XXXV, No 6. 1887.
- რამსტედტი:** Ramstedt, G. J.: Bergscheremissische Studien. Helsingfors 1902.
- როზვადოვსკი:** Rozwadowski, J.: Historyczna fonetyka czyli glosownia języka polskiego. – Język polski i jego historia z uwzględnieniem innych języków na ziemiach polskich. Cz. I. 289-422.
- რუნდენი:** Рундэн, А. Д.: Хори-бурятский говор. I (П.. 1913-1914).
- სავიცი ა:** Савицкий, П. Н.: а) Географические особенности России, I. Прага 1927.
- სავიცი ბ:** Савицкий, П. Н.: б) Европа и Евразия. – Русская Мысль. София 1921, янв-февр., 119-138.
- სავიცი ც:** Savickij P. N.: c) „Les problèmes de la géographie linguistique du point de vue du géographe“, Travaux du Cercle linguistique de Prague, I. 1929, 145-156).
- სავიცი დ:** Савицкий, П. Н.: d) О задачах кочевниковедения. – Н. П. Толль: Скифы и гунны. Прага 1928, 83-106.
- სამოილოვიჩი:** Самойлович, А.: Некоторые дополнения к классификации турецких языков. П. 1922.
- სვიატოპოლკ-მირსკი:** Святополк-Мирский, Д. П.: Национальности СССР, Газета Евразия, 1929, No 23.
- სელიშევი:** Selishev, A.: a) Des traits linguistiques communes aux langues balcaniques. – Revue des études slaves, V, 38-57.
- სელიშევი:** Селищев, А. М.: б) Диалектический очерк Сибири. Иркутск 1921.
- სელიშევი:** Селищев, А. М.: c) Русские говоры Казанского края и русский язык у чуваш и черемис. – Ученые записки Института яз. и лит., I. М. 1927, 36-72.
- სელიშევი:** Селищев, А. М.: d) Русский язык у инородцев Поволжья. – Slavia, IV. 26-43.
- სერგიევსკი:** Сергиевский, М. В.: а) Из области языка русских цыган. – Ученые записки Института языка и литературы. III. М. 1929.
- სერგიევსკი:** Сергиевский, М. В.: б) материалы для изучения живых молдавских говоров на территории СССР. – Ученые записки Института яз. и лит., I. М. 1927, 73-97.
- სინეი:** Szinyei, J.: Finnisch-ugrische Sprachwissenschaft. Berlin und Leipzig 1922.
- სინიავსკი:** Снявський, О.: Спроба звукової характеристики літературної мови. – Наукові записки Харк. Наук.-Дослідн. Катедри Мовознавства, II, 5-33.
- სომერფელტი:** Sommerfelt, A.: a) Munster vowels and consonants. – Proceedings of the Royal Irish Academy, XXXVII, sect. C. 195-244.
- სომერფელტი:** Sommerfelt, A.: b) The dialect of Torr Co. Donegal. Christiania 1922.
- ტენიერი:** Tesnière, L.: L'accent slovène et le timbre des voyelles. – Revue des études slaves, IX, 89-118.
- ტომსენი:** Thomsen, V.: Inscriptions de l'Orkhon. Helsingfors 1894.
- ტომსონი:** Thomson, A.: a) Die Erweichung und Erhärtung der Labiale im Ukrainischen. – Записки іст.-філ. відділу Укр. Ак. Н., XIII-XIV, 1927, 253-263.
- ტომსონი:** Томсон А.: б) Общее языковѣдніе. Одесса 1906.
- ტრედიაკოვსკი:** Тредьяковскій, В. К.: Разговоръ между чужестраннымъ чловѣкомъ і російскимъ объ ортографіи старинной і новой і о всемъ что принадлежить къ сей матеріи. – Сочиненія Тредьяковскаго, III. СПб. 1849.

- ტრუბეცკოი: Трубейкой, кн. Н. С.: а) Вавилонская башня и смѣшаніе языковъ. – Евразійскій временникъ. III. Берлинъ 1923. 107-124.
- ტრუბეცკოი: Трубейкой, кн. Н. С.: б) К проблеме русского самопознания. – Сборникъ статей. 1927.
- ტრუბეცკოი: Troubetzkoy, prince N.: с) Langues caucasiqnes septentrionales. – Les langues du monde, sous la direction de A. Meillet et M. Cohen. Paris 1924, 327-342.
- ტრუბეცკოი: Trubetzkoy, N.: d) Polabische Studien. Wien 1929.
- ტრუბეცკოი: Trubetzkoy, N.: e) Zur allgemeinen Theorie der phonologischen Vokalsysteme. – Travaux du Cercle linguistique de Prague, I, 39-67.
- ტრუბეცკოი: Trubetzkoy, Fürst N.: f) Einiges über die russische Lautentwicklung und die Auflösung der gemeinrussischen Spracheinheit. – Zeitschrift für slavische Philologie, I, 287-319.
- ტრუბეცკოი: Troubetzkoy, N.: g) Essai sur la chronologie de certains faits phonétiques du slave commun. – Revue des études slaves, II, 1922, 217-234.
- ფორტუნატოვი: Фортунатовъ, Ф. О.: Объ удареніи и долготѣ въ балтійскихъ языкахъ. I. – Русскій Филологическій Вѣстникъ, XXXIII, 252-297.
- შარაფი: Шараф, Г.: Палятограммы звуковъ татарскаго языка сравнительно с русскимъ. – Вестникъ Научнаго Общества Татароведенія, No 7. Казань, 1927, 65-102.
- შახმატოვი ა: Шахматовъ, А. А.: а) Historická mluvnice jazyka českého. Napsal Jan Gebauer. Критическій отзывъ. – Отчетъ о присужд. преміи проф. Котляревскаго въ 1898 г.
- შახმატოვი ბ: Шахматовъ, А. А.: б) Мордовскій этнографическій сборникъ. СПб. 1910.
- შმიდტი: Schmidt, P. W.: Die Sprachfamilien und Sprachenkreise der Erde. Heidelberg 1926.
- შტიბერ: Stieber, Z.: Ze studjów nad gwarami slowackicmi południowego Spisza. – Lud Słowianski, I, 1929, A 61-138.
- შტერნბერგი: Штернберг Л. Я., Образцы матеріаловъ по изученію гилъцкаго языка и фольклора. Изв. И. Ак. Н., XIII, 1900, 387-434.
- შჩепкинъ: Щепкинъ, В. Н.: Болонская псалтырь. СПб. 1906.
- შჩერბა: Щерба, Л. В.: Восточно-лужицкое нарѣчіе. П. 1915.

## Summary

This book entitled "The Linguistic Union: the Geo-linguistic Problems of the Eurasian Theory" covers the proponents and the history of the foundation of the Eurasian Theory and presents archival materials, which are found in Prague as well as in Paris's Tourgueniev Russian Library (Bibliothèque Russe Tourgueniev) and from Paris West Nanterre La Défense University's Library for International Contemporary Documentation and Contemporary History Museum (BDIC// Bibliothèque de Documentation Internationale Contemporaine; Musée D'Histoire Contemporaine). Also utilized in this process were documents from the Roman Jakobson Archive, which is stored at the Institute Archives & Special Collections Library at the Massachusetts Institute of Technology (MIT) in the U.S.A. In addition, the cooperation we received from the Scientific Research Laboratory of the History and Epistemology of Linguistics in Central and East Europe at Lausanne University (Switzerland) played a large role in our work. Special appreciation should also give to the marvelous libraries at Lausanne University, New York University, and the University of Leiden, which contributed greatly to this book. Further, I translated some articles from the founders of Eurasian Theory for the chrestomathy of this book. These papers defined not only this theory but also many important problems and research methods in modern linguistics. I would also like to thank the Executive Director of the Roman Jakobson Trust, Prof. Linda R. Waugh, who granted me permission to translate and publish Roman Jakobson's work entitled "Towards the Characterization of the Eurasian Linguistic Union."

The book deals with the linguistic and geo-linguistic theories of Nikolai Trubetzkoy and Roman Jakobson – the Prague Linguistic School's two most important contributors, in particular with regard to the establishment of the principles of phonology and the notion of a linguistic union.

The first chapter discusses the role of the "Russkaja Akcija" (support to Russians) of the Masaryk-Beneš government of Czechoslovakia in the creation of Prague's "Russian Oxford," during which the Prague Linguistic Circle was formed. It was in this circle that linguistic structuralism and the theory of Eurasianism were born. The first chapter also presents Nikolai Trubetzkoy's and Roman Jakobson's ways of life, including what their difficulties and scientific achievements were after emigrating from Russia.

The second chapter highlights the similarities and differences between the notions of language families and linguistic unions and between divergent and convergent processes of language change. The term Language

Union (Sprachbund) was coined by the Prague Linguistic Circle, and Italian Neo-Linguists later picked up this idea. The two father linguistic schools concerned with creating a linguistic union do not line up with each other, but there is much in common, especially in the attitude of the Neo-Grammarians, who “turned [research on linguistic relationships] into torture” with their own phonetic laws. This was the reaction of the Neo-Grammarians to the theory, but it does not appear to be completely isolated in the history of the development of humanitarian ideas. Prague’s Linguistic Structuralism still has roots in “old” linguistics. The formation of a family of related languages also implicates the inclusion of dialectal differences at the base language level, and different factors intensify the effects of this – to such an extent that one ends up with the creation of independent languages. The traditional blueprint to understanding the classification of languages as part of a family includes geographic, historical, political, and purely linguistic factors, but the theory of a linguistic union considers the possibility that there are deeper, more complex social relationships at play, among which prestige and competition have crucial roles. Prestige can be established via culture or based upon the actions of a particular social group within a linguistic community, although such a designated social cohort can introduce values alien to the original culture. Social factors are equally as important to understanding the concept of a “linguistic union” as they are for contemporary Nostratic theory.

Nikolay Trubetzkoy developed the idea that languages acquire common features as a result of a long-term geographical proximity and coexistence that are different from the peculiar similarities of related languages. In parallel with this concept, the geographer Petr Savitski developed an idea that “Eurasia, with its particular floral cover, root system, and climatic conditions, represents a special, peculiar, and entire geographic universe.” Roman Jakobson was delighted by Petr Savitski’s works and found a linguistic interpretation to his conclusions. The book’s third chapter presents the main phonological characteristics that formed the base for the Jacobsonian Eurasian Linguistic Union Theory. The correlation between softness (i.e., palatalized consonants) and undistinguishable signs of tonality are supposed to encircle the borders of Eurasia from linguistic and physical points of view, as well as from a geopolitical one. Disturbance of these signs, unless it produced a desirable political geography, was interpreted differently. The languages of South Caucasus – Armenian and the Kartvelian (Georgian) group – are not characterized by tonal differences. This points to the transitional character of this area both from geographical and ethnological viewpoints – from Eurasia in the direction of its neighbours. Armenian and Georgian do not show signs necessary for the

Eurasian phonetic link created by R. Jakobson's fantasy, but it can be interpreted to be due to "the transitive character of this region." It indicates the direction of the transition — from Eurasia towards the neighbouring countries and not vice-versa. In other words, Armenian and Kartvelian languages are not Eurasian but are directed to Eurasia. We come across the same idea again in another place. The phonological correlations of the languages in the Eurasian linguistic group have two features in common: 1. monotony and 2. the correlation of softness/palatalization except for the Caucasian periphery of Eurasia. It is absolutely clear that Georgian is not of the Eurasian persuasion but is still found in the peripheries of Eurasia, as, without it, the Eurasianist theoreticians' idea of political geography would be destroyed. This is how phonetics became a servant of politics.

The last part of the third chapter deals with the very closely related ideas expressed by Giorgi Akhvlediani, Nikolay Trubetzkoy, and Roman Jakobson at different times concerning consonant systems, but, due to ideological pressure, Soviet scholars were either unable to get acquainted with the studies of their contemporaries abroad or, at best, learned about them after a significant delay. This led to the isolation of Soviet linguistics, and the process of exchanging linguistic ideas and theoretical novelties, especially between Soviet and European linguists, was halted. The Soviet Georgian linguist Acad. Giorgi Akhvlediani could not meet with N. Trubetzkoy and R. Jakobson at any scientific forum to discuss phonological problems of mutual interest. Owing to incompatibility with the ideas of the Revolution of 1917, a large number of scientists emigrated from Russia. It was because of this that R. Jakobson and N. Trubetzkoy developed their ideas on phonology far away from their motherland. Akhvlediani's first work about Georgian abruptives was published in 1922-1923 and was inaccessible to most European linguists — primarily because it was written in Georgian and then in Russian. Giorgi Akhvlediani and Roman Jakobson read each other's work on ejectives 45 years later.

The Soviet linguists had no information about Nikolay Trubetzkoy's and Roman Jakobson's articles, but, after the Soviet language discussion in 1950s, some articles of linguists who emigrated were published in Soviet scientific journals. From the beginning, the term "Language Union" was rejected by official Soviet linguistics. In the fourth chapter, the so-called defects of the "Language Union" idea, given that it was critiqued as being bourgeois linguistics, are discussed. The notion of a linguistic union in Soviet linguistics was considered to be bourgeois linguistics, particularly because of the reprehensive construal of structuralism. During this period, it was a commonly accepted opinion that the reactionary bourgeoisie was seeking to completely rid reality and public life of scientific research.

Attitudes toward structuralism changed from the 1960s onward, which is when the concept of originally unconnected languages becoming related allogenetically entered into the realm of Soviet linguistics. The last part of this chapter is focused on research concerned with the history of linguistic thought – from the establishment of the notion of Language Union to modern Nostratic theory, which restores linguistic macro-families. It is not always clear, however, what kind of relationship exists among these macro-families. There are both purely random contacts and characteristic relationships that have resulted in linguistic similarities, which were acquired initially through genetic kinship but, after a prolonged length of time, will closely resemble the original kinship. This chapter is concerned particularly with the research of Indo-Europeanisms in the Kartvelian languages. Given this context, it is shown how the idea of a linguistic union can participate either visibly or on a deeper level in the interpretation of historic linguistic relationships – even in opposing and, at times, contradictory linguistic theories such as Ibero-Caucasian linguistics and Nostratic theory.

The fifth chapter discusses the brief period during which Nikolai Trubetzkoy cast doubt on the Eurasian Theory, but this was just a temporary occurrence. Nikolai Trubetzkoy was not only one of the Eurasian theory's founders but also remained faithful to the idea up until the end of his life. The priority of political geography over other scientific theories became relatively obvious even when Nikolay Trubetzkoy was looking for factors enabling the Soviet Union to transform from an entity of affiliated socialist republics to a national union. "The stable and sustainable fundament of a state should be the national substratum. Consequently, the substratum of a state called the Union of Soviet Socialist Republics may be the unity of all the peoples inhabiting it, which we must consider a peculiar multinational country (многонародная нация) possessing its own nationalism. We say this nation is Eurasian," writes N. Trubetzkoy, "its territory is Eurasia, and its nationality is Eurasian. The nationalism of individual Eurasian peoples should merge with the nationalism of a common Eurasian nation."

At the end of nineteenth century, Ilia Chavchavadze wrote: "In Russia, large multitudes of different tribes and languages live together, which has resulted in them being herded together onto each other's respective ancestral lands. Because of this, the following questions remain some of the greatest policy struggles facing Russia. How have the various nations' tribes/groups settled amongst each other internally? And how ought they be arranged within the state? Russia has not had and, to this day, still does not have a well-researched, prescribed bottom line with regard to where the right to a nationality ends and where the state begins." Ilia Chavchavadze

and Nikolai Trubetzkoy both equally value pre-revolutionary Russia. The owners of this country are the Russian people, while the other peoples, however, are only residents. It is true that the Revolution of October 1917 sparked national pride within many peoples of the Russian Empire, but, very soon thereafter, Stalinist national and linguistic policies were aimed at the gradual and complete assimilation of the Soviet peoples. These very early policies had consequences during “developed socialism,” that is, during the period at the end of the Soviet Union. It can be said that Trubetzkoy’s “multinational country” is the “Soviet People” and that the main aim of the USSR was to establish and reform it into a single entity. Thus, it is not at all accidental that part of the Eurasian movement carried out by the Soviets did in no way stray in their propoganda from the declared aims of the Soviet Union.

Soviet peoples did not have feelings of union in one state with a historical destiny. Because of this, the USSR’s history is full of rivalries – among them, bloody confrontations, which, in fact, do not allow for the peoples in question to be characterized as having a common past and a common future. Such relationships cannot be fabricated for a multi-ethnic nation. It does not seem that these conditions allowed for Trubetzkoy’s dream to come true: “Common Eurasian nationalism should be an extension of each of Eurasia’s peoples, merging existing private nationalisms.” Nationalisms in the Soviet Union could not be merged with each other or fused together, and the event that Nikolai Trubetzkoy considered to be a disastrous path both for Russia and its neighboring countries came to fruition.



## დამონეპუღი ლიტერატურის სიბ

- აბულაძე ი. 1944: ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბილისი
- ანდერსონი 1985: S. R. Anderson, Phonology in the twentieth century: Theories of rules and theories of representations, University of Chicago Press, Chicago
- ანდრონიკაშვილი მ., 1959: ფალაურ-ქართული ლექსიკური შეხვედრები: თსუ შრომები, 71, ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, 1-6.
- ანდრონიკაშვილი მ., 1966: ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი
- ახმანოვა ო., 1953: Ахманова.О. С., Глоссематика Луи Ельмслєва как проявление упадка современного буржуазного языкознания. Вопросы языкознания, №5 (Сентябрь-Октябрь), Институт Азыкознания, Академия Наук СССР, Издательство академии наук СССР, Москва, 25-47
- ახვლედიანი გ., 1922-1923: მკვეთრი ხშულნი ქართულში, ჭფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. 2, უნივერსიტეტის გამომცემლობა
- ახვლედიანი გ., 1941: შედარებითი ინდოევროპული ენათმეცნიერება და გერმანელთა „ნიწარესამშობლოს“-ს საკითხი (ლინგვისტური პალეონტოლოგიის ისტორიიდან)", საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესია, 1941 წლის 18 და 20 ოქტომბერი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 5-6
- ახვლედიანი გ., 1951: Ахвледяни Г. С., Две системы гармоничных смучных в грузинском языке, Сборник статей памяти Акад, А В Щсрбы, Ленинград
- ახვლედიანი გ., 1959: Ахвледяни Г. С., О некоторых основных вопросах фонетики грузинского языка. Фонетический сборник, I. К 70-летию со дня рождения Г. С. Ахвледяни, Труды кафедры общего языковедения, 3, Тбилисский государственный университет им. И. В. Сталина, Тбилиси
- ახვლედიანი გ., 1968(?): Ахвледяни Г. С., Трочная система чистых смучных согласных звуков в дренегреческом и грузинском языках (Предварительное сообщение), გიორგი ახვლედიანის ხელნაწერი, 60-იანი წლები
- ახვლედიანი გ., 1999: ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი
- ბაისვენგერი მ., 2012: Байсвенгер М., Как Прага стала „сзразийской столицей“. О роли Русской акции помощи в истории сзразийского движения, в сб. Русская акция помощи в Чехословакии. История, значение, наследие, Л. Бавка, И. Золотарев (ред.), Прага: Национальная библиотека. 117-124.
- ბოდუენ დე კურტენე ი.ა., 1963: Бодуен де Куртєнз И.А., О смешанном характера всех языков. Избранные труды по общему языкознанию, Т.1,

подготовленно к печати Институтом языкознания и Институтом русского языка АН СССР, Изд-во Акад. наук СССР, Москва, ст. 59-60, 1963

- ბოდუენ დი. კურტიენი ი.ა., 1963ა: Бодуэн де Куртено И.А., Проблемы языкового родства, Избранные труды по общему языкознанию, Т.2, подготовленно к печати Институтом языкознания и Институтом русского языка АН СССР, Изд-во Акад. наук СССР, Москва, 1963
- ბოლქვაძე 2006: იდეოლოგიზებული ღირებულებები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი
- ბოლქვაძე 2010: ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა: ილიას „ივერია“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი
- ბონფანტე ჯ., 1947: G. Bonfante, The neolinguistic position (a reply to Hall's criticism of neolinguistics), *Language*, XXIII, 4
- ბორისოვი ვ. და სხვები 1995: В. П. Борисов. В. А. Волков. М. В. Куликова. Формирование научного центра российской эмиграции в Чехословакии. - Международная конференция „Русская, украинская, белоорусская эмиграция в Чехословакии между двумя мировыми войнами. Результаты и перспективы исследований“. Фонды славянской библиотеки и пражских архивов“, Прага, 14-15 августа 1995. Сборник докладов. Славянская библиотека при Национальной библиотеке Чешской республики, Славянский институт АН ЧР, Общество по изучению Восточной и Средней Европы в Чешской республике, Прага, 1995: 354-360
- ბომჰარდი ა., 2008: Bomhard A. R.. *Reconstructing Proto-Nostratic: Comparative Phonology, Morphology and Vocabulary, Volume 1, 2*, Leiden Indo-European Etymological Dictionary Series. Brill, Leiden-Boston, 2008, Edited by Alexander Lubotsky, Volume 6/1,2
- ბომჰარდი ა., 2008: Bomhard A.. *Recent Trends in Nostratic Comparative Linguistics*, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 2, №4
- ბურლაკი ს., სტაროსტინი ს., 2001: С. А. Бурлак, С. А. Старостин, Введение в лингвистическую компаративистику. Московский Государственный Университет им. М. В. Ломоносова. Филологический факультет. Российский Государственный Гуманитарный Университет. Институт Восточных Культур, Центр Компаративистики, Эдиториал УРСС, Москва, 2001
- გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., 1965: სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში: საერთო სტრუქტურული ტიპოლოგია, გ. ნერეთლის რედაქციითა და ნინასიტყვაობით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი
- გამყრელიძე თ., 1966: Gamkrelidze Th. V.. *A typology of Common Kartvelian*, *Language*. #42. 69-83
- გამყრელიძე თ., 1967: Gamkrelidze Th.. V.. *Kartvelian and Indo-European: A typological Comparison of Reconstructed Linguistic Systems*, in: *To Honour Roman Jakobson. The Hague: Mouton*, vol. 1, 707-717
- გამყრელიძე თ., ივანოვი ვ., 1972: Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., Лингвистическая типология и реконструкция системы

индоевропейских смычных в: Конференция по сравнительно-исторической грамматике индоевропейских языков, 12-14 Декабря, Москва, Наука. 15-18

- გამყრელიძე თ., ივანოვი ვ., 1972: Gamkrelidze Th., V., Ivanov Vjach. Vs., Sprachtypologie und die Rekonstruktion der gemeinindogermanischen Verschlüss. *Phonetica*, # 27. 150-156
- გამყრელიძე თ., ივანოვი ვ., 1984: Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейцы: Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры. С предисловием Р. О Якобсона. Издательство Тбилисского Университета, Тбилиси, т. I, II
- გამყრელიძე თ., ივანოვი ვ., 1994-95: Gamkrelidze T., Ivanov V., Indo-European and the Indo-Europeans. A Reconstruction and Historical Analysis of a Proto-Language and a Proto-Culture. 2 vols. English version by Johanna Nichols, with a Preface by Roman Jakobson, Mouton de Gruyter, Berlin – New York
- გასპაროვი 1987: Gasparov B., The Ideological Principles of Prague School Phonology, In: Language, Poetry and Poetics: The Generation of the 1890's: Jakobson, Trubetzkoy, Majakovskij, Proceedings of the First Roman Jakobson Colloquium, at the Massachusetts Institute of Technology, October 5-6, 1984, edited by Krystyna pomorska, Elzbieta Chodakowska, Hugu McLean, Brent Vine, Mouton de Gruyter, Berlin, New York, Amsterdam, 49-78.
- გინდინი ს., 1999: Заявление К. Гудзия в спецхран научной библиотеки МГУ, Публикация М. В. Прокопович. Послесловие С. Ц. Гиндина. Roman Jacobson: Texts, Documents, Studies, Российский Государственный Университет, Институт Высших Гуманитарных исследований, Москва, 213-216
- გლეი 1902: Глей А. О происхождении грузинского народа и его языка, СМОМПК, вып. 31. Тифлиси, 1902
- გოგებაშვილი ი., 1901: ქართველთა სწავლა-განათლების ნიჭი (დანერილი პარიჟის გამოფენისათვის), „ივერია“, № 2,3.
- დოლეჟელი ლ., 2015: Dolcžel, Prague Linguistic Circle, In: Theoretical Schools and Circles in the Twentieth-Century Humanities: Literary Theory, History, Philosophy, edited by Marina Grishkova and Silvi Salupore, Routledge, New York and London, 41-62
- დუმეზილი ჟ., 1952: G. Dumézil, Langues caucasiennes, კრებულში Les Langues du mond, Paris, 1952
- ედელმანი 1978: Эдельман, Д. И., К теории языкового союза, Вопросы языкознания, №3, Москва, 110-116
- ენძელინი ი., 1914: Эндзелин И.М. Отзыв о медальном сочинении на тему «Очерк истории плавных и носовых согласных в санскрите, греческом, латинском и славянском языках», под девизом: «Per angusta ad augusta» Записки Императорского Харьковского университета. – Харьков, 1914. – Кн. 1, 7-10
- ვახეკი ი., 1964: Вахек Й., (при участии Й. Дубского), Лингвистический словарь пражской школы, Перевод с французского, немецкого, ан-

глийского и чешского И. А. Мельчука и В. З Санникова. Под редакцией и с предисловием А. А. Реформатского, Издательство Прогресс, Москва

- ვახეკი ი., 1966: Vachek J., The linguistic School of Prague: An introduction to Its Theory and Practice, Indiana University Press, Bloomington & London
- ვახეკი ი., 1983: Praguiana: Some Basic and Less known Aspects of the Prague Linguistic School, selected, translated and edited by Josef Vachek and Libuše Dušková, with the introduction by Philip A. Luelsdorff. Linguistic & Literary Studies in Eastern Europe (LLSEE), Founding ed. J. Odmark, Series ed. P. A. Luelsdorff, vol. 12, John Benjamins Publishing Company, Amsterdam/Philadelphia
- ვუცინიჩი 1984 : A. Vucinich, *Empire of Knowledge*, The Academy of Sciences of the USSR (1917-1970), University of California Press. Berkeley.
- თეზისები 1967: პრალის ლინგვისტური ნრის თეზისები, Пражский лингвистический кружок. Прогресс, Москва
- იაკობსონი 1928: Jacobson R., Remarques l'évolution phonologique du russe somparé à celle des autres langues slaves. Travaux du cercle linguistique de Prague, II, Prague
- იაკობსონი 1930: P. Якобсон, Стандатизованная фонологической терминологии, Travaux du cercle linguistique de Prague, IV, Prague
- იაკობსონი 1931: Jacobson R., „Über die phonologischen Sprachbünde“, Travaux du cercle linguistique de Prague“, Prague, IV, v. 32, part. 3 (#97):7
- იაკობსონი 1931ა: Якобсон Р. О., К характеристике евразийского языкового союза. Париж: Издательство евразийцев. აგრეთვე: R. Jacobson, Selected writings. I. Phonological Studies, s-Gravenhague, 1962; ქართული თარგმანი იხ. ნინამღებარე ნიგნის ქრესტომათიაში.
- იაკობსონი 1958: Jakobson R., typological Studies and their Contribution to Historical Comparative Linguistics. Proceedings of the 8<sup>th</sup> International Congress of Linguistics. Oslo
- იაკობსონი 1963: P. Якобсон. Типологические исследования и их вклад в сравнительно-историческое языкознание, Новое в лингвистике. Вып. III, Москва
- იაკობსონი 1968: R. Jacobson Extrapulmonic Consonants (Ejectives, Implosives, Clicks), Research Laboratory of Electronics, Massachusetts Institute of Technology, Quarterly Progress Report, July 15, R. Jakobson, MC 72, Institute Archives and Special collection, MIT Libraries, Cambridge, Massachusetts, Box 18, Folder 18
- იაკობსონი 1968ა: R. Jacobson, Extrapulmonic consonants: ejectives, implosives, clicks, To Honour Georgi Akhvlediani. Essays on the occasion on his eightieth birthday, Georgian Academy of Sciences. Tbilisi
- იაკობსონი 1971: R. Jakobson, Extrapulmonic consonants: ejectives, implosives, clicks, Selected Writings: Phonological studies, The 2nd edition, 720-727
- იაკობსონი 1983: Jakobson R., Pomorska K., Dialogues. 1983
- იაკობსონი 1984: Якобсон Р. О., Вместо предисловия, в книге: Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейцы: Реконструкция и историко-типологический анализ проаязыка и

- протокультуры. С предисловием Р. О. Якобсона, Издательство Тбилисского Университета, Тбилиси, 1984, т. I, II
- იაკობლევი 1928: Яковлев, Н. Ф., Математическая формула построения алфавита. – Культура и письменность Востока, I, Москва, 41-64.
- ივანოვი 1987: Вяч. Вс. Иванов. Комментарии к статье Н. С. Трубецкого. Мысли об индоевропейской проблеме. в книге: Трубецкой Н. С., *Избранные труды по филологии*, Составление В. А. Виноградова В.П. Нерознака, Переводы с разных языков под общей редакцией Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванова, В. Р. Нерознака и Н. И. Толстого; Прогресс, Москва, 413-419.
- ივანოვი 1987ა: Вяч. Вс. Иванов, Комментарии к статье Н. С. Трубецкого. Проблема родства между большими языковыми семьями, в книге: Трубецкой Н. С., *Избранные труды по филологии*, Составление В. А. Виноградова В. П. Нерознака, Переводы с разных языков под общей редакцией Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванова, В. Р. Нерознака и Н. И. Толстого; Прогресс, Москва, 419-420.
- ივანოვი 1999: Иванов Вяч. Вс., Буря над Ньюфаундлендом. Из воспоминаний о Романе Якобсоне, Roman Jacobson: Texts, Documents, Studies, Российский Государственный Университет, Институт Высших Гуманитарных исследований, Москва, 219-253
- ივანოვი 2007: Vyacheslav V. Ivanov, the Indo-European homeland in the Near East: New Evidence, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ტ. 175, 3, 2007, გვ. 127-137
- კეტფორდი 1977: Catford, J. C., Mountain of tongues: the languages of the Caucasus. Annual reviews, in: Anthropology 6:283-314.
- კაზინინა ო. 1995: Казнина О. А., Н. С. Трубецкой и кризис евразийства, журнал Славяноведение, Российская Академия Наук, Институт славяноведения и балканистики. № 4, 1995, 89-95
- კლიმოვი გ., 1994: Климов Г. А., Древнейшие индоевропейские картвельские языки, Москва
- ლევინი ე. გ. 1972: Lewis E. G., Multilingualism in Soviet Union – Aspects of Language Policy and Its Implementation, - Contributions to the Sociology of Language. Edited by S. A. Fishman, Mouton- The Hague -Paris
- ლემანი ვ., 1952: Lehman W. P., Proto-Indo-European Phonology, Austin, TX, University of Texas Press
- ლემანი ვ., 1966: Lehman W. P., The Grouping of the Germanic Languages, in: Indo-European Bimbaum and Jean Puhvel (eds), Ancient Indo-European Dialects, Berkley and Los Angeles, CA: University of California Press, გვ. 13-27
- ლემანი ვ., 2002: Pre-Indo-European, In: Journal of Indo-European Studies, Monograph, no. 41, Washington, DC: Institute for the study of man, 2002
- ლენინი ვ., 1961: Ленин В. И., Социалистическая революция и право на самоопределение, Сочинения, т. XIX, Москва
- ლუშკა ო., 1953: О. Лешка, К вопросу о структурализме (Две концепции грамматики в Пражском лингвистическом кружке), Вопросы языкознания, №5 (Сентябрь-Октябрь), Институт Азыкознания, Академия Наук СССР, Издательство академии наук СССР, Москва, გვ. 88-103

- ლოგოვიკოვი (სავიციის ფსევდონიმი) 1931: Логовиков П. В., Научные задачи евразийства, Тридцатые годы. Сб. 1. Издание евразийцев, 53-63
- ლუილსდორფი პ., 1994: Luelsdorff P. A. (ed), The Prague Scholl of Structural and Functional Linguistics: A Short Introduction, Linguistic & Literary Studies in Eastern Europe (LLSEE), Founding ed. J. Odmak. General ed. P. A. Luelsdorff, vol. 41, John Benjamins Publishing Company, Amsterdam/Philadelphia
- მარი 1888: მარრი ნ., ბუნება და თვისება ქართულისა ენისა (მცირე შენიშვნა) „ივერია“ 86
- მარი 1916: Март Н. Я. Кавказоведение и Абхазский язык, Журнал министерство народного просвещения, ЛЖИИ, №5, отд. 4
- მარი 1926: Март, Н. Я.: Абхазский аналитический алфавит, Л.
- მარი 1933: Март Н. Я., Индоевропейские языки Средиземноморья. Избранные работы, Т. I, Этапы развития яфетической теории. Л., 185-186.
- მარი 1937: Март Н. Я., Из Пиренейской Гурнии (К вопросу о методе). : Март Н. Я. Избранные работы. Т. IV, Основные вопросы истории языка, Л., 3-52
- მასალბე 1958: Proceedings of the Eight International Congress of Linguistics, Oslo
- მაჭავარიანი გ., 1965: საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი
- მეიე 1931: A. Meillet. (რეცენზია რ. იაკობსონის ნაშრომზე) R. O. Jakobson. k charakteristike cvrasijskogo jazikovovo sojuza, Bulletin de la Société de Linguistique de Paris, Paris.
- მელიქიშვილი გ., 1965: საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ენთოგრაფიის ინსტიტუტი, თბ., გამომცემლობა „მეცნიერება“
- პიზანი ვ., 1956: В. Пизани, Общее и индоевропейское языкознание, сб. «Общее и индоевропейское языкознание». Москва.
- პიზანი ვ., 1966: В. Пизани, К индоевропейской проблеме, Вопросы языкознания, №4. Москва
- პომორსკა კ., 1987: Pomorska K.. The Autobiography of Scholar. In: Language, Poetry and Poetics: The Generation of the 1890's: Jakobson, Trubetzkoy, Majakovskij, Proceedngs of the First Roman Jakobson Colloquim. at the Massachusetts Institute of Technology. October 5-6, 1984, edited by Krystyna pomorska, Elzbieta Chodakowska, Hugu McLean. Brent Vinc. Mouton de Gruyter, Berlin, New York, Amsterdam, 7-11.
- რენფრუ ს., 1986: Renfrew C.. Archeology and Language. The puzzle of Indo-European Origins, London
- როგავა 1943: Г. Рогва, Четвертичная система смычных в адыгейских языках. Сообщения АН Груз. ССР, т. 3
- რუდი ს., 1999: Rudy S., Roman Jakobson: A Chronology, Roman Jakobson: Texts, Documents, Studies, Российский Государственный

Университет, Институт Высших Гуманитарных исследований,  
Москва, 83-103

- რუდი ს., 1999ა: Рудн С., Якобсон при маккартизме, Roman Jacobson: Texts, Documents, Studies, Российский Государственный Университет, Институт Высших Гуманитарных исследований, Москва, 192-200
- სკალიჩკა ვ., 1934: V. Skalička, Zur Charakteristik des eurasischen Sprachbundes, In : *Archiv Orientalni*, VI, Praha, 272-274
- სკალიჩკა ვ., 1935: V. Skalička, Zur ungarischen Grammatik, Praguc, 64-65
- სავიციკი ბ. პ., 1995: Савицкий Н. П., Этапы развития пражской русской эмиграции в 1919-1939. - Международная конференция „Русская, украинская, белоорусская эмиграция в Чехословакии между двумя мировыми войнами. Результаты и перспективы исследований. Фонды славянской библиотеки и пражских архивов“, Прага, 14-15 августа 1995, Сборник докладов, Славянская библиотека при Национальной библиотеке Чешской республики, Славянский институт АН ЧР. Общество по изучению Восточной и Средней Европы в Чешской республике, Прага, 47-53
- სავიციკი ბ. პ., 2011: Савицкий Н. П., Пражский лингвистический кружок и евразийство, *Slavia - Journal for Slavonic Philology (Slavia - časopis pro slovanskou filologii)*, issue: 80 (2-3), 171-173
- სავიციკი პ., 1927: Савицкий, П. Н.: Географический обзор России-Евразии, Россия особый географический мир. Евразийское книгоиздательство, Прага 1927
- სავიციკი პ., 1929: P. N.: Les problèmes de la géographie linguistique du point de vue du géographe. In: *Travaux du cercle linguistique du Prague I*:145-156.
- სერიო პ., 2015/1999: Sériot, P.: Structure et totalité. Presses Universitaires de France, Paris, 1999. ქართული თარგმანი: პატრიკ სერიო, სტრუქტურა და მთლიანობა: სტრუქტურალიზმის ინტელექტუალური საფუძვლები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში: 1920-30-იანი წლები, დაბეჭდილია სერიაში „მოდერნულობის ისტორია და თეორია“, 8, ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015
- სერიო პ., 1999: Серно П., Лингвистика географов и география лингвистов: Р. О. Якобсон и П. Н. Савицкий, Roman Jacobson: Texts, Documents, Studies, Российский Государственный Университет, Институт Высших Гуманитарных исследований. Москва, 348-353
- სვიატოპოლკ-მირსკი 1929: Святополк-Мирский Д., Национальности СССР, 2. Грузия, газета „Евразия“
- სინური მრავალთავი 1959: სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, ოსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 5, თბილისი
- სმიტი მ., 1998: Smith M. G., Language and Power in the creation of the USSR, 1917-1953, Mouton de Gruyter, Berlin
- სტალინი ი., 1954: Сталин И., Национальный вопрос и ленинизм, Ответ товарищам Мешкову, Ковальчуку и другим, Москва
- სტაროსტინი ს., 2007: Starostin, S. Indo-European among other language families: Problems of Dating, Contacts and Genetic Relationships, Труды по языкознанию, Языки Славянских культур, Москва., 2007

- სტაროსტინი ს., 2007: Старостин С. А., Проблема генетического родства и классификации кавказских языков со точки зрения базисной лексики. Труды по языкознанию. Языки Славянских культур, Москва., 2007
- სტეპანოვი ბ., 1995: Н. Ю. Степанов, Практическая работа Пражской группы евразийской организации как политической партии, - Международная конференция „Русская, украинская, белорусская эмиграция в Чехословакии между двумя мировыми войнами. Результаты и перспективы исследований. Фонды славянской библиотеки и пражских архивов“, Прага, 14-15 августа 1995. Сборник докладов. Славянская библиотека при Национальной библиотеке Чешской республики, Славянский институт АН ЧР, Общество по изучению Восточной и Средней Европы в Чешской республике, Прага, 1995:437-447
- ტომანი ი., 1995: Toman J., Magic of a Common Language: Jakobson, Mathesius, Trubetzkoy and the Prague Linguistic Circle, Current Studies in Linguistics
- ტრუბეცკოი ბ., 1921: Верхи и низы русской культуры (Этническая основа русской культуры), в сборнике «Исход к Востоку», София, 86-103  
რუსული კულტურის ზედა და ქვედა ფენები, ქართულად თარგმნა ნათია ფუტყარაძემ, იხ. გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების ვებგვერდი [www.gashol.ge](http://www.gashol.ge).
- ტრუბეცკოი ბ., 1923: Трубецкой Н. С., Вавилонская башня и смешение языков, Евразийский временник. Кн. 3, Евразийское книгоиздательство, Берлин, 107-124. ქართული თარგმანი იხ. ნინამდებარე ნიგნის ქრესტომათიაში.
- ტრუბეცკოი ბ., 1924: N. Troubetzkoy, Langues Caucasiques septentrionales, in: Les Langues du monde, A. Meillet et M. Cohen (eds.), Paris
- ტრუბეცკოი ბ., 1925: Трубецкой Н. С., Наш ответ: евразийство и белое движение, Париж, сентябрь
- ტრუბეცკოი ბ., 1928: Трубецкой, Н. С. Идеократия и пролетарят, „Евразия“ №1, №2
- ტრუბეცკოი ბ., 1929: Трубецкой, Н. С., Письмо в редакцию газеты „Евразия“, газета „Евразия“, №7
- ტრუბეცკოი ბ., 1930: Trubetzkoy N. S.. Nordkaukasische Wortgleichungen. Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, Vol XXXVII, Heft 2, Wien
- ტრუბეცკოი ბ., 1935/1987: Трубецкой Н. С., Проблема родства между большими языковыми семьями. Избранные труды по филологии. Составление В. А. Виноградова В.П. Нерознака, Переводы с разных языков под общей редакцией Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванова. В. Р. Нерознака и Н. И. Толстого; 60-62. Atti III Congresso Internazionale dei Linguisti, 326-327)
- ტრუბეცკოი ბ., 1937: N. Trubetzkoy. Gedanken über die slovakische Deklination, Sbornik Matice Slovenskej. Čast Prvá. Jazykoveda, XV, გვ. 40-44).
- ტრუბეცკოი ბ., 1939: N. Trubetzkoy, Gedanken über das Indogermanen problem, Acta linguistica, Vol. I, fasc. 2. Copenhagen, 81-89. ქართული თარგმანი იხ. ნინამდებარე ნიგნის ქრესტომათიაში.



- ტრუბეტკოვი ნ., 1958: Трубецкой Н. С., Мысли об индоевропейской проблеме, Вопросы языкознания, № 1, Институт языкознания. Академия наук СССР, Издательство Академии наук СССР, Москва, 65-77. ქართული თარგმანი იხ. ნინამდებარე ნიგნის ქრესტომათიაში.
- ტრუბეტკოვი 1960: Н. С. Трубецкой. Основы фонологии, М.
- ტრუბეტკოვი 1969: N. S. Trubetzkoy. Principles of phonology, Translated by Christine A. M. Baltaxe, Univ. of California Press, Berkeley
- ტრუბეტკოვი ნ., 1975//2004: N. S. Trubetzkoy's Letters and Notes. Prepared for publication by Roman Jakobson with the assistance of H. Baran, O. Ronen, and Martha Taylor. The Hague-Paris, 1975. რუსული თარგმანი : Письма и заметки Н. С. Трубецкого, Языки славянской культуры, Москва, 2004
- ტრუბეტკოვი ნ., 2001: Trubetzkoy N. S., Studies in General Linguistics and Language Structure, Edited and with an introduction by Anatoly Liberman, Translated by Marvin Taylor and Anatoly Liberman, Duke University Press, Durham and London
- ტუიტი კ., 1999: K., Tuite, The myth of the Caucasian Sprachbund : the case of ergativity, in : Lingua, 108, 1-26
- ფუტყარაძე ტ., 2005: ქართველები, ნაწილი I, ქრისტიანობამდელი ეპოქა, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტე, ქუთაისი
- ფელონი პ., 2013: P. D. Fallon, The synchronic and diachronic phonology of ejectives. Outstanding dissertations in Linguistics, Published by Routledge.
- ქურდიანი მ., 2007: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, გელათის მეცნიერებათა აკადემია, ა. არაბულის რედაქციითა და ნინასიტყვაობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი
- შარაძენიძე თ., 1958: ენათა კლასიფიკაციის პრინციპები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი
- შალერი პ., 1997: Schaller H. W., Roman Jakobson's Conception of «Sprachbund», Cahiers de l'ILSL, N° 9, 199-204
- შლაპენტოხი დ., 2007: Shlapentokh D., (ed) Russia between East and West : Scholarly Debates on Eurasianism. International Studies in Sociology and Social Anthropology, Series editors : T. Lumumba-Kasongo, R. Patterson, M. Sasaki, vol. 12, Brill, Leiden-Boston
- შჩერბა ლ., 1912: Л. В. Щерба, Русские гласные в качественном и количественном отношении, СПб.
- ჩირიკბა ვ., 2008: V. A. Chirikba, The problem of the Caucasian Sprachbund, in: From linguistic areas to areal linguistics, No 90, P. Muysken (Ed), Studies in Language Companion Series (SLCS) Amsterdam: John Benjamins, 25-93
- ჩიქობავა არნ., 1945: ზოგადი ენათმეცნიერება, II ტომი, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

- ჩიქობავა არნ., 1952: Чикобава А., С., Введение в языкознание, часть I. Москва
- ჩიქობავა არნ., 1979: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, კავკასიურ ენათა კათედრა, თბილისის შრომის ნითელი დროში ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი
- ჩიქობავა არნ., 1938: ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი (დამატებითი მასალები ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის), თბილისი
- ჩუხუა მ., 2000-2003: ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი
- ძიძიგური შ., 1978: გიორგი ახვლედიანი - ბიობიბლიოგრაფია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი
- ნერეთელი გ., 1965: სონანტებისა და აბლაუტის თეორიის გამო ქართველურ ენებში, წიგნში: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, *სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში: საერთო სტრუქტურული ტიპოლოგია*, გ. ნერეთლის რედაქციითა და წინასიტყვაობით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1965, 09-053.
- ნერეთელი გ., 1968: Церетели Г. В., О языковом родстве и языковых союзах. *Вопросы языкознания*, № 1, Институт языкознания, Академия наук СССР, Издательство Академии наук СССР, Москва, 3-18.
- ჭავჭავაძე ი., 1889: აი ისტორია, ნერილი მეორე, „ივერია“, 77, თბილისი
- ჭავჭავაძე ი., 1991: შინაური მიმოხილვა, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, თ. V, თბილისი
- ჯანაშვილი მ. 1902: ქართული ენა და სლავური რუსული: ამ ენებს შორის შეხვედრის ნერტილები, СМОПН, вып. 31. Тифлиси
- ჰოლენშტაინი ე., 1984: Holenstein, E.. „Die russische ideologische Tradition“ und die deutsche Romantik. In: Jakobson, R. - Gadamer, H.-G. – Holenstein, E.: *Das Erbe Hegels II*. Suhrkamp.
- ჰოპერი პ., 1973: Hopper P.. Glottalized and Murrured Occlusives, In: Indo-European. Glossa. #7: 141-166
- ჰოპერი პ., 1977: Hopper P., Indo-European Consonantism and the „New look“, Orbis, XXVI, #1: 57-72

**თინათინ ბოლქვაძე**

**ენობრივი კავშირი:  
ევრაზიულობის თეორიის გეოლინგვისტური  
პრობლემები**

**TINATIN BOLKVADZE**

**LANGUAGE UNION:  
GEOLINGUISTIC PROBLEMS OF  
THE EURASIAN THEORY**



**გამომცემლობა „უნივერსალი“**

**თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30**

**E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge); [universal555@ymail.com](mailto:universal555@ymail.com)**